

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International Scientific-Practical Referenced Journal

Международный Реферированный Научно-Практический Журнал - „Юрист“

ISSN 2449-2701

იურისტი – Lawyer

№3

თბილისი – Tbilisi

2017

საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“ დაფუძნებულია ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად პროფესორ შოთა ფაფიაშვილის მიერ.

International Scientific-Practical Referenced Journal “Lawyer” is based with Academy of Legal Sciences of Georgia By Shota Papiashvili.



წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ
იურიდიული მისამართი: თბილისი,
ვაჟა-ფშაველას გამზირი №75,
ფაქტობრივი მისამართი: კოსტავას №77
სტუ მე-6 კორპ., ოთახი 903 ა, ტ.: +995 99940 114
ელ-ფოსტა: Law.academy@mail.ru

The journal is published four times in a year.
Address: Tbilisi, Vazha-Pshavela Avenue, №75
Actusi Address: Tbilisi, Kostava street, №77, STU,
6 block Room 903 a, T., 599 940 114
E-mail: Law.academy@mail.ru

ISSN 9772449270009

© შ.ფაფიაშვილი

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ 2017

ჟურნალ „იურისტი“-ს მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შოთა ფაფიაშვილი**.

რედაქტორის მოადგილე პროფესორი - **ჯემალ გაბელია**.

სარედაქციო კოლეგია

1. **ლევან ალექსიძე** - პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
2. **ჯონი ხეცურიანი** - პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
3. **არჩილ ფრანგიშვილი** - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
4. **შოთა ფაფიაშვილი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (თავმჯდომარე);
5. **ჯემალ გაბოკიძე** - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპიკერი,
6. **ირაკლი გაბისონია** - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანი.
7. **ლადო ქანტურია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ელჩი გერმანიაში;
8. **ზაზა რუხაძე** - პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დეკანი;
9. **გენადი ხობრიაკოვი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – მოსკოვი
10. **მიხეილ მამნიაშვილი** – პროფესორი;
11. **ჯემალ გაბელია** - პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
12. **ნიკოლა ბელიაევი** - პროფესორი, სანკტ-პეტერბურგი;
13. **იანეს გრანცი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლუბლიანას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (სლოვენია). საპატიო დოქტორი (პუატიე, საფრანგეთი)
14. **ჰანს იორგ ალბრეხტი** - გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
15. **პეტერ იურგენ გრაფი** - გერმანიის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი;
16. **რომან შენგელია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
17. **ვეფხია გვარამია** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
18. **ივანე ჯავოღნიშვილი** - სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
19. **გივი ლობჟანიძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
20. **შენგელი ფიცხელაური** – პროფესორი; გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.
21. **ლალი ფაფიაშვილი** – პროფესორი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
22. **ელიკო ნიკლაური-ლამიხი** – პროფესორი – გერმანია.

კორექტორი – დავით სოლომნიშვილი – ისტორიის დოქტორი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – თამარ ბარამია, ეკა რუსიეშვილი.

Executive Managing Editor, Doctor of Law Science, Professor – **Shota Papiashvili**

Managing Editor. Professor – **Jemal Gabelia**

EDITORIAL BOARD

1. **Levan Aleksidze** – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia
2. **Joni Khetsuriani** – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia
3. **Archil Prangishvili** – Professor, Rector of GTU, Academiein of National Science of Georgia;
4. **Shota Papiashvili**- Doctor of Law Science, Professor. (Chairman)
5. **Jemal Gakhokidze** – Professor, Speaker of Georgian Technical University, General;
6. **Irakli Gabisonia** – Professor, Dean of Law and International Relations Faculty in Georgian Technical University;
7. **Lado Tchanturia** – Professor, Tbilisi State University, Ambassador of Georgia in Germany;
8. **Zaza Rukhadze** – Professor, Dean of Georgian-American University;
9. **Genadi Khokhriakov** – Professor, PhD of cLaw - Moscow
10. **Mikheil Mamniashvili** – Professor;
11. **Jemal gabelia**- Professor, Deputy Dean of Law and International Relations in Faculty Georgian Technical University;
12. **Nikola Believevi** – Professor. St. Petersburg;
13. **Janez Kranjc** - Doctor of legal Sciences, dr.h.c.)(polotiers, France)Full Professor of The University of Ljubljana Faculty of law;
14. **Hans Jorg Albrekht** - Director of the Max Planck Institute of German Criminal Law, Professor;
15. **Peter Jurgen Graf**-German Supreme Court Deputy Chairperson of the Senate, Professor;
16. **Roman Shengelia**- Doctor of Law Science, Professor;
17. **Vepkhvia Gvaramia** – Professor, Sokhumi State University, Dean of Juridical Faculty
18. **Ivane Jagodnishvili** – Dean of Engineering economy, Media an social Sciences Faculty, Doctor of Philology, Professor;
19. **Givi Lobzhanidze** – Doctor of Law Science, Professor;
20. **Shengeli Pitskhelauri** – Professor, Guram Tavartkiladze’s University, Dean of Juridical Faculty;
21. **Lali Papiashvili** – Professor, Deputy Chairman of Georgian Constitutional Court;
22. **Eliko Tsiklauri-Lamikhi** - Professor, Germany.

Corrector–Davit Solomnishvili - Doctor of History.

Computer Software –Tamar Baramia, Eka Rusieshvili.

სარჩევი

საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია.....

სამართლის თეორია და კონსტიტუციური სამართალი

1. **ირაკლი გაბისონია, თამარ ბარამია**- საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიზანშეწონილობის ასპექტები.....
2. **ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი** - სამართლიანობა, სამართალი და სამართალშემოქმედება.
3. **გივი ლობჯანიძე**-სამართლის მეთოდოლოგიის კონცეპტუალური გააზრება.....
4. **გიორგი გორაძე**-„ხალხის არაკომპეტენტურობის“ პრობლემა პირდაპირი დემოკრატიის თეორიაში.....
5. **თინათინ დაუთაშვილი**- ღია მმართველობის დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში.....

სამოქალაქო სამართალი

ნინო დონჯაშვილი-სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც კერძო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი.....

სისხლის სამართალი

1. **გურამ ნაჭყებია**- „მოქმედების“ და „ქმედების“ თანაფარდობის პრობლემა სისხლის სამართლის ფილოსოფიის მიხედვით.....
2. **თორნიკე გვენეტაძე**- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ადევნებისათვის.....
3. **გიორგი მემარნიშვილი**-პასუხისმგებლობა სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისათვის.....
4. **მამუკა ეგუტიძე**- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებულ დანაშაულთა სისხლის სამართლებრივი დახასიათება..

სისხლის საპროცესო სამართალი და კრიმინალისტიკა

1. **ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია**- ბრალდებული, მსჯავრდებული თუ დამნაშავე ?!
2. **მიხეილ მამნიაშვილი, გიმზერ ალანია**- გამოძიებისა და მედიატექნოლოგიების ურთიერთობის პრობლემატიკა გამოძიების სტადიაზე.....
3. **გივი აბაშიძე**-ზოგიერთი მოსაზრება საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ.....
4. **შოთა ფაფიაშვილი**- დაკითხვის ტაქტიკურ- ფსიქოლოგიური ხერხების გამოყენების თეორია და პრაქტიკა საქართველოს 1998 წლის სსკ-ით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით.....

კრიმინოლოგია

1. ვასილ (ბესო) კვირიკაშვილი- დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები.....
2. ვასილ(ბესო) კვირიკაშვილი- ანტისოციალური განწყობა, როგორც დამნაშავის პიროვნების კვლევის კრიმინოლოგიური მახასიათებელი.....

სტუდენტთა დასახმარებლად

შოთა ფაფიაშვილის ლექცია თემაზე:

„იურიდიული სამსახურის გაუმჯობესებისა და დანაშაულის აღკვეთის და თავიდან აცილების ზოგიერთი პრობლემა.....“

ჯემალ გახოკიძე -გამოხმაურება რომინა გურაშის და ნენო გაბელიას წიგნზე
“ფედერალიზმი როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის ერთ-ერთი გზა”
.....

გამოჩენილი ქართველი იურისტების ცხოვრება და მოღვაწეობა

დავით სოლომნიშვილი-ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.....

გურამ ნაჭყებიას გახსენება “უმენობის ორმოცი დღე“.....

Contents

International- Scientific Conference.....

Law Theory and Constitutional law

1. Irakli Gabisonia, Tamar Baramia- Aspects of the appropriateness of Article 94 of the Constitution of Georgia.....
2. Irakli Gabisonia, Alexandre Taliashvili, Salome Khizanishvili - Justice, law and lawmaking.....
3. Givi Lobzhanidze-Law Methodology Conceptual Definition.....
4. Giorgi Goradze- The Problems of “Incompetence of People in the Theory of Direct Democracy”.....
5. Tinatin Dautashvili- The need of settling open governance in Georgia.....

Civil Law

1. Nino Donjashvili- Contract Free, as Fundamental Principle of Private Law.....

Criminal law

1. Guram Natchkebia- The problem of co-relation between “acting” and “action” subject to the criminal law philosophy.....
2. Tornike Gvenetadze- Criminal law of follower responsibilities.....
3. Giorgi Memarnishvili- Responsibilities of state border custom connections with goods transformation with rule violation.....
4. Mamuka Egutidze- Criminal Characterization of Crimes Related to the Illegal Crossing of the State Border of Georgia.....

Criminal law Process and Criminalistika

1. Irakli Gabisonia, Jemal Gabelia- Accused, convicted or guilty?!.....
2. Mikheil Mamniashvili, Gimzer Alania - Problems of Relations of Investigation and Media-technologies on the Stage of Investigation.....
3. Givi Abashidze - Some Opinions on the Improvement of Legal Institute of Plea Agreement.....
4. Shota Papiashvili- Using Tactical and Psychological Methods of The Terror and Practice in using Interrogation using the norms established by the Criminal Code of Georgia of 1998

Criminology

1. Beso Kvirikashvili- Methodological issues of criminological study of personality of criminal.....
2. Beso Kvirikashvili -Antisocial attitude as one of the characteristics for study of personality of criminal

To Support Students

Professor Shota Papiashvili lecture For gradulators Improvement of legal services and some of the problems of preventing crime.

Jemal Gakhokidze - Review on the book “A Federal Perspective on the Abkhaz-Georgian Conflict” by Romina Gurashi, Neno Gabelia

The life and work of the eminent lawyers

David Solomnishvili- Luarsab Andronikashvili.....

Guram Nachkebia is remember “Forty days of Ungulished”

საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია

2017 წლის 25 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა უნივერსიტეტისა და გერმანიის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე ტექნოლოგიები, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის აქტუალური პრობლემები, ზღვარი თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის“.

კონფერენცია სტუ-ს დიდ სხდომათა დარბაზში, ფრიად საზეიმო ვითარებაში გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა-საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა



უცხოელ მეცნიერებსა და კონფერენციის სხვა მონაწილეებს მობრძანებისათვის და ვრცლად ისაუბრა სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ მიღწევებზე და სამეცნიერო კონფერენციის დღის წესრიგის გაცნობისა და ურთიერთგულთბილი მისალმების შემდეგ უაღრესად ორიგინალური საჩუქრები გადასცა ჩამოსულ მეცნიერთა თითოეულ წევრს.

ამ საზეიმო ვითარების შემდეგ კონფერენციის თავმჯდომარე, **აკადემიკოს**

არჩილ ფრანგიშვილმა კონფერენცია გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა პროფესორ **ჰანს იორგ ალბრეხტს**, რომელმაც საინტერესო მოხსენება წარმოადგინა თემაზე: „თანამედროვე ტექნოლოგიები და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური პრობლემები სისხლის სამართალში. განუსაზღვრელი შესაძლებლობები და მორალი რისკების პირობებში“. მოხსენებისას პროფესორი შეეხო იმ ასპექტებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებაზე, განიხილა ტერორისტული ძალადობის ფაქტები, ტრანსსასაზღვრო დანაშაულები და კიბერდანაშაული. ისაუბრა ისეთ ჩარევებზე ადამიანის უფლებებში, რომელსაც ვერც კი ამჩნევენ ადამიანები. მიმოიხილა ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მოიყვანა თემატიკასთან დაკავშირებული მაგალითები და დასკვნის სახით საზოგადოებას გაუზიარა საკუთარი შეხედულება .

მეორე მოხსენებლად კონფერენციაზე გამოვიდა **სტუ-ს სპიკერი პროფესორი ჯემალ გახოკიძე**, რომელმაც გააკეთა მოხსენება თემაზე: „ფარული გამოძიება სპეცსამსახურების საქმიანობაში და ადამიანის უფლებები“ მან განიხილა სპეცსამსახურების უფლებამოსილების მინიჭებისა და ამ კუთხით ადამიანის უფლებების დაცვის თემატიკა, აღნიშნა, რომ „სპეცსამსახურებისათვის უფლებამოსილების გაზრდა აპრიორში არ უნდა ნიშნავდეს ადამიანის უფლებების დარღვევას“ კონფერენციის მონაწილეებს გააცნო რამდენიმე ქვეყნის მაგალითი და იქ განხორციელებული ცვლილებები. ყურადღება გაამახვილა



სპეცსამსახურების დამსახურებებზე, მიღწევებსა და შესაძლებლობებზე, ამ კუთხით წარმოადგინა გარკვეული რეკომენდაციები და სთხოვა გერმანულ დელეგაციას ქართველ მეცნიერებთან ერთად ემუშავათ აღნიშნულ პრობლემატიკაზე.

მაკა კვაჭაძე უზენაეს სასამართლოს სახელით მიესალმა სტუმრებს, მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის და მოკლედ მიმოიხილა ევროპული დირექტივები, რომლის შესრულებას ახორციელებს საქართველოს შესაბამისი უწყებები, კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე გაამახვილა ყურადღება და შეეხო მართლმსაჯულების, უსაფრთხოებისა და თავისუფლების გარკვეულ ასპექტებს.

პროფესორმა პეტერ იურგენ გრაფმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ტელეკომუნიკაციების ოპერატიულ ვიდეო-აუდიო ინფორმაციის მოპოვება/გამოყენების შესაძლებლობები და საზღვრები, გლობალური ტერორისტული საფრთხეების და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში“, რომლის დროსაც მოიყვანა კონკრეტული მაგალითები. ყურადღება გაამახვილა აუდიო- ვიდეო საშუალებებზე, როგორც ინფორმაციის მოპოვების და ტერორისტული საფრთხეების მაპროვოცირებელ ფაქტორებზე.

თეოდორ ლამიხმა და ელიკო ნიკლაურმა-ლამიხმა ერთობლივად მიმოიხილეს „დარკნეტი/ ვაჭრობა ვირტუალურ სივრცეში და რეალური დანაშაულობა“-სთან დაკავშირებული პრობლემატიკა. თეოდორ ლამიხმა განმარტა სხვადასხვა ქსელები, რომლებიც არიან ინფორმაციის ტრანსფერები, ახსნა ქსელში მუშაობის თემატიკა, თაღლითური პროგრამები, კრიპტოგრაფიული გაყალბებისაგან დაცვის ტექნოლოგია. სრულად მიმოიხილა დარკნეტის საფრთხეები და არსებული პრაქტიკა, დანაშაულის გამოვლენის და აღკვეთის საშუალებები.

ოთარ ზუმბურიძემ ისაუბრა თემაზე: „საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ასპექტები და ციფრული უთანასწორობა“. განიხილა ინფორმაციული კომუნიკაციების განვითარების ინდექსი, ტენდენცია გერმანიასა და საქართველოს შორის, ინფორმაციის განვითარების ინდექსი რეგიონისათვის, კერძოდ რუსეთი, ყაზახეთი, საქართველო და სხვა ქვეყნების მაგალითზე. ასევე, ისაუბრა ეკონომიკისა და განათლების განვითარების საჭიროებაზე.

კახა საბანაძე, რომელიც არის სტუ-ს დოქტორანტი და სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილე გააკეთა მოხსენება თემაზე: „სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის რეფორმა – პროგრესული ნაბიჯი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის სფეროში“. დეტალურად მიმოიხილა ყველა ის რეფორმა, რომელიც განხორციელდა 2012 წლის შემდგომ საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში, აღწერა უსაფრთხოების სისტემის დემოკრატიზაციის პროცესი, ისაუბრა პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორზე და შსს-ში განხორციელებულ სხვა ცვლილებებზე.

დოქტორმა ვოლფრამ შედლერმა გერმანიის გენერალურმა პროკურორმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „დამნაშავის პიროვნებაზე წვდომა GPS სისტემების საკონტროლო სამაჯურის საშუალებით პიროვნების, როგორც პრევენციული ასევე, რეპრესიული კონტროლი (გერმანული გამოცდილება)“. დეტალურად აღწერა ელექტრონულ ხელბორკილთან იგივე წვივსამაგრთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები, მოიყვანა გერმანიის სტატისტიკა წვივსამა-



გრით მოსარგებლე პირთა შესახებ, განიხილა შედეგები და სამომავლო პერსპექტივებიც მოახსენა კონფერენციის მონაწილეებს.

აღნიშნული კონფერენციის მოხსენებათა შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ მონაწილე სტუმრები, მათ შორის, **პროფესორი ავთანდილ დემეტრაშვილი**, რომელმაც სთხოვა სტუმრებს საკუთარი შეხედულებები გაემხილათ მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. **პროფესორმა შოთა ფაფიაშვილმა** დაკავების პერიოდთან და ექვმიტანილის სტატუსთან დაკავშირებით დისკუსია გამართა გერმანიის ყოფილ პროკურორთან. დისკუსიაში აქტიურად ჩაერთო დამსწრე საზოგადოება: **ირაკლი გაბისონია, ჯემალ ჯანაშია, ვასილ კვირიკაშვილი, გურამ ნაჭყებია და სხვები.**

დისკუსიის შემდგომ მოხსენება გააკეთა **გიორგი ლლონტმა**, რომელმაც ტექნიკური პროგრესი და დანაშაულობათა დინამიკა მიმოიხილა შედარებითი ანალიზის საფუძველზე. წარმოადგინა რეგისტრირებული დანაშაულების სტატისტიკა და ტრეფიკინგის შესაძლებლობებზე გაამახვილა ყურადღება.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა **სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია**, რომელმაც აღნიშნა, რომ ფაკულტეტი ერთი წლის თავზე შეძლო ასეთი ღირებული, ძვირფასი სტუმრების მასპინძლობა, მათთან მემორანდუმის გაფორმება და საერთაშორისო კონფერენციის უნაკლოდ ჩატარება. გამოთქვა მზადყოფნა სამომავლო თანამშრომლობისათვის და დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია ფაკულტეტის საქმიანობისა და იგი აუცილებლად შექმნის სტუ-ს ისტორიის მნიშვნელოვან ფურცლებს.

კონფერენციის მსვლელობისას პროფესორი შოთა ფაფიაშვილი თავისი მოხსენების უშუალო დაწყებამდე ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის სახელით მიესალმა გერმანელ მეცნიერ-იურისტებს და მადლობა გადაუხადა სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემურ საკითხებზე საინტერესო მოხსენებების გაკეთებისათვის. ამასთან, გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ჰანს იორგ ალბრეხტსა და გერმანიის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის თავმჯდომარის მოადგილეს, პროფესორ პეტერ იურგენ გრაფს გადასცა საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევის სპე-



ციალური დიპლომი.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, პროფესორმა არჩილ ფრანგიშვილმა.



1. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიზანშეწონილობის ასპექტები.

ირაკლი გაბისონია
პროფესორი.

თამარ ბარამია
მაგისტრანტი.

„იმისათვის, რომ სახელმწიფო ამაღლდეს ბარბაროსების ყველაზე დაბალი საფეხურიდან აუცილებელია კეთილდღეობის უმაღლეს საფეხურამდე მხოლოდ სამი პირობა: უპირველესად, საგარეო და საშინაო მშვიდობა; მეორე- მოთმინება სახელმწიფოს მართვის დროს; მესამე-დაბალი გადასახადები. ყველაფერი დანარჩენი ბუნებრივად მოხდება“.
ადამ სმიტი შოტლანდიელი ეკონომისტი.

კონსტიტუცია საგადასახადო სამართლის ძირითადი წყაროა. კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოს ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის, მათ შორის, საგადასახადო პოლიტიკის რეგულირების საფუძვლებს. გადასახადები კი სახელმწიფოს მიერ ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კონსტიტუციით დადგენილი გადასახადების გადახდის ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფს სახელმწიფოში ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებას. სწორედ ამიტომ, მოცემულ კონსტიტუციურ ვალდებულებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო ხელისუფლების საჯარო-სამართლებრივი ხასიათითაა განპირობებული.¹

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომლის მიზანს წარმოადგენდა კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან სრული შესაბამისობა და ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ინტერესის შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დროს წარმოიშვა საკითხი საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის ცვლილების თაობაზე, რამაც საზოგადოებაში მწვავე დებატები გამოიწვია. სტატიის მიზანს წარმოადგენს აღნიშნულთან დაკავშირებით დადებითი და უარყოფითი ასპექტების გამოვლენა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში ადამიანის უფლებების რეალური დაცვისა და განხორციელების თვალსაზრისით, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია საკმაოდ დახვეწილი სამართლებრივი დოკუმენტია. ქვეყანაში არსებობს იმის სამართლებრივი საფუძველი, რომ პიროვნებამ რეალურად დაიცვას თავი.²

კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიხედვით: „1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.. 2. გადასახადებისაგან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით“. ეს დებულება შეესაბამება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, „ყოველი ადამიანი ვალდებულია იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც ცხოვრობს და რომელშიც შესაძლებელია პიროვნების თავისუფალი და სრულფასოვანი განვითარება“.³

1 ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ., 2013., გვ:10

2 ლ. იზორია, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2006., გვ: 25.

3 ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ., 2013., გვ:11.

საგადასახადო სფეროში გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის საშუალებები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საგადასახადო კოდექსით და საქართველოს ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. 2010 წელს საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლს დაემატა მე-4 პუნქტი და გაჩნდა ჩანაწერი, რომ „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“....⁴ აღნიშნულ ნორმას ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია, ამასთანავე, იგი განსაზღვრავს საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, ანუ სახელმწიფოს უდგენს გარკვეულ შეზღუდვას, რომლის დაძლევის გარეშე ვერ განახორციელებს ახალი გადასახადის შემოღებას, ან უკვე არსებული გადასახადის განაკვეთის გაზრდას. ამ პროცესის უფრო დეტალური განერისთვის შეიქმნა ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. საქართველოს ეკონომიკურ თავისუფლებას სწორედ რომ ეს კანონი განსაზღვრავს და იგი გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით საქართველოს მოქალაქეებისათვის ეკონომიკური უფლებების და თავისუფლების გარანტიების დადგენას. ეს საკანონმდებლო ნორმა არის გარანტი, რომ ქვეყანაში მოსახლეობის თანხმობის გარეშე მთავრობა გადასახადებს არ გაზრდის.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის შინაარსი საზოგადოებას ანიჭებს უფლებას თვითონ განსაზღვროს საგადასახადო პოლიტიკა. სწორედ, რომ დემოკრატიულ, სამართლიან, სოციალურ სახელმწიფოში ხალხი რეფერენდუმის გზით ნყვეტს და იღებს მათთვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს.

2011 წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელშიც ხორციელდება ზემოთხსენებული დებულების კონკრეტიზაცია, კერძოდ, ჩამოთვლილია საქართველოში დღეს მოქმედი გადასახადის სახეები და მითითებულია, რომ „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივაა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში ცვლილება.“⁵

საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ სრულყოფს ეკონომიკურ უფლებებს და თავისუფლებებს.⁶ მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონით საქართველოს მოქალაქენი ადგენენ დღევანდელი და მომავალი თაობების ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიებს.

თუმცა, გაურკვეველია თუ როგორ შეიძლება გამოიხატოს მოქალაქის უფლება იმოქმედოს ეკონომიკური თავისუფლების ფარგლებში, თუ არ ექნება შესაძლებლობა მინიმუმ რეფერენდუმის გზით მიიღოს მონაწილეობა ახალი გადასახადის შემოღების ან არსებული გადასახადის განაკვეთის გაზრდის პროცესში.

რიგი სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკისათვის დამახასიათებელია იმ კანონთა მოქმედების კონსტიტუციური შეზღუდვა, რომლებიც აწესებენ ახალ გადასახადებს ან აუარესებენ გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობას. კონსტიტუციის ზემოთხსენებული დებულების მიზანია განაპირობოს გადასახადებით დაბეგვრის

4 საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 94-ე მუხლი.

5 საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ 01/07/2011-ის რედაქცია.

6 საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ პრეამბულა 01/07/2011-ის რედაქცია.

სტაბილურობა, განამტკიცოს გადასახადის გადამხდელის რწმენა სახელმწიფოში სამართლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობის შესახებ⁷. საქართველოს ისტორიის ბოლო ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე ქვეყანაში წარმოიშვა მრავალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა სახის პრობლემები.⁸

ჩვენს მიერ განსახილველი საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს არსებული რეალობისთვის, ვინაიდან, გვინევს გავავლოთ ზღვარი მოქალაქეთა ეკონომიკური უფლებების განხორციელებასა და მთავრობის მიერ საგადასახადო, ეკონომიკური პროგრამის შესრულებას შორის. პრობლემის ამოსავალ წერტილს ის კი არ წარმოადგენს გადასახადი გაიზრდება თუ არა, არამედ ის თუ რამდენად აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეებს უფლებამოსილება მიიღონ მონაწილეობა რეფერენდუმში, აღნიშნული მათ უფლებას წარმოადგენს და საზოგადოებისთვის იმ უფლების ჩამორთმევა, რომელიც წლების მანძილზე ლეგიტიმურად გააჩნდათ დაუშვებლად მიგვაჩნია.

მნიშვნელოვანია, მთავრობის მიერ გააზრებულ იქნეს, რომ დემოკრატიული სახელმწიფო პიროვნების თავისუფლებას იცავს მისი ღირსების დაცვის მოთხოვნიდან გამომდინარე. მისთვის მთავარია, ეკონომიკა იყოს ადამიანისთვის სასარგებლო და არა პირიქით-ადამიანი ეკონომიკისთვის.

მართალია, დემოკრატიული სახელმწიფო ადამიანის უფლებების გარანტიით, საბაზრო ეკონომიკის განვითარების საუკეთესო პირობებს უზრუნველყოფს, მაგრამ თავად საბაზრო ეკონომიკა როდის წარმოადგენს მისი ლეგიტიმურობის საფუძველს.⁹

აღნიშნული საკითხი ყველასთვის რომ გასაგები იყოს, უნდა გავაანალიზოთ თავად ტერმინი გადასახადი, თუ რაში მდგომარეობს გადასახადის ცნების მთავარი არსი. გადასახადი სახელმწიფოს განუყოფელი ელემენტია,¹⁰ რომელიც უძველესი დროიდან სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად წარმოიშვა და იგი ვითარდებოდა სახელმწიფოს ეკონომიკურ ევოლუციასთან ერთად, ხოლო მათი შეცვლა ხდებოდა საზოგადოების დამოკიდებულებების მიხედვით.¹¹ როგორც ამას საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლი განმარტავს, „გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.¹²“ ნორმის შინაარსიდან, ვხედავთ, რომ გადასახადი არის სავალდებულო ხასიათის მქონე ვალდებულება, რომლის გადახდა უნდა განხორციელდეს ფულადი საშუალებით, სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. „გადასახადი არის წინასწარი საფასური საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად“¹³ ამას ადასტურებს ისიც, რომ საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობებში არსებობს მხოლოდ ერთი ვალდებულები მხარე – გადასახადის გადამხდელი. სახელმწიფო გადასახადის მიღებით არ იღებს თავის თავზე რაიმე შემხვედრ ვალდებულებას გადასახადის გადამხდელის წინაშე და არ არის ვალდებულები განახორციელოს რაიმე სახის მოქმედება მის სასარგებლოდ.

გადასახადი პირდაპირი მნიშვნელობით ეს არის სავალდებულო ფულადი შენატა-

7 ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ., 2013,, გვ:12.

8 ლ. იზორია, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2006., გვ:28.

9 ლ. იზორია, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2006., გვ: 39.

10 Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017, ст. 5.

11 Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017., ст. 37

12 საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლი 17.05.2017-ის რედაქცია.

13 ფრანგი პოლიტიკოსი ონორე გაბრიელ მირაბო.

ნი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო მომსახურებათა დასაფინანსებლად¹⁴. სახელმწიფო სწორედ გადასახადის მეშვეობით ახორციელებს მთელი რიგი სოციალური სისტემების უზრუნველყოფას, მაგალითად, საპენსიო და ჯანდაცვის სფეროების. საგადასახადო სისტემა განისაზღვრება სახელმწიფო წყობილების მიხედვით და ასევე სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების უფლებამოსილებით.¹⁵ გადასახადები არის ყველასთვის და ყველა იხდის მას, თუმცა ზოგიერთი ვერც კი ხვდება რომ იმ კონკრეტულ მომენტში იგი გადასახადის გადამხდელია, მაგალითად, როცა ადამიანი ყავას ყიდულობს, იგი იხდის საფასურს, რომელიც მოიცავს დღგ-ს.¹⁶

ჩვენი პირველი არგუმენტი, თუ რატომ უნდა დარჩეს კონსტიტუციის 94-ე მუხლი მსგავსი რედაქციით, მდგომარეობს მოქალაქეთა ეკონომიკური უფლებების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობაში. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დაუშვებელია ადამიანს წაართვა უფლება მიიღოს მონაწილეობა რეფერენდუმში, ვინაიდან, იგი დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი მახასიათებელია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რეფერენდუმის როლი, რადგან სწორედ ეს მოქალაქეობრივი უფლება გახდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრთათვის 94-ე მუხლის ამოღების მოთხოვნის საფუძველი. რეფერენდუმი, ხალხის ძალაუფლების კონსტიტუციური გამოვლინებაა, რადგან ხალხი ხელისუფლების წყაროა¹⁷, ხელისუფლება თავის მხრივ, ვალდებულია გარკვეული საკითხების მოსაწესრიგებლად ჩაატაროს რეფერენდუმი და მიღებული გადაწყვეტილება ერთი თვის ვადაში ასახოს საქართველოს კანონმდებლობაში.¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელთა შესახებ დაუშვებელია რეფერენდუმის ჩატარება¹⁹ რომელშიც გადასახადის შემოღება არ შედის, ამასთანავე, საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ მე-3 მუხლის მეშვეობით განსაზღვრავს სარეფერენდუმო საკითხთა ჩამონათვალს, სადაც კონკრეტულად წერია რომ „რეფერენდუმი შეიძლება ასევე მოეწყოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღების, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდის მიზნით“. ვინაიდან, აღნიშნული ნამდვილად წარმოადგენს რეფერენდუმზე გასატან „განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხს“, რომელიც გათვალისწინებულია „საქართველოს კანონებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხებისა და პრინციპების შესახებ“.²⁰ ჩვენთვის საინტერესოა ბელორუსიის მაგალითი, ვინაიდან, ბელორუსიის კონსტიტუციის მე-2 თავი ეხება რეფერენდუმს, კერძოდ კი 73-ე მუხლი განმარტავს რომ „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადასაწყვეტად შეიძლება ჩატარდეს რესპუბლიკური ან ადგილობრივი რეფერენდუმები“.²¹ თუმცა, დასაფიქრებელია, თუ რა იგულისხმება „საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხად“. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ის, რომ რაც არ უნდა მიმზიდველად გამოიყურებოდეს რეფერენდუმი დემოკრატიული ლოზუნგების ფონზე, სინამდვილეში მისი გამოყენება ვერ მოხერხდება ვერც ხელისუფლების შესაზღვრავად და ვერც ხელისუფლების არამართვადი სახალხო კონტროლის განსახორციელებლად.²²

14 Wirkungsorientierung im Bereich der Steuern und Abgaben, Paul Eckerstorfer Budgetdienst, Republick Osterreich parlament, Seite 3.

15 Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017.ст. 45

16 Grundsätze der Steuerepolitik, <https://www.bpd.de/izpb/147061/grundsatzeder-steuerpolitik/p=all>

17 საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი.

18 საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ, მუხლი 28. 20/03/2015-ის რედაქცია;

19 საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 74-ე მუხლი.

20 საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ, მე-3 მუხლი-არსებული რედაქცია.

21 Конституция Республики Беларусь, **Статья 73.**

22 ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თარგმანი ინ-

გადასახადები მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოებისათვის, ხშირ შემთხვევაში არჩევნების ბედი გარკვეულწილად დამოკიდებულია სწორედ ამომრჩევლისთვის შეთავაზებულ საგადასახადო პოლიტიკაზე. ისტორიაში ცნობილია პრეზიდენტ ბუშის (მამა) წინასაარჩევნო გამოსვლებისას მისი სიტყვები: „ყურადღება მიაქციეთ ჩემი ტუჩების მოძრაობას - ახალი გადასახადები არ იქნება მართალია, საზოგადოება სისტემატურად ადასტურებს თავის „თანხმობას გადაიხადოს გადასახადი, აძლევს ხმას არჩევნებზე ამა თუ იმ პარტიას ან პოლიტიკურ ძალას (მის საგადასახადო პოლიტიკას), მაგრამ ეს თანხმობა არ გარდაიქმნება საზოგადოების ყველა კონკრეტული წევრის მიერ გადასახადის ნებაყოფლობით გაღების სურვილად. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო, ბიუჯეტში საჭირო თანხების მობილიზებისას, საგადასახადო ადმინისტრირების განხორციელების პროცესში იყენებს იძულებით ღონისძიებებსაც.²³

განსახილველ საკითხთან მიმართებაში აუცილებელია გავანაზილოთ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“²⁴, რომლის პრეამბულის თანახმად ხელმომწერი სახელმწიფოები აღიარებენ რომ „პიროვნების იდეალის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ისეთი პირობები, სადაც ყველას შეეძლება თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ისევე, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა“, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ ისევე უნდა უზრუნველყოს ადამიანის ეკონომიკური უფლების დაცვა, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების. საქართველო ამ პაქტის ხელმომწერია, რაც გულისხმობს ქვეყნის ვალდებულებას შეასრულოს აღნიშნული დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებები, ერთ-ერთ მათგანს კი წარმოადგენს მისცეს მოქალაქეებს შესაძლებლობა ისარგებლონ ეკონომიკური უფლებებით, ისევე როგორც, ნებისმიერი სხვა უფლებით.

თავის მხრივ, ეკონომიკური თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მთავრობის უფლებამოსილებათა მცირე ზომაში, პასუხისმგებლობიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში. ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. საგულისხმოა, თუ რეალურად რა იგულისხმება ეკონომიკურ თავისუფლებაში, თუ რამდენად ერევა მთავრობა ბიზნესის საქმიანობაში, ქვეყნის ეკონომიკის რა წილი მოდის სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებაზე და რამდენად კარგი სამართლებრივი გარემოა კერძო საკუთრების დაცვისთვის.²⁵

განსახილველი საკითხის დადებითი არგუმენტაციის დასაბუთებაში გვეხმარება საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, ხელისუფლება ისედაც არის უფლებამოსილი მოახდინოს ლავირება გადასახადის განაკვეთის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გაზარდოს საგადასახადო განაკვეთი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში, ასევე, ხელისუფლება არ არის შეზღუდული გაზარდოს აქციზი, ვინაიდან, რეფერენდუმით შეზღუდვა აქციზზე არ მოქმედებს, რისი მაგალითიც მიმდინარე პერიოდში დავინახეთ, ვინაიდან, დეფიციტის წარმოშობამ ხელისუფლება აიძულა გაეზარდა აქციზი და ამით მოეხდინა ბიუჯეტის შევსება. 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „საგადასახადო კოდექსში“ შესული ცვლილებები, რომელიც სათამაშო ბიზნესზე, ავტომობილების იმპორტზე, ბენზინსა და თამბაქოზე

გლისურიდან, თეოდორე ნინიძე, გამომცემლობა „სეზანი“ თბ., 2003., გვ:72

23 რ. ქორჩილავა, საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, 2014., თბ., გვ:13.

24 მიღებულია და ღია ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და შესაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A(XXI) რეზოლუციით ძალაშია: 1976 წლის 3 იანვრიდან, 27-ე მუხლის შესაბამისად

25 საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, თბ., 2016., გვ 25.

აქციზის გადასახადის გაზრდას გულისხმობდა.²⁶ გადასახადების გაზრდა საქართველოს მთავრობის გეგმის ნაწილი იყო, რომელიც ეროვნული ვალუტის განმტკიცებასა და სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოზიდვის მცდელობას ითვალისწინებდა. ადრეული ფაქტიც შეგვიძლია გავიხსენოთ, 2011 წლის 1 იანვრიდან ქონებაზე, საგადასახადო ტვირთი გაიზარდა ისეთნაირად, რომ განაკვეთი არ გაზრდილა. ამისათვის, მთავრობამ მოიფიქრა კოეფიციენტი, რომელიც 1-დან 3-მდე მერყეობს და ზრდის ქონების გადასახადის სახით გადახდილი თანხის მოცულობას (მუხლი 202); ასევე, მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებაზე სახელმწიფომ დაანესა 10%-იანი აქციზი (188-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რაც ადრე არ არსებობდა.²⁷

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლი არეგულირებს მხოლოდ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღების წესს, ხოლო არაფერია ნათქვამი ადგილობრივი გადასახადის, კერძოდ ქონების გადასახადთან დაკავშირებით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს უფლება აქვთ შემოიღონ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.²⁸ ადგილობრივი გადასახადების შემოღება, გადახდის პირობების შეცვლა ან შემოღებული გადასახადების გაუქმება ხდება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით.

შესაბამისად, თუ კი სახელმწიფოს ინტერესი მდგომარეობს გადასახადის გაზრდაში, მას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის გზით შეუძლიათ გადასახადების გაზრდა.

მონინააღმდეგენი თვლიან, რომ თუ მოქალაქენი არჩევნების გზით მონაწილეობენ ხელისუფლების ფორმირებაში, მაშინ ამავე ხელისუფლებას უნდა მიეცეთ შესაძლებლობა შეასრულოს საკუთარი პროგრამა, თუნდაც გადასახადების გაზრდის გზით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტში განმტკიცებული დებულების თანახმად, „საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოითხოვოს გადასახადების დროებით გაზრდა-არა უმეტეს 3 წლის ვადით. ამ შემთხვევაში რეფერენდუმი არ ტარდება. რაც მისცემს მთავრობას შესაძლებლობას განსაზღვრული პერიოდით იმოქმედოს შედარებით თავისუფლად. რაც თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუციასა და ორგანულ კანონში მითითებულ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის გარანტს, რეფერენდუმის გარეშე ახალი გადასახადების შემოღებისა და გადასახადის განაკვეთის გაზრდის შეუძლებლობას, მნიშვნელობას უკარგავს“.²⁹

შემდგომი დადებითი არგუმენტაცია მოიცავს დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ძალების პოზიციას იმაზე, რომ ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნისთვის კარგია. აღნიშნული ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეს თავისუფლების შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმში მაღალი მაჩვენებლით აღწევენ. მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების დონით დანია მსოფლიოში მე-12 ადგილზეა. ამ დროს დანიაში საკმაოდ მაღალი გადასახადებია. საგადასახადო ტვირთი 50%-ია. ეს ნიშნავს, რომ დანიელები თავიანთი შემოსავლის 50%-ს გადასახადებში იხდიან. თუმცა ეკონომიკური თავისუფლების ისეთ კრიტერიუმებში, როგორცაა კერძო საკუთრების დაცვა (პირველ ადგილზე მსოფლიოში), კორუფციის დაბალი დონე (პირველ ადგილზე

26 საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 23/12/2016, <https://matsne.gov.ge>

27 საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, თბ., 2016., გვ: 23.

28 საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლი, 17.05.2017-ის რედაქცია;

29 ი გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ., 2013, გვ:12;

მსოფლიოში), ინვესტირების თავისუფლება (მე-2 ადგილზე მსოფლიოში) და ბიზნესის რეგულაციებისგან თავისუფლება (მე-2 ადგილზე მსოფლიოში), დანია მსოფლიოში მონინავე პოზიციებზეა.³⁰

ამასთანავე, არსებობს ილინოსის შტატის მაგალითი, სადაც 1963 წლიდან 21 საგადასახადო რეფერენდუმი ჩატარდა, სადაც გადასახადის ცვლილება მოსახლეობამ მიიღო 11 შემთხვევაში; მათ შორის, მხარი არ დაუჭირა ზოგიერთი გადასახადის შემცირებას, თუმცა თითქმის ყველა შემთხვევაში არ მიიღო საგადასახადო ტვირთის გაზრდის ინიციატივები.³¹

განსახილველი საკითხის გაანალიზებისთვის მნიშვნელოვანია იგი განვიხილოთ ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან, საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს განახორციელოს თავისუფალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს, რაც თითოეული ბიზნესმენის ინტერესს წარმოადგენს. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური თავისუფლების და საკუთრების უფლების განუხრელ პატივისცემას და დაცვას. ამავდროულად, სახელმწიფო შეასრულებს ეკონომიკურ პროცესებში სამართლიანობის დაცვის გარანტიორის ფუნქციას.³² ბიზნეს გაერთიანების წევრებს მიაჩნიათ, რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსებული ფორმით შენარჩუნება აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარებისთვის, სტაბილური ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შენარჩუნებისათვის.³³ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2011-2012 წლების ანგარიშის მიხედვით, ბიზნესის წარმოებაში არსებულ ყველაზე პრობლემატურ ფაქტორებს შორის სახელდება საგადასახადო რეგულაციები და შემდეგ მოდის გადასახადის განაკვეთები ანუ გადასახადის განაკვეთი იმდენად პრობლემური არ არის, რამდენადაც მათი ადმინისტრირების წესები. სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებით მთავრობა იღებს ვალდებულებას განახორციელოს სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა გარე რისკების დასაძლევად.³⁴

საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება, რომ „ხანგრძლივი, სტაბილური ეკონომიკური ზრდის ფუძემდებლური პრინციპები დგინდება ორგანული კანონით. მაკროეკონომიკური პარამეტრების დადგენილი ზღვრების დარღვევისა და განსაკუთრებული აუცილებლობის დროს ზღვრებისგან გადაცდენის შემთხვევები, ასევე, პარამეტრების ზღვრებთან დაბრუნების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება ორგანული კანონით“.³⁵ მთავრობის მიზანს წარმოადგენს შეინარჩუნოს მაკროეკონომიკური გარემო, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი გონივრული ფისკალური მონეტარული და ფინანსური პოლიტიკით.

ხელისუფლება ცდილობს, გაატაროს კერძო სექტორის თავისუფლების და გაძლიერების ხელშემწყობი რეფორმები. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საქართველოს მთავრობისთვის არის ძლიერი და კონკურენტუნარიანი კერძო სექტორის ჩამოყალიბება საგარეო და საშინაო დონეზე.³⁶

30 FORBES GEORGIA -სტატია/ბესო ნამჩავაძე, ეკონომიკური თავისუფლების პრობლემები საქართველოში 2016 წელი,

31 ე. სეხნიაშვილი, ახალი კონსტიტუციური საგადასახადო დებულებები საქართველოში, სტატია, <http://liberali.ge/articles/view/3514/akhali-konstitutsiuri-sagadasakhado-debulebebi-saqartveloshi>

32 საქართველო 2020/საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი, საქართველოს მთავრობა, 2013., გვ:3.

33 Business Association of Georgia: BAG- ოფიციალური საიტი.

34 საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, თბ., 2016., გვ 24.

35 იქვე:

36 საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა, ფინანსთა სამინისტრო, მაისი 2017, გვ: 2.

უმთავარესი უარყოფითი ასპექტი საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის ამოღების მდგომარეობს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებისთვის ლეგიტიმურად არსებული ეკონომიკური უფლების განხორციელების ხელის შეშლაში. საზოგადოებას აღარ ექნება შესაძლებლობა რეფერენდუმის გზით მოანესრიგოს გადასახადის შემოღების საკითხი და ეს პირდაპირპროპორციულია ეკონომიკური თავისუფლების წართმევის. რასაკვირველია, ხელისუფლება საგადასახადო, ეკონომიკურ პოლიტიკას საზოგადოების სურვილის თანახმად ვერ აანყოფს, თუმცა, რეფერენდუმი ეს ის მცირედი საშუალებაა გადასახადის გადამხდელთა უფლების დაცვისთვის, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია.

გარდა მოქალაქეთა ეკონომიკური უფლების ჩამორთმევისა, საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის ამოღება კიდევ ერთ საგადასახადო პოლიტიკის შემაკავებელ უარყოფით ფაქტორს გამოიწვევს, რომელიც გააუარესებს საქართველოს კონკურენტუნარიანობას საინვესტიციო მიმზიდველობის კუთხით და შეამცირებს ინვესტიციების შემოსვლას, რაც ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე და შეაფერხებს ქვეყნის განვითარებას. მსგავს შემთხვევაში ინვესტორს ვეღარ ექნება შეგრძნება საგადასახადო პოლიტიკის მდგრადობის, რაც თავისთავად გახდება მათთვის შემაკავებელი ფაქტორი. ყველა ინვესტორს სჭირდება სტაბილური საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს ბაზარზე იმოქმედოს თავისუფლად.

ჩვენი შეფასებით, ნებისმიერ ხელისუფლებას ცალსახად გაუჭირდება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესრულება თუ საქართველოს კონსტიტუციიდან ამოიღებს 94-ე მუხლს. ვინაიდან, მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რათა ყოველმა მოქალაქემ ისარგებლოს მიღწეული შედეგებით და ამავე დროს, შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში. როგორც ეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტიდან ირკვევა საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია.³⁷ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა დიდწილად განპირობებულია უცხოური ინვესტიციებითა და ადგილობრივი მენარმეების საინვესტიციო აქტივობით, ხოლო ინვესტიციების მოსაზიდად საქართველო ინვესტორს უნდა სთავაზობდეს უნიკალურ, სტაბილურ საინვესტიციო ბიზნესგარემოს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში არ არის ნათელი, რა კონკურენტული უპირატესობა გააჩნია საქართველოს სხვა ქვეყნებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ წერია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლში, თუმცა რომ არა მსგავსი ჩანაწერი სახელმწიფო, როგორც ხელისუფლების განმანხორციელებელი სუბიექტი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა. ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური უფლებების და თავისუფლებების საზოგადოებაში დამკვიდრებას, რაც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობას და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მეორე პრინციპის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებას გულისხმობს, რაც ნიშნავს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში.³⁸ რა შეიძლება ვიგულისხმოთ მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობაში ეკონომიკური განვითარების პროცესში, თუ არა უფლება რეფერენდუმის გზით დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით.

საკითხის მთავარ ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაუშვებელია მოქალაქეებს

37 საქართველო 2020/საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი, საქართველოს მთავრობა, 2013 წ. გვ:3

38 საქართველოს მთავრობის დადგენილება, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცების შესახებ, #400, თბ., 17 ივნისი 2014.

წაართვა შესაძლებლობა ეკონომიკური თავისუფლებაზე დაყრდნობით, რეფერენდუმის მეშვეობით განახორციელონ კონკრეტული საგადასახადო საკითხის მონესრიგება მათივე არჩევანის საფუძველზე. დემოკრატიული სახელმწიფოს ისტორიული განვითარება, მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველზე ადამიანის უფლებების, ანუ მისი თავისუფლების აღიარებას უკავშირდება.³⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოს კონსტიტუციიდან 94-ე მუხლის ამოღება. ვინაიდან, ამ მუხლითა და საქართველოს ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებს და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძველად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობას და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას.

რეზიუმე

სტატიაში დეტალურადაა განხილული საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის დადებითი და უარყოფითი ასპექტები.

ავტორთა მიერ გავლებულია ზღვარი მოქალაქეთა ეკონომიკური უფლებების განხორციელებასა და ხელისუფლების მიერ საგადასახადო ეკონომიკური პროგრამის შესრულებას შორის. გაანალიზებულია გადასახადის ცნება და მნიშვნელობა, რეფერენდუმის როლი მოქალაქეთა ეკონომიკური უფლებების სრულყოფილად განხორციელების საქმეში.

შესწავლილია საგადასახადო რეფერენდუმთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა, რის საფუძველზეც შემოთავაზებულია არგუმენტირებული პოზიცია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსებული რედაქციით დატოვების შესახებ.

RESUME

The article discusses clearly positive and negative aspects of Article 94 of the Constitution of Georgia.

The authors are emphasized the implementation of economic rights of citizens and the implementation of the tax economic program by the government. There is analyzed the concept and value of taxes and the role of a referendum in the implementation of the economic rights of citizens.

There has been studied the tax referendum concerning the practice of different countries, on the basis which proposed the argumentative position to leave the existing edition of Article 94 of the Constitution of Georgia.

РЕЗЮМЕ

В статье обсуждаются позитивные и негативные аспекты статьи 94 Конституции Грузии.

Авторы оказывает влияние на осуществление экономических прав граждан и осуществление правительством налоговой экономической программы. Концепция и стоимость налогов анализируются в роли референдума в реализации экономических прав граждан.

Изучена практика различных стран в отношении налогового референдума, на основе которой предлагается оставить аргумент в пользу существующего издания статьи 94 Конституции Грузии.

³⁹ ლ იზორია, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2006., გვ:35.

გამოყენებული სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია - არსებული რედაქცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ- 20/03/2015-ის რედაქცია;
3. საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“- 01/07/2011-ის რედაქცია;
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი -17.05.2017-ის რედაქცია;
5. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან;
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცების შესახებ, #400, 2014 წ 17 ივნისი, თბ.
7. საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 23/12/2016,
8. საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 23/12/2016, <https://matsne.gov.ge>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ, 2013 წ;
2. ლ. იზორია, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ, 2006 წ;
3. ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თარგმანი თეოდორე ნინიძე, გამომც. „სეზანი“ თბ, 2003წ;
4. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, თბ, 2016წ;
5. საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, თბილისი, 2010 წ;
6. საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა, ფინანსთა სამინისტრო, მაისი 2017წ;
7. საქართველო 2020/საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი, საქართველოს მთავრობა, 2013 წ;
8. FORBES GEORGIA -სტატია/ბესო ნამჩავაძე, ეკონომიკური თავისუფლების პრობლემები საქართველოში 2016 წ;
9. რ. ქორჩილავა, საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, 2014, თბ,
10. ე. სეხნიაშვილი, ახალი კონსტიტუციური საგადასახადო დებულებები, საქართველოში, სტატია, <http://liberali.ge/articles/view/3514/akhali-konstitutsiuri-sagadasakhado-debulebebi-saqartveloshi>
11. Wirkungsorientierung im Bereich der Steuern und Abgaben, Paul Eckerstorfer Budgetdienst, Republick Osterreich parlament,;
12. Grundsätze der Steuerepolitik, <https://www.bpd.de/izpb/147061/grundsatzeder-steuerpolitik/p=all>;
13. unterrichtsmaterial_steuern_und_steuerflucht.Steuergerechtigkeit als Basis für eine solidarische Gesellschaft, funktionierende Wirtschaft und nachhaltige ntwicklung, Unterrichtsmaterial für die Sekundarstufe II;

14. Бузова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017.
15. Конституция Республики Беларусь- <http://pravo.by/pravovaya-informatsiya/normativnye-dokumenty/konstitutsiya-respubliki-belarus/>

2. სამართლიანობა, სამართალი და სამართალშემოქმედება.

ირაკლი გაბისონია
პროფესორი,
ალექსანდრე ტალიაშვილი
პროფესორი ,
სალომე ხიზანიშვილი
პროფესორი.

სამართლისა და სამართალშემოქმედების განვითარების საფუძველი სამართლიანობის იდეაა. სამართლიანობის კატეგორიის ფილოსოფიურმა ძიებამ განაპირობა საკაცობრიო სამართლის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სიღრმისეულ კვლევაზე.

სამართლიანობის, სამართლისა და სამართალშემოქმედების ცნებები, ისტორიულად სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვას იძენენ, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამის მიზეზი ადამიანთა წარმოდგენების, შეხედულებების ცვლილებაა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციის საფუძველი. ცვლილებები, რომელიც ნებისმიერ ცივილიზებულ ეპოქაში ხდება წინაპირობა იმისა, რომ აღნიშნულ საკითხებზე ჭეშმარიტების ძიება გაგრძელდეს.

სამართლიანობის ცნებასთან დაკავშირებული ფილოსოფიურ-თეორიული ხასიათის პრობლემები სამართალმცოდნეებს აიძულებს არაერთხელ გააანალიზონ წარსული სამართლებრივი მემკვიდრეობა და ახალი ვითარებების გათვალისწინებით, შეაჯერონ სამართლიანობის, სამართლისა და სამართალშემოქმედების ურთიერთმიმართების საკითხები.

სამართლებრივ სისტემაში განსაკუთრებული სიძნელე სამართლიანობის ცნების დადგენას უკავშირდება, რის გამოც სამართლის ფილოსოფიაში აზროვნების ეს ქვაკუთხედი მუდმივი განსჯის საგანია, მუდმივი დაფიქრებისა და ეჭვის საგანია ნებისმიერი ეპოქის საზოგადოებისთვისაც; სამართლებრივი გადანყვეტილება, რომელიც, რასაკვირველია, ყოველთვის სამართლიანობის იდეის რალაცგვარ გაგებას ეფუძნება, შეიძლება ფორმალურად სწორია, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით, ნაკლოვანი და არც თუ იშვიათად, მიუღებელია. ამის გამოა, რომ საზოგადოება ხელისუფლებისაგან გაუცხოებას ყველაზე მეტად სწორედ უსამართლო გადანყვეტილებების შემთხვევაში განიცდის.

სახელმწიფოს იძულებითი აპარატის არსებობა, ოფიციალური პროპაგანდა, ნორმატიული მასალის ლოგიკური დასაბუთება და თუნდაც, საკანონმდებლო ტექნიკის

დახვეწა, კანონის სამართლიანობის გარანტი ვერ გახდება, თუკი საზოგადოებრივი პოზიციებიდან კანონი და სახელმწიფო უსამართლოდ აღიქმება. ამიტომ, რომ მართლმსაჯულება საზოგადოებისა თუ საზოგადოებრივი აზრის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა.

აქედან გამომდინარე, თავს იჩენს ყველაზე მწვავე, მაგრამ, ამავდროულად არსებითი და საინტერესო კითხვები: მაინც რა არის სამართლიანობა? რა ასპექტების გათვალისწინებით ხდება იგი კანონის საფუძველი? ეს ფუნდამენტური საკითხები სამართალმცოდნეობაში მუდმივი მსჯელობის საგანია. ჩვენი კვლევაც სამართლიანობის არსის გარკვევას ეხება.

სწორად შენიშნავს პროფ. გ.ლობჯანიძე: „აზრობრივადაც და ეტიმოლოგიითაც სამართლიანობა (იუსტიცია) ადის სამართალთან (ჯუს), აღნიშნავს სოციალურ სამყაროში სამართლებრივ სანყისს და გამოხატავს მის სისწორეს, იმპერატიულობასა და აუცილებლობას⁴⁰“.

ნებისმიერ სახელმწიფოში სამართლიანობა კანონიერებას ემყარება, ხოლო, კანონიერების მდგომარეობას განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრის ნდობა; მოქალაქეთა ნდობის ძირითადი კრიტერიუმი კი სამართლიანობაა. მართალია, სამართლიანობას ფიზიკური განზომილებები არა აქვს, მაგრამ, მის გარეშე, სახელმწიფოში არა მარტო სამართლებრივი, არამედ, სოციალური ცხოვრების სხვა ძირითადი ფორმები მოქმედების ძალას კარგავენ.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, სამართლიანობის ფილოსოფიური კატეგორია სოციალურ თვისებებს იძენს, შესაბამისი მახასიათებლებითა და ნიშნებით, ყალიბდება მორალურ კატეგორიად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოიჩინდება როგორც რთული ზნეობრივ-სამართლებრივი მოვლენა. ადამიანის ცნობიერებაში ვლინდება სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი, დაპირისპირებული იდეებსა და ღირებულებების სახით, რაც ქმნის ისმის საფუძველს, რომ მასზე, როგორც საყოველთაო ხასიათის ჭეშმარიტებაზე, კითხვები გაჩნდეს. თუმცა, მიუხედავად ამ სიძნელეებისა, სამართლიანობა იდეა-ფიქსია, რომელიც ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერი ადამიანისა თუ საზოგადოებისათვის, არსებით მნიშვნელობას იძენს. ის ფილოსოფიური, სამართლებრივი, პოლიტიკური რელიგიური თუ სოციალური მონყობის კონცეფციების ამოსავალი წერტილია. და მიუხედავად მისი შინაარსის განსხვავებული გაგებისა, (სხვადასხვა ფორმაციაში და ცივილიზაციაში), კაცობრიობისათვის ის მუდმივ ზნეობრივ იდეალად რჩება. ამიტომ, რომ ღმერთის იდეის გარდა, სხვა არც ერთი იდეა-ოცნება ისეთი ძალითა და ხნიერებით არ იპყრობს ცალკეული ადამიანისა თუ საზოგადოების აზროვნებას, როგორც რწმენა სიკეთისა და სამართლიანობისა.

მაშ, სამართლიანობის ძიება მუდმივი პროცესია. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თაობები განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში ცხოვრობენ. ყოველი ახალი თაობა განსხვავებული რაკურსით განიხილავს სოციალური მონყობის, სამართლის ნორმის შექმნის, მისი რეალიზაციის საკითხებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის უნივერსალურ მნიშვნელობას.

ისიც ფაქტია, რომ ინტუიციის დონეზე თითქმის ყველას ესმის სამართლიანობის არსი, მაგრამ, მისი ახსნა რთულდება. უფრო მეტიც, სამართლიანობის პრობლემასთან დაკავშირებით, მეცნიერული აზრი ხშირად იმდენად განსხვავებულია, რომ მათი შეხების წერტილის მოძებნა ძნელდება. მაგალითად, ერთი თვალსაზრისით, სამართლიანობის მიღწევა იურიდიული საშუალებებით შეუძლებელია, მეორე პოზიციიდან, პირიქით, სწორედ სამართლიანობა აქცევს კანონს სამართლად. რასაკვირველია, ეს იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანობა მორალს უტოლდება. იმ აზრზე დაყრდნობით, რომ „...არსებობს მორალური ჭეშმარიტების კრებული, რომელიც შეგვიძლია აღმოვა-

40 გ.ლობჯანიძე, სამართლის ფილოსოფია, თბ., 2014, გვ.82

ჩინოთ, თუ მას გონების თვალთ შევხედავთ⁴¹“.

სამართლიანობა იურიდიულ და მორალურ სიბრტყეზე არსებობს. ამის საფუძველზე განასხვავებენ სოციალურ და იურიდიულ სამართლიანობას. იურიდიული სამართლიანობა ქმნის პირობებს სოციალური სამართლიანობის მისაღწევად.

იურიდიულ სამართლიანობის პოზიციიდან, იბადება კითხვა: რომელი უფრო უპირატესია — სამართლიანობა თუ სამართალი? ამ საკითხზე სამართლის სკოლისა და პოზიტივისტების წარმომადგენლებს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

ბუნებითი სამართლის სკოლის მიმდევრების აზრით, სამართლიანობა და სამართალი პრაქტიკულად, ერთი და იგივე ცნებებია. სამართლიანობა განიხილება სამართლის განუყოფელ ნაწილად. მათი მტკიცებით, უსამართლო საკანონმდებლო აქტი მოქალაქეების მიერ არ უნდა შესრულდეს, რადგანაც უსამართლო სამართალი არ არის სამართალი. „ბუნებითი სამართლის თანახმად, ყველა ადამიანი იბადება თანასწორი, მხოლოდ ადამიანთა ჩვეულებები და ცხოვრების წესი ქმნის საზოგადოებრივ უთანასწორობას. სიმართლე და სამართლიანობა არის სამართლის მუდმივი სწრაფვა... ყველამ მიიღოს თავისი სამართალი არის ბუნებითი სამართლის ძირითადი პრინციპი და ჩამოყალიბებული მოთხოვნა⁴²“.

დადებით შეფასებას იმსახურებს „სამართლიანი კანონის“ კონცეფციაც. იგი მაღალ მორალურ პრინციპებს ატარებს და კანონს უმაღლეს ზნეობრივ მოთხოვნებს უყენებს. ამ საკითხებზე საყურადღებოა ო. ხეფფეს პოზიცია, რომელიც მიუთითებს, რომ „ადამიანთა თანაცხოვრება ლეგიტიმური რომ იყოს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამართლებრივი შენიშვნა: სოციალურ სამართლიანობაზე უფრო დეტალურად ვისაუბრებთ ჯონ როულსის ნაშრომის განხილვისას.

ხასიათი, სამართალმა უნდა შეიძინოს სამართლიანობის ღირებულება, სამართლიანი სამართალი დაცულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი მართლწესრიგით, ე.ი. მიიღოს სამართლიანი სახელმწიფოს სახე⁴³“.

სამართლიანობა წარმოადგენს ძირითად ზნეობრივ პრინციპს, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს (სამართალი, პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობა). სამართლიანობა სამართალში რეალიზდება სამართლებრივი პრინციპით, რომელიც შემდეგ ფორმდება სამართლებრივი საშუალებებით. იგი საზოგადოებას წარედგინება განსჯის სახით სიკეთესა და ბოროტების შესახებ, პოზიტიური და ნეგატიური ქმედებებისათვის სათანადო მიზღვევით.

სამართლიანობა სამართალში გამოხატავს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებს. როგორც გ. კელზენი მიუთითებს, სამართლიანობის ძირითადი ფუნქცია „არის ის, რომ იყოს მოდელი კარგი სამართლის შექმნისა და კრიტერიუმი ერთმანეთისაგან კარგი და ცუდი სამართლის გარჩევისა⁴⁴“.

სამართლიანობა და სამართალი დიალექტიკურ ურთიერთკავშირშია, სამართალში განხორციელებული სამართლიანობა ღებულობს ნორმატიულ ხასიათს, ხოლო სამართალი ზნეობრივ დასაბუთებულობას.

სამართლიანობის არსი, პირველ რიგში, ზეგავლენას ახდენს იმ კანონებზე და სამართლის ნორმებზე, რომლებიც უზრუნველყოფს პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. ამ შემთხვევაში, სამართლიანობა მნიშვნელოვნად რეალიზდება სამართალში. ძირითადი ეთიკური პრინციპები ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ქცე-

41 რეიმონდ უექსი. სამართლის ფილოსოფია, თსუ-ს გამომცემლობა, 2012, გვ.1

42 ალექსანდრე ტალიამვილი. საკითხები ქართული სამართლის ფილოსოფიის ისტორიიდან. შოთა ფაფიაშვილი, 80 საიუბილეო კრებული. თბილისი, 2015., გვ.272

43 О. Хеффе. Политика, право, справедливость, основоположения критической философии права и государства. М., 1994г., с. 43.

44 Кельзен Г. Право, государство и справедливость в чистом учении о праве /Правоведение 2012г., №2, с. 233.

ვაზე. გავლენა განსხვავებულია ხარისხით, ფორმით, მაგრამ საზოგადოებაში დადგენილი სამართლის ნორმების დაცვა უფრო წარმატებულია, როდესაც მოქალაქეთა უმრავლესობა, მოქმედი კანონებს, სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებულად მიიჩნევს. სამართლიანობა და უსამართლობა ეთიკის კატეგორიებია, მაგრამ, კანონიერებაზე მათი გავლენა უმნიშვნელოვანესია.

კანონიერების რეჟიმის დამყარება სახელმწიფოს პრეროგატივაა. ხელისუფლება გამოსცემს კანონებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ. რაც შეეხება სამართლიანობა-უსამართლობას, როგორც აღვნიშნეთ, ეთიკური კატეგორიებია, მაგრამ ისინი დაცულია საზოგადოებრივი აზრით.

კანონი ადამიანებზე პირდაპირ ან ირიბი იძულებით მოქმედებს. იგი ყოველთვის არ ემსახურება სიმართლის დადგენას, მისგან განსხვავებით, სამართლიანობის პრინციპი, როგორც შინაგანი რწმენა, მოქმედებს სულიერებისა და მორალის სხვა კატეგორიების მსგავსად და ადამიანებზე ზეგავლენას ახდენს ეთიკურ-ზნეობრივი საშუალებებით. მისი დაცვა ყოველთვის ადამიანის მორალურ სრულყოფას ემსახურება.

სამართლიანობა და უსამართლობა მოიცავს იმ ურთიერთობებს, რომლებიც ყოველთვის არ არის ასახული სამართალში. მაგალითად, სიცრუე, ცილისწამება მოითხოვს მკაცრ გაკიცხვას, მაგრამ კანონი მათ მიმართ ხშირად გულგრილია.

სამართლიანობასა და კანონიერებას შორის უთანხმოება მაშინ წარმოიშობა, როდესაც კანონი ფორმალურად რეალიზდება პიროვნების თავისებურებების, მისი სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, პიროვნებას კანონი უსამართლოდ მიაჩნია. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ფაქტები, რომელთა მიმართაც სამართლის ნორმები გამოიყენება, ფაქტობრივ გარემოებებთან მკაცრი შესაბამისობით დადგინდეს.

სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპების შეუთანხმებლობას აქვს ადგილი, როდესაც თეორიული განზოგადოებისას ხდება ზოგადი აბსტრაქტული განსაზღვრებების დადგენა, ამის მაგალითია კლასიკური ეპოქის შემდგომი პერიოდი, როდესაც პოზიტივისტები სამართალს იხილავდნენ, როგორც სუვერენის ნების გამოხატულებას და ყურადღებას არ აქცევდნენ სოციალურ, მორალურ და სხვა მნიშვნელოვან მახასიათებლებს. ასეთ დროს შეუძლებელი ხდება სამართლის განსხვავება ხელისუფლების მიერ სანქცირებული თვითნებობისაგან, ასეთი ვითარება გამორიცხავს კანონიერებისა და სამართლიანობის თანხვედრას.

მიგვაჩნია, რომ კანონიერების რეჟიმის ფორმირება უნდა პასუხობდეს პიროვნების მორალურ მოთხოვნებს, ზნეობრივი ღირებულებები უნდა განხორციელდეს რეალურად სამართლიანობის მატარებელ საზოგადოებაში. შესაბამისად, კანონის გამოყენებისას იურისტს მოეთხოვება არა მხოლოდ კანონების, არამედ ქვეყნის ტრადიციების ცოდნაც. მას უნდა ჰქონდეს ჰუმანური მსოფლმხედველობა, მისთვის მიუღებელი უნდა იყოს ტოტალიტარიზმის ყოველგვარი გამოვლინება.

სახელმწიფოს არ შეუძლია მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე არსებობა, კანონმდებლები მოვალენი არიან თავიანთი მოღვაწეობა შეუსაბამონ საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს, გაითვალისწინონ საუკუნეების მანძილზე არსებული ზნეობრივი წესები, შეხედულებები სიკეთესა და ბოროტებაზე, ღირსებასა და პატიოსნებაზე და, რაც მთავარია, სამართლიანობაზე. სამართლიანობის არსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამართალშემოქმედებისას იძენს, რადგან სამართალშემოქმედების მორალურ-ზნეობრივ შინაარსზე მოქმედი კანონმდებლობის ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული.

სამართალშემოქმედება სამართლიანობის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. სამართალშემოქმედებით პროცესში სამართლიანობა ღებულობს ნორმატიულობას, ზნეობრივი სამართლიანობა ტრანსფორმირდება იურიდიულში, რომე-

ლიც რეალიზდება კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში საზოგადოებრივი იდეის სახით, რის საფუძველზეც ხდება სოციალური სამართლიანობის მიღწევა. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ვრცელდება დემოკრატიულ სახელმწიფოზე, სადაც სამართლიანობა სამართალმოქმედების ძირითადი ზნეობრივი პრინციპია. ის მოიცავს სამართალშემოქმედების ყველა სფეროს. სამართლიანობა ხორციელდება სამართალშემოქმედების პროცესში პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების შეჯერებით მათი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

ცხადია, ისიც, რომ სამართალშემოქმედებაში სამართლიანობა მიიღწევა კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსით, მაგრამ ძირითადი პრობლემა ისაა, რომ „მოსახლეობა ინტერესების მიხედვით ყოველთვის იყოფა ანტაგონისტურ ჯგუფებად, არ არის და არასდროს ყოფილა სახელმწიფო, რომლის შიგნით ინდივიდთა ინტერესები, სწორად ან არასწორად გაგებულნი, მიმართული არ იყოს იმ ინტერესების საწინააღმდეგოდ, რომელთა საფუძველზეც არსებობს საზოგადოება“⁴⁵, ამიტომ სამართლიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ადამიანთა სხვადასხვა ინტერესის გათვალისწინებით, სამართლიანობის პრინციპების გაზიარებამ სამართალშემოქმედებაში მთელი საზოგადოების ინტერესები უნდა გამოხატოს.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სამართალშემოქმედების საკითხების კვლევა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: კანონიერება, დემოკრატიულობა, მორალურ-ზნეობრივი დასაბუთებულობა, ჰუმანიზმი, ეფექტურობა, მეცნიერული დასაბუთება და პროფესიონალიზმი, ობიექტურობა, უმცირესობის ინტერესების გათვალისწინება, სისტემურობა, თანასწორობის და უთანასწორობის ელემენტების დიალექტიკური შერწყმა, საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი, ნაციონალური ინტერესების გათვალისწინება.

სამართლიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს ევოლუციური და არა რევოლუციური გზით. სხვა შემთხვევაში დაინყება სოციალური რყევები. იურიდიული სამართლიანობა მიიღწევა მხოლოდ ლეგიტიმური სამართლის ნორმების მიღებით.

იურიდიულ სამართლიანობას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის. განსხვავებით ეთიკური ქცევის წესებისაგან, იგი განმტკიცებულია სახელმწიფოს იძულებითი ძალით, იმყოფება სახელმწიფოს დანებებულებების მფარველობის ქვეშ, დაფუძნებულია სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და საჯარო ხელისუფლების არსებობაზე.

იურიდიულ სამართლიანობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, იურიდიული სამართლიანობის პრინციპის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს როგორც ცალკეული პიროვნების, ისე საზოგადოებისათვის მძიმე შედეგები.

იურიდიული სამართლიანობის პარამეტრები განსაზღვრულია ხელისუფლების სამართალშემოქმედებითი საქმიანობით. კანონიერებასთან ერთად იურიდიული სამართლიანობის შემადგენელი ნაწილია ზნეობრივი დასაბუთებულობა. სამართლებრივი და ზნეობრივი შეფასებების თანხვედრა ანიჭებს სამართლის ნორმას იურიდიულ სამართლიანობას. შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული სამართლიანობა ზნეობრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების სამართლებრივი გამყარებაა.

იურიდიულ სამართლიანობაში უმნიშვნელოვანესია: ა) სამართლის ნორმების სამართლიანობა, რეალიზაცია და გამოყენება; ბ) სამართლიანობის დამკვიდრების საშუალებები და გარანტიები. სამართლის ფილოსოფიის მკვლევართა აზრით, „სამართლიანობის პრინციპი განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატულია სამართლის რეგულირებისას, აქ მისი მოთხოვნები, როგორცაა ობიექტურობა, უანგარობა, მიუკერძოებლობა, კანონის ინტერესების დაცვა და ა.შ. თავის გამოხატულებას პოულობს და

45 Кельзен Г. Право, государство и справедливость в чистом учении о праве / Правоведение 2013г., с. 230.

კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს ემსახურება⁴⁶“.

ცნობილმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა, ჯონ როულსმა, 1971 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „სამართლიანობის თეორია“, რომელიც, მე-20 საუკუნის მიწურულის ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომი და ათვლის წერტილი გახდა ფილოსოფიური დისკუსიებისათვის.⁴⁷

ჯონ როულსის ნაშრომში „სამართლიანობისა და კანონიერების ძირითადი სუბიექტია საზოგადოების საბაზისო სტრუქტურა, ანუ საშუალებები, რომლითაც ძირითადი სოციალური ინსტიტუტები ანანილებენ და განსაზღვრავენ ფუნდამენტურ უფლებებსა და მოვალეობებს“⁴⁸.

ჯონ როულსი სამართლიანობის პრობლემებსა და ინსტიტუტებს არ განიხილავს კონკრეტული სახელმწიფოს მაგალითზე, იგი ცდილობს ჩამოაყალიბოს სამართლიანობის გონივრული კონცეფცია ჩაკეტილი სისტემის ფარგლებში, ანუ, ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოებისაგან იზოლირებულად.

ჯონ როულსი თვლის, რომ „პატიოსანი და სამართლიანი“ საზოგადოების შესაქმნელად ადამიანები უნდა შეთანხმდნენ მთავარზე: ეს პრინციპების არჩევანია, რომელთა მეშვეობით შემდგომში რეფორმირდება სოციალური ინსტიტუტები.

პირველი პრინციპი: თითოეული ინდივიდისათვის თანაბარი უფლებების მიცემა. აქ იგულისხმება ხმის მიცემისა და თანამდებობის დაკავების უფლება, სინდისისა და სიტყვის თავისუფლება, პიროვნების დაცვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, კერძო საკუთრების დაცვა და ა.შ. ყველა ეს უფლება, თანაბარი უნდა იყოს ყველასათვის.

მეორე პრინციპი: სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა ისე უნდა იყოს დარეგულირებული, რომ: ა) ნაკლებად წარმატებულთათვის უზრუნველყოფილი იყოს ყველაზე მეტი სარგებელი; ბ) საზოგადოებაში შესაბამისი მდგომარეობის დასაკავებლად, ყველასათვის შექმნილი იყოს თანაბარი პირობები.

მკაფიოა, რომ სამართლიანობის პრინციპები ეფუძნება იერარქიულ თანმიმდევრობას. ანუ, პირველი პრინციპის დაკმაყოფილების გარეშე, მეორე პრინციპის დაცვა შეუძლებელი ხდება. რაც თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ თანაბარი თავისუფლების პრინციპი პრიორიტეტულია ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის მარეგულირებელ პრინციპთან შედარებით.

ჯონ როულსი დარწმუნებულია, რომ საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს უთანასწორობის გარეშე – ეს გამომდინარეობს ადამიანის ბიოლოგიური ბუნებიდან. თუმცა, მისი თეორიის მიზანია აღადგინოს რწმენა გონივრული მმართველობის შესაძლებლობის შესახებ.

ჯონ როულსს მიაჩნია, რომ მოწესრიგებული საზოგადოება იქაა, სადაც სამართლიანობის პრინციპები ყველასათვის მისაღებია და ძირითადი სოციალური ინსტიტუტები ამ პრინციპების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

ჯონ როულსი სამართლიანობაზე მსჯელობს პირველ რიგში, ლიბერალური დემოკრატიული პოზიციებიდან, ამ მნიშვნელობით მისი ნაშრომები არა მარტო ფილოსოფიურ, არამედ იდეოლოგიურ ხასიათსაც ატარებს.

ჯონ როულსის შრომები არის თემა მრავალრიცხოვანი სემინარებისა და სიმპოზიუმებისა. იგი შესულია მრავალი უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროგრამაში.

XXI საუკუნეში, ზოგადსაკაცობრიო ფაქტორების გაზრდილი მნიშვნელობის გამო, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის იურიდიული სამართლიანობა კონსტიტუციური პრინციპია, რის საფუძველზე ვცნობთ და ვაღიარებთ სამართლე-

46 Идеи справедливости в традициях посткласической философии права. Монография под. общ.редакцией В.П. Сальникова. Санкт-Петербург, 2012 г. с.134

47 რეიმონდ უექსი. სამართლის ფილოსოფია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ.95
48 Дж. Ролз. Теория справедливости. Москва. 2017 г. с.22

ბრივი სახელმწიფოს არსებობას; სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთკავშირს, მათი უფლება-მოვალეობების დემოკრატიულ პრინციპებს. თუმცა, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, სამართლის ზნეობრივი შინაარსის უგულვებლყოფა გამორიცხული არაა, რასაც, წინ იურიდიული მეცნიერება უნდა აღუდგეს. ამ საქმეში სამართლიანობის თანამედროვე ფილოსოფია უთუოდ დიდ დახმარებას გაგვინებს.

რეზიუმე

სამართლიანობა ფილოსოფიური, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და უპირველესად, ეთიკური კატეგორიაა.

სამართლიანობა და სამართალი დიალექტიკურ ურთიერთკავშირშია, სამართალში განხორციელებული სამართლიანობა ღებულობს ნორმატიულ ხასიათს, ხოლო სამართალი – ზნეობრივ დასაბუთებულობას.

სამართალშემოქმედებაში სამართლიანობა მიიღწევა კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსით. სამართლიანობის პრინციპების გაზიარებამ სამართალშემოქმედებაში მთელი საზოგადოების ინტერესები უნდა გამოხატოს.

სამართლის ფილოსოფიის ტრადიციული კატეგორიები დღეისათვის საჭიროებს გადახედვას. ჯონ როულსის სამართლიანობის თეორიის შექმნით, სამართლის ფილოსოფიაში გაჩნდა ახალი იმპულსი, რომელიც თავისუფლებას და თანასწორობას ახალ აზრობრივ დატვირთვას აძლევს.

Res u m e

Justice is philosophic, psychological, moral and legal category; standards of morality and ethics are closely related to the notion of justice.

Justice and law are in dialectic interrelation. Justice implemented in law obtains regulatory character, while the law takes moral substantiation.

Justice is achieved in law-making through the balance of private and public interests. Sharing the principles of justice in law-making has to reflect public interests.

Today the traditional categories of philosophy need the revision. The theory of justice created by J. Rawls gives new momentum to the philosophy of justice, which attaches new meaning to freedom and equality.

РЕЗЮМЕ

Справедливость – философская, правовая, психологическая, но во первых, этическая категория; нормы морали и этики тесно связаны с понятием справедливости.

Справедливость и право находятся в диалектической взаимосвязи. Справедливость, осуществленная в праве, принимает нормативный характер, а право – моральное обоснование.

Достижение справедливости в правовом творчестве происходит с помощью баланса частного и публичного интересов. Разделение принципов справедливости в правотворчестве должно выражать общественные интересы.

Традиционные категории философии права ныне нуждаются в пересмотре. Создание Дж. Ролзом теории справедливости дало новые импульсы философии справедливости, которые придают новую смысловую нагрузку свободе и равноправию.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლობჯანიძე გივი. სამართლის ფილოსოფია, თბ., 2014, გვ.82
2. რეიმონდ უექსი. სამართლის ფილოსოფია, თსუ-ს გამომცემლობა, 2012
3. ტალიაშვილი ალექსანდრე. საკითხები ქართული სამართლის ფილოსოფიის ისტორიიდან. შოთა ფაფიაშვილი, 80 საიუბილეო კრებული. თბილისი, 2015
4. Кельзен Г. Право, государство и справедливость в чистом учении о праве /Правоведение 2012г., №2, с. 233.
5. Идеи справедливости в традициях постклассической философии права. Монография под общ. редакцией В.П. Сальникова, Санкт-Петербург, 2012г., с. 134.
6. Дж. Ролз. Теория справедливости. Москва, 2017
7. О.Хеффе. Политика, право, справедливость, основоположения критической философии права и государства. М., 1994

3. სამართლის მეთოდოლოგიის კონცეპტუალური გააზრება.

გივი ლობჯანიძე
პროფესორი

მეთოდოლოგია მეცნიერული გამოკვლევების, თეორიული პრინციპების, ლოგიკური ხერხების, კონკრეტული საშუალებების ერთობლიობაა, თუმცა მისი ცალსახა განსაზღვრება დღემდე არ ჩამოყალიბებულა.

გერმანელი სამართალმცოდნის რ. ციპელიუსის მიხედვით მეთოდი ნიშნავს მიზნისაკენ მიმავალ „გზას“. ეს მინიშნება, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო სრულყოფილი იქნება, თუ მას შემდეგნაირად ჩამოვყალიბებთ; „მეთოდი არის მიზნისაკენ მიმავალი გზის დაძლევის ხერხი და საშუალება.“

ვიზიარებთ რ. ციპელიუსის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ მეცნიერების დარგებში იგი ნამდვილად წარმოადგენს გზას, რომელსაც რაციონალური და შესაბამისად გასაგები და კონტროლირებადი ფორმით თეორიულ მეცნიერებასთან ან პრაქტიკულ გაგებასთან ან თუნდაც შემეცნების ზღვართან მივყავართ.

მეთოდოლოგიაში საგანი განსაზღვრავს მეთოდს და, პირიქით, მეთოდი - საგანს, რადგანაც მეთოდოლოგია განსაზღვრულ პრობლემებზე, საკითხთა რიგზე, დასკვნის სისტემატიზებული და მონესრიგებულ შეხედულებათა ერთობლიობაა. მეცნიერების ნებისმიერი დარგი იყენებს მეთოდებს, როგორც შემეცნების საშუალებას, რომელიც იწყება სინამდვილის ამა თუ იმ ობიექტზე დაკვირვებით, ამ მიზანს კი მივალწევთ მხოლოდ შესაბამისი მეთოდის გამოყენების გზით.

საგნის ცნების განსაზღვრა დაკავშირებულია საგნობრიობის ცნებასთან, რომელიც ფილოსოფიაში აღნიშნავს რაიმე მოვლენას, მოქმედებას, მდგომარეობას და ა.შ., რაც დაკავშირებულია საგნებთან, ან თვითონ არის (იქცევა) საგანი მოღვაწეობაში სუბიექტის ჩართვის გზით. ადამიანური მოღვაწეობა საგნობრივი ხასიათისაა, ასევეა ცოდნაც, რამდენადაც მისი ობიექტური შინაარსი ადამიანის მოღვაწეობით ათვისებული ცოდნის სამყაროს ასახვას წარმოადგენს.

ჩვენ შემთხვევაში საგანი იმდენად განსაზღვრავს მეთოდს, რამდენადაც სამართალთან დაკავშირებით ეს ნიშნავს, თუ რა სახის კითხვებს სვამს სამართალი და აზროვნების რომელი გზით უნდა იქნას პასუხი გაცემული ამ კითხვებზე. აღნიშნული განსაზღვრება სამართლის არსისა და ფუნქციის მიხედვით. მეთოდოლოგიის საგანი ემსახურება სამართლის არსის გაგებას,- ეს არის ფორმალური თანასწორობა და მისი

გამოვლენის ფორმები, პრინციპები - ეს ყველაფერი ერთად არის ნორმატიულ-რეგულაციური, ინსტიტუციურ-იძულებითი და ქცევითი ხასიათის რეალური სამართლებრივი არსის, ერთი და იმავე განსხვავებული სამართლებრივი საწყისის სხვადასხვა ფორმა.

არსება, იგივე არსი, მოცემული ნორმის საზრისია, რაც განსხვავებით სხვა სოციალური და სამართლის სხვადასხვა დარგების ნორმებისაგან გამომდინარე, მათი ცვალებადი მდგომარეობიდან, რაც გამოწვეულია ამა თუ იმ გარემოებით. არსის ცნება ძალიან მნიშვნელოვანია ყოველი სამეცნიერო დარგის სისტემისათვის, მათი განსხვავებისათვის იმ საკითხის გადანიშნულების თვალსაზრისით თუ როგორ დამოკიდებულებაშია არსი ყოფიერებასთან ნორმათა ცნობიერებასთან, აზროვნებასთან.

არსი წარმოქმნის განსაკუთრებულ არეალს, სადაც სუბიექტი ახდენს მის პროვოცირებას ნორმათა სახით. სწორი მიდგომა გამოიხატება ნორმათა არსის რეალობასა და ცნობიერებაში მისი ასახვის აღიარებაში. არსს ადგილი აქვს არა ნორმათა გარეთ, არამედ მათში და მათი გზით, გამოხატავს ზოგად მთავარ თვისებას, როგორც მათ კანონს. ხოლო ადამიანური შემეცნება თანდათანობით ეუფლება სამართლებრივი სამყაროს არსს, უფრო მეტად ღრმავდება მასში. ესაა ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, ანუ თეორიის რეალიზაცია. საბოლოოდ, სამართლის ნორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაანესოს მოქმედების ან უმოქმედობის (მოქმედებისაგან თავის შემაკავებელი) ვალდებულება.

რ. ციპელიუსს მიაჩნია, რომ ზოგიერთი საკანონმდებლო ნორმა ამ თვალსაზრისს არ შეესაბამება და მაგალითად მოჰყავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი, სადაც ვკითხულობთ; „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ანდა, რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან, წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე“. აღნიშნულ ნორმას აქვს მთლიანად ფაქტობრივი გარემოებების აღწერის ფორმა, მაგრამ იგი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც უბრალოდ ფაქტების აღწერა ისე, რომ თითქოს ყველა, ვინც სხეულის დაზიანებას ჩაიდენს, უნდა დაისაჯოს.

რ. ციპელიუსი შედარებითი მეთოდის გამოყენებით მსჯელობს ბუნებითი კანონების მიხედვით, კერძოდ, როგორც ეს ფიზიკის გრავიტაციის კანონის მიხედვით ხდება: ყოველი ქვა, რომელსაც დედამიწის ზედაპირიდან ავიღებთ და ხელს გავუშვებთ, ისევე მიწაზე დავარდება.

მისი აზრით, წინამდებარე მუხლს აქვს ორი მიზანი: უპირველეს ყოვლისა, ამ კანონმა ადამიანებს უნდა აღუძრას მოტივაცია, ერთმანეთი არ დააზიანონ და, მეორე მხრივ, მოსამართლეს უნდა განუსაზღვროს, რომ ის, ვინც ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, დასაჯოს. გამომდინარე აქედან, ეს მუხლი შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: ძირითადი ნორმა („*primare norm*“), რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობებს არეგულირებს და მეორადი-სანქციის შემცველი ნორმა (*SEKUNDARE SANKTIONSNORM*), რომელიც სამართალდამცავ ორგანოს, სახელდობრ, მოსამართლეს ავალებს, ძირითადი (პრიმერული) ნორმის დარღვევაზე სანქციით, კერძოდ, სასჯელით მოახდინოს რეაგირება. ხშირად საჭიროა იმის გარკვევა, რა მოიაზრება ზოგიერთი საკანონმდებლო დებულების ქვეშ, ქცევის თუ უფლებამოსილების წესები. მეცნიერი საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად კვლავ უბრუნდება საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 317-ე მუხლს, რომლის თანახმად, „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება“.⁴⁹ ეს მუხლი განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, რომელთა საფუძველზეც წარმოიშობა ვალდებულებები მყიდველსა და გამყიდველს, გამქირავებელსა და დამქირავებელს, ან მენარდესა და შემკვეთს შორის. რ. ციპელიუსი თვლის, რომ ეს წინაპირობები 317-ე მუხლში სრულად არ არის მოცემული. რა წინაპირობები უნდა არსებობდეს ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებში: „შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო“ (იხ. მე-12 მუხლი. მე-4 ნაწილი) „ბათილია მცირეწლოვნის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა (58-ე მუხლის პირველი ნაწ.) აქ საქმე გვაქვს ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელ ნეგატიურ წინაპირობებთან. რ. ციპელიუსი სამართლიანად მიიჩნევს იმის გააზრებას, რომ საჭიროა გარკვეული დაფიქრება, თუ რომელი ნორმები იგულისხმება ქცევის წესების სისტემაში.

აქ უკვე ნათლად ჩანს კანონის ცნებათა ტექნიკა, რომელიც ცალკეულ სამართლებრივ დებულებებს „ნაწილებად“ აქცევს, რაც ართულებს ამ ფრაგმენტების ვალდებულებების წარმოშობისას მოდიფიცირების შემადგენელ ნაწილებად გააზრებას.

ამ ხარვეზის შევსებას ემსახურება მეთოდოლოგია, კერძოდ, სამართლის ნორმის ინტერპრეტაცია, რაც ნიშნავს კანონის სიტყვათა მნიშვნელობით გაგებას, უფრო კონკრეტულად ფ. სავიგნი ამით იმ ლოგიკურ კავშირებს გულისხმობდა, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისის ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებს.⁵⁰ ამავე პრობლემას ემსახურება მითითებითი დისპოზიცია, რომელიც შინაარსობრივად გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც საჭირო ხდება ქცევის წესის ჩამოსაყალიბებლად ან დასაზუსტებლად რომელიმე სხვა ან ამავე ნორმის სხვა დისპოზიციის მითითება.⁴⁹ ამგვარ დისპოზიციას შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი, რომლის თანახმად, „იგივე ქმედება ჩადენილი ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ანდა იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, ან კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა“.

მითითებითი დისპოზიციის ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის (ქურდობა) შენიშვნა, სადაც წერია: „ამ კოდექსის 177-ე და 186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე 231-ე და 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.“⁵⁰

პროფესორი გ. ნაჭყებია სისხლის სამართლებრივი რეგულირების მეთოდის პრობლემას სისხლის სამართლებრივი რეგულირების საგნის დადგენის ხერხს უკავშირებს.

ავტორი ამ დარგში მეთოდის ცნებაში ნაგულისხმევ მიდგომას იხილავს, როგორც „საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების ხერხების ერთობლიობას“. ეს, მისი აზრით, არსებით სიძნელეს ქმნის, რადგან თუ ჩვენ სამართლებრივ ურთიერთობას საზოგადოებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედების ხერხად წარმოვიდგინთ, მაშინ ამ ლოგიკით სამართლებრივი ურთიერთობა თვითონაა საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ხერხი, ანუ მეთოდი და მაშინ ამ მეთოდის „მეთოდი“ წინააღმდეგობრივი ჩანს.

ავტორი ამ წინააღმდეგობათა დასაბუთებაში მიდის დასკვნამდე, რომ „სამართლებრივი რეგულირების მეთოდის“ ცნება „მეთოდის მეთოდი“ უნდა იყოს. ის დეტალურად განიხილავს ი. ნოის, ვ. აბაშმაძის, ვ. სოროკინის, ს. ალექსეევის და სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს აღნიშნული პრობლემის ირგვლივ და გამოაქვს საკუთარი დასკვნა: სისხლის სამართლებრივი რეგულირების მეთოდი განპირობებულია რეგუ-

49 რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, გვ. 5

50 რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, გვ. 1

ლირების საგნით. მეთოდი გვიჩვენებს, რომ საქმე ეხება დანაშაულის თავიდან აცილებას.

მისი აზრით, სისხლის სამართლებრივი რეგულირების ხერხები, რომლებიც ერთიანობაში რეგულირების მეთოდს ქმნის, სხვა არაფერია, თუ არა თვით სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც დანაშაულთა თავიდან აცილების ხერხი. ავტორი ფიქრობს, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა სწორედ იმ ხერხებისაგან შედგება, რომელთა ერთობლიობა ახალ თვისობრივ დონეზე სისხლის სამართლებრივ ურთიერთობად გარდაიქმნება. საბოლოოდ ავტორი თვლის, რომ „მეთოდის მეთოდი“ ჩვეულებრივი მოვლენაა და ბუნებრივად იქმნება იმ ვითარების გამო, რომ თვით სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა ცხადდება სოციალური რეგულირების ხერხად, ანუ მეთოდად.

საკითხის ასე წარმოჩენა საინტერესოა და მას უფრო ღრმა კვლევა სჭირდება, რადგანაც თვითონ ავტორიც თვლის, რომ „სისხლის სამართლის საგნისა და მეთოდის პრობლემა დღემდე სადავო და გაურკვეველია“.⁵¹

მეთოდოლოგიის და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემასთან დაკავშირებით უფრო შორს მიდის პროფესორი იროდიონ სურგულაძე, რომელიც თვლის, რომ სამართალი თავის ერთობლიობაში მიზანს კი არა, იმ საშუალებების ერთგვარ სისტემას წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტულ-ისტორიული მონესრიგებისათვის კანონმდებლის მიერ მიზნის განსახორციელებლად არიან განსაზღვრული.⁵²

მამასადამე, სამართალი საშუალებაა, და არა - მიზანი. ირ. სურგულაძის აზრით, სამართალი საშუალებების კომპლექსია, ხოლო კანონმდებელი შესაბამისი მიზნის მისაღწევად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ამ საშუალებათა მეოხებით. საშუალებასა და მიზანს შორის მუდმივი წინააღმდეგობაა, რადგან ისინი ყოფიერების სხვადასხვა ონტოლოგიურ რიცხვს მიეკუთვნებიან. ირ. სურგულაძის ამ მოსაზრებას სამართლიანად მიიჩნევს პროფესორი ო. გამყრელიძე, მასაც მიაჩნია, რომ სამართალი თავის ერთიანობაში მიზანი კი არა, არამედ მხოლოდ საშუალებაა განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და მისი დანიშნულებაა სოციალური ცხოვრების მონესრიგება.⁵³

თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ირ. სურგულაძეს მოჰყავს მრავალი ისტორიული მაგალითი და თვლის, რომ ზოგჯერ განსხვავებული იურიდიული ხერხების მეოხებით ერთი და იგივე სოციალური მიზანი მიიღწეოდა. იყო პირიქითაც, როცა ერთი და იგივე სამართლებრივი ფორმა სხვადასხვა სოციალური მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენდა.⁵⁴

მართალია, ირ. სურგულაძე არ წერს, რომ სამართალი გამოდის საზოგადოებრივი ცხოვრების მონესრიგების მეთოდოლოგიად, მაგრამ ლოგიკურად ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რადგანაც იგი თვლის, რომ სამართალი საშუალებაა და არა მიზანი. ასე რომ პროფ. გ. ნაჭყეიას პოზიციას ამყარებს ირ. სურგულაძის მიერ ჩამოყალიბებული მოცემულობა.

სამართლებრივი მეთოდების მოძღვრება ეფუძნება სამართლებრივ-ფილოსოფიურ თვალსაზრისებს, ამიტომ მეცნიერები, რომლებიც მუშაობენ სამართლის თეორიასა და სამართლის ფილოსოფიაში უფრო ახლოს დგანან სამართლებრივ მეთოდოლოგიასთან. (მაგალითად იგივე რაინჰოლდ ციპელიუსი) ამიტომ მეტ-ნაკლებად სამივე შემთხვევაში ხდება ზოგიერთ საკითხთა განმეორება და ეს ლოგიკურიცაა. ეს ეხება იმ ფუნქციების ცნებასაც, რომელიც უშუალოდ პირდაპირ არაა დაკავშირებული სამართალთან. ამდენად, მეთოდოლოგია არ არის არც ერთი მეცნიერული სფეროს კუ-

51 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2013, გვ. 90.

52 Savigny F.K., Systema des heutigen Romischen Rechts, I, 1840, S. 13 ff.

53 გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2015, გვ. 275.

54 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2014, გვ. 89.

თვნილება და იგი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის მიმართულებას, ამიტომ იყენებს სხვადასხვა მეცნიერების მსოფლმხედველობრივ ფუნქციებს, რომელთაგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის და ევრისტიკული ფუნქციები. ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მათ ნაწილს მიაჩნია, რომ ყოველი მეცნიერება, თუ ის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია, არ უნდა სწავლობდეს სხვა მეცნიერებისაგან დამოუკიდებელ სპეციფიკურ სფეროს; სპეციფიკურ კანონზომიერებებს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ერთი მეცნიერება არ იყენებდეს და არ ეყრდნობოდეს მეორე მეცნიერთა განსაზღვრებას, დეფინიციებს და დებულებებს, რაც ფუნქციების განხორციელების სფეროში ვლინდება.⁵⁵ მითუმეტეს ასეთი მიდგომა ყველაზე ნაკლებად ეხება სამართლის მეთოდებს, რაც არ შეიძლება აიხსნას შემთხვევითი გარემოებით, არამედ იგი, ერთი მხრივ, კავშირშია იმ საგნის თავისებურებასთან, რომელიც სამართლის მეთოდებმა უნდა იკვლიოს, ხოლო მეორე მხრივ, იმ ცოდნის საერთო ევოლუციასთან, რაც მეთოდოლოგიას სხვა დარგებიდან გამოაქვს. აქედან გამომდინარე, სამართლის მეთოდები, როგორც სასწავლო დისციპლინა, სხვა დარგებზე დაყრდნობით მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს, მათ შორის უმთავრესი ანთოლოგიური ფუნქციაა.

ანთოლოგია (ონტოლოგია) არის ყოფიერების შესახებ მოძღვრება, რომელშიც განიხილება ყოფიერების საფუძვლები, პრინციპები, მისი სტრუქტურა და თავისებურებანი. ანთოლოგიური კვლევის განხორციელებისას სამართლის ფილოსოფია პასუხობს პრობლემურ კითხვებს: რა არის სახელმწიფო და სამართალი, როგორ და რატომ წარმოიშვა აზრი, რას წარმოადგენენ ისინი ანმყოფი, როგორია მათი ბედი მომავალში.

გარე მოვლენები, რომლებიც ადუღაბებს სამართალს, როგორც მთელს, რომელიც თავისი ანთოლოგიური ბუნების შინაგან პრინციპულ სხვადასხვაობას გვიჩვენებს. სამართალი როგორც სოციალური ფენომენი და სამართალი, როგორც განსაზღვრული, სამართლებრივად მოწესრიგებული სისტემა, გვევლინება უკვე არსებული სამართლის ერთიანობის არსით და არა მარტო ერთი და იმავე ანთოლოგიურ საზღვრებში, არამედ როგორც ყოფიერების ძირითადი კატეგორიების სხვადასხვაობაში, წერდა პროფ. ირ. სურგულაძე.

გნოსეოლოგიური ფუნქცია, გნოსეოლოგია, ანუ შემეცნების თეორია, მიზნად ისახავს სამართლებრივი შემეცნების განვითარებას თეორიული კონსტრუქციებითა და ხერხებით, რომელიც ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესახებ ცოდნას აძლევს. აგრეთვე, მეცნიერული მეთოდოლოგიის და ამასთან დაკავშირებული შესაბამისი პრობლემების გულმოდგინე დამუშავება გვაძლევს გნოსეოლოგიურ ანალიზს.⁵⁶ სამართლის ფილოსოფიის გნოსეოლოგიურ ფუნქციას თავის დროზე ყურადღება მიაქცია სამართლის ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა ცნობილმა იურისტმა ლ. პეტრაჟცკიმ,⁵⁷ მაგრამ სამართლის მეთოდოლოგიაში გნოსეოლოგიური მეცნიერების საფუძვლების ფუნქციის გამოყენება დღემდე იშვიათობა იყო.

მნიშვნელოვანია ევრისტიკული ფუნქცია, რომელიც ჭეშმარიტების მიკვლევის, ახალი აღმოჩენის ხელოვნებაა. სამართლის ფილოსოფია არ შემოიფარგლება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შემეცნებითა და განმარტებით, იგი ჩვენს დროში, კერძოდ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ხსნის მათი განვითარების ახალ კანონზომიერებებსა და პრობლემებს. ირ. სურგულაძის აზრით, ჭეშმარიტების თეორია ასევე შეესაბამება ერთსა და იმავე მეცნიერებაში ერთიან საგნობრიობას. ეს არის ერთიანობა დარგების ისე, რომ სამართლის მეთოდოლოგიას ძალუძს ამ ფუნქციის შესრულება, რასაც უფრო თვალნათლივ ქვემოთ დავინახავთ.

არაიშვიათად, ამასთან ფილოსოფიური ანალიზის სფეროში, აღმოჩნდება ხოლმე (სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის მათი ფუნდამენტალური მნიშვნელობი-

55 გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის საგანი, თბ., 1997, გვ. 230,

56 ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის წინასიტყვაობით, თბ., 2002, გვ. 44

57 ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის წინასიტყვაობით, თბ., 2002, გვ. 26

დან გამომდინარე) ტრადიციული იურისპრუდენციის უფრო კონკრეტული საკითხები, ისეთები, მაგალითად, როგორცაა იურიდიული კვლევების მეთოდები და ამოცანები და მათი პრაქტიკული ღირებულება. იგი მუდამ ემყარება მეცნიერული ძიების ზოგად მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვას, როგორცაა:

- თანაზომიერების (პროპორციულობის), ანუ ძალის გადაჭარბების აკრძალვის და თანაბარი მოპყრობის პრინციპი;

- სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და გატარების პროცესში ჩართულია კონკურენციის პრინციპი, როდესაც ხდება თავისუფლებებისა და ინტერესების თანაზომიერება;

- კანონმდებელი, როდესაც გადაწყვეტილებას ღებულობს, მაგალითად სოციალური დახმარების სფეროში, უნდა მიაღწიოს კომპრომის სოციალური სახელმწიფოს პრინციპსა და ბიუჯეტის მომჭირნე ხარჯვას შორის;

- გასათვალისწინებელია გამოვლენილი ნების შეცილების პირობები, საჭიროა, ერთი მხრივ, კერძო ინიციატივის პრინციპისა და, მეორე მხრივ, სამართლებრივ ურთიერთობებში ნდობის დაცვის პრინციპის გათვალისწინება.

ამ შემთხვევაში, აუცილებელია, სიტუაციის შესაბამისი სწორი ღონისძიებებისა და მეთოდის შერჩევა, რომლითაც ერთი ან მეორე პრინციპი უნდა ამოქმედდეს. ზოგად-ფილოსოფიური მეთოდოლოგია არა მარტო ბუნების, საზოგადოების, აზროვნებისა, ზოგადი კანონების ამსახველ კატეგორიებს მოიცავს, არამედ განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სამყაროში, ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს, თუ რა გზით, რა მეთოდებით შევძლებთ პრობლემათა შეცნობასა და გააზრებას, ამაში გვეხმარება მეთოდოლოგიური პრინციპები.

პროფესორი გ. ასათიანი თავის ნაშრომში „დასავლური პოლიტიკური ფილოსოფიური მოძღვრების ისტორია“, შესავალში წერს: საგანი, მეთოდოლოგიური პრობლემები, სიძნელეები და ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი. კვლევის პროცესში გვეხმარება, თუ როგორ შეიძლება მანკიერებათა თავიდან მოშორება სწორი მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენების გზით.

მისი აზრით, მეთოდთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა:

1. კონკრეტულ-ქრონოლოგიური მეთოდი, როცა შეხედულებები განიხილება თანმიმდევრულად, ისტორიულ დროში მათი განლაგების შესაბამისად;

2. პრობლემური მეთოდი, როცა განხილვის ობიექტად შერჩეულია რომელიმე პოლიტიკური ფენომენი და გარეგნულად ერთგვარად უგულებელყოფილია მოვლენის გარშემო შექმნილი შეხედულებების ქრონოლოგიური განვითარება.

გ. ასათიანს მიაჩნია, რომ არც ერთი მეთოდი არ არის უნივერსალური ხასიათის, თუმცა უპირატესობას მაინც პრობლემურ მეთოდს ანიჭებს, რომელიც მეტადაა დაინტერესებული პრობლემის აქტუალობით, ვიდრე პირველი მეთოდი.

მათი სიღრმისეული ანალიზიდან გამომდინარე, მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ უპრიანი იქნებოდა ორივე მეთოდის ერთობლივად გამოყენების აუცილებლობა, ანუ მათი სინთეზი. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნებოდა პირველი მეთოდის ქრონოლოგიური სიზუსტეც და მეორე მეთოდის საქმის არსში წვდომის დიდი შესაძლებლობა.⁵⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეთოდოლოგია იძლევა იმის საშუალებას, ერთი რომელიმე სერიოზული პრობლემის კვლევისას გამოვიყენოთ რამდენიმე მეთოდი.

ამ შემთხვევაში პოზიტიურთან ერთად გვაინტერესებს საზოგადოებაში ნეგატიური პროცესები და კერძოდ დამნაშავეობა, მისდამი დამოკიდებულება, როგორც სინამდვილის და ობიექტური რეალობის, მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლის, მისი ელემენტების დახარისხების დამნაშავეობის შემადგენელი მუდმივობისა და ცვალებადობის ელემენტების გამოყოფა და აღიარება. გარდა ამისა, დამნაშავეობის გამომწვევი

58 გ. ასათიანი, დასავლური პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრებების ისტორია, თბ., 2003, გვ. 13-14

მიზეზების საფუძვლიანი შესწავლა, რაც ითვალისწინებს მისი პრევენციული პრობლემების პრაქტიკული გადაჭრისას ზოგადმეთოდოლოგიური ბაზის გამოყენებას.

მკვლევარები კითხვას სვამენ, თუ რას აძლევს იურისპრუდენციას სამართლის მეთოდოლოგია?⁵⁹ მივყვეთ მსჯელობათა ლოგიკას;

- მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა განისაზღვროს სამართლის სფეროში გამოკვლევების საზღვრები და თეორიის შემდგომი განვითარებისა და დამნაშავეობის თავიდან აცილების პრაქტიკის სრულყოფისათვის და მისი შედეგების გამოყენების შესაძლებლობები.

- მეთოდოლოგია გვეხმარება, თავი ავარიდოთ ერთი მხრივ, დამნაშავეობაზე კონტროლის სფეროში სამართლის როლის შეუფასებლობას და ასევე ამ პროცესში მისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებას.

- მეთოდოლოგია სამართლის ცალკეული დარგების ადგილისა და როლის სწორ, ჭეშმარიტად მეცნიერულ მიდგომას უზრუნველყოფს, რაც მოგვეხმარება სწორედ გავიგოთ და შევაფასოთ დამნაშავეობა, შევიცნოთ მისი რეალური ბუნება, შევისწავლოთ დამნაშავეობისა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პირობები, ზუსტად განვსაზღვროთ საზოგადოებაში ანტისამართლებრივი მოვლენების თავიდან აცილების გზები, შევძლოთ სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის ეფექტურობის ზრდა და ა.შ.

- მეთოდოლოგია სამართლის მეცნიერებაში უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მიღებას, პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებას, შესასწავლი მოვლენების არსის გაგებას და ა.შ.

თუ სამართლის ფუნქციაა, სამართლებრივი პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, მეთოდური აზროვნება ბევრი თვალსაზრისით ამ ფუნქციის განხორციელების განმსაზღვრელია.

და ბოლოს, საკითხთა რიგის წინა პლანზე გამოტანა ემსახურება ფილოსოფიურ სამართლებრივ დონეზე საკვლევო მოვლენების და პროცესების, სოციალური სინამდვილის ერთიანი სურათის შექმნას და მისი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან ახსნას.

რეზიუმე

მეთოდოლოგია სამართლის ცალკეული დარგების ადგილისა და როლის სწორ, ჭეშმარიტად მეცნიერულ მიდგომას უზრუნველყოფს, რაც დაგვეხმარება სწორად გავიგოთ და შევაფასოთ დამნაშავეობა, შევიცნოთ მისი რეალური ბუნება, შევისწავლოთ დამნაშავეობისა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პირობები, ზუსტად განვსაზღვროთ საზოგადოებაში ანტისამართლებრივი მოვლენების თავიდან აცილების გზები, შევძლოთ სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის ეფექტურობის ზრდა და ა.შ.

მეთოდოლოგია სამართლის მეცნიერებაში უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მიღებას, პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებას, შესასწავლი მოვლენების არსის გაგებას და ა.შ.

RESUME

Methodology provides with the true scientific method of approach of the right place and role in specific law branches, helping us to correctly understand and estimate the criminality, realize its real nature, study criminality and crime with their corresponding reasons and conditions, define anti-law structures' occurrences avoiding ways in the society, managing law

⁵⁹ კრიმინოლოგია, გ. ავანესოვის და ნ. ერიაშვილის რედაქციით, თბ., 2007, გვ. 130

enforcement agencies effective activities, etc.

The methodology provides with innovative knowledge in the law science, practical activity improvement, investigating occurrences' study and so on.

РЕЗЮМЕ

Методология обеспечивает истинно-научный подход к месту и роли определённых отраслей права, что помогает нам правильно понять и оценить преступность и его реальную природу, изучает причины и условия формирования преступника и преступления, точно определить пути пересечения противоправных явлений в обществе, усилить рост эффективности деятельности правоохранительных структур и т.д.

В науки методология обеспечивает получение новых знаний, улучшение практической деятельности, понимание сущности изучаемых явлений и т.д.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი გ., დასავლური პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრებების ისტორია, თბ., 2003;
2. ავანესოვის გ., და ერიაშვილის ნ. რედაქციით, კრიმინოლოგია, თბ., 2007;
3. ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2015;
4. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის საგანი, თბ., 1997;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2013;
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2014;
7. სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის წინასიტყვაობით, თბ., 2002;
8. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006;
9. Петражицкий Л. И., Теория права и государства, С. П., 2000;
10. Savigny F.K., Systema des heutigen Romischen Rechts, I, 1840.

4. „ხალხის არაკომპეტენტურობის“ პრობლემა პირდაპირი დემოკრატიის თეორიაში .

გიორგი გორაძე
პროფესორი

დემოკრატიის მოდელთაგან ერთ-ერთი არის პირდაპირი დემოკრატია. ეს ტერმინი გულისხმობს „სხვადასხვა პროცესებისა და ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის უშუალო მონაწილეობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.“⁶⁰

ფილიპ ლოვო პირდაპირი დემოკრატიის სამ ფორმას გამოყოფს: სახალხო ინიციატივა, სახალხო ვეტო და რეფერენდუმი. „სახალხო ინიციატივა არის ქმედება, რომლის მიხედვით საარჩევნო კორპუსის ნაწილი მონაწილეობას იღებს კანონის ან კონსტიტუციური გადასინჯვის შეთავაზებაში,“⁶¹ ანუ ეს იგივე საკანონმდებლო ინიციატივაა.

ლოვოს თანახმად, სახალხო ვეტო არის საარჩევნო კორპუსის გადაწყვეტილება,

60 Linda Maduz, Direct Democracy, Living Reviews in Democracy, Vol 2, 2010, p. 1.

61 ფილიპ ლოვო, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, თარგმანი მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2002, გვ. 95.

უარი თქვას, ჩვეულებისამებრ, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე ან, გარკვეულ შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებულ ადმინისტრაციულ ზომაზე, რომელიც მას განსახილველად აქვს წარდგენილი ad referendum-ის ძალაში შესვლისათვის, ანუ აქ იგულისხმება გამაუქმებელი რეფერენდუმი.⁶²

დაბოლოს, ლოვოს მიხედვით, რეფერენდუმი⁶³ წარმოადგენს საარჩევნო კორპუსის ნების გამოხატულებას, რომელიც მონაწილეობს კონსტიტუციური, საკანონმდებლო ან, გამონაკლის შემთხვევაში, ადმინისტრაციული აქტის შემუშავების პროცესში.⁶⁴ ლოვო ცალკე არ გამოყოფს პლებისციტს, თუმცა, სამართლებრივი მნიშვნელობის მიხედვით, ერთმანეთისგან ასხვავებს სავალდებულო და საკონსულტაციო რეფერენდუმებს.⁶⁵

არსებობს ლოვოსგან განსხვავებული ხედვაც. მაგალითად, ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ პირდაპირი დემოკრატიის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ოთხი ფორმა: რეფერენდუმი, მოქალაქეთა ინიციატივა (Citizens' initiative), ზუსტად განსაზღვრული ინიციატივა (agenda initiative) და გამონვევა (recall).⁶⁶

აღნიშნული სახელმძღვანელოს თანახმად, რეფერენდუმსა და მოქალაქეთა ინიციატივას შორის ის განსხვავებაა, რომ რეფერენდუმი ტარდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ინიციატივით ან კანონის მოთხოვნით, ხოლო მოქალაქეთა ინიციატივის შემთხვევაში რეფერენდუმი იმართება მოქალაქეთა ინიციატივით, რისთვისაც ინიციატორებმა უნდა მოაგროვონ ხელმოწერების დადგენილი რაოდენობა. რაც შეეხება ზუსტად განსაზღვრულ ინიციატივას, ის გულისხმობს სახელმწიფო ორგანოებისადმი (ხშირ შემთხვევაში პარლამენტისთვის) მიმართვას კონკრეტული საკითხის განხილვის მოთხოვნით. შესაბამისად, ეს ნაწილობრივ საკანონმდებლო ინიციატივაა. დაბოლოს, სახელმძღვანელოს თანახმად, გამონვევა ნიშნავს მოქალაქეთა ინიციატივის საფუძველზე და სათანადო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში არჩეული თანამდებობის პირის თანამდებობრივი უფლებამოსილების ჩამორთმევის პროცედურას.⁶⁷

შესაძლოა მოცემული განსაზღვრებები სადავო იყოს, ვინაიდან, მაგალითად, გამონვევის ინსტიტუტი შეიძლება განვიხილოთ საარჩევნო უფლების და, აქედან გამომდინარე, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ნაწილად. თუმცა, მთავარი აქცენტი მთელ ამ განსაზღვრებებში კეთდება პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების ჩართულობასა და მის რეალურ შესაძლებლობაზე, გავლენა მოახდინოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ძირითად მიმართულებებზე. ამ სტატიის მთავარი მიზანიც სწორედ ის არის, რომ გავარკვიოთ, რამდენად კომპეტენტური არიან მოქალაქეები, გადანყვიტონ თავიანთი ქვეყნის რთული პოლიტიკური თუ სამართლებრივი საკითხები.

გავრცელებული მოსაზრებით, პირდაპირი დემოკრატია „მეტი დემოკრატიულობის“ გამომხატველია, ვინაიდან „პირდაპირი დემოკრატია... არ ტოვებს ორაზროვან პასუხს კითხვაზე: რა სურდა ხალხს?“⁶⁸

62 Ibid, გვ. 95.

63 ლოვო მას უწოდებს „ზუსტად განსაზღვრულ რეფერენდუმს“, რადგან ის ტერმინს „რეფერენდუმი“ იყენებს ფართო და ვიწრო გაგებით.

64 ფილიპ ლოვო, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, თარგმანი მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2002, გვ. 95.

65 Ibid, გვ. 95.

66 Direct Democracy. The International IDEA Handbook, Lead Writers and Editors: Virginia Beramendi, Andrew Ellis, Bruno Kaufman, Miriam Kornblith, Larry LeDuc, Paddy McGuire, Theo Schiller, Palle Svensson, Stockholm, 2008, p. 9.

67 Ibid, p. 10.

68 Beedham, Brian (1993, 7) "A Better Way to Vote", 150 Economist Years (special issue of The Economist): 5-8. სტატიიდან: Dean Lacy and Emerson M.S. Niou, A Problem With Referendums, Journal of Theoretical Politics, 2000, 12(1), pp. 5-31. <https://sites.duke.edu/niou/files/2011/06/referendum-JTP.pdf>

ერთი შეხედვით, კლასიკური დებატები პირდაპირი დემოკრატიის და მისი ინსტიტუტების შესახებ, რომელიც განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე მიმდინარეობდა, პირდაპირი დემოკრატიის სასარგებლოდ განვითარდა. მეოცე საუკუნის მიწურულს პირდაპირი დემოკრატიის მომხრე ზოგიერთი მეცნიერი იმასაც კი აცხადებდა, რომ „განსხვავება მეოცე საუკუნის პოლიტიკასა და მომავალი საუკუნის პოლიტიკას შორის, სავარაუდოდ, იქნება ცვლილება იმისა, რასაც ხალხი „დემოკრატია“ უწოდებს... ეს არის ვადაგასული ცვლილება - „ნარმომადგენლობითი დემოკრატიიდან“ „პირდაპირ დემოკრატიაზე“ გადასვლა.“⁶⁹

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, „რეფერენდუმის გზით პირდაპირი დემოკრატიის აღორძინება დემოკრატიული პოლიტიკის მკაფიო ტენდენციაა“⁷⁰, დღესაც ხშირად მიმდინარეობს კამათი რეფერენდუმთან დაკავშირებით. ერთი ნაწილი დადებითად აფასებს ამ მექანიზმს, ხოლო მეორე ნაწილი სკეპტიკურად უყურებს რეფერენდუმის დადებით როლს რესპუბლიკანიზმის პირობებში.

პირდაპირი დემოკრატიის უარყოფით მხარეთაგან სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე პრობლემას გამოყოფენ, რომელთაგან, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი მთავარი „მოქალაქეთა არაკომპეტენტურობას“ უკავშირდება. რეფერენდუმის და, შესაბამისად, პირდაპირი დემოკრატიის მოწინააღმდეგე ეჭვის თვალთ უყურებენ მოქალაქის შესაძლებლობას, მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. მათი აზრით, მოქალაქე არ არის სათანადოდ ინფორმირებული მნიშვნელოვან საკითხებზე და არ შეუძლია მიიღოს სანდო გადაწყვეტილება.⁷¹

აღნიშნული არგუმენტის იდეური საფუძველი მონტესკიეს თეორიულ ნააზრევში უნდა ვეძებოთ. ის ხომ მკაფიოდ აცხადებდა, რომ ხალხი კომპეტენტური იყო კანონმდებლების არჩევაში, მაგრამ არა კანონშემოქმედებაში.⁷² იგივე არგუმენტს ხშირად იყენებდნენ ვებერიდან მოყოლებული, შუმპეტერი, დალი, სარტორი და სხვა მოაზროვნეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მოქალაქეებს არ აქვთ და არც შეუძლიათ მიიღონ სათანადო ცოდნა რთული საკითხების გადასაწყვეტად, რაც პოლიტიკოსების საქმეა. ნარმომადგენლობითმა დემოკრატიამ გადაჭრა მსგავსი საკითხების კომპეტენტურად გადაწყვეტის პრობლემა, ხოლო არჩევნებში პოლიტიკოსთა და პარტიათა შორის კონკურენცია საკმარისია მათ საკონტროლებლად.⁷³

ანდრამ შაიოც თავის ცნობილ ნაშრომში „ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი“ მიუთითებს, რომ „ხალხი“ არაშორსმჭვრეტელი, ემოციურად ადვილად დამყოლი და, გასაგები მიზეზების გამო, არაკომპეტენტურია კანონმდებლობის ბევრ საკითხში“.⁷⁴

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის აღნიშნული, „ქვეყნები გარკვეული სიფრთხილით ეკიდებიან რეფერენდუმის ჩატარებას, მისი როგორც თემატიკის, ისე სიხშირისა თუ გამოწვევადი შედეგების რეგლამენტირებას. სიფრთხილის მთავარ მიზეზად მაინც მიიჩნევა მოქალაქეების არასათანადო ინფორმირებულობა და არაკომ-

69 Beedham, Brian (1993, 5) “A Better Way to Vote”, 150 Economist Years (special issue of The Economist): 5–8. სტატიიდან: Dean Lacy and Emerson M.S. Niou, A Problem With Referendums, Journal of Theoretical Politics, 2000, 12(1), p. 6. <https://sites.duke.edu/niou/files/2011/06/referendum-JTP.pdf>

70 Dean Lacy and Emerson M.S. Niou, A Problem With Referendums, Journal of Theoretical Politics, 2000, 12(1), p. 6. <https://sites.duke.edu/niou/files/2011/06/referendum-JTP.pdf>

71 Ibid, p. 6. <https://sites.duke.edu/niou/files/2011/06/referendum-JTP.pdf>

72 Laurence Morel, Referendum, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, edited by Michel Rosenfeld and András Sajó, Oxford University Press, Oxford, UK, 2012, p. 502.

73 Simon Hug, Some Thoughts About Referendums, Representative Democracy, and Separation of Powers, Paper prepared for presentation at the conference “Separation of Powers: New Doctrinal Perspectives and Empirical Findings”, Haifa, December 19–21, 2007, p. 8. <http://weblaw.haifa.ac.il/he/Events/eveFile/hug.pdf>

74 ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თევდორე ნინიძის, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2003, გვ. 84.

პეტენტურობა პოლიტიკის თუ სამართლის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად, რის გამოც, გაუცნობიერებელი და ცოდნაზე დაუფუძნებელი არჩევანით მათ შეიძლება ვერ ასწიონ ეს ტვირთი ქვეყნისა და მოსახლეობის სასიკეთოდ.⁷⁵

შეიძლება ითქვას, „ხალხის არაკომპეტენტურობის“ არგუმენტი ვერ არის საკმარისად დამაჯერებელი. როგორც აღნიშნავენ, „ხალხის არაკომპეტენტურობის“ არგუმენტს არასახარბიელო ისტორია აქვს. მაგალითად, იგი გამოიყენებოდა საყოველთაო არჩევნების წინააღმდეგ, ქალთა და შავკანიანი მოსახლეობის ხმის უფლების წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკაში. მე-19 საუკუნის ბოლოს ბელგიელი კათოლიკე პოლიტიკოსი ნიფი იმავე არგუმენტის მოშველიებით ილაშქრებდა ხმის უნივერსალური უფლების წინააღმდეგ. ასევე, 1919 წელს სოციალისტი და ბელგიის პარლამენტის წევრი ჰიუბინი „არაკომპეტენტურობის“ მოშველიებით ეწინააღმდეგებოდა ქალებისათვის ხმის უფლების მინიჭებას.⁷⁶

პირდაპირი დემოკრატიის ისეთი დიდი დამცველები, როგორებიც არიან ამერიკელი მეცნიერები არტურ ლუპია და ჯონ მაცუსაკა მოცემულ არგუმენტს უპირისპირებენ ემპირიულ კვლევებს, რომელთა საფუძველზე ამტკიცებენ, რომ ხმის მისაცემად მოქალაქეებს არ სჭირდებათ იმაზე მეტი ცოდნის მიღება, ვიდრე მათ აქვთ. კვლევებმა აჩვენა, რომ მოქალაქეები, მიუხედავად ინფორმაციის სიმწირისა, იღებდნენ ისეთ გადაწყვეტილებას, როგორსაც ისინი მიიღებდნენ მეტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.⁷⁷ აქედან გამომდინარე, „საერთო სტერეოტიპი ამომრჩეველთა არაკომპეტენტურობის შესახებ ეყრდნობა მყიფე თეორიულ და ემპირიულ საფუძველებს,“- ასკვნიან ავტორები.⁷⁸

„ხალხის არაკომპეტენტურობის“ არგუმენტი ასევე მიუღებელია გაისბიულერისთვის, რომელიც იზიარებს ლუპიასა და მაცუსაკას სულისკვეთებას. შვეიცარიელი მეცნიერის განმარტებით, პირდაპირი დემოკრატიის კრიტიკოსების საუკეთესო არგუმენტი არის ის, რომ რეფერენდუმზე მიიღება „არამართებული“ ან „ცუდი“ გადაწყვეტილებები მაშინ, როდესაც „ნორმალურ“ დემოკრატიებში მიიღება „მართებული“ და „კარგი“ გადაწყვეტილებები. ამ „არგუმენტის“ გასამყარებლად ისინი იშველიებენ ცალკეულ შემთხვევებს, როგორიცაა, მაგალითად, შვეიცარიელი ხალხის გადაწყვეტილება, აკრძალულიყო ახალი მინარეთების მშენებლობა. გაისბიულერი მცდარად მიიჩნევს მსგავს მიდგომას და აცხადებს, რომ ერთეული შემთხვევები არაფერს ამტკიცებს. მისი აზრით, ადვილად შეიძლება მოიძებნოს სხვა ცალკეული შემთხვევები, რომლებიც პირდაპირი დემოკრატიის სასარგებლოდ მეტყველებს. ამის მაგალითად ავტორი იხსენებს შვედეთის რეფერენდუმს, სადაც 2003 წელს ამ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა ენერგიულად იბრძოდა ევროზონაში გასაწევრიანებლად, თუმცა, რეფერენდუმზე შვედმა ხალხმა უარით უპასუხა ამ ინიციატივას. გაისბიულერი სვამს რიტორიკულ კითხვას: „ვინ იყო მართალი: ყოვლისმცოდნე ელიტები თუ „უტყვი“ ხალხი?“⁷⁹

გაისბიულერი „მოქალაქეთა არაკომპეტენტურობის“ არგუმენტს უპირისპირებს ხუთ კონტრარგუმენტს:

1. თუ მოქალაქეები „სულელები“ არიან პირდაპირი დემოკრატიისათვის, მაშინ ლო-
75 ვასილ გონაშვილი, ქეთევან ერემაძე, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კახიანი, გიორგი კვერენჩხილაძე, ნანა ჭილაძე, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 67-68.

76 Jos Verhulst and Arjen Nijboer, *Direct Democracy Facts and Arguments about the Introduction of Initiative and Referendum*, Democracy International, Brussels, 2007, p. 68.

77 დეტალურად აღნიშნული კვლევების შესახებ იხილეთ: Lupia A., Matsusaka J. G., *Direct Democracy: New Approaches to Old Questions*, "Annual Review of Political Science", no. 7, 2004, pp. 463-482.

78 Arthur Lupia, John G. Matsusaka, *Direct Democracy: New Approaches to Old Questions*, "Annual Review of Political Science", no. 7, 2004, p. 470.

79 Simon Geissbühler, *Does Direct Democracy Really Work? A Review of the Empirical Evidence From Switzerland*, *Przegląd Politologiczny*, # 4, 2014, p. 89. <http://pressto.amu.edu.pl/index.php/pp/article/view/2099/2089>

გიკურად ისინი „სულელები“ არიან ზოგადად დემოკრატიისთვისაც. საკმაოდ უცნაურია იდეა, რომ თითქოს რთული და პრობლემურია კონკრეტულ პოლიტიკურ კითხვაზე უპასუხო „კი“ ან „არა“, ვიდრე საპარლამენტო არჩევნებზე ათეულობით და ასეულობით კანდიდატთაგან შეარჩიო ერთი. მაშინაც კი, როდესაც არჩევნებში მხოლოდ ორი კანდიდატია, ჩვეულებრივი მოქალაქისათვის უკეთესი კანდიდატის არჩევა შესაძლოა ხშირად უფრო რთული აღმოჩნდეს, ვიდრე საერთო-სახალხო კენჭისყრა;

2. მოცემული სტერეოტიპი გულისხმობს იმასაც, რომ პოლიტიკოსები ყველა საკითხში კომპეტენტურები არიან და ყოველთვის მართებულ გადაწყვეტილებას იღებენ, რაც რეალობას არ შეესაბამება. მათ ყველაფერი არ იციან და ყოველთვის არც კარგად არიან ინფორმირებულნი. ისინი დამოკიდებული არიან პოლიტიკურ „შაბლონებზე“ და უნდა დაეკითხონ სხვა პოლიტიკოსებსა თუ ექსპერტებს და უნდა ენდონ მათ ცოდნასა და გამოცდილებას;
3. ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ მოქალაქეები, რომლებიც რეგულარულად აძლევენ ხმას, კარგად არიან ინფორმირებული. ისინი ხშირად მსჯელობენ პოლიტიკოსებსა და პოლიტიკაზე და იღებენ მრავალმხრივ ინფორმაციას. ამ მხრივ კი პირდაპირმა დემოკრატია შეიძლება სტიმული მისცეს მოქალაქეებს, მიიღონ მეტი ინფორმაცია პოლიტიკოსებსა და პოლიტიკაზე, განიხილონ პოლიტიკური საკითხები, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ ინტერესთა ჯგუფებში;
4. ჩვენ ყოველდღიურად უამრავ გადაწყვეტილებას ვიღებთ, რაშიც არ გვაქვს საკმარისი ცოდნა. გადაწყვეტილებებს ვიღებთ წარსული გამოცდილების, საღი აზრის, გადაწყვეტილების მიღების შაბლონებისა და მოკლე ინფორმაციის საფუძველზე. საინტერესოა, რომ ჩვენ, მართალია, იშვიათად ვიღებთ გადაწყვეტილებას, განსხვავებით ამ საკითხის კარგად მცოდნეებისაგან, მაგრამ ეს გადაწყვეტილებები ძირითადად „კარგია“;
5. დაბოლოს, სარეფერენდუმო საკითხების დიდი ნაწილი არ არის ისეთი რთული, რომ მისი გაგება შეუძლებელი იყოს ჩვეულებრივი მოქალაქისათვის და მისგან მოითხოვდეს უდიდესი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებას და ღრმა ცოდნას.⁸⁰

მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ზნეობა არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების გასაღები, ხოლო მორალური გადაწყვეტილება ყოველთვის პირადულია. ყოველ პასუხისმგებლიან ადამიანს შეუძლია მიიღოს მორალური გადაწყვეტილება.⁸¹

ბაჯი და მიულერიც ანალოგიურად მიუთითებენ, რომ, თუ მოქალაქეებს არ აქვთ უნარი ადეკვატურად გადაწყვიტონ ერთი კონკრეტული პოლიტიკური საკითხი რეფერენდუმის გზით, მაშინ რატომ უნდა შეეძლოთ მათ პოლიტიკოსთა გაკონტროლება არჩევნების გზით, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, აირჩიონ პოლიტიკოსი ან პარტია? არჩევნებზე გადაწყვეტილების მიღება უფრო რთულია, ვიდრე რეფერენდუმზე, - აღნიშნავენ ისინი.⁸² ამავე მოსაზრებას ეთანხმებიან ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი ფრეი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ბონე. ისინი განმარტავენ რომ საზოგადოებას არ სჭირდება საკითხის დეტალური ცოდნა, არამედ საკმარისია მას ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს საკითხზე.⁸³ ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღებისას მოსახლეობა, ჩვეულებრივ, იყენებს მოკლე ინფორმაციას, შაბლონებს, ე.წ. შორ-

80 Simon Geissbühler, Does Direct Democracy Really Work? A Review of the Empirical Evidence From Switzerland, *Przegląd Politologiczny*, # 4, 2014, pp. 89-90. <http://pressto.amu.edu.pl/index.php/pp/article/view/2099/2089>

81 Jos Verhulst and Arjen Nijboer, *Direct Democracy Facts and Arguments about the Introduction of Initiative and Referendum*, Democracy International, Brussels, 2007, p. 69.

82 Simon Hug, Some Thoughts About Referendums, Representative Democracy, and Separation of Powers, Paper prepared for presentation at the conference “Separation of Powers: New Doctrinal Perspectives and Empirical Findings”, Haifa, December 19-21, 2007, p. 8. <http://weblaw.haifa.ac.il/he/Events/eveFile/hug.pdf>

83 Bruno S. Frey and Iris Bohnet, *Democracy by Competition: Referenda and Federalism in Switzerland*, *The Journal of Federalism*, #23, Spring 1993, pp. 76-77.

თქათებს, მაგალითად, ნაცნობების აზრებს, პოლიტიკური პარტიებისა თუ საჯარო დაწესებულებების რეკომენდაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა თუ ექსპერტების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და სხვა,⁸⁴ რასაც, როგორც ზემოთ გაისიუღერეც აღნიშნავდა, ეყრდნობიან ასევე პოლიტიკოსებიც გადანყვეტილების მიღებისას.

აქ უნდა დავეთანხმო მოცემულ არგუმენტაციას რეფერენდუმის სასარგებლოდ. ვფიქრობ, არჩევნებზე გადანყვეტილების მიღება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე რეფერენდუმზე, ვინაიდან არჩევნების დროს ელექტორატი ირჩევს კანდიდატს ან/და პარტიას, რომელმაც ამომრჩევლის ნაცვლად და მისი სახელით უნდა მიიღოს გადანყვეტილება სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ამდენად, ამომრჩეველი გადანყვეტილებას იღებს არა მხოლოდ კონკრეტული კანდიდატის თუ პარტიის არჩევის თაობაზე, არამედ ამ არჩევანით ის გადანყვეტილებას იღებს სამომავლოდ წამოჭრილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ საკითხებზე. „ამომრჩეველმა უნდა ჩამოაყალიბოს მოლოდინები მომავალში პოლიტიკოსთა ქცევების შესახებ“.⁸⁵ შესაბამისად, ამომრჩეველი გადანყვეტილებას იღებს არა მხოლოდ მოცემულ, არსებულ საკითხზე, არამედ მან მეტ-ნაკლებად უნდა გათვალოს სამომავლოდ წამოჭრილი პოლიტიკური საკითხების გადანყვეტის ძირითადი მიმართულებები და ამის მიხედვით გააკეთოს არჩევანი. აქედან გამომდინარე, მას მეტი ცოდნა სჭირდება და მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება არჩევნებში, ვიდრე რეფერენდუმის დროს, სადაც მოქალაქემ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნავენ, ჩვეულებრივმა მოქალაქემ ბევრი არაფერი იცის კანდიდატებისა და პოლიტიკოსის შესახებ.⁸⁶ მაგალითად, ცალკეული კვლევების თანახმად, ბევრ ამერიკელს წარმოდგენა არ აქვს ძირითადი პოლიტიკური პარტიების პოზიციებზე არსებით საკითხებთან დაკავშირებით და ინფორმაციის ასეთი უკმარისობა გავლენას ახდენს მათ მიერ ხმის მიცემაზე.⁸⁷

საინტერესოა ბარნეტის, გარეტისა და მაკკაბინსის კვლევა, რომელშიც ისინი პარადოქსულ დასკვნამდე მიდიან. ავტორები ამტკიცებენ, რომ სარეფერენდუმო საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებული ამომრჩეველი, მიუხედავად იმისა, რა გზით მიიღეს მათ ეს ინფორმაცია და ცოდნა, ისევე დაუსაბუთებლად იღებს გადანყვეტილებას და აძლევენ ხმას, როგორც არაინფორმირებული ამომრჩეველი; ანუ შედეგის თვალსაზრისით, თვისებრივი სხვაობა ინფორმირებულ ამომრჩეველსა და არაინფორმირებულ ამომრჩეველს შორის არ არის. თუმცა, როგორც თავად ავტორები განმარტავენ, ასეთი დასკვნა მათ მიიღეს მხოლოდ ერთი რეფერენდუმის შედეგების კვლევის საფუძველზე და მისი განზოგადება მცდარად მიაჩნიათ. მიუხედავად ამისა, ისინი გვთავაზობენ, რომ ხმის მისაცემი ბიულეტენი იყოს ინფორმაციული და გარდა შეკითხვისა, ის მოიცავდეს გარკვეულ ინფორმაციასაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.⁸⁸

ამომრჩევლის განათლებისა და დემოკრატიის ურთიერთმიმართების პრობლემას ეხება ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოჩმისილიც. ის ამბობს, რომ მეც-

84 Jos Verhulst and Arjen Nijboer, *Direct Democracy Facts and Arguments about the Introduction of Initiative and Referendum*, Democracy International, Brussels, 2007, p. 69. ამავე საკითხზე იხილეთ აგრეთვე: A., Matsusaka J. G., *Direct Democracy: New Approaches to Old Questions*, "Annual Review of Political Science", no. 7, 2004, p. 468.

85 Bruno S. Frey and Iris Bohnet, *Democracy by Competition: Referenda and Federalism in Switzerland*, *The Journal of Federalism*, #23, Spring 1993, p. 77.

86 Craig M. Burnett, Elizabeth Garrett, and Mathew D. McCubbins, *The Dilemma of Direct Democracy*, *Election Law Journal*, Volume 9, Number 4, 2010, p. 307.

87 Anthony Fowler, Michele Margolis, *The political consequences of uninformed voters*, Volume 34, June 2014, p. 110. <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379413001522?via%3Dihub>

88 დეტალურად იხილეთ: Craig M. Burnett, Elizabeth Garrett, and Mathew D. McCubbins, *The Dilemma of Direct Democracy*, *Election Law Journal*, Volume 9, Number 4, 2010, pp. 305-324.

ნიერთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, დემოკრატია ყველაზე უკეთ ჰყვავის იქ, სადაც მოქალაქეებს აქვთ ფართო განათლება და პოლიტიკური ცოდნის გარკვეული დონე. განათლება დაკავშირებულია მოთმინებასთან, მართლწესრიგთან, სამოქალაქო ვალდებულებასთან, ხოლო პოლიტიკური ცოდნა მნიშვნელოვანია არჩევანის გასაკეთებლად. თუმცა, ავტორი ამას ისტორიით განპირობებულ ემპირიულ მოთხოვნას უწოდებს. მისი მტკიცებით, დემოკრატია, კარგად ფუნქციონირებისთვის, არ საჭიროებს ან მისთვის აუცილებელი არ არის უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობა. დემოკრატია აქვს უპირატესობანი, რომელიც გადაფარავს მოსახლეობის გაუნათლებლობის პრობლემას. დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია არა მართებული ანალიზი, შეცდომა ან უთანხმოება, არამედ დაბალანსება. ეს არის ის ღირსება, რომელიც ამართლებს დემოკრატიზაციის ხარჯებს. მაშინაც კი, როდესაც ამომრჩევლებმა ძალიან ცოტა იციან იმისათვის, რათა გააკეთონ არჩევანი, მათთვის არჩევის უფლების მინიჭება ქმნის უკეთეს ხელისუფლებას და უკეთეს საზოგადოებას, ვიდრე მისი აკრძალვის შემთხვევაში.⁸⁹

რეფერენდუმის მოწინააღმდეგეთა აზრით, ვინაიდან ხალხი არაკომპეტენტურია გაიაზროს პოლიტიკური საკითხები და მიიღოს მართებული გადაწყვეტილება, ის ხშირად ექცევა კარგად მომზადებული რეკლამებისა და დაფინანსებული კამპანიების გავლენის ქვეშ. ხშირად ასეთი გავლენა შეიძლება მომდინარეობდეს ცალკეული პოლიტიკური პარტიების ან ხელისუფლებისგან.⁹⁰

რეფერენდუმის დროს ხელისუფლების ზენოლასა და მის მიერ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის შესახებ მრავალი მეცნიერი საუბრობს. ჯერ კიდევ რუსო ამბობდა, რომ „ხალხის მოსყიდვა შეუძლებელია, მაგრამ მას ხშირად ატყუებენ. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მას ის სურს, რაც ცუდია.“⁹¹ შაიოც ეთანხმება ამ მოსაზრებას და აცხადებს, რომ „ხალხის აზრით მანიპულირება ადვილია“.⁹²

ვფიქრობ, პირდაპირი დემოკრატიის საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ გამოდგება ის, რომ მოსახლეობას „ხშირად ატყუებენ“. თუ ხალხის მოტყუება შესაძლებელია პირდაპირი დემოკრატიის პირობებში, ამის გაკეთება წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფარგლებშიც ადვილად არის დასაშვები. პოლიტიკური პარტიებისა თუ ცალკეული ლიდერების მრავალი წინასაარჩევნო დანაპირების გახსენება შეიძლება თუნდაც საქართველოს უახლოესი წარსულიდან, რომელიც ხალხმა დაიჯერა, მაგრამ არ შესრულებულა. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებში მთელი ელექტორატის 48 %-ზე⁹³ მეტის გამოუცხადებლობა სწორედ მოსახლეობის იმედგაცრუებით უნდა იყოს განპირობებული.

რეფერენდუმთან დაკავშირებულ პრობლემას ეხებიან პაკტე და მელენ-სუკრამანიანი. ისინი ფიქრობენ, რომ „რეფერენდუმის პროცედურამ შეიძლება სრულიად დაკარგოს დემოკრატიული ხასიათი და დიდ საფრთხესაც შეიცავდეს, თუ ის პლების-

89 Jennifer L., Hochschild, If Democracies Need Informed Voters, How Can They Thrive While Expanding Enfranchisement? Election Law Journal: Rules, Politics, and Policy, 9 (2), June 2010, pp. 111-123. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1449776

90 Dean Lacy and Emerson M.S. Niou, A Problem With Referendums, Journal of Theoretical Politics, 2000, 12(1), p. 6. <https://sites.duke.edu/niou/files/2011/06/referendum-JTP.pdf>

91 ჟან ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1997, გვ. 32.

92 ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თევდორე ნინიძის, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2003, გვ. 83.

93 იხ. „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016 წლის 16 ნოემბერი. <http://cesko.ge/res/docs/20161116144542%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf>

ციტად გადაიქცევა.⁹⁴ მათი აზრით, განსხვავება რეფერენდუმსა და პლებისციტს შორის ის არის, რომ რეფერენდუმის დროს ხალხის პასუხი გამომდინარეობს დასმული შეკითხვიდან, ხოლო პლებისციტის დროს პასუხი დამოკიდებულია შეკითხვის ავტორის პიროვნებაზე. თუმცა, რეალურად, განსხვავება საკმაოდ ხელოვნურია, ვინაიდან ხშირად რთულია შეკითხვისა და მისი ავტორის გამოყოფა ერთმანეთისაგან, მით უმეტეს, თუ ეს ავტორი ინდივიდია, მაგალითად, რესპუბლიკის პრეზიდენტი და არა კოლეგიალური ორგანო.⁹⁵

საუბრობენ რა რეფერენდუმის პლებისციტად გარდაქმნაზე, პაკტე და მელენ-სუკრამანიანი მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებით „მნიშვნელოვანია შანტაჟი პროცედურის დასაწყისში: პლებისციტი ტარდება, თუ შეკითხვის ავტორი დადებითი პასუხისაგან ქმნის თავისი თანამდებობაზე დარჩენის პირობას, ვინაიდან, ის თავად ინვესტს მოქალაქეებს, რომ პასუხი გასცენ მისი პიროვნებიდან და არა შეკითხვიდან გამომდინარე.“⁹⁶ ამას გარდა, ავტორები რეფერენდუმის პლებისციტად ტრანსფორმირების სხვა ხელშემწყობ პირობათაგან გამოყოფენ შემდეგს: „ხელისუფლების კონცენტრაცია და ინდივიდუალიზაცია შეკითხვის ავტორის სასარგებლოდ, დასმული შეკითხვის სირთულე, ერთადერთი პასუხის აუცილებლობა, როცა რეალურად ორი შეკითხვაა დასმული, და საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია ოფიციალური პროპაგანდის მიერ. პლებისციტი დემოკრატიულ წყობაში წარმოადგენს უძლიერეს ზენოლას მთლიანად მოქალაქეებზე,“⁹⁷ - ასკვნიან ისინი.

გოგიაშვილის აზრით, რეფერენდუმის ინსტიტუტებით „მანიპულირებას“ ხშირად ახდენენ დიქტატორული რეჟიმები.⁹⁸ ამის მაგალითები ისტორიაში საკმაოდ მოიძებნება. მაგალითად, ჰიტლერმა რეფერენდუმი სამჯერ გამოიყენა. სამივე შემთხვევაში რეფერენდუმი მთავრობის მიერ იყო ინიცირებული, მათ შორის, ანშლუსის დამტკიცება (ოკუპირებული ავსტრიის გერმანიასთან მიერთება) და სამივე ეს ინიციატივა გადამწყვეტი უმრავლესობით იქნა მოწონებული.⁹⁹

რეფერენდუმს იყენებდნენ ასევე ნაპოლეონი, მუსოლინი და სამხრეთ ამერიკის ხუნტები. ჰაიტიში დიუვალის დინასტიის დიქტატორული რეჟიმის პერიოდში ერთ-ერთ რეფერენდუმზე უზრუნველყოფილ იქნა მოსახლეობის ასპროცენტიანი მხარდაჭერა. მსგავსი წარმატებით იყენებდნენ რეფერენდუმს აზიისა და აფრიკის ავტორიტარი მმართველები. სირიისა და ეგვიპტის ლიდერები ხშირად მიმართავდნენ რეფერენდუმს თავიანთი მმართველობის ლეგიტიმაციისათვის. მოცემული საკითხის მკვლევარი ჯერი საზმენი აღნიშნავს, რომ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ამ მიზნით 37 რეფერენდუმი არის ჩატარებული. იქვე ავტორი იმასაც დასძენს, რომ მსგავსი ტიპის რეფერენდუმებმა დააკნინეს ზოგადად რეფერენდუმის იმიჯი, თუმცა მათი ხვედრითი წილი რეფერენდუმების საერთო რაოდენობაში მხოლოდ 5,9 პროცენტია.¹⁰⁰

ის, რომ რეფერენდუმს იყენებენ არადემოკრატი მმართველები, არ შეიძლება რეფერენდუმის საწინააღმდეგო არგუმენტად ჩაითვალოს. ჯერ ერთი, ეს არ შეიძლება

94 პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თსუ, თბილისი, 2012, გვ. 136.

95 Ibid, გვ. 136.

96 Ibid, გვ. 136.

97 Ibid, გვ. 136-137.

98 გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, გვ. 146.

99 ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თევდორე ნინიძის, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2003, გვ. 85.

100 Gary Sussman, When the Demos Shapes the Polis - The Use of Referendums in Settling Sovereignty Issues, Initiative and Referendum Institute, University of Southern California, 2002. <http://www.iandrinstitute.org/docs/Sussman-When-the-Demos-Shapes-the-Polis-IRI.pdf> გასათვალისწინებელია, რომ მოცემული სტატია დაწერილია 2002 წელს, რის გამოც მითითებული ოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება განსხვავებული იყოს დღეის მდგომარეობით.

ჩაითვალოს პირდაპირი დემოკრატიის გამოვლინებად. როგორც მეცნიერები სამართლიანად აღნიშნავენ, ქვეყნის პირდაპირი დემოკრატიის პირობებში ფართო საზოგადოებას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა შეაგროვოს ხელმოწერები, რათა აიძულოს მმართველი უმრავლესობა ჩაატაროს რეფერენდუმი, ხოლო პირობები კი მონესრიგებულია კანონით და საერთოა ყველასათვის, პოლიტიკოსი იქნება ის თუ არა. მეტიც, დემოკრატია ყოველთვის გულისხმობს სიტყვის თავისუფლებას, გაერთიანების თავისუფლებას, დემონსტრაციის თავისუფლებას და ა.შ., ყველას უნდა შეეძლოს საჯარო კამპანიების წარმოება, რაც არასოდეს ყოფილა დიქტატურების პირობებში.¹⁰¹ მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ყველა დიქტატორი - ჰიტლერი, სადამ ჰუსეინი, პინოჩეტი და სხვანი იყენებდნენ არა რეფერენდუმს, არამედ პლებისციტს, რადგან ისინი ინიცირებული იყო მმართველი უმრავლესობის ან სახელმწიფოს მეთაურების მიერ, როგორც წესი, თავიანთი გეგმებისთვის განსაკუთრებული ლეგიტიმურობის მინიჭების მიზნით. პლებისციტს არაფერი აქვს საერთო პირდაპირ დემოკრატიასთან, - აცხადებენ მეცნიერები;¹⁰² მეორეც, იმავე წარმატებით ავტორიტარული სისტემები იყენებენ არჩევნებს, პარლამენტს, ადგილობრივ თვითმმართველობას და წარმომადგენლობითი დემოკრატიისათვის დამახასიათებელ სხვა ინსტიტუტებს, თუმცა ამის გამო არავინ საუბრობს, ზოგადად, წარმომადგენლობით დემოკრატიასა და მის ინსტიტუტებზე უარყოფით კონტექსტში. კრიტიკის ობიექტი უნდა იყოს არა თავად ინსტიტუტი, არამედ ის მახინჯი პრაქტიკა, რომელსაც სხვადასხვა ხელისუფალი მიმართავს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გამოყოფენ სხვა პრობლემასაც. პაკტე და მელენ-სუკრამანიანი შვეიცარიის შესახებ საუბრისას, აღნიშნავენ, რომ „თითქმის შეუძლებელია უფრო დემოკრატიული სისტემის წარმოდგენა. თუმცა, ისიც არ არის უნაკლო, ვინაიდან ... დიდია იმის რისკი, რომ ამ გამოკითხვებმა ნელ-ნელა გამოიწვიოს დემოკრატიის ჩანაცვლება დემაგოგიით. ეს რისკი აშკარაა, როდესაც საქმე ეხება ე.წ. „საზოგადოებრივ საკითხებს“. ამგვარი გადახვევის კარგი მაგალითია 2004 წლის 8 თებერვალს გამართული კენჭისყრა სახალხო ინიციატივისა, რომელიც ითვალისწინებდა „სიცოცხლის ბოლომდე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განთავსებას იმ სექსუალური დამნაშავეებისა და მოძალადეებისა, რომლებიც მეტისმეტად სახიფათოდ და გამოუსწორებლად ითვლებიან“.¹⁰³ ასეთივე მაგალითი მოჰყავს შაიოსაც: „ამერიკის რამდენიმე შტატმა საკუთარ თავზე გამოსცადა ... ის, რომ გარკვეული ჯგუფები რეფერენდუმის საშუალებით ცდილობდნენ საკუთარი ანტიკონსტიტუციური მისწრაფებების დაკანონებას (არალეგალური იმიგრანტების, ჰომოსექსუალისტების სანინააღმდეგო და სხვა მსგავსი წინადადებები)“.¹⁰⁴

პირდაპირი დემოკრატიის მომხრე მეცნიერები არ ეთანხმებიან მოცემულ არგუმენტს. დემაგოგიას მეტი გასაქანი აქვს წმინდა წარმომადგენლობით სისტემაში, სადაც წამყვან პოლიტიკოსთა ჯგუფი კარნახობს მოვლენებს, ხოლო ხალხი გამოდევნილია ამ პროცესიდან. ეს უმრავლეს შემთხვევაში ხდება ხალხის უკმაყოფილების მიზეზი, რის გამოც, ერთადერთი საშუალება უკმაყოფილების გამოსახატად არის პოპულისტი პოლიტიკოსებისათვის ხმის მიცემა, რომლებიც იძლევიან დაპირებებს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში წერტილს დაუსვამენ ამ განუკითხაობას. პირდაპირ დემოკრატიაში მოქალაქეებს ნაკლებად სჭირდება ასეთი „ძლიერი ლიდერები“, რადგან თავად მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი

101 Jos Verhulst and Arjen Nijboer, *Direct Democracy Facts and Arguments about the Introduction of Initiative and Referendum*, Democracy International, Brussels, 2007, p. 72.

102 Ibid, pp. 72-73.

103 პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზივილის თარგმანი, ა. დემეტრამვილის რედაქტორობით, თსუ, თბილისი, 2012, გვ. 139.

104 ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითმუხლუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თევდორე ნინიძის, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2003, გვ. 83.

ხედვა და ინიციატივისა და რეფერენდუმის მეშვეობით ეცადონ მათ მიღებას. პირდაპირი დემოკრატია უფრო მეტად არის ორიენტირებული პრობლემაზე, ხოლო წარმომადგენლობითი სისტემა ორიენტირებულია ადამიანზე.¹⁰⁵

პირდაპირი დემოკრატიისათვის დემაგოგია და პოპულიზმი სერიოზულ პრობლემად არ მიაჩნია გრიშინს. მისი აზრით, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანმიმდევრული დემოკრატიის პირობებში პოლიტიკურ პარტიებსა და არჩევით ორგანოებს შეუძლიათ წარმატებით აღუდგინონ პოპულისტურ გამოხდომებს.¹⁰⁶

რა თქმა უნდა, დემაგოგიური და პოპულისტური ინიციატივებისაგან დაზღვეული არ არის პირდაპირი დემოკრატია, თუმცა, იგივე პრობლემა წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებშიც არის შესაძლებელი. ამის მაგალითია საქართველოში 2016 წელს საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ცნობილი ინიციატივა, რომელიც ითხოვდა რეფერენდუმზე მოსახლეობას გაეცა პასუხი კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის“.¹⁰⁷ აქ პოპულისტურ მომენტად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ, ერთი მხრივ, იმავე განსაზღვრებას ისედაც ადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი, ხოლო, მეორე მხრივ, საინიციატივო ჯგუფმა კარგად იცოდა საზოგადოების განწყობა ამ საკითხის მიმართ და მანიპულირებდა საქართველოს მოსახლეობის რელიგიური გრძნობებით. საქართველოს პრეზიდენტმა თავისი 2016 წლის 10 აგვისტოს №198 ბრძანებულებით უარი თქვა რეფერენდუმის დანიშვნაზე. თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობის (108 პარლამენტის წევრის) მიერ წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 30-ე მუხლი შეიცავდა იმავე დებულებას.¹⁰⁸

რაც შეეხება კონკრეტულ კაზუსებს (მინარეთის მშენებლობის აკრძალვა, სექსუალურ დამნაშავეთა სიცოცხლის ბოლომდე ფსიქიატრიულ კლინიკაში გამწესება და სხვა), რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ და რომელთა მოშველიებითაც სკეპტიკოსები უარყოფით დასკვნებს გვთავაზობენ რეფერენდუმთან და ზოგადად პირდაპირ დემოკრატიასთან დაკავშირებით, უნდა დავეთანხმო გაისბიულერს, რომ მცდარია განზოგადებული დასკვნების გაკეთება ერთეული შემთხვევებიდან გამომდინარე. ჯერ ერთი, რე

ფერენდუმზე ხალხი ყოველთვის ვინრო მერკანტილური ინტერესებით არ ხელმძღვანელობს. ამის მაგალითების პოვნა შეგვიძლია რეფერენდუმების ისტორიაში. მაგალითად, შვეიცარიაში 2012 წელს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც საზოგადოებას უნდა გაეცა პასუხი, სურდა თუ არა მას ექვესკვირიანი შვებულება, რაზეც მოსახლეობამ უარი განაცხადა.¹⁰⁹ 2016 წლის ივნისში რეფერენდუმზე მოსახლეობამ ასევე უარყო ინიციატივა „საბაზისო შემოსავლის“ შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ყოველი მოქალაქისათვის თვეში 2500 შვეიცარიული ფრანკის მიცემას.¹¹⁰ ეს მაგალითები

105 Jos Verhulst and Arjen Nijeboer, *Direct Democracy Facts and Arguments about the Introduction of Initiative and Referendum*, Democracy International, Brussels, 2007, p. 72.

106 Н.В.Гришин, Электоральный референдум как институт общественного участия в принятии государственных решений в сфере организации избирательного процесса, *Полития*, № 4 (83), 2016, ст. 136.

107 იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 10 აგვისტოს №198 ბრძანებულება „რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3381283>

108 2017 წლის 03 მაისის საქართველოს პარლამენტის №742-III დადგენილება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განმარტებითი ბარათი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3656689>

109 Simon Geissbühler, *Does Direct Democracy Really Work? A Review of the Empirical Evidence From Switzerland*, *Przegląd Politologiczny*, # 4, 2014, pp. 92. <http://pressto.amu.edu.pl/index.php/pp/article/view/2099/2089>

110 David E. Thigpen, *Universal Income What Is It, and Is It Right for the U.S.*?, Roosevelt Institute, 2016, p. 3.

ადასტურებს მოსახლეობის მოქალაქეობრივ „სიმწიფეს“;

მეორეც, თუ სარეფერენდუმო საკითხები ზოგჯერ უკიდურესად კონსერვატიული ან დემაგოგიურია, ამის მიზეზი არის არა პირდაპირი დემოკრატია, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერება. „თუ რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა კონსერვატიული და/ან რადიკალურია, მაშინ ეს გარკვეულ პოლიტიკურ ან ეთიკურ ღირებულებით არჩევანზე მიუთითებს.“¹¹¹

ამდენად, რომ შევაჯამოთ ყოველივე, უნდა ითქვას, რომ „ხალხის არაკომპეტენტურობა“, როგორც არგუმენტი პირდაპირი დემოკრატიის წინააღმდეგ, კრიტიკას ვერ უძლებს. როგორც არაერთხელ აღინიშნა, თუ ხალხი არაკომპეტენტურია პირდაპირი დემოკრატიისთვის, ის არაკომპეტენტურია ზოგადად დემოკრატიისთვის. ამის დაშვება კი გასაქანს აძლევს ავტორიტარულ და დიქტატორულ მისწრაფებებს. ხელისუფალთ, რომლებიც არაკომპეტენტურად მიიჩნევენ მოსახლეობას, რომ მან თვითონ გადანყვიტოს რაიმე საკითხი რეფერენდუმის გზით, უნდა ახსოვდეთ, - ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ „არაკომპეტენტურობის“ წყალობით არიან თავად ისინი ხელისუფლებაში.

რეზიუმე

სტატია მიზნად ისახავს „ხალხის არაკომპეტენტურობის“, როგორც პირდაპირი დემოკრატიის წინააღმდეგ ყველაზე გავრცელებული არგუმენტის კვლევას.

სტატიაში მიმოხილულია მრავალი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ „ხალხის არაკომპეტენტურობა“, როგორც არგუმენტი პირდაპირი დემოკრატიის წინააღმდეგ, კრიტიკას ვერ უძლებს. ხაზგასმულია, რომ თუ ხალხი არაკომპეტენტურია პირდაპირი დემოკრატიისთვის, ის არაკომპეტენტურია ზოგადად დემოკრატიისთვის. ეს კი გასაქანს აძლევს ავტორიტარულ და დიქტატორულ მისწრაფებებს.

RESUME

The article “The Problems of “Incompetence of People” in the Theory of Direct Democracy” is aimed at researching “people’s incompetence”, as the most common argument against direct democracy.

The article reviews the opinion of many Georgian and foreign scholars about the issue, and the conclusion was made in the result of the analysis that “incompetence of the people” as an argument against direct democracy cannot endure criticism. If people are incompetent for direct democracy, they are incompetent in general for democracy. Such reasoning gives rise to authoritarian and dictatorial aspirations.

Key words: direct democracy, representative democracy, referendum, initiative.

РЕЗЮМЕ

Целью данной статьи является исследование «некомпетентности народа», как самого распространённого аргумента против прямой демократии.

В статье рассмотрены позиции немало грузинских и зарубежных учённых относительно этого вопроса и на основе соответствующего анализа сделан вывод о том, что

http://rooseveltinstitute.org/wp-content/uploads/2016/10/UBI-Explainer_Designed.pdf

¹¹¹ ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თევდორე ნინიძის, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2003, გვ. 84.

«некомпетентность народа», как аргумент против прямой демократии, не выдерживает критики. В статье подчёркивается, что если народ некомпетентен для прямой демократии, то это означает, что он (народ) некомпетентен вообще для демократии. А такие суждения дают почву авторитарным и диктаторским стремлениям.

Ключевые слова: прямая демократия, представительная демократии, референдум, инициатива.

გამოყენებული ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 10 აგვისტოს №198 ბრძანებულება „რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3381283>
2. 2017 წლის 03 მაისის საქართველოს პარლამენტის №742-III დადგენილება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განმარტებითი ბარათი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3656689>
3. „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016 წლის 16 ნოემბერი. <http://cesko.ge/res/docs/20161116144542%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თევდორე ნინიძის, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2003.
2. გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2014.
3. ვასილ გონაშვილი, ქეთევან ერემაძე, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კახიანი, გიორგი კვერენჩილაძე, ნანა ჭილაძე, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.
4. პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თსუ, თბილისი, 2012.
5. ჟან ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1997.
6. ფილიპ ლოვო, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, თარგმანი მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2002.
7. Anthony Fowler, Michele Margolis, The political consequences of uninformed voters, Volume 34, June 2014, pp. 100-110.
1. <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379413001522?via%3Dihub>
8. Arthur Lupia, John G. Matsusaka, Direct Democracy: New Approaches to Old Questions, “Annual Review of Political Science”, no. 7, 2004, pp. 463–482.

9. Bruno S. Frey and Iris Bohnet, Democracy by Competition: Referenda and Federalism in Switzerland, *The Journal of Federalism*, #23, Spring 1993, pp. 71-81.
10. Craig M. Burnett, Elizabeth Garrett, and Mathew D. McCubbins, The Dilemma of Direct Democracy, *Election Law Journal*, Volume 9, Number 4, 2010, pp. 305-324.
11. David E. Thigpen, Universal Income What Is It, and Is It Right for the U.S.?, Roosevelt Institute, 2016. http://rooseveltinstitute.org/wp-content/uploads/2016/10/UBI-Explainer_Designed.pdf
12. Dean Lacy and Emerson M.S. Niou, A Problem With Referendums, *Journal of Theoretical Politics*, 2000, 12(1), pp. 5-31. <https://sites.duke.edu/niou/files/2011/06/referendum-JTP.pdf>
13. Direct Democracy, *The International IDEA Handbook*, Lead Writers and Editors: Virginia Beramendi, Andrew Ellis, Bruno Kaufman, Miriam Kornblith, Larry LeDuc, Paddy McGuire, Theo Schiller, Palle Svensson, Stockholm, 2008.
14. Gary Sussman, When the Demos Shapes the Polis - The Use of Referendums in Settling Sovereignty Issues, Initiative and Referendum Institute, University of Southern California, 2002. <http://www.iandrinstitute.org/docs/Sussman-When-the-Demos-Shapes-the-Polis-IRI.pdf>
15. Jennifer L. Hochschild, If Democracies Need Informed Voters, How Can They Thrive While Expanding Enfranchisement? *Election Law Journal: Rules, Politics, and Policy*, 9 (2), June 2010, pp. 111-123. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1449776
16. Jos Verhulst and Arjen Nijeboer, Direct Democracy Facts and Arguments about the Introduction of Initiative and Referendum, Democracy International, Brussels, 2007
17. Laurence Morel, Referendum, *The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law*, edited by Michel Rosenfeld and András Sajó, Oxford University Press, Oxford, UK, 2012.
18. Linda Maduz, Direct Democracy, *Living Reviews in Democracy*, Vol 2, 2010, pp. 1-114
19. Simon Geissbühler, Does Direct Democracy Really Work? A Review of the Empirical Evidence From Switzerland, *Przegląd Politologiczny*, #4, 2014, pp. 87-98.
20. <http://pressto.amu.edu.pl/index.php/pp/article/view/2099/2089>
21. Simon Hug, Some Thoughts About Referendums, Representative Democracy, and Separation of Powers, Paper prepared for presentation at the conference "Separation of Powers: New Doctrinal Perspectives and Empirical Findings", Haifa, December 19-21, 2007, pp. 1-19. <http://weblaw.haifa.ac.il/he/Events/eveFile/hug.pdf>
22. Н.В.Гришин, Электоральный референдум как институт общественного участия в принятии государственных решений в сфере организации избирательного процесса, *Полития*, № 4 (83), 2016, ст. 128-141.

5. ღია მმართველობის დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში.

თინათინ დაუთაშვილი
დოქტორანტი

ხალხს ყოველთვის აინტერესებდათ და აინტერესებთ საზოგადოების მართვისა და ორგანიზაციის საკითხები, საზოგადოებრივი ურთიერთობების ოპტიმალურად დარეგულირების წესები და მეთოდები, სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების უფრო მისაღები ფორმები. ხელისუფლებამ რომ მართვითი ფუნქციები განახორციელოს, მას სამოქალაქო საზოგადოება სჭირდება. თუ საზოგადოება არ არის მზად მართვაში თანამშრომლობისთვის და მონაწილეობისთვის, მაშინ ხელისუფლება

იძულებული ხდება თავის თავზე აიღოს მართვის მთელი ფუნქცია, რაც გამორიცხავს ქვეყნის, როგორც მთლიანის დემოკრატიულობას¹¹¹. ქვეყანაში არსებული სოციალური სისტემის განვითარების ტენდენციები, საკუთრივ ღია მმართველობის დამკვიდრების რეფორმები და ასევე მთელი რიგი ფაქტორები, გვაძლევს საშუალებას საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მივანოდოთ ღია მმართველობის დამკვიდრების აუცილებლობაზე.

როდესაც ვსაუბრობთ ღია მმართველობაზე ამ ფორმულირების გასაფართოვებლად, საჭიროა ცოტაოდენი ისტორიის გახსენება, თუ რას აღნიშნავს ტერმინი „სახელმწიფო მმართველობა“, „საჯარო-პოლიტიკური მმართველობა“ და როდიდან ეყრება საფუძველი ტერმინის დამკვიდრებას.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ტერმინ „მართვას“ [მართუა] განმარტავს, როგორც რაიმე „მრუდის“ გასწორებას. ¹¹² თუმცა თანამედროვე პერიოდში ტერმინს სხვა დანიშნულება აქვს.¹¹³

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მმართველობის მიზანმიმართული შესწავლა შედარებით ახალია, მის აღმოცენებას მეცხრამეტე საუკუნის მინურულს ფრანგი და გერმანელი მეცნიერების ნაშრომებს უკავშირებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო მმართველობის შესწავლის პირველი მიზანმიმართული ნაბიჯი იყო ვუდი ვულსონის (მაშინ მეცნიერი, მოგვიანებით კი პრეზიდენტი) ნარკვევი, რომელიც მიიჩნევა ამერიკული სახელმწიფო მმართველობის სიმბოლურ დასაწყისად.¹¹⁴

ვილსონი თავის ნარკვევში აღნიშნავს, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ადმინისტრაციულ საკითხებს, იმას თუ როგორ მუშაობს მთავრობა. რამდენად გამჭვირვალეა და რამდენად მისაღებია საზოგადოებისთვის მათ მიერ შესრულებული სამუშაო.¹¹⁵ ფაქტიურად ვულსონი შინაარსობრივად საუბრობს ღია მმართველობაზე. თუმცა მმართველობა ტერმინი ამერიკის შეერთებული შტატებში უფრო მოგვიანებით გამოჩნდა. რაც შეეხება საჯარო პოლიტიკურ მმართველობას იგი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მისი პროცესი მოიცავს მთელ საზოგადოებას, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მის დაგეგმარებაში უნდა იყოს გათვალისწინებული საზოგადოების მოთხოვნილებები. ზოგადად საჯარო მმართველობა წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმია, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ურთიერთობს საზოგადოებასთან.

საზოგადოების აზრი, მათი მოთხოვნილებები უპირველესია სახელმწიფოსათვის და სწორედ ამიტომ ღია მმართველობის დამკვიდრება, მეტი გამჭვირვალობა, მათ მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის. სახელმწიფო ხომ საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტია, რომელიც იჩენს მზრუნველობას საზოგადოების მიმართ, ან პირიქით ანგრევს საზოგადოებრივ მექანიზმს.

2011 წელს ინიცირებული იქნა ღია მმართველობის პარტნიორობა (Open Government Partnership) აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამას და ბრაზილიის პრეზიდენტის დილმა რუსეთის მიერ (OGP) დაფუძნდა როგორც 8 ქვეყნის ინიციატივა. დღეს ეს ინიციატივა 63 სახელმწიფოს აერთიანებს და მათ შორისაა საქართველო. (OGP)-ის მიზანია ხელი შეუწყოს მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობის პროცესს, გააძლიეროს სახელისუფლებო შტოების ანგარიშვალდებულება და მხარი დაუჭიროს მოქალაქეების ინფორმირებულობის ზრდას, მათ ჩართულობას მთავრობის საქმიანობაში.¹¹⁶ ჩამოთვლილი პრინციპები დემოკრატიული სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნებია, როცა ვსაუბრობთ დემოკრატიაზე სიფრთხილეა გამოსაჩენი მმართველობის ცნების მიმართ, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატის სხვადასხვა გაგება მოიაზრება.

112 სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ტ1, თბ, 1991. გვ 439.

113 გურგენიძე ვაჟა „საჯარო პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა“ თბ., 2014;

114 რობერტ ბ. დენჰარტი ჯენეტ ვ. დენჰარტი საჯარო მმართვა მოქმედების კურსი. გვ.18

115 რობერტ ბ. დენჰარტი ჯენეტ ვ. დენჰარტი საჯარო მმართვა მოქმედების კურსი. გვ.19

116 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო „ღია მმართველობის შესახებ“

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიაში მოეწყო „დემოკრატიზაციის“ განხილვა სადაც ნათლად გამოჩნდა, რომ დემოკრატიის რუსული გაგება საკმაოდ განსხვავდებოდა დასავლეთის შეხედულებებისაგან. დასავლეთში თუ დემოკრატიის ცნებაში მოიაზრებდნენ არჩევნების, პრესის, სიტყვის თავისუფლებას, რუსეთისთვის დემოკრატია ნიშნავდა სახელმწიფო პოლიტიკის მართვას, ხალხის ინტერესების შესაბამისად. ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატია გაგებულია, როგორც ხალხის ძალაუფლება.¹¹⁷ „დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობის გარეშე და თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებაც განაპირობებს დემოკრატიულობის მაღალ ხარისხს.“¹¹⁸ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა დემოკრატიის გავლენა, საჯარო მმართვეაზე ეჭვს არ იწვევს.

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა...“¹¹⁹ ამ სიტყვებით იწყება საქართველოს ძირითადი კანონი - კონსტიტუცია და ამით ნათქვამია, რომ ქართველი ხალხის სურვილია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რასაც უზრუნველყოფს ღია მმართველობის დამკვიდრება. (საქართველოს კონსტიტუციაში შეაქვთ ცვლილებები და მოსალოდნელია, ფუნდამენტურად შეიცვალოს მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციები.) საქართველოში დემოკრატია გაგებულია, როგორც ხალხის მმართველობა. მთავრობის ღიაობა, გამჭვირვალობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, გადაწყვეტილების მიღების დროს, მოქალაქეთა ჩართულობა. სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით არასამთავრობო ორგანიზაციამ შესაძლებელია პირდაპირი როლი ითამაშონ და ხელი შეუწყონ დემოკრატიის განმტკიცებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ქმნის მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობას. „განვითარების შემდგომ პერიოდში, OGP-ში გამოიკვეთა სხვა ახალი მიმართულებებიც, რომელთა შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თვითმმართველი ერთეულების მონაწილეობა ღია მმართველობის პარტნიორობაში.“¹²⁰ სწორედ ამიტომ უპრიანია საუბარი ღია მმართველობის დამკვიდრებაზე. იმის მიხედვით თუ როგორ ვითარდება საზოგადოება, იცვლება სახელმწიფოც. ისიც უფრო სრულყოფილი ხდება, უფრო ცივილიზებული. არსებული რეალობის გათვალისწინებით, საკითხი აქტუალურია საქართველოსათვის, ვინაიდან, ღია მმართველობა გულისხმობს საჯარო მომსახურების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდას, საჯარო რესურსების უკეთ მართვას, უსაფრთხო გარემოს შექმნას და კორპორაციული ანგარიშვალდებულებების გაზრდას.

ღია მმართველობა საერთაშორისო ინიციატივაა, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოები ნებაყოფლობით უერთდებიან და რიგ ვალდებულებებს კისრულობენ. ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) გამორჩეული წევრი სახელმწიფოებია საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ფინეთი, ნორვეგია, დანია, ურუგვაი, კოლუმბია, ფილიპინები.¹²¹ რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი სახელმწიფო 2011 წელს შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივას და შეიმუშავა კიდევ სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმები შემუშავდა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

117 რობერტ ბ. დენჰარტი ჯენეტ ვ. დენჰარტი საჯარო მმართვე მოქმედების კურსი. გვ.20

118 ერქომაიშვილი ვ. „სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი თბ. 1998წ., გვ.9

119 საქართველოს 1995წ 24 აგვისტოს კონსტიტუცია.

120 Subnational Government Pilot Program, <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/subnational-government-pilot-program#3>.

121 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო „ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი“.

მეშვეობით, რომელიც აღიარებულია როგორც OGP-ის სამოქმედო გეგმების შემუშავების ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზმი. მის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2012 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ პირველი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა. სადაც გაერთიანებულია 11 პასუხისმგებელი უწყება და 12 ვალდებულება. ჩამოთვლილი იყო ის კონკრეტული ვალდებულებები, რომელიც ქვეყანაში ღია მმართველობის ძირითადი პრინციპების დანერგვას შეუწყობდა ხელს. მთავარი აქცენტი გაკეთდა საჯარო მომსახურებასა და ინფორმაციაზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. ასევე ყურადღება გამახვილდა ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე, სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.¹²²

ღია მმართველობის ინიციატივას (OGP)-ს 5 ძირითადი გამოწვევა აქვს ეს არის:

1. საჯარო მომსახურების გაუმჯობესება;
2. საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა;
3. საჯარო რესურსების უკეთესი მართვა;
4. უსაფრთხო გარემოს შექმნა;
5. ბიზნესის პასუხისმგებლობის გაზრდა;

ამ ხუთი გამოწვევიდან საქართველოს პირველი სამოქმედო გეგმა ოთხ პასუხობს.¹²³

საქართველოს მეორე 2014-2015 წლის სამოქმედო გეგმა 16 პასუხისმგებელი უწყების მიერ ნაკისრი 27 სხვადასხვა ვალდებულებით, პირველი სამოქმედო გეგმის მსგავსად OGP-ის ოთხ გამოწვევას ეხმიანება.¹²⁴

რაც შეეხება საქართველოს რიგით მესამე 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმას, იგი შემუშავებულია ღია მმართველობის საქართველოს სამდივნოს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის) მიერ. სამოქალაქო, ბიზნეს სექტორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. გეგმაში გაერთიანებულია 24 პასუხისმგებელი უწყება 24 ვალდებულებით, რომლებიც შესაბამისობაშია OGP-ს 4 პრინციპთან.¹²⁵

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის სახელმძღვანელო წესების თანახმად, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი შექმნილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში. ფორუმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. სტატიაც სწორედ ამ ამოცანას ეხმიანება, დღესდღეობით ის უნდობლობა რაც საზოგადოების მხრიდან ისმის ხელისუფლებისადმი, სწორედ გულისხმობს იმას, რომ საზოგადოებაში არის მოთხოვნილება საჯარო მომსახურების გაუმჯობესების, საჯარო რესურსების უკეთ მართვის, რომ საზოგადოება მეტად იღებდეს მონაწილეობას და მეტად იყოს ჩართული სახელმწიფო მმართველის საკითხებში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა ხელს შეუწყობს მთავრობის ღიაობას და გამჭვირვალობას.

რეზიუმე

სტატია ეხება ღია მმართველობის დამკვიდრებას საქართველოში. მმართველობა ისეთი სისტემაა, რომელიც ვითარდება კონკრეტულ საზოგადოებაში და განსაზღ-

122 თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მონაწილეობა ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP).

123 იუსტიციის სამინისტრო სამოქმედო გეგმა (2012-2013წ.).

124 იუსტიციის სამინისტრო სამოქმედო გეგმა (2014-2015წ.).

125 იუსტიციის სამინისტრო სამოქმედო გეგმა (2016-2017წ.).

ვრული ტერიტორიის ფარგლებში. ღია მმართველობას შესწევს უნარი განავითაროს საზოგადოების ეროვნული, პოლიტიკური კულტურა. მისცეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობა ჩამოუყალიბდეთ სახელმწიფოებრივი ხედვა და აზროვნება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად. დემოკრატიული ღირებულებების მიმართ ვალდებულებები საჯარო და არაკომერციული ორგანიზაციების მუშაობაზე ამკარად ზემოქმედებს. საჭიროა შემუშავდეს სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების უფრო მისაღები ფორმები. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო, ელექტრონულად ხელმისაწვდომი. საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ აღნიშნული თემა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

RESUME

The article is about settling open governance in Georgia. Governance is such kind of system, which is being developed in a specific society and within the fields of the specified territory. Open governance is able to develop national and political culture of the society. To give possibility to the citizens to form state vision and thinking, which is important factor to build up democracy and legal state. The obligations towards democratic values has a very good influence on working public and non-commercial organizations. It is necessary to work out more acceptable forms of mutual dependence of state and human. As much information as possible should be public, available electronically. If we discuss today's conditions in Georgia, the mentioned topic is very important issue.

РЕЗЮМЕ

ტატყა კასათყა უპროყნაყა ურავლენაყა ვ რუჯიაყ. ურავლენაყა თათყა თიყ სისტემაყ , კოტორყი სფორმიროვყვათყა ვ კონკრეტნოყ ობყესთე ვ რამკაყ ოპრედელენნოყ თერრიტორიაყ.

ოტკრყთყ თიყ ურავლენაყა ოტკრყვათ სპოსობნოყ კ რავითიუ ნაციონალნოყ, პოლიტიკოყ სისტემაყ ობყესთაყ. დავთ თაკოყ ვოჯობნოყ, კოტოყა უ გრავდან ნაშეყ სტრანოყ სფორმიროვალოყ გოსუდარსთენოვიდენიე ვ მნენიე, კოტოყა ყავლენაყ ვაჟნეყთიყ ფაქტოროყ დღია სტროიტელსთაყ დემოკრატიკოყოყ ვ ურავოყო გოსუდარსთაყ.

ობყავათელსთაყა ვ ოთნოშენიე დემოკრატიკოყს კენნოყსთეყ ყავნოყ ოკავყვათ ვლენაყა ნა რავოტუ უბლიკნყს ვ ნეკომერყესკიყ ორგანიზაციყს.

ნეობჟიდიო რავრავოტათ ბოლეს ურეიმლემყე ფორმაყ ვაიჟოოთნოშენიე მეჟდუ გოსუდარსთოყ ვ კოლოეკოყ. ინფორმაცია დოჟნა ბყთყ მაქსიმალნოყ უბლიკნოყ ნასკოლკო თო ვოჯობნოყ დოსტუპნოყ ვ ელექტრონნოყ ვიდეყ.

ოსიყ ბუდემ რასუჟდათ ისჟოყა იყ ნყნეშნეყ სიტუაციე ვ რუჯიაყ, დანნაყ თემა ყავლენაყ ვაჟნეყთიყ ვოპროსოყ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია;
2. გურგენიძე ვაჟა „საჯარო პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა“ თბილისი 2014;
3. ერქომაიშვილი ვ. „სამოქალაქო საზოგადოება თბ. 1998;
4. რობერტ ბ. დენჰარტი და ჯეეტ დენჰარტი, „საჯარო მართვა მოქმედების კურსი“ ილიას უნივერსიტეტის გამოცემა 2012;
5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო „ღია მმართველობის შესახებ“

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო „ღია მმართველობა ფორუმის შესახებ“
7. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო „სამოქმედო გეგმა“
8. თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მონაწილეობა ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP)
9. Subnational Government Pilot Program, <http://www.opengovpartnership.org/how-itorks/subnational-government-pilot-program#3>.
10. GOOD GOVERNANCE AND PUBLIC ADMINISTRATION REFORM IN THE BLACK SEA ECONOMIC COOPERATION (BSEC) MEMBER STATES DECEMBER 2008;
11. The role and impact of NGOs in capacity development From replacing the state to reinvigorating education Inger Ulleberg International Institute UNESCO 2009

სახელმეკრულებო თავისუფლება, როგორც კერძო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი.

**ნინო დონჯაშვილი
დოქტორანტი**

შრომის დანაწილების პროგრესული განვითარების კვალად, ყველა საზოგადოებაში შეინიშნება ინდივიდებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა ბუნების ევოლუცია. მას განსაზღვრავს არა სოციალური სტატუსი, არამედ ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი. მათ შორის დადებული ხელშეკრულებები ნასყიდობის, ურთიერთმომსახურების ან კრედიტების შესახებ. შემთხვევითი არ არის, რომ ხშირად იმეორებენ სერჰენრი მენის შემდეგ სიტყვებს: „საზოგადოების სვლა პროგრესის გზაზე - ეს არის სვლა სოციალური სტატუსიდან ხელშეკრულებამდე“.¹²⁶

სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპი გულისხმობს, რომ მხარეები თავად განსაზღვრავენ, რა სურთ და როგორ მიაღწიონ სასურველ შედეგს.¹²⁷ თუმცა აღსანიშნავია, რომ „სახელმეკრულებო თავისუფლება სამართლებრივ ფასეულობათა წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი“.¹²⁸

არსებობს მოსაზრება, რომ სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპის დაბადებას თავის მხრივ ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკამაც. თუმცა ერთი რამ ცხადია - სახელმეკრულებო თავისუფლების მნიშვნელობა განსხვავებულია მე-19 საუკუნესა და თანამედროვე ეპოქაში. კერძოდ, თუ ადრე იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინდივიდის მიერ გაკეთებულ არჩევანს, დღეს თანამედროვე სამართალი კერძო არჩევანზე მეტად ყურადღებას უთმობს ბაზარს. ამ უკანასკნელისათვის ხელშეკრულება ინსტრუმენტია, რომელიც ბაზრის სუბიექტთა ვალდებულებების სტრუქტურას განსაზღვრავს.¹²⁹

ხელშეკრულების დადების თავისუფლება ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური

126 კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი - შედარებით სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, „ჯისიანი“, 2001 წ, გვ.8

127 თ. ჩაჩანიძე, სახელმეკრულებო თავისუფლება და სახელმეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელმეკრულებო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2010, გვ. 23

128 ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 273

129 H. Collins, The law of Contract, Published by LexisNexis, Ed. 4, 2003, p. 21-22, თ. ჩაჩანიძე, სახელმეკრულებო თავისუფლება და სახელმეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელმეკრულებო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“.

იდეაა, რომელსაც UNIDROIT-ის პრინციპები ეფუძნება. აღნიშნული პრინციპი პირდაპირ არის ჩამოყალიბებული 1.1 მუხლში: „მხარეები თავისუფალი არიან დადონ ხელშეკრულება და განსაზღვრონ მისი შინაარსი“, როგორც კომენტარებშია აღნიშნული, ბიზნესმენტა უფლება თავისუფლად გამოხატონ თავიანთი ნება იმის შესახებ, თუ ვის შესთავაზებენ თავიანთ საქონელს თუ მომსახურებობას (ოფერტა), ან კონკრეტულად ვისგან სურთ, რომ მიიღონ ოფერტა, ასევე, აქცეპტირების თავისუფლება კონკრეტულ ტრანზაქციებზე – ვაჭრობაზე ორიენტირებული, ღია და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური წყობილების საფუძველს წარმოადგენს.¹³⁰

სახელშეკრულებო თავისუფლება აღიარებული იქნა „სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპად“ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, ასევე მოცემულია და დაცულია ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-16 მუხლში (ბიზნესის წარმოების თავისუფლება) და ასევე დადგენილია ევროკავშირის კომისიის მიერ, როგორც ძირითადი მითითება ევროპის სახელშეკრულებო სამართლის მომავალი განვითარებისათვის.¹³¹

არკანზასის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *Leep v. St. louis, Iron Mountain, and Southern Railway Co.* (1894) დაადგინა, რომ ქონების შეძენის უფლება აუცილებლად დაკავშირებულია ხელშეკრულების დადების უფლებასთან, ამასთანავე დაამატა: “ადამიანის ყველა უფლებაზე მეტად იგი არის უმთავრესი ადამიანთა ბედნიერებისათვის”. სხვა სახელმწიფო სასამართლოები ანალოგიურად ხაზს უსვამდნენ ხელშეკრულების თავისუფლების სასიცოცხლო მნიშვნელობას, ხშირად დაცვითი შრომითი კანონმდებლობის კონტექსტში.¹³²

ხელშეკრულების თავისუფლება წარმოადგენს ანგლო-ამერიკული სახელშეკრულებო სამართლის მთავარ პრინციპს, საბაზრო ეკონომიკის ძირითად საწყისს და ანგლო-ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის ქვაკუთხედს. ხელშეკრულების თავისუფლება უფლებას აძლევს კონტრაქტს საქმეები სხვათა ჩარევის გარეშე წარმართოს, შექმნას საკუთარი „კერძო სამართალი“, რომელიც სასამართლო პრაქტიკასთან და კანონმდებლობასთან ერთად წარმოადგენს სამართლის სავალდებულო წყაროს. ასე რომ, ანგლო-ამერიკული სამართლის არსი წარმოადგენს კერძო პირების თავისუფლების გამოხატულებას დაკავდნენ მხოლოდ კერძო სამართალშემოქმედებით... ანგლო-ამერიკული სახელშეკრულებო სამართალი იყენებს სახელმწიფოს მთლიან ძალაუფლებას, რათა კერძო პირები აიძულოს შეასრულონ თავისი დანაპირები ერთმანეთის მიმართ და ამით შეუწყონ ხელი კერძო სამართალშემოქმედების პროცესს.¹³³

ხელშეკრულების იდეა ისაა, რომ მასში შეთანხმებული პირობები სავალდებულოა პარტნიორებისათვის, რადგან თითოეული მეორე მხარეს ნებაყოფლობით უდასტურებს, რომ ისინი უნდა ჩაითვალოს მართებულად¹³⁴. ხელშეკრულებათა თავისუფლება, როგორც ინდივიდის ავტონომიის განსაკუთრებული გამოხატულება, ისტორიულად მჭიდროდ უკავშირდება ე.წ. „ნების ავტონომიის თეორიას“. აღნიშნული თეორიის თანახმად, სახელშეკრულებო ვალდებულებათა აღიარება და შესრულება ემყარება გაიგივებას, რომ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებმა „ნებაყოფლობით ისურვეს“ თა-

130 ზვიად მათიაშვილი – UNIDROIT საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, აღმანახი 2000 №15, საერთაშორისო სამართალი (III), გვ. 6

131 Simon Whittaker, *The Optional Instrument of European Contract Law and Freedom of Contract*, Paper submitted as part of the consultation process initiated by the European Commission by its Green Paper on policy options for progress towards a European Contract Law for consumers and businesses, p.1, http://ec.europa.eu/justice/news/consulting_public/0052/contributions/333_en.pdf

132 James W. Ely, Jr., *The protection of contractual rights: a tale of two constitutional provisions*, Published by LexisNexis, Ed. 1, 2005, p. 7

133 К. Осакве, *Свобода договора в англо-американском праве: понятие, сущность и Ограничения*, Журнал российского права, 2006, с. 3, http://www.juristlib.ru/book_3120.html

134 Flume, *Das Rechtsgeschäft* 2 [1975] 7

ვიანთ ვალდებულებების აღება. „ნების ავტონომიის თეორიამ“ დღეს ადგილი დაუთმო „ნების გამოვლინების თეორიას“ თეორიის მიხედვით, თითოეული მოქმედების საზღვარია კონტრაქტის მხრიდან მისი გონივრული გაგება. ეს არ ენიშნავს „ნების ავტონომიის თეორიის“ იდეას. „ნების ავტონომია“ არ ათავისუფლებს ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს ვალდებულებებისაგან, გაითვალისწინონ ერთ-ერთის დასაცავი ინტერესები; ამასთან, მათ აუცილებლად სრულად უნდა გამოხატონ საკუთარი ნება საქმიანი ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებული მოთხოვნების შესაბამისად.¹³⁵

ხელშეკრულების თავისუფლება წარმოადგენს ევროპის კერძო სამართლის ძირითად პრინციპს. იგი უდავოდ აღიარებულია ევროკავშირის სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად.¹³⁶ «Les conventions legalement formees tiennent lieu de loi a ceux qui les ont faites» — „კანონიერ ხელშეკრულებებს აქვთ კანონის ძალა იმ პირთათვის, რომელთაც იგი დადეს“. როგორც ჩანს, არცერთი კოდექსი მსოფლიოში არ გამოხატავს ისე ზუსტად ან დიდი ლიბერალური პათოსით კავშირს კერძო პირის დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და ხელშეკრულების სავალდებულო შესრულებას შორის, როგორც ნაპოლეონის 1804 წლის კოდექსი. ეს ფილოსოფიური შეხედულებები ჩადებული იყო ი. კანტის მიერ 20 წლით ადრე მის ნაშრომში „ზნეობის მეტაფიზიკის საფუძვლები“. მასზე 10 წლით ადრე ადამ სმიტი ამბობდა, რომ „სწორედ ბარტერისა და ნასყიდობის ხელშეკრულების საშუალებით, ჩვენ ერთმანეთისგან ვიღებთ აუცილებელ ორმხრივ მომსახურებას“. ფილოსოფიური კონცეფციებით და ეკონომიკური შინაარსით გამყარებული ხელშეკრულების თავისუფლება თანდათან, მე-19 საუკუნიდან დაწყებული, ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ძირითად პოსტულატად გარდაიქმნა. სოციალური ბანაკის არსებობის დროსაც კი ევროპაში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპმა არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ამ ბლოკის დაცემის შემდეგ იგი ისევ ერთხმად იქნა აღიარებული აღმოსავლეთ ევროპაში,¹³⁷ რომელიც მეტნაკლებად დემონსტრირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები“.¹³⁸

გერმანული სამართლის მეცნიერებაში ხელშეკრულების თავისუფლება განიხილება, როგორც პირადი დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გამოხატულება და შესაბამისად, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების გარანტია. პოზიტიურ სამართალში იგი მოცემულია გერმანიის კონსტიტუციის პირველი პარაგრაფის მე-2-ე მუხლში. გარკვეული დონით ხელშეკრულების თავისუფლება ჩამოყალიბებულია, როგორც საკუთარი საქმეების წარმართვისას ინდივიდის პასუხისმგებლობის გრძობის გამოხატულება, რაც გამომდინარეობს გერმანიის კონსტიტუციის 1-ლი მუხლიდან — „ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობიდან“... არასწორი იქნება, თუ ჩავთვლით, რომ მხოლოდ გერმანიის კონსტიტუციაშია პირადი ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება პოზიტიურ-სამართლებრივად დარეგულირებული, რადგანაც ევროპის სხვა ქვეყნებშიც ხელშეკრულების თავისუფლება განიხილება ეკონომიკური რეგულირების მთავარი პრინციპად... მაგალითად, ჯ. გესტინი თვლის, რომ ამას დასაბამი აქვს დიდი ფრანგული რევოლუციიდან და გახმოვანებაა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციისა. ინგლისში ხელშეკრულების თავისუფლება განისაზღვრება, როგორც „გონივრული საზოგადოებრივი იდეალი“; იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს

135 კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი-შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, „ჯისიაი“, 2001 წ, გვ.9

136 Ю. Базедов, Свобода договоров в Европейском Союзе, Право в современном мире, стр. 88, <http://ecsoc-man.hse.ru/data/01/06/1270397372/2-2011-11.pdf>

137 იქვე, გვ. 88

138 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს), მუხლი 319, პირველი ნაწილი

ნებისმიერ ეროვნულ ეკონომიკაში და მე-19 საუკუნეში წარმოადგენდა ეკონომიკური პოლიტიკის *laissez faire* საფუძველს.¹³⁹

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი საშუალებას აძლევს მხარეებს დადონ სწორედ ის გარიგება, რომელიც მათ სურთ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების მსგავსად, არ შეიცავს ხელშეკრულების ზუსტ ჩამონათვალს, რაც ამ პრინციპის გამოვლინების მაგალითია და საშუალებას იძლევა საბაზრო ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად განვითარებისათვის.¹⁴⁰

სამოქალაქო სამართალში მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობა დაფუძნებულია მათ ორმხრივ იურიდიულ თანასწორობაზე, რომელიც გამორიცხავს ერთი მხარის ძალაუფლებრივ დაქვემდებარებას მეორე მხარისადმი. რა თქმა უნდა, ხელშეკრულების დადება და მისი პირობების ჩამოყალიბება უნდა ატარებდეს კეთილსინდისიერ, ნებაყოფლობით ხასიათს, რომელიც ემყარება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებას და განისაზღვრება მათი კერძო ინტერესების გათვალისწინებით. ამ საფუძველით ყალიბდება ერთ-ერთი მთავარი კერძოსამართლებრივი რეგულირების საწყისი – სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი, რომელიც თავისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით უთანაბრდება კერძო საკუთრების აღიარებისა და ხელშეუხებლობის პრინციპს.¹⁴¹

ამკარაა, რომ ბევრი თეორეტიკოსი ხელშეკრულების თავისუფლებას განიხილავს, როგორც ეკონომიკური პროგრესის არსებით პირობას.¹⁴² მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს პირდაპირ არ ითვალისწინებს თითქმის არც ერთი ქვეყნის კონსტიტუცია, იგი თავისთავად, თავისი არსით წარმოადგენს ადამიანის უმნიშვნელოვანეს ძირითად უფლებას.

რეზიუმე

მოცემულ სტატიაში განხილულია კერძო სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, როგორცაა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი. იგი თავისი მნიშვნელობით შესაძლოა რწმენის, თავისუფალი გამოხატვისა და შრომის უფლებას შევადაროთ. შესაბამისად, მისი უზრუნველყოფა თანამედროვე სახელმწიფოს კონსტიტუციურ მოვალეობას განეკუთვნება.

ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ, ნების ავტონომიამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ინდივიდების მიერ ხელშეკრულების დადება ხორციელდება ნების თავისუფალი გამოვლენისა და თანასწორობის საწყისებზე. ბევრი თეორეტიკოსი ხელშეკრულების თავისუფლებას ეკონომიკური პროგრესისათვის არსებით პირობად მიიჩნევს, რაც მართლაც უდავოა.

სტატიაში შედარებით-სამართლებრივი კუთხით გაანალიზებულია როგორც ევროპული, მათ შორის UNIDROIT-ის პრინციპები, ასევე ანგლო-ამერიკული სახელშეკრულებო სამართლის მიდგომა ხელშეკრულების თავისუფლებასთან დაკავშირებით. აღიარებულია, რომ სახელშეკრულებო თავისუფლება საბაზრო ეკონომიკის ძირითადი საწყისია, რომელზეც დგას თანამედროვე ეკონომიკა და სახელშეკრულებო ურთიერთობები.

139 Ю. Базедов, Свобода договоров в Европейском Союзе, Право в современном мире, стр. 89, <http://ecsoc-man.hse.ru/data/2012/01/06/1270397372/2-2011-11.pdf>

140 ი. შენგელია, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2010, გვ. 46

141 მ. თოდუა, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, გვ. 100 http://www.tbappeal.court.ge/upload/r_827.pdf

142 Kirsten L. McCaw, Freedom of contract versus the antidiscrimination principle: a critical look at the tension between contractual freedom and antidiscrimination provisions, Published by LexisNexis, Ed. 34, 1996, p. 1

RESUME

This article considers such an important principle of private law, as the principle of freedom of contract. It can be compared to the right of faith, free expression and labor with its importance. Accordingly, to ensure it, there is the constitutional obligation of the modern states.

After economic development, the autonomy of the will acquired great importance. The conclusion of the treaty by individuals occurs on the basis of free expression of will and equality. Many theorists recognize that freedom of contract is an essential condition for economic progress, which is really undeniable.

In the article, according to the comparatively-legal approach, is analyzed as the principles of European, including UNIDROIT, as well as the Anglo-American Contract Law approach to the Freedom of Contract.

It is recognized, that contractual freedom is the main source of market economy, on which modern economy and contractual relations stand.

РЕЗЮМЕ

В данной статье рассматривается такой важный принцип частного права, как принцип свободы договора. Своей значимостью его можно сравнить с правом веры, свободы выражения и труда. Соответственно, его обеспечение, конституционная обязанность современных государств.

После экономического развития, автономия воли приобрела большое значение. Заключение договора индивидами происходит на основе свободного выражения воли и равенства. Многие теоретики признают, что свобода договора является существенным условием экономического прогресса, который действительно неоспоримо.

В статье, в соответствии с сравнительно-правовым подходом, проанализировано как принципы европейского, в том числе УНИДРУА, а также подход англо-американского договорного права к свободе договора.

Признано, что свобода договорная является основным источником рыночной экономики, на котором стоит современная экономика и договорные отношения.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, „ჯისიაი“, 2001 წ.;
2. თ. ჩაჩანიძე, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2010 წ.;
3. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005წ.;
4. ზვიად მათიაშვილი, UNIDROIT საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, აღმანახი 2000 №15, საერთაშორისო სამართალი (III);
5. Simon Whittaker, The Optional Instrument of European Contract Law and Freedom of Contract, Paper submitted as part of the consultation process initiated by the European Commission by its Green Paper on policy options for progress towards a European Contract Law for consumers and businesses / http://ec.europa.eu/justice/news/consulting_public/0052/contributions/333_en.pdf;
6. James W. Ely, Jr., The protection of contractual rights: a tale of two constitutional provisions, Published by LexisNexis, Ed. 1, 2005;
7. К. Осаке, Свобода договора в англо-американском праве: понятие, сущность и

Ограничения, Журнал российского права, 2006, http://www.juristlib.ru/book_3120.html;

8. Ю. Базедов, Свобода договоров в Европейском Союзе, Право в современном мире, стр. 88, <http://ecsocman.hse.ru/data/2012/01/06/1270397372/2-2011-11.pdf>;
9. ი. შენგელია, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2010 წ.;
10. მ. თოდუა, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, http://www.tbappeal.court.ge/upload/r_827.pdf;
11. Kirsten L. McCaw, Freedom of contract versus the antidiscrimination principle: a critical look at the tension between contractual freedom and antidiscrimination provisions, Published by LexisNexis, Ed. 34, 1996.

1. „მოქმედის“ და „ქმედების“ თანაფარდობის პრობლემა სისხლის სამართლის ფილოსოფიის მიხედვით.

*გურამ ნაჭყებია
ეპიკურეს - ანთიფესტარი*

სისხლის სამართლის დოგმატიკაში თითქმის გაბატონებული აზრის თანახმად, სისხლის სამართალი ქმედების სამართალია. ეს დებულება, ერთი მხრივ, სწორია, რადგან, ჯერ ერთი, ქმედების დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაციის ანუ კრიმინალიზაციის ობიექტია განსაზღვრული ქმედება და არა პიროვნება. მართალია, კანონმდებელი ზოგადად ითვალისწინებს შესაძლო „მოქმედის“ პიროვნებასაც, რათა სასამართლომ სასჯელი დანიშნოს არა მარტო ქმედების, არამედ „მოქმედის“ პიროვნების გათვალისწინებითაც. მეორეც, „მოქმედი“ ნეგატიური წესით პასუხს აგებს არა აზრთა ცუდი წყობისთვის, არამედ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეული განხორციელებისთვის. ამ პოზიციიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეული ქმედება. ამგვარადაა გადანყვეტილი კიდევ ეს საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლ ნაწილში. მაგრამ დანაშაულის ჩადენის მექანიზმის ფილოსოფიური თვალსაზრისით კვლევამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ პრაქტიკულად დანაშაულის არც ზოგადი ცნება ხორციელდება და არც კონკრეტული დანაშაულის ცნება. მაგალითად, „მკვლელობა“ არის სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ და განზრახი მოსპობა. მკვლელობის, როგორც ასეთის, ჩადენა რომ იყოს შესაძლებელი, - მაშინ განზრახი მკვლელობის ამდენი შემადგენლობა (საქ. სსკ-ის 1108-114-ე მუხლები) ზედმეტად უნდა მიგვეჩნია. აქედან გამომდინარე, მივედით დასკვნამდე, რომ დანაშაულის ჩადენა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გარეშე შეუძლებელია, თუმცა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება ქმედების მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებშიც ხდება. მეორე მხრივ, უფრო მოგვიანებით მივედით იმ დასკვნამდეც, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ასეთი, ან ცალკეული დანაშაული ზოგადად, არამედ „მოქმედის“ ბრალი.¹⁴³

143 ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი

დებულება, რომ სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, - დაზუსტებას მოითხოვს. აქ საქმე ეხება ისეთ ფილოსოფიურ პრობლემას, რომელიც ადამიანის, როგორც პიროვნების, და მისი ქმედების მიმართებას შეეხება. საქმე ისაა, რომ „ქმედება“ „მოქმედის“ ნახელავია, რის გამოც თავდაპირველად ყოფიერობს „მოქმედი,“ ხოლო შემდეგ ყალიბდება „ქმედებაც,“ რომელშიც „მოქმედი“ გარკვეულწილად გამოიხატება კიდეც, თუმცა იგი თავის ქმედებაზე ყოველთვის მეტია, ესე იგი, ამ ქმედებაზე არ დაიყვანება. ამ თვალსაზრისით მთავარი ისაა, რომ ბრალი არის „მოქმედის“ და „ქმედების“ კავშირის ფორმა. ბრალი (და საერთოდ, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა) გარკვეულწილად, მოქმედის შინაგან ბუნებას გამოსატავს, თუმცა გარემომცველ სამყაროსთან კავშირშიც. ამითაა პირობადადებული „მოქმედის“ პიროვნების დიდი მნიშვნელობა, როგორც კრიმინოლოგიის, ისე სისხლის სამართლის საპროცესო სამართლისათვის, სადაც „მართალი მსაჯულება“ „მოქმედის“ პიროვნების გათვალისწინების გარეშე ვერ განხორციელდება. ცხადია, ქმედებისა და მოქმედების მიმართების პრობლემისაგან არც კრიმინალისტიკაა მონყვეტილი.

ისმის საკითხი: ასრულებს თუ არა „მოქმედის“ პიროვნება რაიმე როლს საკუთრივ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, სფეროში? მეორენაირად რომ ვთქვათ, არის თუ არა სისხლის სამართალი არა მარტო ქმედების სამართალი, არამედ „მოქმედის“ სამართალიც? აქ მოკლედ მივანიშნებთ სისხლის სამართლის სოციოლოგიურ სკოლაზე, რომელიც „მოქმედის“ პიროვნების მიხედვით, კერძოდ, რაიმე პოლიტიკური პარტიის თუ სხვა ორგანიზაციის წევრობის ნიადაგზე, დასაშვებად მიიჩნევდა „მოქმედის“ დასჯადობას მის მიერ ქმედების კონკრეტული საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გარეშეც. ამ პოზიციას, როგორც ცნობილია, ხშირად აკრიტიკებენ, თუმცა, მაგალითად, ე. წ. „კანონიერი ქურდობის“ თუ „ქურდული სამყაროს წევრობის“ პრობლემატიკა ამ მხრივ სიძნელისგან თავისუფალი სულაც არაა. აქ საქმე ეხება, ასე თქვათ, „დანაშაულის ონტოლოგიას,“ რაც უკვე სისხლის სამართლის ფილოსოფიის საკითხია. სამართლის ფილოსოფიაზე უკვე იწერება საინტერესო შრომები, ¹⁴⁴ მაგრამ, სამწუხაროდ, სისხლის სამართლის ფილოსოფიაზე რაიმე სერიოზული გამოკვლევა იშვიათია. (ცხადია, ამ მხრივ მხედველობაში არა გვაქვს, ვთქვათ, გერმანულენოვანი ლიტერატურა). როგორც ჩანს, „სამართლის ფილოსოფია“ გაგებულია ზოგადად, როგორც სამართლის არსის შესახებ ფილოსოფიური მოძღვრება, ხოლო სამართლის დარგობრივი ფილოსოფიები კი, მიჩნეულია თითქოსდა ამ მოძღვრების გამოყენებით ნაწილად. ¹⁴⁵ ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან, ჯერ ერთი, სამართლის სისტემის ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე არც სამართლის ფილოსოფია არსებობს და არც სამართლის დარგობრივი ფილოსოფიები. მეორეც, სამართლის დარგებს შორის არსებობს რიგი ფუნდამენტური განსხვავება. მაგალითად, **მატერიალური სამართლის სისტემა იწყება კონსტიტუციური სამართლით და მთავრდება სისხლის სამართლით.** ¹⁴⁶ აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ კონსტიტუციურ სამართალსა და სისხლის სამართალს შორის უფრო მეტი უნდა იყოს ანალოგიური ნიშნები, ვიდრე სამართლის სისტემის შუალედურ რგოლებს შორის. **სამართლის სამართლობის მთავარი ნიშანია სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორმის, როგორც ჯერარსის, და მართლწესრიგის, როგორც არსის, კავშირის ფორმა.** ¹⁴⁷ ამ პოზიციიდან

თეორიის შესავალი, თბილისი, 2000, გვ. 73-85

144 გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა, „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები“ თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენებების კრებული, თბილისი, 2006, გვ. 138-141

145 იხ. მაგალითად, გ. ლობჯანიძე, სამართლის ფილოსოფია, ორტომიანი გამოკვლევა, თბილისი, 2014; აგრეთვე სახელმძღვანელო სამართლის ფილოსოფიაში (Философия права, М. 2015).

146 იხ. Фидософия права, М. 2015, стр. 17

147 იხ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 69

ამკარად იკვეთება, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის. ცნობილია, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ეს ურთიერთობა ორმხრივია: არა მარტო სახელმწიფოა ვალდებული, დაიცვას პიროვნების ინტერესები, არამედ, თვით პიროვნებაც ხდება ვალდებული, ასრულებდეს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს¹⁴⁸. სახელმწიფოსა და პიროვნების ეს ორმხრივი ურთიერთობა მათი ურთიერთპასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმაა. სამწუხაროდ, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტიდან, რომელიც საქართველოს პარლამენტმა (ოპოზიციური პარტიების გამოკლებით) მეორე მოსმენით მიიღო, მოქმედი კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი რატომღაც ამოგდებულია, რის გამოც გაუგებარია, რანაირად შეიძლება საზოგადოდ სამართლებრივი ურთიერთობა უფლება-მოვალეობათა დიალექტიკის გარეშე? მართალია, ხსენებული კანონის პროექტში პიროვნების უფლებები საკმაოდაა გათვალისწინებული, მაგრამ სამართლებრივი მოვალეობის გარეშე ვერც უფლებების დაცვა იქნებოდა შესაძლებელი. უფრო მეტიც, ხსენებული პროექტიდან იურიდიული მოვალეობის ამოგდება ლოგიკურად მოხსნის სამართლებრივ ურთიერთობას სამართლის ცალკეულ დარგებშიც, მათ შორის - სისხლის სამართალშიც. არადა, სრულიად კანონზომიერია ის გარემოება, რომ სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობა მყარდება მხოლოდ სამართლის ამ ორ დარგში - კონსტიტუციურ სამართალსა და სისხლის სამართალში. სამართლის სხვა დარგებში ურთიერთობა მყარდება მოქალაქეებს შორის ან მოქალაქესა და რომელიმე სახელმწიფო ორგანოს შორის. მაშასადამე, სისხლის სამართალში ურთიერთობა მყარდება სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, რადგან სისხლის სამართლის დარგში კანონდებელი სახელმწიფოა, ხოლო სისხლის სამართლის კანონის ადრესატია საზოგადოების ყოველი დელიქტუნარიანი წევრი. ამ პოზიციიდან ლოგიკურია დასკვნა, რომ საზოგადოების ყოველი დელიქტუნარიანი წევრი ვალდებულია, მოქმედებდეს მართლზომიერად და, როგორც პიროვნება, მონოდებულია, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად.¹⁴⁹ გამოდის, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის მყარდება მართლზომიერი ქმედების გამო. სამწუხაროდ, საბჭოთა რუსეთში გაბატონებული აზრის თანახმად, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის დანაშაულის ჩადენის გამო მყარდება.¹⁵⁰

პოსტსაბჭოთა რუსეთი ფედერაციაშიც ფიქრობენ, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა მყარდება დანაშაულის ჩადენის გამო, თუმცა არ უარყოფენ ურთიერთობას დანაშაულთა თავიდან აცილების გამოც.¹⁵¹ საკითხავი კი, ისაა, თუ რანაირად შეიძლება სისხლის სამართალში არსებობდეს ურთიერთობა დანაშაულის ჩადენისა და მისი თავიდან აცილების გამოც? ამ საკითხზე აქ დისკუსიას ვერ გავმართავთ, რადგან მიგვაჩნია, რომ დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა თავიდან ბოლომდე აბსურდულია და, ხშირ შემთხვევაში, იწვევს სისხლისსამართლებრივი და სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის აღრევას. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის 2010 წლის სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ სისხლის სამართალი აწესრიგებს ურთიერთობებს, რომელნიც წარმოიქმნებიან დანაშაულის ჩადენის შემდეგ დანაშაულის ჩამდენ პირსა და სახელმწიფოს შორის სისხლის სამართლის კანონის გამომყენებელი იუსტიციის სპე-

148 იხ. უფრო დანვრილებით, გ. ნაჭყებია, სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ფილოსოფიის კატეგორია, „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. მე-17, თბილისი, 2013, გვ. 36-52).

149 იხ. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი

150 იხ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 გვ. 50 ;

151 იხ. მაგალითად, Н. А. Огурцов, Правоотношение и ответственность в советском уголовном праве, Рязань, 1976;

ციალური ორგანოების მეშვეობით.¹⁵² ნუთუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ სისხლის სამართლის კანონის გამოყენება სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის სფერო არ არის? რანაირადაა ეს ურთიერთობა სისხლისსამართლებრივი? ასე, რომ დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა არსებითად ყალბია და ენინააღმდეგება სისხლის სამართლის იმ ცნობილ პრინციპს, რომლის თანახმად, არ არსებობს დანაშაული და სასჯელი სისხლის სამართლის კანონის ამოქმედების გარეშე. **სისხლის სამართლის კანონის ამოქმედების შემდეგ კი, საქმე შეეხება ურთიერთობას დანაშაულთა თავიდან აცილების გამო ანუ ურთიერთობას მართლზომიერი ქმედების გამო.**

დებულება, რომ სისხლის სამართალი აწესრიგებს ურთიერთობას მართლზომიერი ქმედების გამო, განპირობებულია სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის ადგილითაც. როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართალი მატერიალური სამართლის სისტემის დამამთავრებელი საფეხურია. **აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის ფარგლებში, შესაძლებელია მხოლოდ მართლზომიერი ქმედება.** როგორც კი დანაშაული იქნება ჩადენილი, მისი ჩამდენი პირი გადის სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში, სადაც დანაშაულის ჩამდენი პირი, ამ დანაშაულის გამო და ფარგლებში, არ არის ვალდებული გამოცხადდეს და არც უფლებამოსილია მიიმალოს.¹⁵³ **ამკარაა, რომ ამგვარ სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში მოქცეული პირის რაიმენაირი სამართლებრივი მდგომარეობა არ არსებობს და, მაშასადამე, მისი რაიმენაირი სამართლებრივი სახელდებაც შეუძლებელია.** სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართალი არ ადგენს, რის გამოც სისხლის სამართლის დოგმატიკას თუ მეცნიერებას დანაშაულის ჩადენა-არჩადენის გამო პირის სამართლებრივი მდგომარეობის გამომხატველი ტერმინები თუ ცნებები არ გააჩნიათ.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: რა საფუძვლით იყენებდნენ საბჭოთა და იყენებენ პოსტსაბჭოთა რუსეთში ისეთ ტერმინებს, როგორებიც არიან: „**დამნაშავე**“ „**დამნაშაულის სუბიექტი**“, ¹⁵⁴ „**დამნაშავის პიროვნება**“ ? ¹⁵⁵ გახსნა ცხადი არაა, რომ ამ ტერმინებს არანაირი სამართლებრივი საფუძველი არაა აქვთ? დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე „**დამნაშაული**“ არ არსებობს, ხოლო დანაშაულის ჩადენაში ოფიციალურად ბრალეულად ცნობილ პირს, თუ სასჯელი დაენიშნა, - მას „**მსჯავრდებული**“ ეწოდება და არა „**დამნაშავე**“, რადგან ოფიციალურად მსჯავრდებული პირი შეიძლება ფაქტობრივად უდანაშაულო აღმოჩნდეს. მაშასადამე, ტრადიციული ცნებები: „**დამნაშავე**“ „**დამნაშაულის სუბიექტი**“ თუ „**დამნაშავის პიროვნება**“ **სხვა არაფერია, თუ არა ქმედებაზე მოქმედის უნაშთოდ დაყვანა (რედუქცია), რაც იურიდიული აზროვნებისათვის უცხოა.** სამწუხაროდ, ტერმინი „**დამნაშავე**“ გვხვდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც. მაგალითად, 39-ე მუხლშიც, რომელშიც ლაპარაკია „**დამნაშავის**“ „**რესოციალიზაციაზე**“, **მაშინ, როცა აქ გამოყენებული უნდა იყოს ტერმინი „მსჯავრდებული.“** ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დანაშაულის ჩადენა-არჩადენასთან დაკავშირებით პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს არა სისხლის სამართალი, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. კერძოდ, „**ბრალდებული**“, „**გამართლებული**“ (თუ ბრალდებული სასამართლომ გაამართლა), „**მსჯავრდებული**“ - პროცესუალური ცნებებია. აქედან გამომდინარე, თუ დგება საკითხი, შესწავლილ იქნეს არა მარტო

152 Курс уголовного права, т. 1, М, 1999, стр. 3 ;

153 Уголовное право России, Общая часть, М. 2010, стр.

154 გ. ნაჭყებია, დეონტური ლოგიკა და სამართლებრივად თავისუფალი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში, „ ფილოსოფიური ძიებანი,“ ტ. მე-14, თბილისი, 2010, (გვ. 140-161).

155 მაგალითად, В. С, Орлов, Субъект преступления, М.1958

ქმედება, არამედ „მოქმედიც,“ მაშინ პროცესუალურად უნდა ვიყენებდეთ ტერმინს „ბრალდებულის“ თუ „მსჯავდებულის“ პიროვნება,“ გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების სფეროში კი, - „პატიმრის“ პიროვნება. **ცნობისათვის:** გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პრობლემა, დასმულიც კი არაა, რასაც ვერ დავეთანხმებით, მაგრამ, სამაგიეროდ, დანაშაულისა და მისი შემადგენლობის მკვეთრად გამიჯვნის გამო თავიდანაა აცილებული პიროვნების გადაფარვა დანაშაულით. კერძოდ, გერმანულ ენაზე „Tat“ არის ქმედება, ხოლო „Täter“- მოქმედი (ესე იგი „დამნაშავის“ თუ „უდანაშაულოს“ ტერმინოლოგიური გამოყენების გარეშე, რაც სწორი პოზიციაა).

ამრიგად, დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი გადაჰყავს სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ფარგლებს გარეთ, სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში, სადაც ამ პირის სამართლებრივი მდგომარეობის გამომხატველი არანაირი ტერმინი არ არსებობს. **ეს პირი ამ ვითარებაში არც „დამნაშავეა“ და არც „უდანაშაულო“.** სამწუხაროდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე ბატონობს ტერმინი „**უდანაშაულობის პრეზუმფცია**“, რომელიც ხშირად გადადის ხოლმე ერთი ნორმატიული აქტიდან მეორეში. კერძოდ, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტად უცვლელადაა გადმოტანილი საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 40-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, **„ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“** ე. წ. „უდანაშაულობის პრეზუმფცია,“ რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლშია გამომხატული, პირდაპირი ლოგიკური გზითაა გადატანილი საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 40-ე მუხლის პირველი პუნქტიდან. გამოდის, რომ ბრალდებული არაბრალეული კი არაა, არამედ „უდანაშაულოა.“ **ეს ნიშნავს, რომ ბრალდებული, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაშია მიცემული, უდანაშაულოა. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უდანაშაულო პირი მიგვიცია, ხოლო სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, დანაშაულია! განა ცხადი არაა, რომ ყველაფერი ეს მეცნიერება კი არაა, არამედ თავისებური აბსურდის თეატრია?** აქ ტერმინი „**მეცნიერება**“ შემთხვევით არ გამოგვიყენებია. მართლაც, ქართული ტრადიციული ტერმინოლოგიით ბრალდებული ან „**დამნაშავეა**,“ ან, პირიქით, „**უდანაშაულოა**“ თუ ბრალდებული „**დამნაშავეა**,“ მაშინ ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია ზედმეტია, საჭირო არაა! თუ, პირიქით, ბრალდებული „**უდანაშაულოა**,“ მაშინ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისი მიცემაა დანაშაული! გასაგები უნდა იყოს, რომ ამ ტრადიციული ტერმინების გამოყენება ქმნიან სერიოზულ პრობლემებს. გამოსავალი ამ ტრადიციული ტერმინების შეცლაში მდგომარეობს. ამ თვალსაზრისით მკითხველს შევახსენებთ, რომ რუსულ ენაზე ტერმინს „**Преступник**“ ხშირად იყენებენ, მაგრამ ქართული „**უდანაშაულოს**“ შესატყვისი ტერმინი რუსულ ენაზე არ არსებობს და ამიტომ იყენებენ ტერმინს „**Невиновный**“. როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელი ყოფილა, რადგან ბრალდებული, გამოძიების ეტაპზე, ჯერ კიდევ **არაბრალეულია.** ქართული ენის მოქნილობა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ, **ქართული ტრადიციული „დამნაშავე“ და „უდანაშაულო“ - წმინდა ფაქტის გამომხატველი, სოციოლოგისტური ტიპის ტერმინებია, რის გამოც საგამოძიებო- სასამართლო პრაქტიკის და მეცნიერების სფეროში იურიდიული თვალსაზრისით მათი გამოყენება შეუძლებელია.** ეს ის შემთხვევაა, როცა ხალხში გაბატონებული ყველა ბუნებრივი ლექსიკა მეცნიერების ენად ანუ ცნებად ვერ გარდაიქმნება! სამწუხარო კი, ისაა, რომ, როგორც ჩანს, დღემდე ვე-

რა და ვერ დავალწიეთ თავი ამ მართლაცდა „წყეული“ საკითხის ერთი ნორმატიული აქტიდან მეორეში უცვლელად გადატანას. ამ სტრიქონების ავტორს არაერთგზის უმტკიცებია, რომ ე. წ. **“უდანაშაულობის პრეზუმფცია“ იურიდიული აზროვნების წესისთვის არსებითად უცხოა**, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ამოდ გავისარჯეთ და დავისაჯეთ კიდევაც ერთი და იგივეს არაერთგზის მტკიცებით. ამ მიმართებით ყველა ჩვენი ნაშრომის მიმოხილვას აზრი არაა აქვს. დავასახელებთ მხოლოდ ერთს, რომელშიც ამ მიმართებით გამოთქმულია გარკვეული საკანონმდებლო წინადადებაც. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის პრინციპებს შორის მოქმედებს **კეთილსინდისიერების პრეზუმფციაც**, რომლის თანახმად, კანონმდებელი ვარაუდობს, რომ სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნას საზოგადოების ყოველი შერაცხუნარიანი წევრი კეთილსინდისიერად შეასრულებს. ამ ეთიკური სიმაღლიდან დანაშაულის ჩადენამდე პირის დაცემა იმდენად დაუფერებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება შეურაცხად პირს მიენერება. მაგრამ თუ აღმოჩნდა, **რომ ქმედების ეს საკანონმდებლო შემადგენლობა შერაცხადმა პირმა განახორციელა, მაშინ ივარაუდება, რომ ის მოქმედებდა არაბრალეულად.**¹⁵⁶

ამრიგად, აშკარაა, რომ გამოძიების ეტაპზე საქმე ეხება **„ბრალდებულის“** პროცესუალურ ფიგურას, რადგან ამ ეტაპზე ბრალდებულის ბრალი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **სავარაუდოა**. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, **„არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი“** (ხაზგასმა ჩვენია - გ . ნ.). აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბრალდებულის ბრალი კატეგორიული დასკვნის წესით უნდა იქნეს დადგენილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ფორმით დადასტურებული. თუ ეს ასეა, მაშინ გამოძიების სფეროში ბრალდებული „უდანაშაულო“ კი არაა, როგორ უკვე ითქვა, **არაბრალეულია. მაშასადამე, „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ კი არ არსებობს, არამედ „არაბრალეულობის პრეზუმფცია“**. აქედან არსებობს ერთი გამონაკლისი, როცა, პირიქით, საჭიროა **ბრალეულობის პრეზუმფცია**. კერძოდ, ზოგჯერ დღის წესრიგში დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან პირის გათავისუფლების პრობლემა, როცა ბრალის სასამართლო წესით დადგენა არ ხდება. მაშასადამე, ივარაუდება, რომ პირი ბრალეულია იმ ქმედების ჩადენაში, რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 თავის შესაბამისად, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვცადოთ, ჩამოვაცალიბოთ შემდეგი საკანონმდებლო წინადადება: **„ბრალდებულის, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, ჯერ კიდევ არაბრალეულად ივარაუდება, ვიდრე სასამართლო ამ ვარაუდს მისივე ბრალის დადგენით არ გააბათილებს და ბრალდებულის ეს ბრალი არ იქნება დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“**.

იმედია, საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლები ამ საკონსტიტუციო რანგის წინადადებას ამჯერად არ ნაუყრუებენ. ვფიქრობთ, ეს საკანონმდებლო წინადადება გადატანილ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილზეც, ხოლო ეს მუხლი შემდეგნაირად დასათაურდეს: **„არაბრალეულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია.“**

156 მაგალითად, კოლექტიური მონოგრაფია: *Личность преступника*, М. 1972

რეზიუმე

სტატიაში დასმულია ფილოსოფიური საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია თანაფარდობა ადამიანის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილ ქმედებას შორის. სისხლის სამართალი ქმედების სამართალიაო, - ამბობენ, თუმცა ქმედება „მოქმედის“ ნახელავია, ხოლო მოქმედი ნაწილობრივ ქმედებაში გამოვლინდება, მაგრამ მოქმედი თავის ქმედებაზე ყოველთვის მეტია და იგი თავის ქმედებაზე არ დაიყვანება. სამწუხაროდ, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის გაბატონებულია ტერმინები: „**დამნაშავე**“, „**დანაშაულის სუბიექტი**“, „**დამნაშავის პიროვნება**“, - როცა ცნობიერად თუ არაცნობიერად, დანაშაულიდან, როგორც ქმედებიდან, ხდება ამ ტერმინების ლოგიკური გამოყვანა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ქმედებაზე „მოქმედის“ ანუ დანაშაულზე მისი ჩამდები პირის, უნაშთო დაყვანა (რედუქცია). ამგვარი რამ, ესე იგი, დანაშაულით გადაფარვა მთელი პიროვნებისა, დაუშვებელია და ეწინააღმდეგება დანაშაულის ჩადენის შემდეგ შექმნილ სამართლებრივად თავისუფალ სივრცეს. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ფარგლებში, შესაძლებელია მხოლოდ მართლზომიერი ქმედება. დანაშაულის ჩადენას კი, მისი ჩამდენი პირი გაჰყავს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, ესე იგი, სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში. დანაშაულის ჩამდენი პირი, ამ დანაშაულის გამო და ფარგლებში, არ არის ვალდებული, გამოცხადდეს და არც უფლებამოსილია მიიმალოს. დანაშაულის ჩადენის გამო შექმნილ სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში პირის არანაირი სამართლებრივი მდგომარეობის გამომხატველი ტერმინი თუ ცნება არ არსებობს. ამ ვითარებაში პირი არც „**დამნაშავეა**“ და არც „**უდანაშაულო**“. სამწუხაროდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე ბატონობს ტერმინი „**უდანაშაულობის პრეზუმფცია**“. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი უცვლელადაა გადმოტანილი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, კონსტიტუციური კანონის პროექტის 31- მუხლის მე-5 პუნქტად. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ბრალდებული, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, „**უდანაშაულო**“ კი არაა, არამედ „**არაბრალეულია**“ ვიდრე მისი ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში არ იქნება დადგენილი სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით და არ იქნება დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. აქედან გამომდინარე, სტატიაში ჩამოყალიბებულია არაბრალეულობის პრეზუმფციის გამო საკანონმდებლო წინადადებაც.

RESUME

The paper refers to the philosophical issue whether what kind of co-relation is between a human and the action committed by him. It is said that a criminal law is the law on action, but the action is the work of “acting one”, and the acting one is partially revealed in the action, but the acting one is always more than his action and cannot be reduced to his action. Unfortunately, in the soviet and post-soviet legal literature the following terms are almost predominant: “guilty”, “subject of crime”, “personality of a guilty” – which consciously or unconsciously are unbalanced reducing “acting” or “the committing person” to “action” or “crime” (reduction). This is inadmissible and contradicts to legally free space, where the person committing a crime, due to this crime and within its framework, is not obliged, to appear and is not entitled to escape. There is no concept expressing the legal status of a person in the legally free space created due to committing a crime. In this situation, a person is neither “a lawbreaker” nor “a crimeless”. Unfortunately, in the Georgian legal literature, the term “assumption of innocence”

is till predominant. The first paragraph of article 40 of the effective constitution of Georgia is transferred without amendments as the fifth paragraph of article 31 of the new constitution of Georgia. The papers substantia test hat “an alleged offender” subject to the objective procedural situation, is not “crimeless” but is “not-a-fault” till his fault is not established in committing illegal action under the effective verdict of guilty. Hence, the legislative proposal due to assumption of innocence is formulated in the paper

РЕЗЮМЕ

В статье поставлен философский вопрос о том, каково соотношение между личностью человека и совершенным ею деянием? Говорят, что уголовное право – это право деяния, хотя деяние – это творение «Деятеля», которое как бы проявляет себя в своем деянии. Однако «Деятель», всегда больше и выше над своим деянием, и он никак не сводится к нему. К сожалению, в советской и постсоветской юридической литературе почти господствующими являются термины «**преступник**», «**субъект преступления**», «**личность преступника**», которые, сознательно или несознательно, представляют собой полным сведением Деятеля к своему деянию, когда Деятель как бы вполне перекрывается **„преступлением“**. Такая редукция Деятеля к деянию недопустимо. Дело в том, что в пределах уголовного права, как самостоятельной отрасли права, совершается только правомерное деяние. Совершение же преступления выводит лица, его совершившего, за рамки уголовно-правовые отношения с государством. Лицо, совершившее преступления, по поводу и в пределах данного деяния, не обязано явиться, но не вправе и скрыться. Но тогда здесь образуется пространство, которое является свободным от правового регулирования. Очевидно, что в этой области никак не могут образоваться какие-либо термины или понятия, которые могли бы выразить правовое положение лица, совершившего преступления. В этой ситуации указанное лицо нельзя именовать **«преступником»**, или **„невиновным“**. К сожалению, в грузинской юридической литературе и по настоящее время господствует термин «презумпция», **непреступности**. „Этот термин из первого пункта 40 статьи действующей Конституции Грузии без изменений переносится на пункт 5 ст. 31 проекта Конституционного закона Грузии „О внесении изменений в Конституции Грузии, „ тогда как речь должна идти о презумпции невиновности. Действительно, в статье говорится, что обвиняемый, согласно своему объективному процессуальному положению, **является невиновным до тех пор, пока его вина не будет установлена по доказательствам данного уголовного дела, и подтверждена вступившим в законную силу обвинительным приговором суда**. В статье предпринимается попытка дать законодательного предложения по усовершенствованию ст. 31 п. 5 в проекте упомянутого Конституционного закона Грузии.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ნაჭყეზია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, თბილისი, 2000;
2. გ. ნაჭყეზია, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა, „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები“, თინათინ წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული, თბილისი, 2006;
3. გ. ნაჭყეზია, ზოგიერთი საკანონმდებლო წინადადების მეთოდოლოგიური დასაბუ-

- თების პრობლემები, თბილისი, 2015;
4. გ. ლობჯანიძე, სამართლის ფილოსოფია, ორტომიანი გამოკვლევა, თბილისი, 2014;
 5. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011;
 6. გ. ნაჭყებია, სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ფილოსოფიის კატეგორია, „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. მე-17, თბილისი, 2013 ;
 7. გ. ნაჭყებია, დეონტური ლოგიკა და სამართლებრივად თავისუფალი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში, „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. მე-14, თბილისი, 2010;
 8. Н. А. Огурцов, Правоотношение и ответственность в советском уголовном праве, Рязань, 1976;
 9. Курс уголовного права, М. 1999;
 10. Уголовное право России, М. 2010 ;
 11. В. С. Орлов, Субъект преступления, М. 1958;
 12. Личность преступника, М. 1972 ;
 13. Философия права, М. 2015.

2. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ადევნებისათვის.

თორნიკე გვენეტაძე დოქტორანტი

ევროპის საბჭოს მიერ 2011 წლის 11 მაისს მიღებულ იქნა კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბულის კონვენცია). აღნიშნულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს. სარატიფიკაციო პროცედურების წარმატებით წარმართვისათვის კი საჭირო იყო საქართველოს კანონმდებლობის სტამბულის კონვენციის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. კანონპროექტის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევა, ქალთა მიმართ და ოჯახში გამოვლენილი ძალადობის ფაქტების აღკვეთა და პრევენცია, მსხვერპლის უფლებრივი სივრცის გაფართოება მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და სტამბულის კონვენციის რატიფიკაციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გამოხატული ნების შესაბამისად კონვენციით გათვალისწინებული საკითხების შესაბამის საკანონმდებლო აქტებში იმპლემენტაცია. კონვენციის 34-ე¹⁵⁷ მუხლი ითვალისწინებს ხელმომწერი მხარეების მიერ „ადევნების“ („Stalking“) კრიმინალიზაციის ვალდებულებას. მსგავსი შინაარსის ნორმას არ იცნობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და ცვლილებების თანახმად კოდექსს დაემატა მუხლი 151¹, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადევნებისთვის. ზემოაღნიშნულის საფუძველზე 2017 წლის 1 ივნისიდან სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები კერძოდ, დაემატა რამდენიმე მუხლი მათ შორის, 151¹ პრიმა მუხლი, რომელიც გახლავთ ადევნება. წინამდებარე სტატია ეთმობა აღნიშნული მუხლის განხილვას როგორც იურიდიული, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე ამ ქმედების კრიმინალიზაციის საკითხი და ის თუ რა ხარვეზები გვხვდება პრაქტიკაში.

¹⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151¹ მუხლი.

მუხლი 151¹. ადევნება

1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახვი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის,

– ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

1. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) ჯგუფურად;

გ) არაერთგზის;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.¹⁵⁸

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური ხელშეუხებლობა, მისი მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება. ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში და ისევე როგორც მუქარის დროს შეუძლებელია ამ დანაშაულის ჩადენა უმოქმედობით. დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი განზრახვითაც. თუ რაში გამოიხატოს ადევნება ამას თავად აკონკრეტებს ზემოაღნიშნული მუხლის დისპოზიცია. კერძოდ, უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი საშუალებით, რომელიც გამოიწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას.

პრაქტიკაში, დღევანდელ ქართულ რეალობაში ქმედების აღნიშნული მუხლით კვალიფიკაცია გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, არ არის ადვილი იმის მტკიცება ბრალდებულის ქმედებამ გამოიწვია თუ არა დაზარალებულში ისეთი გარდატეხა, რომ პირს მოუწია ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლა ან მისი შეცვლის რეალური საფრთხე დადგა. რიგი ქვეყნების პრაქტიკაში საჩუქრის გაგზავნაც კი თუ არასასურველი და სისტემატიურია, შეიძლება ჩაითვალოს ადევნებად. აღნიშნული შეიძლება საკამათო იყოს მაგრამ, როდესაც პირი ცდილობს სხვას თავი მოაწონოს, ამისათვის მან გაიგო მისი ტელეფონის ნომერი, თუნდაც მეგობრის მეშვეობით, ან დაკავშირება სცადა სოციალური ქსელის საშუალებით, ან თუნდაც გაუგზავნა საჩუქრები, ე.ი მისი მხრიდან ადვილი არა აქვს არანაირი დაშინების მცდელობას ან სხვა რაიმე საშიშ ქმედებას, თუმცა პირს არ სურს სხვა ადამიანისგან თუნდაც საჩუქარი, ჩაითვლება თუ არა ადევნებად? იმის ფონზე რომ ზოგჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთ მცდელობა საბოლოო ჯამში არცთუ იშვიათად დამთავრებულა ნებაყოფლობითი დაოჯახებით.

კიდევ ერთი მაგალითი: ერთი ადამიანი მოწონების გამო მეორეს მიჰყვება სახლამდე ტრანსპორტის მეშვეობით, შემდეგ გამობრუნდება უკან, გზაში ერთად არ სხედან, ხმას არ სცემს უბრალოდ დაჰყვება. მაგრამ ამას აქვს სისტემატიური ხასიათი, მოქმედებს პირის ფსიქიკაზე და არღვევს მისი ცხოვრების მყუდროებას. თუმცა მტკიცება იმისა, რომ მოწონების გამო ეს ადამიანი დაჰყვება სხვა ადამიანს საკმაოდ რთული

¹⁵⁸ მსხვერპლთა ნაციონალური ცენტრის ანგარიში, აშშ, 2002 წ.

იქნება, ასევე ადგილი ხომ არ გვაქვს, თავისუფალი გადაადგილების უფლების შელახვასთან, რადგანაც თითქოსდა ის ხომ არ არღვევდა სხვა პირის გადაადგილების უფლებას.

ასევე პრობლემურია თუ რა იგულისხმება სიტყვა სისტემატურში, რამდენჯერ უნდა ჩაიდინოს ბრალდებულმა ერთი და იგივე ქმედება, რომ მოხდეს აღნიშნული მუხლით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. „**პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს იწვევს**“ თუ პირველივე ქმედებამ გამოიწვია საფუძვლიანი შიში და მას სისტემატიური ხასიათი არ ჰქონდა რა ხდება ამ შემთხვევაში, დაკვალიფიცირდება თუ არა ქმედება განსახილველი მუხლით, თუ 151-ე მუხლით?.

ასევე პრობლემურია, ჩადენილი ქმედების 151¹ მუხლის მე-2 ნაწილით (ჯგუფურად) დაკვალიფიცირების საკითხი. მაგალითად, უნდა შეერაცხოს თუ არა ბრალად პირს აღნიშნული დანაშაული, თუ ის სხვას მიაწოდებს იმ ადამიანის საკონტაქტო ინფორმაციას ან სხვა რაიმე პირადი ცხოვრების შემცველ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება ადევნებისათვის. ამ შემთხვევაში თუ პირს გაცნობიერებული ექნება ყოველივე, საქმე გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობასთან, კერძოდ, ბრალდებულს უნდა შეერაცხოს როგორც 151¹, ასევე 157 მუხლით გათვალისწინებული ბრალეული ქმედება. სხვა შემთხვევაში მისი ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ 157 მუხლით „**პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა**“.

ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა არის ბრალდებულის მიზანი ამ ქმედების განხორციელებისას განსხვავებით მუქარისაგან, სადაც პირის მიზანია, რომ სხვა პირს გაუჩინდეს საფუძვლიანი შიში. ამ შემთხვევაში მიზანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ შიში, ასევე სხვადასხვა: სასიყვარულო ურთიერთობის სურვილი; ინტიმური ურთიერთობის სურვილი; შიშის აღძვრის სურვილი და სხვა.

ამ ქმედებისას მხოლოდ მსხვერპლის აღქმას ექცევა ყურადღება, ხოლო ბრალდებულის განზრახვას მნიშვნელობა არ გააჩნია. თუმცა როგორც ვხედავთ, ბრალდებულის თავდაპირველი მიზანი შეიძლება სულაც არ იყოს განზრახ ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია საქმე გვექონდეს სულ სხვა მიზნით ჩადენილ ქმედებასთან.

ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო, ადევნების მნიშვნელობაზე, საერთაშორისო პრაქტიკაზე და ასევე ამ დანაშაულის მსხვერპლთა ტიპებზე და თავად დამნაშავეებზე.

ადევნება არის - არასასურველი ყურადღება კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირის მიმართ. ადევნებითი მოქცევა დაკავშირებულია თვალთვალთან ან შეშინებასთან, შეავიწროვოს მსხვერპლი ან მართოს ის. ადევნების ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა გაგებით ფსიქიატრიაში და ფსიქოლოგიაში, ასევე იურისპრუდენციაში, როგორც სისხლის სამართლის ტერმინი.

აშშ-ს „მსხვერპლთა ნაციონალური ცენტრის“ 2002 წლის ანგარიშის თანახმად,¹⁵⁹ „პრაქტიკულად ნებისმიერი არასასურველი კონტაქტი ორ ადამიანს შორის, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გულისხმობს მუქარას ან უბიძგებს მსხვერპლს შეშინებისაკენ, შეიძლება ჩავთვალოთ თვალთვალად (ადევნებად)“ მაგრამ იურიდიულ პრაქტიკაში სტანდარტი ჩვეულებრივ ასეთი სიმკაცრით არ გამოიჩინება.

ადევნება/თვალთვალი ითვლება დასჯად ქმედებად რიგ ქვეყნებში. თუმცა, შეიძლება არსებობდეს ქმედებები, რომელიც ახლოს იყოს ადევნებასთან, მაგრამ იყოს კანონიერი. მაგალითად: ინფორმაციის შეგროვება, ვინმესთან დარეკვა, საჩუქრის გაგზავნა, ელ:ფოსტის ან სმს-ების გაგზავნა. ეს ქმედებები არაკანონიერია, როდესაც ისინი არღვევენ სამართლებრივად კონკრეტული პირის მყუდროებას მაგ: სმს გაგზავნა ჩვეულებისამებრ არ ჩაითვლება ადევნებად, მაგრამ ხდება არაკანონიერი მაშინ, როდესაც მეორდება ხშირად იმასთან ვისთვისაც არ არის სასურველი. მაგალითად,

159 THE DUTCH APPROACH TO STALKING LAWS <http://boalt.org/CCLR/v3/v3royakkers.PDF>

გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკაში რომ ჩაითვალოს ეს ქმედება კანონსაწინააღმდეგოდ უნდა განხორციელდეს ორჯერ მაინც, როდესაც უკვე ამდევნებელმა იცის, რომ მისი საქციელი მეორე მხარისთვის არასასურველია. მაგალითად: ორჯერ დარეკვა ტელეფონზე, ორჯერ საჩუქრის გაგზავნა და შემდეგ დარეკვა და ა.შ.

ქალთა მიმართ ძალადობის კანონში 2005 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შევიდა ცვლილება რომელშიც განმარტებულია, რომ „ადევნება ეს არის ზეგავლენა ქცევის განხორციელებაზე, კონკრეტულ პირის მიმართ, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გონიერ ადამიანში: ა) შიში მისი უსაფრთხოების ან სხვათა მიმართ; ბ) ან რომელიც განიცდის ემოციურ აშლილობას“. პიროვნებები, რომლებიც ახორციელებენ მსგავს ქმედებებს არ არის გამორიცხული გააჩნდეთ არარეალური რწმენა იმისა, რომ მეორე ადამიანს უყვარს იგი (ეროტომანია), ან განცდა იმისა, რომ მათ სჭირდებათ დახმარება. მათ შეუძლიათ გამოიყენონ მუქარა და ძალადობა, რათა შეაშინონ მსხვერპლი. მათ ასევე შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ვანდალიზმში ან მატერიალურ დაზიანებაში, ასევე ჩაიდინონ თავდასხმა, რომლის მიზანია შეშინება.

ლამბერ როიაკერსის სიტყვების თანახმად:

„ადევნება/თვალთვალი - ეს არის ფორმა ფსიქოლოგიური თავდასხმისა, სადაც დამნაშავე არაერთხელ, არასასურველად და დამანგრეველად ჩნდება მსხვერპლის ცხოვრებაში, რომელთანაც მას არანაირი კავშირი არ აქვს (ან აღარ აქვს). ამას გარდა, ცალკეული ქმედებები, რომლებიც ცალკე აღებული შეიძლება არ ჩაითვალოს ფსიქოლოგიურ ძალადობად, მაგრამ ერთიანობაში ქმნიდეს ამ საშიშროებას.“¹

არსებობს მსხვერპლის ტიპები:

- ყოფილი ახლობელი - მსხვერპლი, რომლებიც იყვნენ ინტიმურ ურთიერთობაში თავის ამდევნებელთან. ცნობილი ფსიქიატრები მიუღენი და პეიტი თავის ერთ-ერთ სტატიაში აღწერენ, როგორც „ყველაზე დიდ კატეგორიას, ყველაზე გავრცელებული ქალი მსხვერპლისთვის, რომელიც ურთიერთობდა მასთან (ქალთან ან კაცთან). ზემოაღნიშნული მსხვერპლი ხშირად ხვდება ძალადობის მსხვერპლი.
- შემთხვევითი ნაცნობი და მეგობარი: მსხვერპლთაშორის აქ ძირითადად მდებრობითი სქესია და შესაბამისად ამდევნებელი არის კაცი. ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ მეზობლის თვალთვალიც, რომელმაც შეიძლება ჯამში გამოიწვიოს საცხოვრებლის შეცვლა;
- პროფესიული კონტაქტი: მსხვერპლი, რომელთაც აედევნა პაციენტი, კლიენტი ან სტუდენტი, ვისთანაც ჰქონდა პროფესიული ურთიერთობა. ამ ნაწილში ადევნების ყველაზე მაღალი რისკის მქონე პროფესიებია: მედიცინის მუშაკი, მასწავლებელი ან იურისტი.
- კონტაქტი სამუშაო ადგილას: ამდევნებლები, როგორც წესი, აკითხავენ მსხვერპლს სამსახურში, რაც გულისხმობს, რომ ისინი არიან თანამშრომლები, მუშაკები, კლიენტები.
- უცხოები: ამ ტიპის მსხვერპლმა, როგორც წესი არ იცის, რომ მათ დაუწყეს თვალთვალი. აედევნენ მას, რადგან ამ ტიპის ამდევნებლები ჯერდებიან მხოლოდ შორიდან მათ ცქერას.
- ცნობილი პიროვნებები: აქ თავისთავად არის მსხვერპლის ტიპი, რომლებიც ხშირად ხვდებიან საინფორმაციო საშუალებებში.

რაც შეეხება ამდევნებლის სქესს, ეს ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენელია, თუმცა, რა თქმა უნდა, არის შემთხვევები როდესაც მსგავს ქმედებას სჩადის მდებრობითი სქესის წარმომადგენელი. ასევე არის შემთხვევა, როდესაც ამდევნებელი შეიძლება იყოს ქალი ქალის მიმართ და კაცი კაცის მიმართ.

ზემოთხსენებული ფსიქიატრი მიუღენის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში „ამდევნებლის შესწავლა“ პრაქტიკაში გვხვდება ამდევნებლების 5 ტიპი

- უარყოფილი ამდევნებელი - რომელიც ავინროვებს მის მსხვერპლს, ცდილობს გადააფიქრებინოს უარი პარტნიორს, გამოასწოროს შედეგი ან შური იძიოს უარის თქმის გამო) მაგ: გაყრა;
 - განრისხებული ამდევნებელი- ახდენს ვენდეტას მისი გრძნობებიდან გამომდინარე, რომელიც ცდილობს ამ ქმედებით დააშინოს ან გაანაწყენოს მსხვერპლი;
 - ინტიმური მაძიებლები - რომლებიც ცდილობენ დაამყარონ ინტიმური, სასიყვარულო ურთიერთობა მის მსხვერპლთან. ამ პირებს სჯერათ, რომ მათი მსხვერპლი არის სწორედ მისი სულის ნაწილი, რომელსაც დიდი ხანი ელოდა;
 - არასათანადო თაყვანისმცემელი - რომლებიც აძლევენ თავს უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ მის პარტნიორს უკვე სხვა პარტნიორი ჰყავს, მაინც დაამყაროს ინტიმური კავშირი;
 - მონადირე ამდევნებელი-რომლებიც უთვალთვალევენ მსხვერპლს, რათა მოემზადონ და დაგეგმონ თავდასხმა, როგორც წესი სექსუალური მიზნებისათვის
- კიბერადევნება** - კომპიუტერის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება, რათა გაიმარტივოს განზრახული ქმედების განხორციელება. ეს შეიძლება გამოხატული იყოს, როგორც კომპიუტერში შეღწევით, ასევე პირის სოციალურ ქსელში და ა.შ.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა

ნიდერლანდები¹⁶⁰

სისხლის სამართლის კოდექსის 285b მუხლი

„პირი, რომელიც არაკანონიერად, სისტემატიურად და განზრახ იჭრება სხვის პირად გარემოში, რომლის მიზანია აიძულოს პირი შეასრულოს რაიმე, ან არ შეასრულოს, აგრეთვე, აიტანოს რაიმე ან შეაშინოს. დაისჯება ადევნების გამო. სასჯელი გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე ან მეოთხე კატეგორიის ჯარიმით, დევნა იწყება მხოლოდ მაშინ, როცა პირს შემოტანილი აქვს განცხადება.

რუმინეთი:¹⁶¹

სისხლის სამართლის კოდექსის 208 მუხლი:

ადევნება არის ქმედება, როდესაც პირი არაერთხელ უთვალთვალევენ ამის უფლების გარეშე ან კანონიერი ინტერესის გარეშე, პირს ან მის სახლს, სამსახურეობრივ ადგილს ან სხვა ადგილს, სადაც მსხვერპლი ხშირად იმყოფება, რომელიც იწვევს შიშს.

სატელეფონო ზარების განხორციელება ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა, რომელიც ხდება ხშირად ან უწყვეტად და იწვევს შიშს მსხვერპლისათვის. დაისჯება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით.

სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მსხვერპლის მიერ საჩივრის შეტანის შემთხვევაში.

იაპონია¹⁶²

ძალზედ საინტერესოა იაპონიის მაგალითის განხილვა, თუ რამ განაპირობა იქ ადევნების მუხლის მიღება. ეს გახლავთ იაპონიაში გახმაურებული შიორო ინოს მკვლელობის საქმე. შიორო ინო გახლდათ 21 წლის გოგონა, მან გაიცნო ვინმე კაზუხიტო კომაძუ, რომელიც გახლდათ 26 წლის. ის მართავდა მასაჟების სალონის ქსელებს. ის ატყუებდა შიოროს რომ იყო 23 წლის პიროვნება, რომელიც ვაჭრობდა, ავტომობილებით, უძრავი ქონებით და ძვირფასი მეტალებით. რამდენიმე ხნის შემდეგ აღნიშნული პიროვნება შიოროს ჩუქნიდა ძვირფას საჩუქრებს, როგორცაა ლუის ვუტონის ჩანთა,

160 ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 285b

161 რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 208b.

162 იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი,

გუჩის ნაწარმს და როდესაც ის უარს ამბობდა ამ საჩუქრებზე უყვიროდა მას და უშვარი სიტყვებით მიმართავდა. მან ძალიან მალევე დაიწყო გოგონას სახლთან მისვლა, ხმაურის ატეხვა, როდესაც ინო შეეცადა გაეწყვიტა მასთან ურთიერთობა, კომაცუ ემუქრებოდა მას, მანამდე სანამ არ გააგრძელა მასთან ურთიერთობა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე, როდესაც შეეცადა კონტაქტის განწყვეტას, კომაცუ გადავიდა პირდაპირ მუქარაზე, დაემუქრება გოგოს ძმას, დედას და მამას. ამის შემდგომ შიორომ შეიტანა საჩივარი პოლიციაში, მაგრამ მათ არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. 1999 წლის 26 ოქტომბერს შიორო სახლიდან გავიდა, კაზუხიტო კომაცუს მიერ დაქირავებული პირი ვინმე კუბოტა მიუახლოვდა ინოს, და გაუყარა დანა ერთხელ ზურგში, როდესაც შიორო შემოტრიალდა, მან კიდევ დაარტყა გულის არეში, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

სწორედ აღნიშნული დაედო საფუძვლად პოლიციის უფროსის და სხვა მაღალ ჩინოსნების სამსახურიდან გათავისუფლებას, ისინი მხილებული იქნენ გულგრილობაში, ეს კონკრეტული შემთხვევა გახდა 2000 წელს ადევნების კრიმინალიზაციის საფუძველი. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი, სხვისი ცხოვრების მყუდროების დარღვევა.

რაც შეეხება ავსტრალიას¹⁶³ აღნიშნული ქმედება ზოგიერთ შტატში 10 წლამდე ისჯება, უფრო მეტიც, მნიშვნელობა არ აქვს დაზარალებულს რამდენად შეეშინდა თუ იტანჯება ბრალდებულის ქმედებისგან, აქ ყურადღება ექცევა იმას, თუ გონიერი ადამიანი რას იფიქრებდა.

როგორც ვხედავთ განსახილველი მუხლი, გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში და ძირითადად, როგორც ჩვენთან ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიაში გადის. თუმცა, შედარებით მსუბუქი სასჯელია გათვალისწინებული ვიდრე სხვა ქვეყნებში.

რეზიუმე

ევროპის საბჭოს მიერ 2011 წლის 11 მაისს მიღებულ იქნა კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბულის კონვენცია). აღნიშნულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს. კანონპროექტის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევა, ქალთა მიმართ და ოჯახში გამოვლენილი ძალადობის ფაქტების აღკვეთა და პრევენცია, მსხვერპლის უფლებრივი სივრცის გაფართოება.

RESUME

By the Council of Europe on May 11, 2011 was adopted convention about “PREVENTION AND SUPPRESSION OF VIOLENCE AGAINST WOMEN” (so called Istanbul Convention). This Convention was signed by Georgia on June 19, 2014. The main purpose of the draft law was to defeat challenges to the country, preventing and preventing the facts of violence against women and also family members and expansion of victim rights

РЕЗЮМЕ

Конвенция Совета Европы о предотвращении и борьбе с насилием в отношении женщин и домашним насилием (т.н. Стамбульская конвенция) была принята 11 мая 2011 года. Данную конвенцию Грузия подписала 19 июня 2014 года. Целью законопроекта является

¹⁶³ ავსტრალიის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი.

преодоление государством существующих вызовов, предотвращение и превенция фактов насилия в отношении женщин и домашнее насилие, расширение пространства по защите прав пострадавших.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროსაბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (ე.წ. სტამბულის კონვენცია);
2. სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 151¹ ;
3. სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 157;
4. აშშ „მსხვერპლთა ნაციონალური ცენტრის 2002 წლის ანგარიში;
5. ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 258b;
6. რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 208;
7. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი;
8. ავსტრალიის სისხლის სამართლის კოდექსი.

გამოყენებული ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://www.psychiatrictimes.com/articles/comprehensive-treatment-stalking-victims>
2. <https://www.gpo.gov/fdsys/pkg/BILLS-109hr3402enr/pdf/BILLS-109hr3402enr.pdf>
3. <http://boalt.org/CCLR/v3/v3royakkers.PDF>
4. <https://web.archive.org/web/20110606125128/http://search.japantimes.co.jp/cgi-bin/nn20060516b9.html>
5. <https://web.archive.org/web/20080630162447/http://search.japantimes.co.jp/cgi-bin/nn20051221a4.html>

3. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისათვის.

გიორგი მემარნიშვილი დოქტორანტი

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთიანი სახელმწიფო საზღვარი და მისი ხელყოფა დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომლის თანახმად ცალკე დანაშაულებრივ ქმედებადაა გამოცხადებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება, რომელიც ხელყოფს ქვეყნის საფინანსო საქმიანობას, მის ეკონომიკას და გამოიხატება საქართველოს სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან ფარულად სხვადასხვა სახის მოძრავი ნივთების გადატან – გადმოტანაში და მეორე, – ქმედება რომლითაც ირღვევა საქართველოს მმართველობის წესი და ხდება საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა¹⁶⁴.

ორივე ამ ქმედების დედაზრი გარკვეულად დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთასთან. მაგრამ, მათი იურიდიული შემადგენლობა არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან. სწორედ ამიტომაც, რომ სახელმწიფო საზღ-

¹⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 214- არსებული რედაქცია

ვარზე საბაჟო წესების დარღვევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოთავსებულია საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა ოცდამეცხედ [28-ე] თავში. მეორე, – სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა კი მოთავსებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ „მმართველობის წესის წინააღმდეგ“ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებათა მეორე მოცე [40-ე] თავში.

ზემოაღნიშნული ამ ორი სახის დანაშაულებრივი ქმედებებიდან მოცემულ ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ საქართველოს საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთების საბაჟო კონტროლს გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადატან – გადმოტანასთან დაკავშირებული წესების დარღვევის პასუხისმგებლობის ზოგიერთ საკითხზე. ამასთან მოცემული თემის ძირითადი საკითხების უშუალო განხილვამდე მინდა აღვნიშნო, რომ იურიდიულ ლიტერატურაში და კანონმდებლობაში სახელმწიფო საბაჟო საზღვრის ცნება ერთნაირი სახელწოდებით არაა გაგებული და გადმოცემული.

მაგალითად, საგადასახადო კანონმდებლობა „საბაჟო საზღვრის“ მაგიერ ამკვიდრებს „ეკონომიკური საზღვრის ცნებას“ და იქვე იხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნას გაგებული ეკონომიკური საზღვრის ცნებაში. ამისდა შესაბამისად, ეკონომიკური საზღვრის ასპექტებშია განხილული „საბაჟო საზღვრის“ დარღვევის საკითხები ავტორთა კოლექტივის მიერ 2014 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოში¹⁶⁵. სისხლის სამართლის კოდექსის 214 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დასათაურებულია სახელწოდებით: „საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა“¹⁶⁶.

მეცნიერულ საკვლევ ნაშრომში ავტორის საკუთარი აზროვნების ჩამოყალიბება – განვითარება, უდაოდ მისაღები და მოსაწონია, მაგრამ სახელმძღვანელოში სსკ 214 –ე მუხლის სახელწოდების თვითნებური შეცვლა და „საბაჟო საზღვრის“ მაგიერ მისი მოხსენიება „ეკონომიკური საზღვრის“ სახელწოდებით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ჩემი აზრით, არასწორია თუნდაც იმიტომ, რომ კანონი საერთოდ კი არ კრძალავს სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გადატან – გადმოტანას, არამედ ამას იგი კრძალავს იმის გამო რომ მისი გადატან – გადმოტანა მოხდა საბაჟო საზღვარზე არსებული კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად და ამით გარკვეული ზიანი მიადგა საფინანსო საქმიანობასა და ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი „საბაჟო საზღვრის“ შეცვლა „ეკონომიკური საზღვრის“ სახელწოდებით, არასწორია.

სახელმწიფო საზღვრის ცნება მეტად ფართოა და მასში შეიძლება იყოს სხვადასხვა სახელწოდების მქონე რამდენიმე საბაჟო საზღვარი, როგორც ეს საქართველოს რეალურ სინამდვილეშია. სახელმწიფო საზღვარი მოიცავს არა მარტო ხმელეთის გარკვეულ მონაკვეთს, არამედ მოცემული სახელმწიფოს საჰაერო და საზღვაო ნაწილსაც.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214 –ე მუხლი, იურიდიული თვალთახედვით, მეტად რთული და მრავალფეროვანია. იგი შედგება ექვსი ნაწილისა და ოთხი პუნქტისაგან. მოცემული მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციისაში საკმაოდ სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საბაჟო საზღვრის დარღვევად და ასეთად მიჩნეულია:

„საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, საბაჟო

165 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 344- არსებული რედაქცია

166 ავტორთა კოლექტივი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელო“ 2014, გვ. 546.

დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით¹⁶⁷“.

მოცემული მუხლის ამ პირველი ნაწილის ესეთი რედაქცია აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მისი ხელყოფის ძირითადი ობიექტია ქვეყნის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის ინტერესები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214 – ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების რედაქციით კი ამ დანაშაულებრივი ქმედების ხელყოფის ობიექტთა წრე კიდევ უფრო იზრდება და იგი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი უშიშროების, მოსახლეობის ჯანმრთელობის, ეკოლოგიის, კულტურული საქმიანობისა და სხვა მთელი რიგი ალტერნატიული სახის ხელყოფის ინტერესები, იმისდა მიხედვით, თუ თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებული რა სახის საგნები და ობიექტები იყო საბაჟო საზღვრის წესების დარღვევით გადატანილი ან გადმოტანილი.

ამისდა შესაბამისადაც შეიძლება დავეყოს საბაჟო საზღვარზე დადგენილი წესების დარღვევით გადასატან – გადმოსატანი საგნებისა და ობიექტების წრე შემდეგ ორ ძირითად ჯგუფად: 1. **თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული** მოძრავი საგნებისა და ობიექტების სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე კანონით დადგენილი საბაჟო წესების დარღვევით გადატან – გადმოტანა და, 2. **თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული** მოძრავი საგნებისა და ობიექტების სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე კანონით დადგენილი წესების დარღვევით გადატანა ან გადმოტანა.

მხედველობიდან არ შეიძლება გამოგვრჩეს ისიც, რომ სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული მოძრავი საგნებისა და ობიექტების გადატანა ან გადმოტანა, კანონით დადგენილი საბაჟო წესების დარღვევით, სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლის პირველი ნაწილით ისჯება მხოლოდ მაშინ, თუ გადატანილი ან გადმოტანილი საგნის საბაჟო ღირებულება აღემატება კანონით დადგენილი დიდი ოდენობის ზღვარს. დიდ ოდენობად კი მოცემული მუხლის შენიშვნის მეორე პუნქტის თანახმად, სამალავით ან საქართველოს საბაჟო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გზით საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანილი ნივთისათვის დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს ხუთი ათას ლარს. განსაკუთრებით დიდ ოდენობად კი ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს თხუთმეტი ათას ლარს.

მაშასადამე, სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით მოძრავი ნივთის გადამტანი ან გადმომტანი პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგება მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ გადატანილი ან გადმოტანილი საგნის საბაჟო ღირებულება აღემატება ხუთი ათას [5000] ლარს და ასეთ შემთხვევაში პირს შეიძლება შეეფარდოს ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ხუთ წლამდე. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჩადენილი ქმედებისათვის კი, როცა საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადატანილი ან გადმოტანილი საქონელი ღირებულება აღემატება თხუთმეტი ათას [15000] ლარს და ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირს შეიძლება შეეფარდოს ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე ვადით.

როგორც ქვემოთ დავინახავთ კიდევ უფრო მკაცრი სასჯელებია დანესებული მოცემული მუხლის მეექვსე ნაწილში მითითებულ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქმედებებისათვის.

ობიექტური მხრივ სახელმწიფო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით მოძრავი საგნებისა და ობიექტების [საქონლის] გადატანა ან შემოტანა შეიძლება ჩადენილი იქნეს: 1. საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად; 2. დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით; 3. საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით .

1. საბაჟო კონტროლად მიჩნეული სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საბაჟო

167 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 214- არსებული რედაქცია

განყოფილებაში მომუშავე მაკონტროლებელ პირთა წრე და შემოსავლების სამსახურის მიერ ცალკეული საკონტროლო შესამონმეხელი მოქმედებების განხორციელება. საბაჟო კონტროლის გვერდის ავლა კი ნიშნავს სახელმწიფო საზღვარზე, საქონლის საზღვარზე საბაჟო ადმინისტრაციული ცენტრიდან სხვა ფარული გზებით გადატანას. საბაჟო კონტროლისაგან მალულად გატანა კი ნიშნავს ტრანსპორტსა და სხვა საშუალებებში სპეციალურად მოწყობილი სამალავებით საქონლის გადატანას. ცნობილია, რომ ამავე მიზნით ქალები და მამაკაცები თავიანთი სხეულის ბუნებრივი მონაცემების [სასქესო ორგანოებისა და სხვა ხვრელების] გამოყენებასაც არ ერიდებიან. განსაკუთრებით ძვირად ღირებული მცირე მოცულობის საგნებისა და ნარკოტიკული საშუალებების გადასატანად ან გადმოსატანად და სხვ.;

2. დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენება კი ნიშნავს სპეციალურად დამზადებული ყალბი დოკუმენტით ან ნებისდამრთველ სხვა დოკუმენტში არასწორი მონაცემების შეტანით საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანას ან გადმოტანას;

3. საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანაში კი იგულისხმება დეკლარაციაში, საზღვარზე გადასატანი ან გადმოსატანი ნამდვილი რეალური საქონლის ნაცვლად სხვა შედარებით ნაკლები ღირებულების ან მცირე მნიშვნელობის მქონე სახეობის ნებადართული საქონლის შეტანას.

სუბიექტური მხრივ სახელმწიფო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით მოძრავი ნივთებისა და ობიექტების გადატანა ან გადმოტანა შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანას ან გადმოტანას

ამგვარი შემთხვევები არცთუ ისე იშვიათად გვხვდება საბაჟო პრაქტიკის საქმიანობაში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ერთ – ერთი კუროზული შემთხვევა, როცა სარფის საბაჟოზე დაკავებულ ორ მანდილოსანს სასქესო ორგანოში მოთავსებული პრეზერვატივით საქართველოდან გადაჰქონდათ თითოს ერთ კილოზე მეტი წვრილად დამტვრეული ოქროს ნატეხები და სხვ.

მოცემული მუხლის ამ მესამე ნაწილში დასახელებული ყველა ზემოაღნიშნული სახის ქმედების ჩადენა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე .

სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

როგორც ვხედავთ, კანონის ამ მუხლის მეოთხე ნაწილში ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელების დროს დაშვებული საბაჟო წესების დარღვევისათვის კიდევ უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული და ეს ბუნებრივიცაა, რადგან აქ ჩამოთვლილი ქმედებების ჩადენით გარკვეული ზიანი ადგება არა მარტო საფინანსო და ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობას, არამედ საზოგადოებრივ საშიშროებას, მის უსაფრთხოებას, კულტურულ მემკვიდრეობას და ხელყოფის სხვა ობიექტებს და ზოგჯერ შეიძლება საჭიროც გახდეს ჩადენილი ქმედების ამსახველი მუხლებით ერთობლივი კვალიფიკაცია.

სისხლის სამართლის კოდექსის 214 – ე მუხლის მეხუთე ნაწილში მოცემულია ამ მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებათა დამამძიმებელი გარემოებები და ასეთად მიჩნეულია: ჩადენილი ქმედების არაერთგზისობა; ჩადენილი ქმედება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ქმედება ჩადენილი საბაჟო კონტროლის განმახორციელებელის მიმართ ძალადობით; აგრეთვე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ამ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ზემოაღნიშნული ქმედებები ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერთმეტ წლამდე .

კიდევ უფრო საშიშადაა მიჩნეული და მომეტებულად მკაცრად, – თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება მოცემული მუხლს მეექვსე ნაწილში მითითებულ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი 214 –ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული – ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედება.

რეზიუმე

დოქტორანტ გიორგი მემარნიშვილის ნაშრომში, – „პასუხისმგებლობა სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისათვის“, – საკმაოდ დეტალურადაა განხილული და გადმოცემული მოცემული სახის დანაშაულთან ბრძოლის არსი, მნიშვნელობა, მისი იურიდიული შემადგენლობა და დასჯადობის საკითხები. ცალკეულ სადაო საკითხებზე ავტორი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს.

RESUME

The article of Doctor Giorgi Mazanashvili - “Responsibility for violation of the rules on movement of goods at the customs border of the state”, - there is discussed clearly the essence and significance of the fight against the type of crime, the importance of its legal composition and the issue of judgments. The author expresses its views on separate issues.

РЕЗЮМЕ

В работе докторанта Георги Мемарнишвили, - «Ответственность за нарушение правил связанной с перенесением имущества на государственной таможенной границе», - детально рассмотрены и переданы сущность и значение борьбы с этим преступлением, его юридический состав и вопросы наказуемости. По отдельным спорным вопросам автор высказывает свое мнение.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2017;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 2017;
3. პროფესორ შოთა ფაფიაშვილის რედაქციით გამოცემული თამაზ დონჯაშვილის სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ. 2002;
4. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 1, თბ., 2014;

5. შოთა ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა. [განსაკუთრებული ნაწილი], სახელმძღვანელო, თბ., 2013;
6. გურამ ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010;
7. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 2, თბ., 2005;

4. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებულ დანაშაულთა სისხლის სამართლებრივი დახასიათება.

მამუკა ეგუტიძე დოქტორანტი

სახელმწიფო საზღვრის არსებობა და ამ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. სახელმწიფო ხელისუფლება იწყება საზღვრიდან, რომელიც ადგენს სახელმწიფო სუვერენიტეტის არეალს, რომლის ჩარჩოებშიც სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ სახელმწიფო უსაფრთხოებას.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი გივი ლობჯანიძე ამ საკითხის ირგვლივ აღნიშნავს: „სახელმწიფოს აქვს მკაცრად ლოკალიზებული ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება მისი სუვერენული ძალაუფლება, მასზე მცხოვრები მოსახლეობა კი იქცევა სახელმწიფოს ქვეშევრდომებად ან მოქალაქეებად, ამგვარად წარმოიქმნება სახელმწიფოს სივრცითი საზღვრები.“¹⁶⁸ სახელმწიფოს საზღვარი არის საზღვარი ორ ან რამოდენიმე სახელმწიფოს შორის, ან მარტივად სახელმწიფოს ტერიტორიის განმსაზღვრელი ხაზი.

სახელმწიფოს საზღვრის ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაცია ბოგსის კლასიფიკაციაა, რომლის მიხედვითაც ჯგუფდება ფიზიოგრაფიული, როცა საზღვრები მიჰყვება ტერიტორიის გამოკვეთილ ფიზიკურ ნიშნებს: მდინარეებს, ტბებს, მთებს და სხვა. ანთროპოგრაფიული მიჰყვება ადამიანის ხელით შექმნილ ნიშნებს, გეომეტრიული საზღვარი მიჰყვება გრძელსა და განედს, ხოლო კომპლექსური წარმოადგენს ზემოაღნიშნულის ნაერთს.

სახელმწიფოთა შორის საზღვრები, როგორც წესი დგინდება ურთიერთშეთანხმებით ასეთ შემთხვევაში საზღვრად შეიძლება დადგინდეს იქნეს ამ სახელმწიფოთა შორის ნებისმიერი ადგილი. მაგალითად აშშ-სა და კანადას შორის საზღვარი ქალაქ დურბში საცხოვრებელ კვარტალში გადის მათ შორის, საოპერო თეატრსა და ბიბლიოთეკაზე. ხოლო ნიდერლანდებისა და ბელგიას შორის საზღვარი დასახლება ბარელში ერთ კაფეში მყოფი საზოგადოების ნაწილს ბელგიაში ხოლო მეორეს ნიდერლანდებში ამყოფებს, რადგან ამ კაფეს კვეთს.

ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავის იურისდიქციას. რომელიც ტერიტორიის საზღვრებითაა შემოფარგლული, ეს ხელისუფლება ვრცელდება ყველა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირსა და ორგანიზაციაზე, ყოველი უცხოელი მიუხედავად მისი მოქალაქეობისა ამ ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ექცევა მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ.¹⁶⁹

168 გივი ლობჯანიძე „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“, გამომცემლობა „მანდარინის სტამბა“ ქუთაისი 2009 წელი გვ. 100.

169 პროფესორი ლევან ალექსიძე თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომცემლობა ინოვაცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დადგენილია, როგორც კონსტიტუციის ასევე საკანონმდებლო აქტების და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.¹⁷⁰

სახელმწიფო საზღვრის სტატუსს, სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დადგენისა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოს ხმელეთზე, შიდა და ტერიტორიულ წყლებში (ტერიტორიულ ზღვაში), საჰაერო სივრცეში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე არეგულირებს საქართველოს კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ. დასახელებული კანონის შესაბამისად (მუხლი 41-ე) „პირს რომელმაც დაარღვია ან ცდილობდა დაერღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, წესის დარღვევით გაიარა ან ცდილობდა გაევილო სასაზღვრო გამტარი პუნქტი, გაიტანა ან ცდილობდა გაეტანა ტვირთი, მასალა დოკუმენტები და სხვა საგნები, ანდა სხვაგვარად დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონმდებლობა ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“¹⁷¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საზღვართან მიმართებით ჩადენილ დანაშაულად განიხილავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთას. სახელმწიფოს საზღვრის უკანონოდ შეცვლას, საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევას, სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დარღვევას და სხვა.

სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთას და სახელმწიფო საზღვრის უკანონო შეცვლას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განიხილავს მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

პროფესორი ზ მჭავანაძე აღნიშნულს ასე ხსნის: საქართველოს „სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საზოგადოებრივი გაერთიანებისა და მათი წარმომადგენლების ხელყოფა ხელს უშლის მათი კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელებას, რითაც არსებითად ზიანდება მმართველობითი წესრიგი, ამიტომ კანონმდებელმა შეარჩია ამ სისტემის განსაკუთრებული ობიექტები, რომელთა საშიში შეხება ითვლება მმართველობით წესის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად“¹⁷²

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსით საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა (მუხლი 332-ე) განთავსებულია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის და განვევის მობილიზაციის თავში. ხოლო განზრახი ქმედება საზღვრების უკანონო შეცვლის მიზნით და ასეთის დაფინანსება (მუხლები 110-ე 110²-ე) განთავსებულია სახელმწიფო საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში¹⁷³

ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსი აღნიშნულ დანაშაულებს (283-ე 284-ე მუხლები) განიხილავს ასევე მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა XXII თავში¹⁷⁴ მიმაჩნია, რომ აღნიშნულით უკრაინის კანონმდებლობა მეტ დატვირთვას აძლევს ამ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლას.

თბილისი 2010 წელი, გვ 41.

170 საქართველოს კონსტიტუცია საკანონმდებლო მაცნე 2017 წლის ათი აგვისტოს მდგომარეობით <https://matsne.gov.ge/>.

171 საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ 2017 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/>.

172 ზ მჭავანაძე სისხლის სამართალი გვ 534-535 გამომცემლობა ქ.ს.ე. ქუთაისი 2000წელი

173 უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი 23.03.2007წლის მდგომარეობით <http://meget.kiev.ua/kodeks/ugolovniy-kodeks/>

174 ლიტვის სისხლის სამართლის კოდექსი 10.09,2017 წლის მდგომარეობით http://www.pravo.lv/likumi/07_uz.html

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაში გულისხმობს დამნაშავეს სახელმწიფო საზღვარზე ფაქტობრივ გადაადგილებას ნებისმიერი ხერხით, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს საზღვრის გადაკვეთა ხდება საქართველოში შემოსვლისა თუ გასვლის მიზნით. მთავარია ეს ქმედება არღვევდეს საზღვარზე გადაადგილების კანონით დადგენილ წესს და ხდებოდეს უკანონოდ. კანონი ამ ქმედების ჩადენას ჯგუფურად, ასევე ძალადობით და მუქარით განიხილავს დამამძიმებელ გარემოებად.

საზღვრის უკანონო გადაკვეთა, საზღვარზე ჩადენილ დანაშაულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია, საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის სტატისტიკის მონაცემებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე (გარდა სასაზღვრო გამტარი პუნქტისა) სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის და ასეთით სსკ-ს 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 49 შემთხვევა დაფიქსირდა 2013 წელს. 2014 წელს დაფიქსირდა 47 შემთხვევა, 2015 წელს 60 შემთხვევა 2016 წელს 25 შემთხვევაა დაფიქსირებული.¹⁷⁵

ტერორიზმის საფრთხიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2014 წელს დაემატა და ცალკე დანაშაულად აღირიცხა (მუხლი 323²) ტერორისტულ საქმიანობის განხორციელების მომზადების, ან ამგვარ საქმიანობაში ან ტერორისტულ წვრთნაში მონაწილეობის მიზნით საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობა და შესაბამისად გაიზარდა ამ ქმედებისთვის დაწესებული სასჯელიც.

საქართველოს ტერიტორიათა ნაწილის ოკუპაციის პირობებში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცალკე (მუხლი 322¹-ე) განიხილავს საქართველოს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არ მქონე პირის შესვლას. ეს ქმედება ჩადენილი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით განიხილება, როგორც სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება. განსხვავებით საზღვრის უკანონო გადაკვეთისგან აქ დანაშაულის სუბიექტი მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია.

საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა დანაშაულად ჩაითვლება თუ პირი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. ე.ი. პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და სურს შედეგის დადგომა. კანონის უგულვებელყოფით გადაკვეთის საზღვარი, დაუდევრობის ან თვითიმედოვნების შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობა არ იარსებებს. დანაშაული დამთავრებულად ითვლება სახელმწიფო საზღვრის ფაქტიურად გადაკვეთის მომენტიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენი. პირის მიმართ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის სსკ-ს მე-19 და 347-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დამნაშავედ ცნობის ფაქტზე და მიუთითა, რომ მართალია მოქ. პ. რ. დააკავეს საზღვრიდან 55 მეტრის დაცილებით 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში, მაგრამ ვერ დადგინდა ბრალდებულის მხრიდან განზრახი ქმედების ჩადენის ფაქტი რის გამოც იგი გამართლდა.¹⁷⁶

ადამიანით ვაჭრობა, ანუ ტრეფიკინგი დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი შემამოფრთხილებელი დანაშაულია, ეს არის ადამიანთა თანამედროვე ეპოქაში მონობა. ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან, სექსუალური ექსპლუატაციის, იძულებითი შრომისა და ცალკეულ შემთხვევებში ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის მსხვერპლნი, ტრეფიკინ-

175 საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის ვებ-გვერდი <http://bpg.gov.ge/ge/>

176 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის სასამართლო კოლეგიის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება № 480აპ-16 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

გის მსხვერპლი ხდება ადამიანი, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყავთ მონობის მიზნით. შესაბამისად, ეს დანაშაული არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას კერძოდ, თავისუფლების უფლებას. ტრეფიკინგს თან სდევს ისეთი მძიმე დანაშაულობანი, როგორცაა ცემა, წამება, გაუპატიურება, უკანონოდ თავისუფლების შეზღუდვა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და სხვა. ტრეფიკინგის პირველ ეტაპზე როგორც წესი ხდება მსხვერპლის გადაბირება მოტყუებით ან ძალადობით, მეორე ეტაპზე კი ხდება მსხვერპლის სახელმწიფო საზღვარზე გადაყვანა კანონიერი თუ უკანონო გზით, რათა მიღწეული იქნას ძირითადი მიზანი ტრეფიკინგის მსხვერპლის გამოყენება ან გაყიდვა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით. მსხვერპლის სახელმწიფო საზღვარზე გადაყვანა ამ დანაშაულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, გადაყვანა შეიძლება განხორციელდეს, როგორც სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის გზით ასევე მოტყუების შედეგად მსხვერპლს შესაძლოა საზღვარი გადააკვეთონ კანონიერად ყველა სამართლებრივი პროცედურის დაცვით. ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (143¹-ე, 143²-ე, 143³-ე მუხლები) დეტალურად განსაზღვრავენ აღნიშნული დანაშაულის დისპოზიციას და აწესებენ შესაბამის სანქციას. მათ შორის ისეთი კომპონენტის გათვალისწინებით, როგორცაა მსხვერპლის სახელმწიფო საზღვარზე გადაყვანა. სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა, მაგრამ ტრეფიკინგის მსხვერპლის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად

დამნაშავედ არ ჩაითვლება საქართველოში გადმოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, ან თუ პირმა აღნიშნული ქმედება ჩაიდინა ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის გამო ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

კოდექსი ცალკე რეჟიმს ადგენს მიგრანტის სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის შემთხვევაში (მუხლი 344¹) რითაც იცავს არამხოლოდ კანონით დადგენილ სასაზღვრო რეჟიმს, არამედ ასევე იცავს მიგრანტთა უფლებებსა და თავისუფლებებსაც.

სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა 2006 წლიდან და ამის საფუძველი იყო საქართველოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები. ჩრდილოელი მეზობლის აგრესიული პოლიტიკა. „თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ადგილზე აღინიშნება თვალსაჩინო სასაზღვრო ნიშნებით, რომელთა ზომას, ფორმას, განლაგებას, თანმიმდევრობას განსაზღვრავს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“. სახელმწიფო საზღვრის უკანონო შეცვლაში იგულისხმება თუნდაც ერთი სასაზღვრო ნიშნის გადაადგება ამოღება ან განადგურება.“¹⁷⁷

სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 345-ე) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლის დამამძიმებელ გარემოებებზე განიხილავს ასეთი დანაშაულის ჩადენას ჯგუფურად, ძალადობით ან ძალადობის მუქარით, არაერთგზის და რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია.

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია განზრახი ქმედება ჩადენილი საზღვრების უკანონოდ შეცვლის მიზნით (მუხლი 110-ე) და ცალკე დანაშაულად არის გამოყოფილი აღნიშნული ქმედების დაფინანსება (მუხლი 110²)

რამდენადაც საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებულია და საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდება მცოცავი ოკუპაცია საჭიროდ მიგვაჩნია ქარ-

177 პროფესორები მ. ლეკვიშვილი, გ. მამულაშვილი, დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ გვ. 179-180 გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2002 წელი

თულმა კანონმდებლობამ ასევე განიხილოს საზღვრის შეცვლის დაფინანსება ცალკე დანაშაულად და დაადგინოს შესაბამისი სასჯელი.

რეზიუმე

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამომწურავად განსაზღვრავს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებულ დანაშაულთა კატეგორიებს და აწესებს რა შესაბამის სასჯელს იცავს სახელმწიფოს და მის საზღვრებს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, რითაც იცავს სახელმწიფო უშიშროებას.

სისხლის სამართლის კოდექსში ტერმინი ოკუპირებული მიზანშეწონილია შეიცვალოს სიტყვებით დროებით ოკუპირებული რამდენადაც ამ ტერიტორიათა დეოკუპაცია გარდუვალია.

RESUME

The Criminal Law of Georgia comprehensively determines the categories of crimes related to the illegal crossing of the State Border and establishing the appropriate penalties protects the state and its borders from criminal infringement, by the mentioned it is protecting state security.

In the Criminal Code the term occupied is appropriate to be changed with words temporarily occupied as far as deoccupation of these territories is inevitable.

РЕЗЮМЕ

Уголовное законодательство Грузии исчерпывающе определяет категорию преступлений, связанных с незаконным пересечением государственной границы, и устанавливает, какое надлежащее наказание защищает государство и его границы от преступного вторжения, тем самым защищая государственную безопасность.

В Уголовном кодексе термин «оккупированный» целесообразно заменить словами «временно оккупированный», поскольку деокупация этих территорий неизбежна.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია 24. 08. 1995 წლის კანონი 2017 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით <https://matsne.gov.ge/> ;
2. საქართველოს კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ 27.07.1998 წლის კანონი 2017 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით <https://matsne.gov.ge/>;
3. გივი ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა მანდარიას სტამბა;
4. ზ. მჭავანაძე, სისხლის სამართალი, გამომცემლობა ქ.ს.უ ქ. ქუთაისი 2000 წელი;
5. ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომცემლობა „ინოვაცია“ თბილისი 2010 წელი;
6. პროფესორები მ. ლეკვეიშვილი, გ მამულაშვილი, დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, გვ. 179-180 გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2002 წელი;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის სასამართლო კოლეგიის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება № 480აპ-16 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>;

8. საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის ვებგვერდი <http://bpg.gov.ge/ge/>;
9. უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი 5.04.2001 წლის კანონი 23.03.2017 მდგომარეობით <http://meget.kiev.ua/kodeks/ugolovniy-kodeks/> ლიტვის სისხლის სამართლის კოდექსი http://www.kniga.com/books/preview_txt.asp?sku=ebooks351542

1. ბრალდებული, მსჯავრდებული თუ დამნაშავე ?!

ირაკლი გაბისონია
პროფესორი.

ჯემალ გაბელია
პროფესორი.

სასჯელის დანიშვნა მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც ეფუძნება „დამსახურებული სასჯელის თეორიას“, რომლის თანახმადაც ბრალდებულს უნდა დაეკისროს ის სასჯელი, რაც მან დაიმსახურა, ცხადია, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით.

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით შეინიშნება ორმაგი მიდგომა: სასჯელთა რიცხვის ზრდასთან ერთად დადგინდა შემდეგი წესი: მოსამართლე სასჯელის გამოტანამდე ვალდებულია გაეცნოს ბრალდებულის პირად საქმეს, მის ოჯახურ და სოციალურ გარემოს, ხასიათს, ოჯახურ მდგომარეობას, განათლებასა და პროფესიას, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას¹⁷⁸. რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: მაგალითად, ბრალდებულის ოჯახს ერთადერთი მარჩენალი ჰყავს მოხუცი მშობლები, არასრულწლოვანი შვილები და ა.შ. ან ბრალდებული სისტემატურად ლოთობს, სცემს ოჯახის წევრებს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვების აღზრდაზე, არ მუშაობს და ფლანგავს ოჯახის ქონებას და ა.შ.¹⁷⁹ სწორედ ზემოაღნიშნულ ფაქტორთა ანალიზით, თითოეულ გარემოებათა გათვალისწინებით გახდება შესაძლებელი ქმედების სწორი კვალიფიკაცია და სამართლიანი სასჯელის დადგენა.

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ ბრალდებულისათვის სასჯელის შეფარდებისას დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ზუსტად განსაზღვრა წინაპირობაა სამართლიანი სასჯელის დანიშვნისა.

მართალია, სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით პროცედურებზე ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები. თუმცა, „სასჯელის განსაზღვრა სამართლის პრეროგატივაა, მაგრამ სამართლიანი სასამართლოს გარანტია მოითხოვს, რომ სასჯელი, განსაკუთრებით გარკვეული კატეგორიის სასჯელები ისეთივე სტანდარტით იყოს დაზუსტებული, რაც სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების შემთხვევაში არის მოთხოვნილი¹⁸⁰.

სავსებით სამართლიანად მიუთითებს კევინ ჰიუ, რომ გამოყენებული სასჯელის დასაბუთება რთულია. აუცილებელია, იმ ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომლებიც

178 ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), ქართული თარგმანის რედაქცია თედო ნინიძე, 1999 გვ:418-425.

179 Курс уголовного права, том 2, обшая часть, учение о наказании, м, 2002, с.91

180 კევინ ჰიუ, ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის მხარდაჭერა, ექსპერტი, სახელმძღვანელო წინადადებები, თბ. 2015, გვ.377.

მხედველობაში იქნა მიღებული ჯეროვანი სასჯელის შერჩევისას, ასევე, თუ როგორი წონა მიენიჭათ ამ ფაქტებს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ დებულებას, რომ სისხლის სამართლის კანონში შეუძლებელია ყველა იმ გარემოების ზუსტად განსაზღვრა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს სასჯელის შეფარდებას, რათა იგი სამართლიანი იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია დაადგინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის ყველა ის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასჯელის სახესა და ზომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა კანონის მოთხოვნა სამართლიანი სასჯელის დანიშვნის თაობაზე.¹⁸¹ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლო ვალდებულია დაადგინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის ყველა ის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება. ამაში მას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა დაადგინოს არა დამნაშავის, არამედ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, თუკი ბრალდებული მოიხსენიება, როგორც დამნაშავე, მაშინ გამოდის, რომ მას სასჯელი დანიშნული აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დამნაშავე ვერ იქნება, სხვა საკითხია, თუ რამდენად იურიდიული ტერმინია სიტყვა „დამნაშავე“. თუმცა, ტერმინი „დამნაშავე“ გამოხატავს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო სისხლის სამართალი კი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ ადგენს. აღნიშნულს ადგენს სისხლის სამართლის პროცესი, რომლის თანახმადაც პირის სამართლებრივი სტატუსია: ბრალდებული და მსჯავრდებული, აქედან გამომდინარე, ტერმინი „დამნაშავე“ არაიურიდიული ტერმინია, იგი სოციოლოგიური მნიშვნელობისაა.

სასჯელი სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებაა, რომლის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია, რადგან სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს¹⁸². აქაც ანალოგიური შეცდომაა დაშვებული. უკეთესი იქნება, საუბარი იყოს არა დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნაზე, არამედ დანაშაულებრივ ქმედების ჩადენაში ბრალდებულ პირზე.

ამასთან დაკავშირებით, შედარებით მართებულია პროფესორ თ. დონჯაშვილის მოსაზრება. სახელმწიფო თავის უფლებას, გამოიყენოს სასჯელი, ახორციელებს სასამართლოს მეშვეობით. მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით დაუნიშნოს სასჯელი ჩადენილი დანაშაულისთვის იმ პირს, რომლის ბრალეულობაც დამამძიმებელი იქნება სასამართლო პროცესზე¹⁸³

როდესაც სასჯელის სახესა და ზომაზეა საუბარი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: სასჯელის ის სახე და ზომა, რომელიც ბრალდებულს შეეფარდება, არის თუ არა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების პროპორციული. ე.ი. გასათვალისწინებელია დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე და ამის საფუძველზე უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული: რა სახის და რა ზომის სასჯელი შეეფარდოს ბრალდებულს. დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის გათვალისწინება პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად აუცილებელია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თვალსაზრისით, „ნებისმიერი არაპროპორციული სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მაშინ, როდესაც ამისათვის საფუძველი არ არსებობს საერთოდ, ან როდესაც პასუხისმგებლობის ზომა დისპროპორციულია ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან, არღვევს პირის თავისუფლების უფლებას“¹⁸⁴.

181 ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ, 2001, გვ.37.

182 Ткаченко В И Общие начала наказания "Российская юстиция" 1997, №1, С 12-13

183 თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ, 2007, გვ. 362.

184 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილე-

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ სასამართლოები სასჯელის დანიშვნისას ან საერთოდ არ უთითებენ შემამსუბუქებელი და დამამძიმებელ გარემოებებს, მხოლოდ მშრალად ჩამოთვლიან, ან უთითებენ, მაგალითად, რომ დამნაშავეს აქვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და რაში გამოიხატება იგი დასაბუთებული არ არის¹⁸⁵. კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ სასამართლო ვალდებულია დაადგინოს არა დამნაშავეს, არამედ ბრალდებულის ყველა ის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასჯელის სახესა და ზომაზე. მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში დაკონკრეტებული არ არის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რაც ერთის მხრივ მეტ თავისუფლებას ანიჭებს მოსამართლეს სასჯელის დანიშვნისას. თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მოსამართლემ მშრალად მიუთითოს მხოლოდ და არ დაასაბუთოს რაში გამოიხატება იგი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი, მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, პირის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით- ქურდობა ჩადენილი არაერთგზის. ნასამართლობის მითითება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად დაუშვებელია, ვინაიდან, არაერთგზისობა დანაშაულის ნიშანია.

თუ მოსამართლემ ქმედების შემადგენლობის ნიშანი ქმედების კვალიფიკაციის და ასევე სასჯელის დანიშვნის დროსაც (ორჯერ) გაითვალისწინა, ადგილი ექნება დამნაშავეს არამართლობიერ დასჯას, ვინაიდან, ერთი ნიშნის ორჯერ შეფასება აუცილებლად მოახდენს გავლენას სასჯელის ზომაზე¹⁸⁶.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეცდომები ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს, გავლენას ახდენს სასჯელის დანიშვნაზე. უფრო მეტიც, ქმედების არასწორი კვალიფიკაცია არღვევს როგორც კანონიერების, ისე სამართლიანობის, პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებს.

ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე სასამართლო პრაქტიკიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენით, პ.დ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის). სასამართლომ პ.დ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განაჩენში მიუთითა მისი ნასამართლობა¹⁸⁷. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ნასამართლობის გამო დაკვალიფიცირდა მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის). შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში არაერთგზისობა არის დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი და იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ვინაიდან, პ. დ-ს ქმედება დაკვალიფიცირდება არაერთგზის ჩადენილ ყაჩაღობად, რადგან იგი წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის იყო ნასამართლევნი და ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა, სასამართლოს მისი ნასამართლობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არ უნდა მიეჩნია. სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები.

ბა, 104-ე პუნქტი.

185 ო. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ, 2015, გვ. 189.

186 თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ, 2016, გვ.622.

187 ო, ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ, 2016, გვ.191.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაპროპორციული სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, პირველ რიგში, იგი დაკავშირებულია ქმედებისა და სასჯელის პროპორციულობასთან. პირმა უნდა მიიღოს ის, რაც მან კანონით აკრძალული ქმედების განხორციელების შედეგად დაიმსახურა. სასამართლომ პირს სასჯელი უნდა შეუფარდოს ჩადენილი ქმედების პროპორციულად¹⁸⁸ ქმედების არასწორი კვალიფიკაციის შედეგად ბრალდებულისთვის სასჯელის არასწორად დაკისრება და ამით, ყველაფერთან ერთად სასჯელის სამართლიანობასა და ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევა არცთუ იშვიათია საქართველოს საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რამდენადაც ქვემოთ მითითებული ნორმის არასწორად გაგება და, აქედან გამომდინარე, არასწორი კვალიფიკაცია ხშირად გვხვდება, პირველი ინსტანციის და შემდგომ კი სააპელაციო სასამართლოებში, სამწუხაროდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს არასწორ გადაწყვეტილებას. სააპელაციო სასამართლოები კანონიერად თვლის, ქმედების სწორ კვალიფიკაციად მიიჩნევს.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან კვალიფიკაციის სწორად შეფარდებასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა დ.მ-ეს ბრალდებულის საქმე, რომლის შინაარსი გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის 17 მაისს, ღამით, დაახლოებით პირველ საათზე, დ.მ-ემ ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის ტერიტორიაზე, - უბანში, მკვრივი, ბლაგვი საგნის გამოყენებით სიცოცხლისათვის საშიფათო დაზიანებები მიაყენა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის - უბნის უფროს რეინჯერ მ.ა-ეს, მის სამსახურეობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მიღებული დაზიანებების შედეგად მ.ა-ეს ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულებრივი კვალის დაფარვისა და მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, იმავე ღამეს დ.მ-ემ მ.ა-ის გვამი გადაიტანა საფეხმავლო გზიდან მოშორებით, რალა იგი შეუმჩნეველი ყოფილიყო სხვა პირთათვის.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ დ.მ-მ, იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში-მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. მ-ემ და მისმა ადვოკატმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 1 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ.მ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 მაისის განაჩენის გაუქმებას და გამართლებას. ადვოკატი კი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ არც ერთი მტკიცებულება არათუ პირდაპირ, არამედ ირიბადაც კი არ ადასტურებს დ.მ.-ს შემხებლობას მ.ა-ს მკვლელობასთან, სააპელაციო სასამართლომ დ.მ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მაქსიმუმ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით.

გარდა აღნიშნულისა, კასატორები აღნიშნავენ, რომ დ.მ-ე ფაქტობრივად 2012 წლის 18 მაისს, 21 საათზე, მიიყვანეს ხარაგაულის პოლიციაში და ამის შემდეგ მას შეზღუდული ჰქონდა თავისუფლად გადაადგილების საშუალება, რაც, საქართველოს სსსკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირის დაკავებას ნიშნავს, კანონის თანახმად დ.ე-ს ბრალი უნდა წარდგენოდა 2012 წლის 20 მაისს, რის გამოც, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, თუნდაც კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ.მ-ე და მისი ადვოკატი ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულის გამართ-
188 ო, მინდაძე, გ. მინდაძე, სასჯელალსრულებითი სამართალი, ქუთაისი, 2008, გვ. 106.

ლებას.

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებული დ.მ-ესა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მსჯავრდებულ დ.ე-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტიდან (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით) უნდა დაკვალიფიცირდეს 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება, დ.მ.ე-ს მიერ განზრახ მკვლელობის ფაქტი. ამ მიმართებით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ გაკეთებული დასკვნა წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს და არ ეფუძნება მტკიცებულებათა ერთობლიობას, მაშინ, როდესაც საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვისათვის აუცილებელია დადგინდეს პირის განზრახვა, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაკენ და მოტივი, რომ აღნიშნულს ის აკეთებს მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. განზრახვის დაუდგენლობა თავისთავად გამორიცხავს მოტივს და, შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ფაქტი იმის შესახებ, რომ დ.მ.ე-მ გაუფრთხილებლობით მოუსპო სიცოცხლე მ.ა - ეს (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით გადაიტანა გვამი კლდის პირას, რათა მოეწყო უბედური შემთხვევის იმიტაცია.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

დ.მ.-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში. დ.ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთით¹⁸⁹.

ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა ქმედების არასწორ კვალიფიკაციას მოჰყვა არასამართლიანი სასჯელის დანიშვნა. ასეთი ხასიათის შეცდომები არცთუ იშვიათად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში, რაც საბოლოოდ აისახება სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებში.

189 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #104, პ-13, 25 დეკემბერი, 2013

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს, ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და როგორ უნდა განისაზღვროს სასჯელი, როდესაც სახეზეა ერთი მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა დამამძიმებელი გარემოება, სამწუხაროდ, აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მიდგომა როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში.

მართებულად მსჯელობს მ. ტურავა, იგი წერს: „სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება. იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის ორი - მე-2 და მე-3 ნაწილებით, მსჯავრდებულს (ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით ბრალდებულს ჩადენილი ქმედებისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი და არა ცალ-ცალკე სასჯელი მე-2 და მე-3 ნაწილებით¹⁹⁰. ამასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მიდგომა, როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა, თუმცა რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ძარცვა ერთი დანაშაულია.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისს განაჩენით, გ.თ. ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის). 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელი განესაზღვრა დანაშაულთა ერთობლიობის სასამართლომ გ.თ-ს ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და შესაბამისად სასჯელიც არასწორად დანიშნა. სასამართლოს გ.თ-სთვის სასჯელი უნდა დაენიშნა მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი მოიცავს ამავე მუხლის მე-3 და მე-2 ნაწილებს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის ყველა ნაწილი, მათ შორის, მე-4 ნაწილიც იწყება სიტყვებით: იგივე ქმედება ჩადენილი „შესაბამისად აღნიშნული მუხლის ყოველი შემდგარი ნაწილი მოიცავს წინა ნაწილს“.

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ზოგადი ნორმაა, რომელიც ქურდობის ყველა შემთხვევას მოიცავს. რაც შეეხება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ნორმებს, ისინი სპეციალური შემთხვევებია. ამიტომ აქ საკითხი „ზოგადი და სპეციალური ნორმების“ ურთიერთობის წესის მიხედვით უნდა გადაწყდეს¹⁹¹.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის შედგენილი სახელმძღვანელო რეკომენდაციებისა და წინადადებებში (სისხლის სამართლის სასამართლო პრობლემატურ საკითხებზე) მითითებულია, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც მოიცავს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის რამდენიმე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, უნდა დაკვალიფიცირდეს და სასჯელი განისაზღვროს 177-ე მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით¹⁹².

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედების არასწორმა კვალიფიკაციამ გამოიწვია ის, რომ გ.თ-ს სასჯელიც არასწორად დაენიშნა დანაშაულთა ერთობლიობით.

უნდა დავეთანხმოთ პროფესორ ნ. თოდუას, რომელიც სამართლიანად უთითებს ყოველი შემდგომი დამამძიმებელი გარემოება შთანთქავს ყველა წინას და არა მარტო პირველ ნაწილის, როგორც ძირითად შემადგენლობას. ამიტომაც ქმედების კვალიფიკაცია ნაწილების ერთობლიობით არაა საჭირო თუმცა, ბრალდების ფორმირებაში უნ-

190 მ.ტურავა, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ, 2004, გვ.38

191 ო, გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ, 2005, გვ.140.

192 სახელმძღვანელო რეკომენდაციები და წინადადებები, სისხლის სამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბ, 2007, გვ.15.

და დაფიქსირდეს უკლებლივ ყველა მაკვალიფიცირებელი გარემოება¹⁹³. ამავე პოზიციას აფიქსირებს პროფესორი მზია ლეკვიშვილი სასჯელის დანიშვნის საკითხზე. იგი მიუთითებს, რომ სასჯელის ზომა, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი ქმედებას და სწორედ ამ აზრით, ქმედება წარმოადგენს მთავარ (თუმცა არაა ერთადერთ) საფუძველს სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას. ეს დასკვნა, ლოგიკური დასაბუთების გარდა, შეესაბამება სასჯელის სამართლიანობას, საზოგადოებრივ სამართალშეგნებას, რომლის ნაწილიც მოსამართლის მართლშეგნებაა¹⁹⁴

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი პოზიცია, ტერმინ „დამნაშავესთან“ დაკავშირებით და უნდა დავეთანხმო პროფესორ ოთარ გამყრელიძეს იმაში, რომ სისხლის სამართალი 29-ე მუხლში, არასწორადაა ნახსენები სიტყვა „დამნაშავე“, როდესაც კანონმდებელი საუბრობს „დამნაშავის შეპყრობაზე“.

ტერმინი „დამნაშავის შეპყრობა“ პირობითია, რადგან „დამნაშავე“ არის ადამიანი, რომლის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი. შემპყრობმა კი შეიძლება არ იცოდეს, რომ შეპყრობილს ნამდვილად მიუძღვის ბრალი ჩადენილ უმართლობაში. შეიძლება შეიპყრან მცირეწლოვანი, ფსიქიკურად დაავადებული ან სხვა გარემოების გამო შეურაცხი და ეს შემპყრობისათვის არ იყოს ცნობილი შეპყრობის დროს. ამიტომ „დამნაშავის შეპყრობის“ ნაცვლად სასურველია გამოვიყენოთ ტერმინი „სამართლდამრღვევის შეპყრობა“. ყოველ შემთხვევაში, შემპყრობს არ მოეთხოვება იმის ცოდნა, რომ შეპყრობილი ნამდვილად დამნაშავეა, რომ მას ბრალი მიუძღვის უმართლობის ჩადენაში. შემპყრობმა უნდა იცოდეს, რომ მან შეიპყრო სამართლდამრღვევი, სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩამდენი. უფრო ზუსტად, პროცესუალური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ ეს ეჭვმიტანილის დაკავებაა, თუმცა ეს ტერმინიც პირობითია¹⁹⁵

ასევე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილში არასწორად არის მითითებული სიტყვა „დამნაშავე“, ვინაიდან, დამნაშავე არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 77-ე მუხლის მე-2 ნაწილი საუბრობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე. სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებებაში მოცემულ პირს დამნაშავე კი არა, ბრალდებული ეწოდება.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში დეტალურად არის განხილული სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, ასევე კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც გამოკვეთილია საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები. ქმედების არასწორი კვალიფიკაციის საფუძველზე სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევის ფაქტები.

რეზიუმე

ნაშრომში დეტალურად არის განხილული სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, ასევე კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც გამოკვეთილია საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები. ქმედების არასწორი კვალიფიკაციის საფუძველზე სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევის ფაქტები.

193 ნ. თოდუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეგნების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბ, 2012, გვ.329.

194 არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობით ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ, 2011, გვ.52.

195 ო, გამყრელიძე- სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, გვ: 306-307.

RESUME

The article reviews detailed legislative regulations regarding the appointment of sentencing, as well as concrete examples from the court practice where the deficiencies of legislative and judicial practice are outlined. The facts of violation of the principle of individuation of sentence on the basis of incorrect qualification of the action.

РЕЗЮМЕ

В документе рассматриваются подробные законодательные положения, касающиеся назначения приговоров, а также конкретные примеры судебной практики, в которых изложены недостатки законодательной и судебной практики. Факты нарушения принципа индивидуализации предложения на основании неправильной квалификации действия.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი(ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან)თბ, 2002.
2. Курс уголовного права, том 2, обшая часть, учение о наказании, м, 2002,
3. კევინ ჰიუ, ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის მხარდაჭერა საქართველოში“, ექსპერტი, სახელმძღვანელო წინადადებები, თბ. 2015,
4. ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ, 2001,
5. Ткаченко В И Общие начала наказания “Россиская юстиция “ 1997, №1
6. ო. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბ, 2015 ,
7. თ.ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ, 2016,
8. ო, მინდაძე, გ. მინდაძე, სასჯელალსრულებითი სამართალი, ქუთაისი, 2008,
9. მ.ტურავა, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ, 2004,
10. ო, გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ, 2005,
11. ნ. თოდუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წიგნში: „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეგნების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბ, 2012,
12. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობით ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ, 2011,
13. სახელმძღვანელო რეკომენდაციები და წინადადებები, სისხლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბ, 2007,
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება, 104-ე პუნქტი.
15. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #104, პ-13, 25 დეკემბერი, 2013,

2. გამოძიებისა და მედიატექნოლოგიების ურთიერთობის პრობლემატიკა გამოძიების სტადიაზე.

მიხეილ მამნიაშვილი
პროფესორი,
გიმზერ ალანია
პროფესორი,

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებას ითვალისწინებს, მყარ გარანტიას ქმნის იმისათვის, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში დაცული იქნეს არა მარტო პროცესის მონაწილეთა, არამედ ზოგადად, ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებათა რეალიზაციაში მხოლოდ სასამართლო ორგანოების საქმიანობა არ იგულისხმება, რადგანაც საქმის სასამართლოში განხილვას წინ უსწრებს ისეთი მნიშვნელოვანი სტადიები, როგორცაა გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და თვით განაჩენის აღსრულება, ამიტომაც, თუკი საქმის სასამართლოში განხილვამდე, კერძოდ, გამოძიების ანდა სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიაზე დაირღვა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, მოპოვებული იქნა ისეთი სახის მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი, თავის უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო სასამართლოში საქმის ობიექტურ და სრულ განხილვაზე, არამედ უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლო განაჩენის დადგენის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს.

ამდენად, როგორც ვხედავთ, გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი (სტადიების სახით) უკავიათ და მათ კანონშესაბამის წარმოების სამართალწარმოების პროცესში არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

კონვენციის მე-6 მუხლის ცალკეული დებულებები პრინციპების სახით ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეულ მუხლებში, როგორცაა უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფცია (სსსკ მე-5 მუხლი), სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება (სსსკ მე-8 მუხლი), მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა (სსსკ მე-9 მუხლი) და ა.შ., რომელთა განუხრელად შესრულება ზოგადად სავალდებულოა სამართალწარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტებისთვის.

ვიდრე უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანს შევეხებით, უმჯობესია მოკლედ გადმოვცეთ ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში გათვალისწინებული გამოძიების თავისებურებები, რის შემდეგაც უფრო ადვილად გასაგები გახდება ჩვენი თვალსაზრისი აღნიშნულ პრობლემატიკაზე.

გამოძიება, როგორც ეს საქართველოს სსსკ მე-3 მუხლის მე-10 ნაწილიდან ჩანს, არის უფლებამოსილი პირის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება, ხოლო საქართველოს სსსკ მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს, ამდენად, კანონმდებელი ავალდებულებს საგამომძიებო ორგანოებს, რომელთა ჩამო-

ნათვალის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლშია ასახული და ესენია: იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის გამოძიებლების დანაშაულის შესახებ მიღებული შეტყობინებებისთანავე დაიწყონ გამოძიება, ანუ ჩაატარონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, ანუ როდესაც დადგინდება ის პირი, რომელმაც ეს ქმედება ჩაიდინა, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეს უფლება აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება (სსსკ მე-3 მუხლი), ამასთანავე, საპროცესო კანონმდებლობამ ბრალდებულს უფლება მიანიჭა დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება.

ამდენად, როგორც დავრწმუნდით, საპროცესო კოდექსმა გამოძიებისა და საგამოძიებო ორგანოთა სისტემის მიმართულებაში, ერთის მხრივ, გაითვალისწინა საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმპერატიული დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიება განეკუთვნება სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას, რადგანაც სსსკ 34-ე მუხლით განისაზღვრება იმ საგამოძიებო დანაყოფების ჩამონათვალი, რომლებიც გამოძიებას ერთიან, სახელმწიფო სისტემას ქმნის, თუმცა, მეორეს მხრივ, გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილება მიანიჭა რა ბრალდებულს და მის ადვოკატს (სსსკ 38. მე-7 მუხლი), წინააღმდეგობაში აღმოჩნდა საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ მითითებული მუხლის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იმ რეგულაციასთან, რომლითაც გამოძიება სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქართველი კანონმდებელი ყოველნაირად ცდილობს სამართალწარმოების პროცესში დაამკვიდროს ინგლისურ-ამერიკული სამართლის მოდელის მსგავსი „წმინდა შეჯიბრებითობის“ ტიპის პროცესი, რა მიზნითაც საპროცესო კოდექსში თავდაპირველად პრინციპის სახით აღიარებს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას (სსსკ მე-9 მუხლი), შემდგომ ცალკეულ მუხლებში მკვეთრად ხაზგასმული მხარეთა თანასწორობის ცალკეული ასპექტები, კერძოდ, იმის შესახებ, რომ ბრალდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება (სსსკ 38-ე მუხ.) საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინება გამოიტანოს, შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მხარეთა იურიდიული თანასწორობა სრულიადაც არ ნიშნავს მათ ფაქტობრივ თანასწორობას.

იურიდიული თანასწორობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო ფაქტობრივი თანასწორობა ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდის, უბრალოდ წარმოუდგენლად მიგვაჩნია; „თანასწორობისა და შეჯი-

ბრეზიტოების პროცესი, - აღნიშნავს შტეფან ტრექსელი, - მოწოდებულია იმისკენ, რომ მხარეები ჩაებნენ სამართლებრივ დავაში¹⁹⁶ და ამიტომაც ისეთი პირობების არსებობისას, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიაზე მოწინააღმდეგე მხარეებად გვევლინებიან, დაცვის მხრიდან ბრალდებული, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არასამქონებელია და მისი ადვოკატი ალბათ ძალიან ძნელია დაუპირისპირდეს და აჯობოს ბრალდების მხარეს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროკურორი და გამომძიებელი, ასევე მათ გვერდით მდგომი ოპერატიული სამსახური, რომლებიც აღჭურვილნი არიან თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და ამასთანავე, ფლობენ სპეციალურ ცოდნას, კიდევ მეტი, მხოლოდ ბრალდების მხარის ექსკლუზიური უფლებაა ჩაატარონ ფარული და კომპიუტერული საგამომძიებო მოქმედებები, გადაუდებელი აუცილებლობით საგამომძიებო მოქმედებებით, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, ფლობს იმის უფლებამოსილებასაც, რომ მართონ სასამართლოს შუამდგომლობით, ცალკეული სუბიექტების მიმართ გამოიყენოს საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები (მიყვანა, დაკავება, დაპატიმრება და ა.შ.), რომელთა ჩატარების უფლება დაცვის მხარეს არ გააჩნია.

უფრო მეტიც, კანონი ბრალდების მხარეს არ ავალდებულებს უკვე მოპოვებული გამამართლებელი მტკიცებულებების უპირობოდ გადაცემასაც კი დაცვის მხარისათვის, კერძოდ, საქართველოს სსსკ მზ-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების

მხარისათვის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები, ანუ მოყვანილი ტექსტის შინაარსი ცხადყოფს, რომ თუ არ იქნება დაცვის მხარის მოთხოვნა, კანონი ბრალდების მხარეს არ ავალდებულებს მოწინააღმდეგე მხარისათვის გამამართლებელი მტკიცებულებების გადაცემას, რაც კოდექსის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში საგამომძიებო ორგანოები იწყებენ გამოძიებას, ატარებენ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საგამომძიებო მოქმედებებს, ხოლო როდესაც დადგინდება ის პირი, რომელიც იმხილება ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში და მას სამართალდამცავი ორგანოები დააკავებენ, ან თუ არ დააკავეს, ის მიეცა ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში, პროკურორი იწყებს მასზე მინიჭებული დისკრეციული სისხლისსამართლებრივ დევნას და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნული სტადიიდან იწყება შეჯიბრებითობის პროცესი, მხარეები (ბრალდება, დაცვა) მათთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში იწყებენ გამოძიებას და ცდილობენ შეკრიბონ მათთვის სასარგებლო მტკიცებულებები

გამომძიებისა და სისხლისსამართლებრივი სტადიების დაწყებისთანავე ყურნალისტები და მასმედიის სხვა წარმომადგენლები ერთვებიან და ცდილობენ მხარეებისაგან მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მომხდარი დანაშაულის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც მედიატექნოლოგიების საშუალებით ასაჯაროებენ; როგორც წესი, უფრო მეტ ინფორმაციას დაცვის მხარისაგან იღებენ, უფრო ხშირად ადვოკატების საგაზეთო თუ ტელე-ინტერვიუების საშუალებით, რაც შეეხება ბრალდების მხარეს, რომლებიც სახელმწიფო უფლებამოსილებით სარგებლობენ, აქვთ დაცვითი ვალდებულება, სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, აღკვეთოს მასმედიის მხრიდან პირის წინასწარ დამადანაშაულებელი კამპანიები,¹⁹⁷ ამასთანავე, პროკურორები ფრთხილად და სკრუპულოზუ-

196 შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010, გვ. 108-109.

197 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Viorel Burzo V. ROU, განაცხადი 77103/01, 156 პუნქტი.

რად უნდა შეეცადნენ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვამ არ დაარღვიოს მასმედიის სიტყვის თავისუფლად გამოხატვის უფლება.

ბრალდების მხარე, ასევე სხვა საჯარო მოხელეები ვალდებული არიან, თავი შეიკავონ გამოძიების მიმდინარეობისას პირის მიმართ ყოველგვარი წინასწარი დამადანაშაულებელი გამონათქვამებისაგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეალურად, გამოძიებით, ანუ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების უფლებით ორივე მონინაალმდეგე მხარე სარგებლობს. ამიტომაც ბუნებრივია, მასმედიის წარმომადგენლები ცდილობენ მათგან ინფორმაციის მიღებას და შემდგომ გასაჯაროებას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი პირობების არსებობისას ბრალდების მხარე არც თუ იშვიათად არღვევს „თმენის ვალდებულებას“, რაც იმას გულისხმობს, რომ ასაჯაროებენ გამოძიების არა მარტო საიდუმლოებას, არამედ ცალკეულ შემთხვევაში არ ერიდებიან ბრალდების წინააღმდეგ დამადანაშაულებელ გამონათქვამებსაც. ამკარად არასწორი პრაქტიკის დანერგვა უფრო საშიშია მაშინ, როდესაც ამა თუ იმ კატეგორიის საქმეთა განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ექვემდებარება, რადგანაც ტელევიზიითა და მედიატექნოლოგიების სხვა საშუალებებით გამოქვეყნებული სიუჟეტების სახით საქმეზე მოპოვებული მტკიცებულება ან/და ინფორმაცია გამოძიების სტადიაზეც კი ცნობილი ხდება მომავალი პოტენციური ნაფიც მსაჯულისათვის, რაც ბუნებრივია, ამით წინასწარ ჩამოუყალიბებს ბრალდებულის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის რწმენას, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელებაზე უკიდურესად უარყოფითად აისახება.

მაგალითად, ამასწინათ თბილისში მოხდა ამაზრზენი დანაშაული, მაგდა პაპიძემ ბლავგი საგნის გამოყენებით ჩაიდინა მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის განზრახ მკვლელობა, რამაც საზოგადოების მზარდი ინტერესი გამოიწვია; ჟურნალისტები მედიატექნოლოგიების საშუალებებით აშუქებდნენ დაცვის მხარის ადვოკატის და ბრალდებულის სიუჟეტებს, რომლებიც გამოთქვამდნენ ეჭვებს მაგდა პაპიძის შესახებ დანაშაულის ჩადენის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარეს ვალდებული იყო გამოეჩინა „თმენის ვალდებულება“, საზოგადოების მაღალი ინტერესის მოტივით ტელევიზიითა და მედიატექნოლოგიების საშუალებით (ინტერნეტით) გამოაქვეყნა სიუჟეტი, რომელშიც ასახული იყო ბრალდებული მაგდა პაპიძის მიერ ქმრის მკვლელობის მოსამზადებელი სტადია, კერძოდ, ბაზრობაზე მოკვლის მიზნით როგორც შეიძინა ჩაქუჩი და ა.შ. ფაქტიურად, თბილისის პროკურატურამ მოახდინა უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებათა გასაჯაროება და წინასწარ გამოაცხადა ბრალდებული დამნაშავედ, საქმე განიხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ და ბრალდებულს შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ჩვენ, რა თქმა უნდა, ეჭვი არ შეგვაქვს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტში, მაგრამ, ცხადია, ბრალდების მხარემ ამკარად დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუძემდებელი პრინციპი.

ასევე შეიძლება ითქვას ე.წ. „ციანიდის“ საქმეზეც, როდესაც ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მასმედიის საშუალებით გამართულ „ჭორაობაში“ პროკურორმა ბრალდებული დამნაშავედ გამოაცხადა შემდეგი სიტყვებით: „გიორგი მამალაძეს გაუხარდებოდა თეთრუაშვილი მარილზე თუ გავიდოდაო“.

საპროცესო კანონმდებლობის ყოველგვარ სივრცეს გაცდა ამასწინათ, მომხდარ ცემის ფაქტზე დაწყებული გამოძიება. დაზარალებულმა ლაშა თორდიამ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე ამხილა კონკრეტული პიროვნება.

არა თუ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, არამედ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი გამოძიების მიერ საერთოდ არ დაკითხულა და ამ უკანასკნელის ადვოკატებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პარალელურად, გამოიკვლიეს საქმის „ფაქტობრივი გარემოებები“ (მიიღეს განმარტებები შემთხვევით დამსწრე პირებისაგან), შემდგომ მოაწყეს პრესკონ-

ფერენცია და ეჭვმიტანილი უდანაშაულოდ გამოაცხადეს, რაც ქვეყნის მედიატექნოლოგიების საშუალებით იქნა გაშუქებული.

ვფიქრობთ, ქვეყანაში ამგვარი პრაქტიკის კიდევ უფრო გაღრმავება, რომელიც უკვე „სახალხო გამოძიების“ სახელწოდებითაა ცნობილი, არასახარბიელო შედეგებს გამოიღებს და უპირველეს ყოვლისა, ქართული მართლმსაჯულების პრესტიჟზე უკიდურესად უარყოფითად იმოქმედებს.

რეზიუმე

უკანასკნელ ხანს ქართული მედიატექნოლოგიების საშუალებით დაინერგა პროკურორებისა და ადვოკატების ინტერვიუები, რომლებშიც ფაქტიურად გადმოცემულია საქმეზე მოპოვებული ინფორმაციები და ისინი საზოგადოების ფართე ფენებისთვის ხდება ცნობილი, არც თუ იშვიათად ასეთი პირობების არსებობისას ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რადგანაც ცალკეულ შემთხვევაში პირის დამადანაშაულებელი სიტყვებითაა გაჯერებული.

RESUME

Recently interviews of prosecutors and lawyers through Georgian media-technologies were introduced; information, obtained in regard to the case are actually disclosed in these interviews and it becomes known to wide public; in such environment, the presumption of innocence is often violated, as, in some cases, the interview is full of words, blaming a person.

РЕЗЮМЕ

Недавно Грузинские медиатехнологии были введены прокурорами и адвокатами, фактически, что информация получена по делу, и известны широкой общественности по крайней мере, редко предполагают презумпцию невиновности, поскольку в конкретном случае обвинитель насыщен словами

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010,
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Viorel Burzo V. ROU, ganacxadi 77103/01.

3. ზოგიერთი მოსაზრება საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ.

გივი აბაშიძე
პროფესორი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოჩენა გარკვეულ სიახლედ უნდა ჩაითვალოს, რომლის მიზანია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღების დროს ქართველი კანონმდებლების მიერ გათვალისწინებული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, რომელმაც ამ მოკლე პერიოდში განვლო მნიშვნელოვანი გზა.

ხსენებული ინსტიტუტის მიღებას, ბუნებრივია, ჰქონდა საკმარისი საფუძველი და მიზეზები. პირველ რიგში, ეს იყო საქართველოს სსს კოდექსის ძალზე ფორმალისტული, დროში განელილი პროცედურები, ცალკეული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას არსებული სიძნელები, ვადის დარღვევები და სხვა უარყოფითი შედეგები¹⁹⁸.

იმის მიუხედავად, რომ საპროცესო შეთანხმება იწვევს მრავალ შეკითხვასა და პრობლემას პრაქტიკაში გამოყენებისას, მისი არსი ისაა, რომ სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს განაჩენი.

შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოში საქმე იხილება გამარტივებული წესით, არსებითი განხილვისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე. ბრალდებული თანამშრომლობს გამოძიებასთან, აწვდის მას მნიშვნელოვან ინფორმაციას და მტკიცებულებებს, შედეგად კი იღებს მოსალოდნელზე მსუბუქ სასჯელს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – საერთოდ თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან¹⁹⁹.

ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნისას ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, სასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს²⁰⁰.

ვეთანხმები იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამგვარი საკანონმდებლო ნორმა პროკურორს სთხოვს მეტ წინდახედულებას და ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის არჩეული კურსის სწორად გატარებას, საჯარო ინტერესთან მიმართებით²⁰¹.

ზოგადად, საქართველოს სსს კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი

198 გ. ჭანტურიძე, 2007. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში. გამომცემლობა თბილისი. გვ. 42

199 პ. კობალაძე, 2015. სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სუბიექტი. პროფესორ შ. ფაფიაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი. გვ. 200

200 საქართველოს სსს კოდექსი, 210 მუხლი, მე-3 ნაწილი, 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

201 საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. 2015. კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა თბილისი. გვ. 261.

ტუტის შემოღებას საზოგადოების, უფლებადამცველების, არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და სამართლის მეცნიერთა მხრიდან თავიდანვე არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან როგორც ყოველ ნოვაციას, ისე საპროცესო შეთანხმებასაც ახლდა გარკვეული სახის ხარვეზები.

პრობლემები თვალშისაცემი იყო ამ ინსტიტუტის დანერგვის პირველივე ეტაპზე. საერთაშორისო ორგანიზაციები ერთხმად საუბრობდნენ პროკურატურის ორგანოების მხრიდან ჯარიმების თვითნებური გამოყენების პრაქტიკაზე, რაც საზოგადოებაში ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ დამნაშავეებს შეეძლოთ „თავისუფლების ყიდვა“. ეს აზიანებდა საზოგადოების ისედაც დაბალ ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი და განსაკუთრებით ვნებდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, რომელიც ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი, რომლებიც ეხება საპროცესო შეთანხმების ცალკეულ საპროცესო ასპექტებს. მეცნიერ-იურისტთა დამოკიდებულება ამ თემისადმი აშკარად განსხვავებულია.

მეცნიერთა ნაწილი ამ ინსტიტუტის საქართველოში შემოღებას უარყოფითად აფასებდა, ვინაიდან მათი აზრით, ის ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს და მცდარად მიაჩნდათ მისი არსებობა, ხოლო მეორე ნაწილი იმედოვნებდა, რომ ნოვაცია წარმატებული იქნებოდა, საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების სისტემას უფრო სწრაფსა და ეფექტიანს გახდიდა და თავის სიტყვას იტყოდა ქართულ კანონმდებლობაში.

ქართველ მეცნიერთა ნაწილს, რომლებიც უარყოფითად აფასებდნენ საპროცესო შეთანხმების შემოღებას მიაჩნდათ, რომ როგორც თვით პრინციპი - საპროცესო შეთანხმება, ასევე ეს ინსტიტუტი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებსა და პრინციპებს, ამასთან, მისი სრულყოფის მიზნით გვთავაზობდნენ ცალკეულ ნოვაციებს²⁰². მათივე მოსაზრებით, საპროცესო შეთანხმების შედეგად თანხის ასეთი გადახდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ არის არც ჯარიმა და არც კორუფციულ საქმეებზე სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ამგვარი ქმედება კანონსაწინააღმდეგოა.²⁰³

ზოგჯერ თეორიაში გამოთქმული იყო რადიკალური შეხედულებაც, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღების იდეა მცდარია და ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს, არამედ მთლიანად მის ძირითად დებულებებსაც²⁰⁴. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ისეთ ძირეულ პრინციპს, როგორცაა კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობა.

თუმცა ავტორთა ნაწილის მხრიდან იყო საპირისპირო მოსაზრებებიც. კერძოდ, პროფესორი ნ. გაბრიჩიძე, რომელმაც საქართველოს სსს კოდექსში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებისთანავე პირველმა მიუძღვნა სამეცნიერო სტატია მის ცალკეულ საკითხებს, სამართლიანად მიუთითებს იმის შესახებ, რომ ახლად ამოქმედებული საპროცესო კანონმდებლობის საზომი, პირველ რიგში, მაინც პრაქტიკაში რეალიზაციაა, სწორედ პრაქტიკაში ვლინდება კანონმდებლობის შუქ-ჩრდილი და მომავალში ამ თემაზე საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება, მეცნიერული გამოკვლევები იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ უფრო სრულყოფილი და

202 ც. რატიანი. 2006. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მითი და რეალობა. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, გვ. 117-153.

203 იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 118

204 გ. მეფარიშვილი. 2006. სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, გვ. 103-104.

დახვეწილი გახდება მისი ცალკეული დებულებები. ამასთან, მისი აზრით, საპროცესო შეთანხმება ბრალდებულისათვის ერთგვარ მასტიმულირებელ (წამახალისებელ) ნორმას წარმოადგენს²⁰⁵.

ასევე ცალკეული ავტორები მართალია დადებითად აფასებენ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებას, მაგრამ მისი სრულყოფის მიზნით გვთავაზობენ გარკვეულ წინადადებებს²⁰⁶.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვა მეცნიერები საპროცესო შეთანხმების დადებით მხარეებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების აღსრულების ძალზე ეფექტიანი საშუალებაა, რომელზედაც იხარჯება ადამიანური და მატერიალური რესურსების მინიმალური რაოდენობა, რომელიც იძლევა იმის საშუალებას გაიხსნას მძიმე დანაშაული და პასუხისგებაში მიეცენ საშიში დამნაშავეები, რასაც, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით, მაგრამ საპროცესო შეთანხმების დადებისას ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილე, რათა არ იქნას დაშვებული შეცდომები და საბოლოო ჯამში საზოგადოება არ დარჩეს დაზარალებული.

ამ ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით საზოგადოების რეაქციაც უარყოფითი იყო, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი, რადგან იგი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ საკმაოდ ბევრ დათმობას გულისხმობს.

იმის მიუხედავად, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ბევრი ნორმა ახლებურად ჩამოყალიბდა, შეიძლება ითქვას, რომ როგორც მეცნიერების, ასევე პრაქტიკოსი მუშაკებისა და საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მაინც უცვლელია, რადგან მიგვაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების ქართული ვარიანტი უნაკლო არ არის და ამ ინსტიტუტს მრავალ დადებით მხარეებთან ერთად, ბევრი უარყოფითი ასპექტები გააჩნია, რაც ნათლად წარმოაჩინა ასევე სასამართლო პრაქტიკამ.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ზოგიერთი ნორმების მიმართ როგორც სამართლის მეცნიერების, ასევე საზოგადოების მხრიდან ასეთ კრიტიკულ დამოკიდებულებას ბევრი მიზეზები აქვს. ჩვენი აზრით, მათგან შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი ძირითადი მიზეზი, კერძოდ:

1). როგორც საპროცესო შეთანხმების კანონმდებლობის ზოგადი განხილვისა და საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკის შესწავლით ირკვევა ზოგადად საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მარეგულირებელი ზოგიერთი ნორმა არასრულყოფილია, რაც საჭიროებს დამუშავებას და სამართლებრივად გამართვას;

2). სამართლებრივი რეგულირების გარეშეა დარჩენილი საპროცესო შეთანხმების პროცესში წამოჭრილი ბევრი საკითხი, რაც ხელს უშლის საპროცესო შეთანხმების სრულყოფილ და ობიექტურ განხორციელებას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა საპროცესო შეთანხმების პროცესში წამოჭრილი ამგვარი საკითხების გარკვევა და სამართლებრივად გადანიშნულება.

3). აშკარად ჩანს, რომ არანაკლები პრობლემებია საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკაში, ხშირად თეორიული ნორმები ძალიან განსხვავდება პრაქტიკისაგან, რაც გარკვეულად განაპირობებს ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების მხრიდან უარყოფით განწყობას და არაერთგვაროვან დამოკიდებულებას;

4). საყურადღებო და აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საპროცესო შეთანხმებაში მონაწილე პირების მიერ ხშირად არასწორად არის გაგებული საპროცესო შეთანხ-

205 ნ. გაბრიჩიძე. 2004. საპროცესო შეთანხმება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, გვ. 59, 63.

206 გ. ალანია. 2009. საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან გათავისუფლების პრობლემები. თბილისი, გამომცემლობა „საარი“, მ. მამნიაშვილი. 2009. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნალი „მარჯი“, №1, გვ. 182-183

მების არსი და შესაბამისი ნორმები, რის საფუძველზეც ხდება აღნიშნული ნორმების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, რომელიც ინვესს სამართალწარმოების მონაწილე პირების უფლებების შეზღუდვასა და დამახინჯებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას,

სწორედ აქედან გამომდინარე, აღნიშნული სტატიის მიზანია წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრებები საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის, მათი სწორი და სამართლიანი გადაწყვეტის, ასევე ამ სფეროში არსებული ჩვენს მიერ ქვემოთ განხილული ზოგიერთი პრობლემური საკითხის სამართლებრივად მოგვარების შესახებ. კერძოდ,

ა). პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების დადების დროს სრულიად იგნორირებულია დაზარალებულის როლი და მისი ინტერესები. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დაზარალებულის მიერ საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების და მისი საპროცესო შეთანხმების განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

რა თქმა უნდა, პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც იგი ადგენს ოქმს, მაგრამ საკანონმდებლო თვალსაზრისით აღნიშნული დებულება ძალიან ბუნდოვანია, არ არის დაკონკრეტებული რა მიზნით და რა ფორმით უნდა მოხდეს დაზარალებულის ინფორმირება, რა შედეგი მოჰყვება ამას. ფაქტიურად პროკურორის ამგვარი კონსულტაციის მიზანი მხოლოდ დაზარალებულის პოზიციის გარკვევაა და ის ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან მარტო იმის ცოდნა, რომ ბრალდებულთან ფორმდება საპროცესო შეთანხმება, დაზარალებულს არ აძლევს არანაირ უფლებას თავისი ინტერესების დასაცავად. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ კანონით დაზარალებულის უარი არ აბრკოლებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და როგორც ზემოთ აღინიშნა მას უბრალოდ საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობაც არ აქვს, მაშინ საკითხავია რა მიზანს ემსახურება ამგვარი კონსულტაცია.

თუმცა, ვეთანხმებით ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დაზარალებულის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორისათვის საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში²⁰⁷. ე.ი. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, რომელმაც მინიმუმამდე შეზღუდა დაზარალებულის საპროცესო უფლებები, დაზარალებულს არ გააჩნია არანაირი რეალური სამართლებრივი ბერკეტი საპროცესო შეთანხმების დადების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. მაგრამ პრობლემა არა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტში, არამედ ზოგადად ამჟამად მოქმედ სსს კანონმდებლობაშია, რომელმაც როგორც ზემოთ აღინიშნა მნიშვნელოვნად გააუარესა დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა, რაც ზოგადად ეწინააღმდეგება დაზარალებულის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ შეთანხმებებს და დეკლარაციებს.

მიგვაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე მოხდეს დაზარალებულის უფლებების გაზრდა, მისი საპროცესო სტატუსის გაფართოება, დაზარალებულს მიეცეს საპროცესო შეთანხმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება, პროკურორის მიერ საპროცესო შეთანხმების საკითხის გადაწყვეტის დროს საჯარო ინტერესთან ერთად მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული დაზარალებულის ინტერესები, ის უფრო მეტი აქტივობით იყოს ჩართული საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესში, რადგან დაზარალებულისათვის კანონით მინიჭებული მარტო ის უფლება, რომ შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი საპროცესო შეთანხმების საქმეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ვერ მოახდენს საპროცესო

207 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. 2015. გამომცემლობა თბილისი. გვ. 648

შეთანხმების პროცესში მასზე წართმეული უფლებების კომპენსაციას.

ბ). საქართველოს სსს კოდექსში, განსხვავებით საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობისაგან, არ არის იმ დანაშაულთა ჩამონათვალი და განსაზღვრული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის განზრახ დანაშაულთა წრე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან არ გაფორმდება საპროცესო შეთანხმება. ანუ კანონით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული თუ რომელი კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშია შესაძლებელი საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

სწორედ ასეთი ნორმის არარსებობის გამოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების დადება ნებისმიერი კატეგორიის, მათ შორის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის (მაგ. მკვლელობა, გაუპატიურება, სხეულის მძიმე დაზიანება და სხვ) დანაშაულთა საქმეებზეც, რაც ჩვენი აზრით დაუშვებელია და საპროცესო შეთანხმების სერიოზულ ხარვეზად მიგვაჩნია.

არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების დადება, რადგან არსებობს დიდი რისკი, რომ შეთანხმების საფუძველზე სასჯელისაგან განთავისუფლებული პირი კიდევ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ამას კი საზოგადოების მხრიდან ყოველთვის უარყოფითი შეფასება მოსდევს.

სწორედ ამიტომ, ეწინააღმდეგებოდა თავიდანვე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტში ამგვარი ნორმის არსებობას მეცნიერთა დიდი ნაწილი. მაგ. პროფ. რ. გოგშელიძეს მიაჩნდა, რომ საპროცესო შეთანხმება უნდა ვრცელდებოდეს არა ყველა დანაშაულზე, არამედ ნაკლებად მძიმე, სამეწარმეო და საფინანსო სფეროში ჩადენილ დანაშაულებზე²⁰⁸.

საპროცესო შეთანხმების ამგვარი სისტემა მოქმედებს მხოლოდ სულ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში და მათ შორის არის საქართველო. სხვა ძირითად ქვეყნებში ფუნქციონირებს საპროცესო შეთანხმების სხვადასხვა მექანიზმები, თუმცა ისინი, როგორც წესი გამოიყენება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულთან მიმართებით. მაგ. ზოგიერთ ქვეყანაში საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე (იტალია, საფრანგეთი), 6 წლამდე (ესპანეთი) ან თუნდაც 10 წლამდე (რუსეთი). გერმანიაში დანაშაულის აღიარების დროს საპროცესო შეთანხმების პროცედურა გამოიყენება ყველა დანაშაულთან მიმართებით, მაგრამ შეთანხმება ეხება მხოლოდ სასჯელის ფარგლებს და არა ბრალდებას. ზემოთხსენებული პროცედურების უმეტესობა არ ითვალისწინებს გარიგებას ბრალდების შემსუბუქებაზე და ნაწილობრივ მოხსნაზე²⁰⁹.

აღნიშნული მაგალითები და ამ სფეროში უცხო ქვეყნების გამოცდილების ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს საპროცესო შეთანხმების შესახებ ქართულ სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობაში ამ კუთხით არსებული ხარვეზების თაობაზე ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული შენიშვნების და მოსაზრებების სისწორეში და ამ საკითხზე სსს კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობაში.

ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსს კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლის თანახმად საპროცესო შეთანხმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეებზე, რომელთა ჩადენისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს ხუთი წლისა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რადგან აღნიშნული ნორმა ჯერ კიდევ ძალაშია

208 რ. გოგშელიძე. 2007. საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე?, ყურნალი „პროფესია ადვოკატი“, №2, გვ.78

209 ინტერნეტ წყარო: <https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion> (OSCE/ODIHR და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. ვარშავა/სტრასბურგი, 2014 წ) უკანასკნელად გადამოწმებულია 01.10.2016 წ

და მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმების დადება შესაძლებელია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ვეთანხმები იმ ავტორთა მოსაზრებას, რომ ამგვარი კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალის ხარისხი, რაც ხაზს უსვამს კანონმდებლობის იმპერატიულ ნებას, რათა პროკურორმა წინდახედულობა გამოიჩინოს ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ საჯარო ინტერესთან მიმართებაში, თუმცა აღნიშნულ პრობლემას არ ხსნის²¹⁰.

ბ). ვფიქრობ გასათვალისწინებელია უცხოელი მეცნიერების და ამ დარგის ექსპერტების მოსაზრება, რომ საქართველოს კანონმდებლობით გარკვეულად შეიზღუდოს საპროცესო შეთანხმების გამოყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულთან მიმართებაშიც. ამ კატეგორიის საქმეებზე გამოყენებული იქნას სხვა სამართლებრივი მექანიზმები, რის საშუალებასაც ამ კატეგორიის დანაშაულთა სიმძიმე და ხასიათი იძლევა და ამ კუთხით გაძლიერდეს გარანტიები ბრალდებულისათვის²¹¹.

დ). ვეთანხმები მეცნიერ-იურისტების მხრიდან ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ადამიანებს გარკვეულად არათანაბარ პირობებში აყენებს ის გარემოებაც, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულს უმრავლეს შემთხვევაში უწევს გარკვეული თანხის გადახდა, რაც არავისთვის არ არის საიდუმლო. მიგვაჩნია, რომ დღევანდელი ქართული რეალობის გათვალისწინებით ამით ირღვევა კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი, რადგან გამოდის, რომ თუ პიროვნებას საკმარისი თანხა არ გააჩნია, უარს ეტყვიან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. მითუმეტეს, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გადასახდელი თანხის ზღვრული ოდენობა და პრაქტიკულად საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში შესატანი თანხის რაოდენობას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს პროკურორი.

ე). ჩვენს სინამდვილეში საპროცესო შეთანხმება თითქმის ყველა სახის სისხლის სამართლის საქმეზე გამოიყენება. თავიდანვე საპროცესო შეთანხმების შემოღების ერთ-ერთი მყარი არგუმენტი ანტიკორუფციული დატვირთვა იყო. მეცნიერ-იურისტების დიდი ნაწილი და ზოგადად ყველა ის პირი, ვინც საპროცესო შეთანხმების შემოღებას უჭერდა მხარს, ძირითადად საპროცესო შეთანხმებას მიიჩნევდა როგორც ანტიკორუფციულ ღონისძიებად. ნაწილობრივ ვეთანხმები ამ მოსაზრებას და მიზანშეწონილად მიმაჩნია საპროცესო შეთანხმება უფრო მეტად გაფორმდეს კორუფციულ და ეკონომიკური სახის დანაშაულთა საქმეებზე.

ვ) საპროცესო შეთანხმების უარყოფითი მხარეების და ამ სფეროში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო წესით არსებითად გადაისინჯოს ის ძირითადი ნორმები, რაც ხელს უშლის საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ნორმალურ ფუნქციონერებას, მასში სრულყოფილად აისახოს სისხლის სამართლის პროცესის ისეთი ფუძემდებლური პრინციპი, როგორცაა მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, მკაცრად იქნას დაცული მხარეთა საპროცესო უფლებები.

ვფიქრობთ, რომ საპროცესო შეთანხმების სფეროში არსებული და ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზების დროული დარეგულირება ხელს შეუწყობს საპროცესო შეთანხმების მიზნის მიღწევას – სასამართლოში დაჩქარებული წე-

210 ა. ჯავახიშვილი. 2012. საპროცესო შეთანხმება საქართველოში. გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, სამართალი. №1, გვ.31-38

211 ინტერნეტ წყარო: <https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion> (OSCE/ODIHR და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. ვარშავა/სტრასბურგი, 2014 წ) უკანასკნელად გადამოწმებულია 01.10.2016 წ

სით საქმის განხილვას, მათ განტვირთვას, საპროცესო ხარჯების შემცირებას და საპროცესო ვადების დაცვას, ზოგადად კი სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

რეზიუმე

ნაშრომში მოკლედ განხილულია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არსი და ამოცანები, მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხები.

გადმოცემულია საპროცესო შეთანხმების ზოგიერთი უარყოფითი ასპექტები, დასმულია რამდენიმე პრობლემატური საკითხი ამ კუთხით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და წარმოდგენილია კონკრეტული წინადადებები და მოსაზრებები საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის, პრაქტიკაში ამ ნორმების სწორად გამოყენების მექანიზმების, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

RESUME

The present paper briefly discusses the essence and objectives of the plea agreement as well as the issues of its legal regulation.

The paper deals with some negative aspects of the plea agreement and some problematic issues about the existed shortcomings in this regard and causing reasons. Here are also represented specific proposals and thoughts about the improvement of the regulating legal norms, the mechanisms of proper usage of these norms in practice and corresponding amendments in the legislation.

РЕЗЮМЕ

В работе рассмотрены сущность и задачи института процессуального соглашения, вопросы его правового регулирования.

Переданы некоторые отрицательные аспекты процессуального соглашения, поставлены проблемные вопросы существования недостатков в законодательстве и вызвавшие их причины, представлены конкретные предложения и соображения по усовершенствованию норм, регулирующих процессуальное законодательство, определен механизм правильного применения этих норм в практике и внесения соответствующих изменений в законодательные акты.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
2. გ. ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში. გამომცემლობა თბილისი. 2007 წ;
3. პ. კობალაძე, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სუბიექტი. პროფესორ შ. ფაფიაშვილის დაბადებიდან მე-80 წლის-თავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი. 2015 წ;
4. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა თბილისი. 2015 წ;
5. ც. რატიანი. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მითი და რეალობა. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #3, 2006 წ;

6. გ. მეფარიშვილი. სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #3, 2006 წ;
7. ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, #2, 2004 წ;
8. გ. ალანია. საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან გათავისუფლების პრობლემები. თბილისი, გამომცემლობა „საარი“ 2009 წ;
9. მ. მამნიაშვილი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნალი „მარჯი“, #1, 2009 წ;
10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. 2015. გამომცემლობა თბილისი;
11. რ. გოგშელიძე. საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე?, ჟურნალი „პროფესია ადვოკატი“, #2, 2007 წ;
12. ინტერნეტ წყარო: <https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion> (OSCE/ODIHR და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. ვარშავა/სტრასბურგი, 2014 წ) უკანასკნელად გადამოწმებულია 01.10.2016;
13. ა. ჯავახიშვილი. საპროცესო შეთანხმება საქართველოში. გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, სამართალი, #1, 2012 წ;

4. დაკითხვის ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხების გამოყენების თეორია და პრაქტიკა საქართველოს 1998 წლის სსსკ-ით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით.

**შოთა ფაფიაშვილი
პროფესორი.**

საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის ორი ათეული წლის მანძილზე საგამოძიებო-სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, უკეთესობის ძიების მიზნით 1998 წელს მიღებულ სსსკ მრავალჯერადი ცვლილებების შემდეგ შეიცვალა, მაშინ როცა მან შედარებით სრულყოფილი სახე მიიღო. რამდენად უკეთესია ეს ამჟამად მოქმედი სსსკ თავის წინამორბედზე ამის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი. განსაკუთრებით დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების წესის მიმართებაში. მითუმეტეს, რომ დაკითხვა განზრახ მკვლევლობისა და სხვა ზოგიერთი მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე 2018 წლის იანვრამდე 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ს შესაბამისი მუხლებით რეგულირდება.

ამ ახალმა კოდექსმა უარი თქვა რა ტრადიციულად კანონით დამკვიდრებულ სისხლის სამართლის პროცესის განვითარების ინსტიტუტებსა და სტადიებზე, როგორცაა წინასწარი გამოძიების, სამართალში მიცემის, ეჭვმიტანილის და სხვა მთელ რიგ მნიშვნელოვან ცნებებზე და ამით იგი გარკვეულ წინააღმდეგობებში აღმოჩნდა დაკითხვის, ახსნა-განმარტებების მიღების, გასაუბრებისა და გამოკითხვის ცნებების ურთიერთდამოკიდებულებაში მაშინ, როცა გასაუბრებას გამოკითხვასა და დაკითხვას შორის, არა მარტო იურიდიული ბუნებით, არამედ წარმოების ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც საკმაოდ დიდი სხვაობაა. ამასთან, მთელ რიგ შემთხვევებში, ადრე მოქმედი კანონმდებლობით გასაუბრება და ახსნა-განმარტებების მიღება, მთელ რიგ შემთხვევაში დაკითხვის ერთგვარი წინაპირობაც იყო და, თუ ამ

ქმედებათა ჩატარებით დავრწმუნდებოდით, რომ პირი ფლობდა გამოსაძიებელი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ინფორმაციას, მაშინ ინარმოებდა მონმის სახით მისი შემდგომი დაკითხვა.

მაშასადამე, მონმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის დაკითხვა ყოველთვის იყო და არის რთული საგამოძიებო მოქმედება. რომელთა დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, თუ როგორ ნარემართოს დაკითხვა, რომ დასაკითხი პირისაგან მიეღოს სწორი ჩვენება. გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე მთავარი ფაქტისა და მისი ცალკეული გარემოების შესახებ და ამით ხელი შეუწყოს საქმის სწრაფ, სრულ გახსნას და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. უნდა ითქვას რომ იმ დროს დანაშაულის გახსნადობა ბევრად უკეთესი იყო, ამიტომ გადავწყვიტე დაკითხვის წესი კვლავ ადრინდელი კანონმდებლობის მიხედვით წარმომეჩინა.

მონმის, დაზარალებულის, ბრალდებულის დაკითხვით მოპოვებული მტკიცებულება ყოველთვის იყო და არის დანაშაულის გახსნის მთავარი ქვაკუთხედი. ამიტომაც ვამბობ, რომ დანაშაულის გახსნა შეუძლებელია კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში დაკითხვისათვის შემუშავებული ტექნიკურ-ფსიქოლოგიური ხერხებისა და საშუალებების სწორი თანმიმდევრული გამოყენების გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ სად და როდის ტარდება დაკითხვა წინასწარი გამოძიების ანუ სასამართლომდელი გამოძიების ეტაპზე, თუ სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ამიტომ ამ საგამოძიებო მოქმედების შესწავლა-გამოკვლევის დროს გვერდს ვერ ავუვლით დაკითხვის მომზადებისა და მისი ჩატარების ტექნიკურ-ფსიქოლოგიური ხერხებისა და საშუალებების გამოკვლევასა და გადმოცემას. მითუმეტეს, რომ მისი ცოდნა ესაჭიროება არამარტო გამომძიებელს, არამედ პროკურორს, მოსამართლეს, ადვოკატს, დეტექტივს(ოპერატიულ მუშაკს) და საქმის გახსნით დაინტერესებულ ყველა პიროვნებას.

დაკითხვა ყველა გამოსაძიებელი საქმის თანმდევნი მოქმედებაა და მისი სირთულე განპირობებულია არამარტო მისი, ჩატარების აუცილებლობითა და ტექნიკური თავისებურებით, არამედ იმითაც, რომ იგი უშუალოდ დაკავშირებულია პიროვნების ფსიქოლოგიურ განწყობასთან, გამოსაძიებელ ფაქტთან.

დაკითხვის წარმოებას ართულებს ისიც, რომ ყველა ადამიანი თავისი ინდივიდუალური თვისებებისა და რთული ფსიქოლოგიური განცდების მატარებელია და იმისათვის, რომ მისგან, მივიღოთ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის, გარემოების ან პიროვნების შესახებ სწორი, ობიექტური ჩვენება, საჭიროა ჩავწვდეთ მის ფსიქოლოგიურ განცდებს, შევძლოთ მასთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება და მოვიპოვოთ მისი ნდობა.

დაკითხვის დროს განსაკუთრებით რთული სიტუაცია იქმნება, მაშინ, როცა ბრალდებული საქმეში არსებული მტკიცებულებების სანინააღმდეგოდ შეგნებულად იძლევა არასწორ ჩვენებას, ან შეგნებულად ამახინჯებს მას, ან საერთოდ უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე და იყენებს დუმილის უფლებას. ასეთ შემთხვევაში, გამომძიებელს კიდევ უფრო მეტი დაკვირვება, თავშეკავება და კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ტექნიკური ხერხების გონივრული შერჩევა-გამოყენება მართებს.

ასეთ დროს მიზანშეწონილია გამომძიებელმა გამოყენოს დასაკითხი პირის დარწმუნების მეთოდი და ტექნიკური თანმიმდევრობით ამხილოს იგი მიცემული ჩვენების სიცრუეში, საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების წარდგენით და მარტოოდენ სიტყვიერად კი არა ფაქტობრივი მონაცემებით დაარწმუნოს, რომ უაზრობაა სწორი ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავება და დუმილი, რომ გამოძიებისათვის ეს ფაქტები უკვე ცნობილია და, თუ ბრალდებაში რაიმე არასწორი და გაზვიადებულია უმჯობესია თვითონ მან თავისი ჩვენებით შეიტანოს შესწორება. ასეთ დროს, კარგი იქნება თუ მოულოდნელად საუბარს გადავიტანთ მის საყვარელ პროფესიასა, ხელოვნებასა და სპორტის სახეობაზე და მისი ოჯახის მყუდროებაზე, გამოვთქვათ სინანული, რომ მას

ამ არასასიამოვნო შემთხვევის ჩადენა მოუხდა, ამასთან შევადგინოთ და აღუდგინოთ რწმენა, რომ მომავალი წინაა და ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

ამ და სხვა რეალური ქმედებებით შეიძლება მოვახდინოთ დასაკითხი პირის ფსიქოლოგიურ განწყობაში გარდატეხა და განვანყოთ იგი სწორი ჩვენების მიცემისათვის.

დაკითხვის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული თვით გამოძიებლის მომზადებაზე. დაკითხვის პროცესში, მის ქცევაზე, დასაკითხ პირთან მის ფსიქოლოგიურ ქცევაზე და სხვა. ამიტომ გამოძიებელი ფრთხილი და ყურადღებიანი უნდა იყოს დასაკითხი პირის მიმართებაში მისგან მიღებული ჩვენების დაზუსტების მიზნით დასმულ შეკითხვებში და დასაკითხი პირისაგან მიღებული პასუხების მოსმენაში.

ყოვლად დაუშვებელია დასაკითხი პირის მოტყუება, მისი დამცირება, მასზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება ცემა, წამება, ლანძღვა, პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება ან ასეთის გამოყენების მუქარა ან მისთვის ფსიქოლოგიური „გამოჭერა“ რაიმე ცრუ დაპირების მიცემა, ან დაკითხვის წინ მისთვის ისეთი გამაბრუებელი საშუალების მიცემა, რომლის შედეგად ადამიანი კარგავს თვითკონტროლს და დაკითხვის დროს მექანიკურად იძლევა ნებისმიერი სახის აღიარებით ჩვენებას. დაკითხვის დროს ასევე არ შეიძლება ჰიპნოზისა და ე.წ. „სიცრუის გამოსამუდავებელი დეტექტორი“-ს გამოყენება და სხვა.

დაკითხვის პროცესში ამგვარი სახის საშუალების გამოყენება. პირველ რიგში, ამცირებს თვითონ გამოძიებლის ღირსებას და ინვესტს დასაკითხი პირების უნდობლობას მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით.

გამოსაძიებელ საქმეზე შეიძლება დაიკითხოს ნებისმიერი ასაკის მქონე შერაცხადი ფიზიკური პირი, თუ მას შესწევს უნარი აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოება. მაგრამ, ცხადია ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანის დაკითხვა ერთნაირი წესითა და ერთნაირი ტაქტიკური ხერხების გამოყენებით მოხდეს.

დაკითხვის დროს უპირველესად გათვალისწინებული უნდა იქნას დასაკითხი პირის კანონით მინიჭებული მათი უფლებამოსილება და პროცესუალური მდგომარეობა. კერძოდ ის, რომ საპროცესო კანონმდებლობის თვალთახედვით ერთიმეორისაგან განსხვავდება მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული და ექსპერტი. და ეს საჭიროა გათვალისწინებული იყოს დაკითხვის დროს.

ასაკობრივი მდგომარეობის მიხედვით ერთიმეორისაგან განსხვავდება სრულწლოვანი მოწმე და დაზარალებული; მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი მოწმე და დაზარალებული; სრულწლოვანი და არასრულწლოვანი ბრალდებული, წარმოების პროცესისა და თანმიმდევრობის მიხედვით კი დაკითხვა შეიძლება იყოს პირველადი, დამატებითი და განმეორებითი.

განმეორებითი დაკითხვის მიზანია საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე მიღებული ჩვენების კრიტიკული შეფასება, დაზუსტება, ახსნა და მისი შედარება ადრე მიღებულ ჩვენებასთან და სხვა.

გამოძიების პროცესში ერთი და იგივე პირი მათ შორის ბრალდებული, ერთსადაიმავე საქმეზე შეიძლება დაიკითხოს იმდენჯერ რამდენიც ეს საჭირო იქნება.

დამატებითი დაკითხვა ტარდება იმ შემთხვევაში, როცა ადრე დაკითხვის დროს საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოებაზე ნაწილობრივ იყო, ან საერთოდ არ იყო ყურადღება გამახვილებული და საჭიროა მისი დამატებითი ახსნა-გამოკვლევა.

დასაკითხი პირისაგან მიღებული ჩვენების შეფასების დროს მხედველობაში მისაღებია ის გარემოვითარება, რომელშიც მოხდა მოცემული პირის ჩვენების ფორმირება და ის, თუ როდის საიდან და როგორ მიიღო დასაკითხმა პირმა ეს ინფორმაცია. უშუალოდ თვითონ იყო შემსწრე და პირადად აღიქვა და დაიმახსოვრა გამოსაძიებელი შემთხვევა, თუ იგი სხვა პირისგან გადმოცემით იცის.

დასაკითხი პირისაგან მიღებული ორივე ამ სახის ჩვენებას, ცხადია, გამომძიებლის შესაბამისი შეფასება უნდა მიეცეს იმის გათვალისწინებით, თუ როგორი იყო მისი ჩვენების ფორმირების პროცესი აღქმის, დამახსოვრებისა და განმარტების თვალთახედვით და როგორი იყო და არის ამ პროცესის ხელისშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

ჩვენების ფორმირების პირველ ეტაპზე-აღქმაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. აღქმის ხარისხზე ზეგავლენის მქონე სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ის რაც დაკავშირებულია დასაკითხი პირის ისეთ თვისებებთან როგორიცაა: დაქვეითებული სმენადობა, მხედველობა და სხვა. მის ისეთ ფსიქოლოგიურ განწყობასთან როგორიცაა ძლიერი სულიერი აღელვება, ნერვიულობა, აღგზნებადობა, შიში და მომხდარი ფაქტის გაზვიადებული წარმოდგენა, დაღლილობა ან მომხდარი ფაქტისადმი მისი უინტერესო დამოკიდებულება, უყურადღებობა და იმ მომენტში მისი სხვა რაიმე საქმიანობით გართობა და სხვ.

ობიექტურ ფაქტორებს კი მიეკუთვნება ისეთი გარემოებები, რაც დაკავშირებული არაა დასაკითხი პირის მახასიათებელ თვისებებთან, გარემოებებთან მის ფსიქოლოგიურ განწყობასთან და მისგან დამოუკიდებელად არსებობს.

გამოსაძიებელი შემთხვევის ცალკეული გარემოების შედარებით სრულყოფილი აღქმა ბევრადაა დამოკიდებული აგრეთვე დასაკითხი პირის პროფესიაზე და მის სპეციალობაზე.

მაგალითად, მენაღე, კოსმეტოლოგი და საგზაო მოძრაობაზე ზედამხედველი პოლიციელი (პატრული) ერთნაირად ვერ აღიქვამენ პიროვნების ჩაცმულობას, თმის ვარცხნილობას, ავტომანქანის ფერს, მის ნომრებს, სახელმწიფო სერიასა და სხვა საგნებს და ობიექტებს.

ჩვენების ფორმირების პროცესის მეორე საფეხურზე - დამახსოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობა, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ასაკი, მისთვის ცნობილი აღქმული საგნის ცოდნა და შთაბეჭდილების სიძლიერე. კერძოდ, ის თუ როგორი ემოცია გამოიწვია გამოსაძიებელმა შემთხვევამ მოცემული პირის ფსიქოლოგიურ განწყობაზე, რამდენად დაინტერესდა მომხდარი ფაქტით და როგორია მისი მეხსიერების ძალა და აღქმულის შენახვის სიძლიერე, რა დრო გავიდა მოცემული ფაქტის აღქმიდან და სხვა.

ამ უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან დროთა განმავლობაში ყველაფერი ქრება და დრო, რომ იტყვიან დაზარალებულსაც „კურნავს“ და მისი მეხსიერებიდანაც თანდათანობით ქრება დანაშაულებრივი ქმედებით მისთვის მიყენებული შემზარავი ფაქტების დამახასიათებელი ნიშნები.

ზემოაღნიშნული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები უდაოდ დიდ გავლენას ახდენს ჩვენების ფორმირების პროცესის მესამე შემაჯამებელ სტადიაზე აღქმულისა და დამახსოვრების გადმოცემაზე, რომლის დროს მხედველობაში მიიღება პიროვნების უნარი რამდენად სწორად და სრულყოფილად შეუძლია გადმოსცეს გამოსაძიებელი შემთხვევის დამახასიათებელი ფაქტობრივი გარემოებები.

დაკითხვის სწორად წარმართვისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ისეთი ზოგადი ტაქტიკური ხერხების ცოდნასა და გამოყენებას, როგორიცაა: დასაკითხი პირების რიგითობის დადგენა, დაკითხვის დრო და ადგილის განსაზღვრა, დასაკითხად გამოძახების ფორმის შერჩევა, მათი ანკეტური მონაცემებისა და ფიზიკური უნარ-ჩვევების შესწავლა, მათი ფსიქოლოგიური განწყობა და პროფესიული საქმიანობა, წინასწარი გარკვევა იმისა, თუ დასაკითხ პირს რამდენად შესწევს უნარი ნანახისა და აღქმული ფაქტობრივი გარემოების გაზვიადების გარეშე გადმოცემა და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ დასაკითხ პიროვნებას უნდა განემარტოს მისი უფლება-მოვალეობები და მიეცეს წინადადება თქვას ყველაფერი რაც მისთვისაა

ცნობილი გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით.

თავისუფალი თხრობის დამთავრების შემდეგ ჩვენების შევსების, შემონიშვნისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება მიეცეს შეკითხვები. საჭიროების შემთხვევაში დასაკითხ პირს შეიძლება წარედგინოს საქმეში არსებული მასალა, საქმეზე თანდართული საგნები და ობიექტები. თუ დაკითხვის დროს გამოვიყენებთ ხმის ჩამწერ აუდიო-ვიდეო აპარატურას ამის შესახებ დაკითხვის დაწყებამდე უნდა ეცნობოს დასაკითხ პირს.

ერთი და იმავე ფაქტის შემსწრე პირებისაგან მიღებული ჩვენება შეიძლება ერთიმეორისაგან განსხვავდებოდეს არამართო შინაარსობრივად, არამედ ფაქტობრივი მდგომარეობის საერთო ასახვითაც და ეს შეიძლება არაბუნებრივად მოგვეჩვენოს და გავვიჩინდეს ეჭვი ამ მონმის არაკეთილსინდისიერებაში. სწორედ ამიტომაც, რომ ზოგიერთი კრიმინალისტი მონმეებს ყოფს კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ პირებად, რაც არასწორია.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ერთნაირ გარემოვითარებაში მყოფმა რამდენიმე პირმა ერთი და იგივე შემთხვევა შეიძლება სრულიად სხვადასხვა სახით აღიქვას და მათგან არცერთი არ იყოს დაინტერესებული ამ ფაქტების დამახინჯებითა და წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემით. უფრო მეტიც, ზოგჯერ დასაკითხი პირი ღრმად და რწმუნებული რომ იძლევა სწორ ობიექტურ ჩვენებას და ეჭვიც არ ეპარება თავისი ჩვენების სისწორეში. მაშინ, როცა მისი ჩვენება ვერ ასახავს მომხდარ ობიექტურ რეალობას.

დასაკითხი პირის მიერ გამოსაძიებელ შემთხვევის ფაქტებისა და გარემოებების ასეთ არასწორ გადმოცემას ზოგჯერ ადგილი აქვს იმის გამო, რომ მან კონკრეტულ სიტუაციაში ყოფნის დროს თავისდაუნებურად მომხდარი გარემოება აღიქვა არა ისე, როგორც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, არამედ დამახინჯებულად, არასწორად, არა საკამათო სიზუსტით, სიმკვრივითა და არასწორი წარმოდგენით აისახა თავის ტვინის აპარატში, მის ნებისყოფასა და შემეცნების სფეროში და ყოველივე ამან თავისთავად განაპირობა მონმის მცდარი დასკვნები და უცნაური ფანტაზიები.

ჩემი ამ მოსაზრების დასასაბუთებლად დავემყარები არა მარტო ფსიქოლოგების წმინდა თეორიულ შესაძლებლობას, არამედ ამ მიმართებით ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტების შედეგებსაც.

ამ მხრივ ჩემი ყურადღება მიიპყრო, ჯერ კიდევ ადრე, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორ ლისტის მიერ ამავე უნივერსიტეტის აუდიტორიაში ჩატარებულმა ფრიად საინტერესო და შთამბეჭდავმა ექსპერიმენტმა.

პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობის დროს უეცრად სტუდენტის მიერ შეურაცხყოფილი წინა მერხზე მჯდომი სტუდენტი წამოხტა და მუშტმოდერებული გაემართა შეურაცხყოფის მიმყენებლისაკენ. ამ უკანასკნელმა კი სწრაფად ამოიღო რევოლვერი და თავდამსხმელს დაუმიზნა, რა დროსაც პროფესორმა ხელი სტაცა და შეეცადა მისთვის იარაღის წართმევას, მას სხვა სტუდენტიც მოეხმარა იარაღი ჩამოართვეს და როცა მოჩხუბრები დააწყნარეს და აუდიტორიიდან გაიყვანეს პროფესორმა ამ ფაქტის შემსწრე სტუდენტებს დაავალა: მომხდარი ფაქტის შესახებ წერილობით ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ჩვენება. აღსანიშნავია, რომ აუდიტორიაში მყოფი სტუდენტებიდან მომხდარ ინციდენტში მონაწილე ამ ორი პირის გარდა არავინ იცოდა, რომ ეს მოწყობილი ექსპერიმენტი იყო, ამ მომხდარი ფაქტის ინსცენირებაში სტუდენტებს მაშინაც არ შეეპარათ ეჭვი, როცა ჩვენებებს წერდნენ. ჩვენება დაწერა 14 სტუდენტმა, საიდანაც მხოლოდ სამმა შეძლო მომხდარი ფაქტის შედარებით სწორად აღწერა. დანარჩენი 11 სტუდენტის ჩვენებაში კი 21 %-იდან 80%-მდე არასწორად იყო აღწერილი მომხდარი ფაქტი.

ანალოგიური ექსპერიმენტი ჩავატარე მე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემი ერთ-ერთი ლექციის დროს, როცა სტუდენტთა აღრიცხვა დავამთავრე და ჟურნალში ხელი მოვანერე, აუდიტორიაში შემოვიდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

და მთხოვა, ორიოდ ნუთი მისთვის დამეთმო. დეკანმა მკაცრად გააფრთხილა დისციპლინის დამრღვევი სტუდენტები და გააცნო ამ მიმართებით დანერგილი თავისი განკარგულება. აუდიტორიიდან დეკანის გასვლის შემდეგ ვისარგებლე შემთხვევით რომ მათთან ლექცია უკვე ნაკითხული მქონდა გარეგანი ნიშნებით პიროვნების დადგენისა და დაკითხვის ტაქტიკის საკითხებზე და იმით, რომ იმ დროს ლექცია იყო 90 ნუთიანი, სტუდენტებს მივმართე, წერილობით ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ჩვენება იმის შესახებ, თუ ვინ შემოვიდა აუდიტორიაში როგორი იყო მისი ჩაცმულობა და გარეგნობა რა გააკეთა და რაზე ისაუბრა. აუდიტორიაში მყოფი 50 სტუდენტიდან მხოლოდ 21-მა შეძლო შედარებით სწორი ჩვენების ჩამოყალიბება, 19 საკმაოდ დამახინჯებულად. 10-მა კი არამარტო ვერ ჩამოაყალიბა ის თუ რაზე ისაუბრა დეკანმა, არამედ მისი გარეგნობა და ჩაცმულობაც სრულიად არასწორად აღწერა.

დაკითხვის ექსპერიმენტებით დადგენილია ისიც რომ ქალები მომხდარ მათთვის არასასიამოვნო ფაქტებს ნაკლებად ივინყებენ, მაგრამ მამაკაცებთან შედარებით აღქმულ ფაქტების გადმოცემა უფრო მეტად ამახინჯებენ.

ზემოაღნიშნული მონაცემები გარკვეულად გვიბიძგებს ვიფიქროთ იმაზე, რომ მონმის ჩვენების ფორმირების პროცესზე გარკვეულ გავლენას ახდენს არამარტო მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის მომენტში პირის ფსიქოლოგიური განწყობა და მდგომარეობა არამედ თვით პიროვნების ინდივიდუალური თვისებები და რომ დიდ იშვიათობას წარმოადგენს მონმის ჩვენება იყოს 100%-იანი სისწორით აღწერილი და ყოველივე ეს საჭიროა გათვალისწინებული იქნეს საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში მონმის ჩვენებების შეფასებისას.

ეს მცირეოდენი ექსკურსი იმიტომ გავაკეთე, რომ უფრო ნათლად წარმოეჩინა მონმის ჩვენების ფორმირების პროცესი და ის გარემოფაქტორები, რომლებიც უდაოდ დიდ გავლენას ახდენს ჩვენების ჩამოყალიბების სისწორესა და რეალობაზე და ის, რომ თვით ე.წ „კეთილსინდისიერი“ მონმეც შეიძლება თავისდა უნებურად შეცდეს მისი წარმოდგენით მიცემულ „უტყუარ ჩვენებაში“ და სხვა.

იმ შემთხვევაში, როცა მონმე წინასწარი შეცნობით იძლევა არასწორ ჩვენებას გამომძიებელი ყოველგვარი ემოციების, აღელვებისა და ქედმაღლობის გარეშე უნდა შეეცადოს დაადგინოს ცრუჩვენების მიცემის მიზანი და მოტივი. მოახდინოს მისი დაკითხვა ჯერ საქმეზე ნაკლებად მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ და შემდგომ თანდათანობით გადავიდეს გამოსაძიებელი მთავარი ფაქტის ირგვლივ არსებული გარემოებების დეტალურ-კრიტიკულ დაკითხვაზე, მაკონტროლებელი, დამაზუსტებელი და სიცრუის მამხილებელი კითხვების დასმით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების სწორი ტაქტიკური თანმიმდევრობითი წარდგენით. ამასთან, იქვე, დაკითხვის პროცესში კვლავ შევახსენოთ წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ყოველივე, ვფიქრობ, გარკვეულ საშუალებას მოგვცემს დასაკითხი პირის ფსიქოლოგიურ განცდებში მოვახდინოთ გარდატეხა და მივალნიოთ მისგან სწორი, ობიექტური ჩვენების მიღებას.

იმ შემთხვევაში როცა მონმეს უჭირს აღქმულისა და ნანახის გადმოცემა, რეკომენდირებულია დასაკითხ პირს მიეცეს საშუალება ნახატებით, ნახაზებითა და სხვა საშუალებით წარმოაჩინოს თავისი ჩვენება.

პრაქტიკაში ცნობილია ისეთი შემთხვევა, როცა ღამის პირველ საათზე ავტომანქანა შეეჯახა ფეხით მოსიარულე მგზავრს და მიიმალა. ამ ფაქტის შემსწრე ერთადერთი მონმე იყო ახალგაზრდა პოეტი მამაკაცი, რომელიც თავის ძალღმერთად ერთად სეირნობდა. დაკითხვის დროს იგი ვერ ასახელებდა და ვერ აღწერდა, ვერც ავტომანქანის ფერს, ვერც მის მარკას და ნომერს. ამბობდა მხოლოდ იმას, რომ მან დაინახა ქუჩის გადასასვლელზე მიმავალ ქალზე ავტომანქანის შეჯახება. გამომძიებლის შეკითხვაზე თუ სეირნობის შემდეგ რას აკეთებდა პოეტმა უპასუხა: თუ მუზა მომივა ლექსს ვწერ,

თუ არა მშვიდად ვიძინებ, შეკითხვაზე: ავტომემთხვევის ღამეს სახლში მისვლის შემდეგ ხომ არაფერი დაგინერია, უპასუხა: როგორ არა ლექსი დავწერე, თუ გნებავთ წაგიკითხავთ.

გამომძიებელმა ხელნაწერი გამოართვა, წაიკითხა, თავისთვის ზოგიერთი ადგილი ჩაინიშნა, ლექსი დაუბრუნა და მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის. პოეტი გაკვირვებული უყურებდა და ვერ გაეგო რაში უხდოდა მადლობას, გამომძიებელმა განუმარტა, რომ მას ლექსში გართმული სიტყვებით კარგად შეტანილი მოსაძებნი მანქანის ფერი, მარკა და სახელმწიფო ნომერიც.

კიდევ უფრო მეტ მომზადებას, სიფრთხილესა და დაკითხვის ტაქტიკური ხერხების სწორად შერჩევას საჭიროებს ბრალდებულის დაკითხვა, რომელსაც წინ უსწრებს პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა.

ბრალდების წაყენების შემდეგ ბრალდებულმა და მისმა დამცველმა წერილობით უნდა დაადასტურონ, რომ ისინი გაეცნენ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებას. ამასთან, ბრალდებულს უნდა მიეცეს საშუალება პირისპირ შეხვდეს თავის დამცველს და მისგან მიიღოს საჭირო კონსულტაცია,

ამასთან განმარტოს, რომ დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად შეუძლია მოინვიოს დამცველი, ყოველივე ამის შემდეგ გამომძიებელი უფლებამოსილია შეუდგეს ბრალდებულის დაკითხვას წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტზე პასუხის გასაცემად და დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად ეცნობოს პროკურორსა და ბრალდებულის ინტერესების დამცველს. ბრალდებულის დაკითხვა უნდა მოხდეს დღის საათებში, გამოძიების ადგილას ან იქ სადაც ბრალდებული იმყოფება. დაკითხვის დაწყებამდე ბრალდებულს უნდა განემარტოს, რომ მას უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს გამომძიებელს დაკითხვის წინ შეეკითხოს ბრალდებულს „ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში“.

რაც ჩემი აზრით, არც ტაქტიკური თვალსაზრისით და არც ბრალდებულის პროცესუალური მდგომარეობით არასწორია, თუნდაც იმიტომ რომ მას ჯერ მხოლოდ ბრალდება აქვს წაყენებული და უფლება არა გვაქვს მასზე ვილაპარაკოთ, როგორც დამნაშავეზე, მეორეც, შეკითხვის ასეთი ფორმირება ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპს.

ბრალდებულის დაკითხვა უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო საგამომძიებო მოქმედებაა და მის სწორად და კარგად მომზადებულ ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მომხდარი გამოსაძიებელი საქმის სრული ყოველმხრივი გახსნა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

იმისათვის, რომ ბრალდებულისაგან მივიღოთ სწორი ჩვენება ეს სპეციალური ცოდნის გარდა გამომძიებლისაგან მოითხოვს სათანადო მომზადებას, ბრალდებულის პიროვნების, მისი წარსული საქმიანობის, მდგომარეობებთან (მათ შორის ქალებთან) ურთიერთდამოკიდებულებისა და საქმეში არსებული მასალების სრულ, ყოველმხრივ შესწავლა-გამოკვლევას, დაკითხვისთვის სათანადო პირობების შექნასა და ამისათვის საკუთარი ფსიქოლოგიური განწყობის ჩამოყალიბებას.

ბრალდებულის დაკითხვა მიზანშეწონილია დავინყოთ ისე, რომ მას საშუალება მიეცეს წაყენებული ბრალდების შესახებ ჯერ თვითონ თავისუფლად მოგვითხროს და ის შემდეგ მისგან მიღებული ჩვენების სრულყოფილად გამოსაკვლევად, მიეცეს მომაგონებელი, დამაზუსტებელი, მაკონტროლებელი და სიცრუის მამხილებელი შეკითხვები.

ბრალდებულის დაკითხვამდე გამომძიებელმა სრულყოფილად უნდა შეისწავლოს არამარტო სისხლისსამართლის საქმეში არსებული მასალები, არამედ ბრალდებულის სპეციალობა, პროფესია, მისი გარემომცველი გარემოება და ფსიქოლოგიური განწყობა.

ბრალდებულის დაკითხვის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ბრალდების წარდგენისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ ბრალდებულის შინაგან განცდებში განუწყვეტლივ იწყება აზრთა გაუთავებელი ჭიდილი გამოსაძიებელი მთავარი ფაქტის შესახებ ორი ძირითადი მიმართულებით, რომელიც პირობითად შეიძლება წარმოვაჩინოთ დადებითი და უარყოფითი მოტივების სახით. დადებითს ვუნოდებ იმას, რომ გამოძიებას შეკრებილი აქვს მისი დანაშაულებრივი ქმედების დასასაბუთებლად საკმარის რაოდენობის მამხილებელი მტკიცებულებები და უკეთესია აღიაროს ჩადენილი ქმედება და ამით მოიპოვოს გამომძიებლის ნდობა, მისი კეთილი განწყობა და ამას სასამართლოც ერთ-ერთ შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაუთვლის. მაგრამ, ამ დადებით მოტივებს იქვე უნებურად უპირისპირებს მეორე უარყოფით მოტივს იმაზე ფიქრით, რომ მისი მხილებისათვის საკმარისი არაა და შეიძლება გამოძიებამ ვერ მოიპოვოს სხვა საჭირო მტკიცებულება, ვერ ჩანვდეს მის საიდუმლოებას და ვერ შეძლოს საქმის გახსნა. ამიტომ იქნებ სჯობია საიდუმლოდ შეინახოს, არ აღიაროს ჩადენილი ქმედება და თავის მართლების მიზნით დაბეჯითებით მისცეს ცრუ, არასწორი ჩვენება.

ბრალდებულის მიერ თავისი აზროვნების სფეროში ჩამოყალიბებული ჩვენების მიცემის ასეთ რთულ მოდელს გამომძიებელმა თავის მხრივ უნდა დაუპირისპიროს დაკითხვისათვის მომზადებული საკუთარი მოდელი, ჩანვდეს ბრალდებულის ასეთი რთული ფსიქოლოგიური განცდების ჭიდილს, დაამყაროს მასთან ფსიქოლოგიური კონტაქტი და დაეხმაროს უარყოფით მოტივებზე გამარჯვებაში და შეძლოს მისგან სწორი, ობიექტური ჩვენების მიღება. ცხადია, ეს უაღრესად რთულია, მაგრამ პრაქტიკულად შესაძლებელია.

თუ წინასწარი მონაცემებით მოსალოდნელია, რომ ბრალდებული დაკითხვის პროცესში გამოიყენებს კიდევ უფრო სხვა რთულ, აგრესიულ მეთოდს და შეეცდება გამომძიებლის სახელისა და მისი ავტორიტეტის უარყოფით პროვოკაციებს, გამომძიებელი ამისათვისაც უნდა იყოს მზად და მის შესაბამისად ჩაებას დაკითხვის ხელოვნურად გამოწვეულ აღელვებისა და ურთიერთ არასასიამოვნო შეკამათების პროვოცირებაში, რის გამოც დაკითხვის დამსწრე პროკურორი გამომძიებელს ართმევს დაკითხვის გაგრძელების უფლებას, გაჰყავს იგი ოთახიდან და ამშვიდებს აღელვებულ ბრალდებულს, არკვევს მისი აღელვების მიზეზებს. გულდასმით ისმენს მის მიერ თავის მართლების მიზნით წამოყენებულ ყველა ახსნა-განმარტებას, თუნდაც, რომ იგი აშკარად სიცრუე იყოს და სხვა დამატებითი საუბრით პროფესორი თანდათანობით ახდენს ბრალდებულის ნდობის მოპოვებას, შედის მასთან ფსიქოლოგიურ კონტაქტში და მისი ჩვენების სიცრუის მხილებისათვის ახდენს საქმეში არსებული მტკიცებულებების თანმიმდევრულად წარდგენას პიროვნებისა და მტკიცებულებათა სიძლიერის გათვალისწინებით. გამოიყენოს აგრეთვე კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ლოგიკური აზროვნების საფუძველზე აგებული სხვა არა კანონსაწინააღმდეგო დაკითხვის ეფექტური ტაქტიკური ხერხები და საშუალებები.

რეზიუმე

პროფესორ შოთა ფაფიაშვილის ნაშრომში, - „დაკითხვის ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხების გამოყენების თეორია და პრაქტიკა საქართველოს 1998 წლის სსსკ-ით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით“, - გამოკვლეული და გადმოცემულია მონმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის დაკითხვის არაკანონსაწინააღმდეგო ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხების გამოყენების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის აქტუალური საკითხები.

ავტორი დაუშვებლად მიიჩნევს დაკითხვის პროცესში დასაკითხი პირის მოტყუე-

ბას, მის დამცირებას, მასზე ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, ცემას, წამებას, ტანჯვას, პირადი ღირსების შეურაცხმყოფელ ზემოქმედებას ან ასეთის გამოყენების მუქარას, დასაკითხი პირის „გამოჭერას“ რაიმე ცრუ დაპირებით. აგრეთვე, დაკითხვის ჰიპნოზისა და ეგრეთ წოდებული „სიცრუის გამოსამჟღავნებელი“ დეტექტორის გამოყენებით და სხვა.

RESUME

In the work of Shota Papiashvili, - “Theory and practice of using tactical and psychological methods of interrogation, taking into account the norms of the CCP of Georgia in 1998,” - topical issues of non-illegal tactical and psychological methods of interrogation of witnesses, victims and accused.

The author considers inadmissible process of use interrogation of the addict deception, humiliation, physical influence, beatings, torture, threats, insulting, affecting and humiliating the personal dignity of the addict, as well as the use of psychological “paws” by any false promises, and the so-called dector “Exposing lies” and others.

РЕЗЮМЕ

В работе професор Шота Папиашвили, – “Теория и практика применения тактико – психологических приемов допроса с учетом норм УПК Грузии 1998 года,” – исследованы и переданы актуальные вопросы непротивозаконных тактико - психологических приемов допроса свидетелей, потерпевших и обвиняемых

Автори считает недопустим и м в процессе допроса применение обмана допрашиваемого, его унижение, физического воздействия, побоев, пытки, угрозы, оскорбительного, воздействия и унижения личного достоинства допрашиваемого, а также, применение психологических “ловушек” путем каких-либо ложных обещаний, и так называемого дедектора “разоблачения лжи” и другие.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ.
2. ბ.ხარაზიშვილი, სიცრუის ფსიქოლოგია, თბ. 1977,
3. რ. ნოლოშვილი, დაკითხვის ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ, 1988წ.
4. ზ. ინწკირველი, ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ.1998წ.
5. შ.ფაფიაშვილი, მონმის, დაზარალებულისა და განსასჯელის სასამართლოში დაკითხვა, „სამართალი“, 2002 წ. #4, გვ.22-24.
6. შ.ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი) სახელმძღვანელო, თბ, 2013, გვ.407-443.
7. Лож и свидетелские показания (проблемы психологии). Вып. Т. СПб. 1905;
8. Доспулов Г. Г. Психология допроса на предварительном следствия. М. 1976;
9. Дулав А. В. Судебная психология. М. 1970;
10. Имре Кергтес. Тактики и психологические основы допроса. М. 1963;
11. Петерцев С. К. Степанов А. А. Тактики допроса на предварительном следствии и в суде. СПб. 2001.

1. დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები.

ვასილ (ბესო) კვირიკაშვილი
პროფესორი,

თეორიულ გამოკვლევაში ამოსავალ დებულებად არის მიჩნეული, რომ როგორც საზოგადოებრივი პიროვნება, ისე დამნაშავის პიროვნება მთლიანობით წარმონაქმნს წარმოადგენს, რომელსაც თავისი სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია ახასიათებს. შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: როგორ შეიძლება მთლიანობითი ობიექტის შესწავლა სხვადასხვა კუთხით და ერთმანეთისაგან განსხვავებული კონცეპტუალური საშუალებებით იმდაგვარად, რომ არ დაირღვეს პირველადი და „ბუნებრივი“ მთლიანობა პიროვნებისა, როგორც სისტემური ობიექტისა. მაგალითად, თუ ჩვენ პოსტულატის სახით დავუშვებთ, რომ პიროვნება არის ბიოლოგიურის, ფსიქოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობა, ამ აზრით ბიოფსიქოლოგიური არსება (ასეთი შეხედულება დღეისათვის ფრიად გავრცელებულია, იგი შეიძლება, ჩვენის აზრით, მთლად სწორი არც იყოს), მაშინ პიროვნების სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური შესწავლისას აბსტრაქციის მეოხებით, ცალკე გამოვყოფთ სისტემის როგორც მთლიანის რომელიმე ერთ მხარეს, დავაცილებთ მას სისტემის სხვა მხარეებს, ასეთი მიდგომა კი იმთავითვე „დაგვიხშობს“ გზებს პირველადი მთლიანობის გასაგებად. ასეთ ვითარებაში საქმეს ვერ უშველის სინთეზის ან ინტეგრაციის პრინციპებზე მითითება, რადგან სინთეზირება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხელთ გვაქვს ანალიზისა და აბსტრაქციის შედეგად დაყოფილი ნაწილები (კომპონენტები) პიროვნებისა. ხოლო ნაწილთა ინტეგრაცია მაშინ ხორციელდება, როცა ცალკეული ელემენტები არ არიან ურთიერთდაკავშირებულნი ერთიანი სისტემის შიგნით. ისმის კითხვა: როგორ შეიძლება პიროვნება გვექონდეს მხედველობაში და ამავე დროს ვილაპარაკოთ ნაწილთა სინთეზზე და ინტეგრაციაზე, როცა პიროვნებაში იმთავითვეა ნაწილები ურთიერთდაკავშირებულნი ერთიანი სისტემის სახით. ამიტომ პიროვნების მეცნიერული კვლევისას უნდა ამოვიდეთ არა ნაწილთა ინტეგრირების პოსტულატიდან, არამედ „პირველადი“ მთლიანის დიფერენციაციის პოსტულატის“ (დ. უზნაძე) მეთოდოლოგიური პრინციპებიდან. პირველადი მთლიანის დიფერენციაციის პოსტულატი პიროვნების თეორიაში იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ ადამიანის პიროვნება იმთავითვე წარმოადგენს მთლიანობით წარმონაქმნს, ხოლო მოქმედებისა და განვითარების პროცესში ხდება ამ პირველადი მთლიანის დიფერენციაცია და მასში ახალი მხარეებისა და თვისებების ჩამოყალიბება, რაც ქმნის დამნაშავის პიროვნების როგორც ფუნქციონირებადი სისტემის მთლიანობის ახალ დონეს.

სისტემური მიდგომის საფუძველზე პიროვნების ფუნქციონირების თეორიული მოდელის აგებისას უშინაარსო და არაფრისმთქმელ სიტყვებად მოგვევლინება ტერმინები „მთლიანობა“, „სისტემა“, „სტრუქტურა“, „ორგანიზაცია“ და სხვა, თუ არ დავაკმაყოფილებთ შემდეგ მოთხოვნებს: 1) საჭიროა შევიმუშავოთ და დავახასიათოთ სისტემის წარმომქმნელი ცნებები; 2) უნდა გაირკვეს და დადგინდეს პიროვნების დისპოზიციონალური სტრუქტურა; 3) უნდა დავადგინოთ პიროვნების ფუნქციონალურ-დინამიკური აქტივობის ძირითადი დეტერმინანტები; 4) საჭიროა გავარკვიოთ სტრუქტურისა და დინამიკის ურთიერთმიმართება პიროვნების ქმნადობის და ფორმირების პროცესში.

სისტემის წარმომქმნელი ცნებების შემუშავება გულისხმობს პიროვნების თეორიის ისეთი ცენტრალური ცნებების კონსტრუირებას, რომლებშიც გარკვეული წესით

გაერთიანდებიან და დაჯგუფდებიან შესასწავლი ობიექტის ყველა მხარეების ამსახველი სხვა ცნებები. ამრიგად, სისტემის წარმომქმნელი ცნებების არსი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ამომწურავად აგვიხსნას პიროვნების ფუნქციონირების ყველა კონკრეტული გამოვლენა, ან კიდევ დედუქციური წესით გამოვიყვანოთ მისი შინაარსიდან პიროვნების თეორიის ყველა სხვა ცნებები, არამედ იმაში, რომ ეს სისტემის წარმომქმნელი ცნებები უნდა გამოდიოდნენ ცენტრალურ რგოლად პიროვნების თეორიაში, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვაავლინოთ სისტემის ცალკეულ მხარეთა ელემენტთა შორის დაკავშირების გარკვეული წესი.

სისტემის წარმომქმნელი ცნებების შემუშავება საშუალებას მოგვცემს გამოვაავლინოთ დამნაშავეს პიროვნების დისპოზიციონალური სტრუქტურა და მისი ფუნქციონალური დინამიკის თავისებურებები, ხოლო პიროვნების ქმნადობის (ფორმირების) პროცესში სტრუქტურულ და დინამიკურ მაჩვენებელთა ურთიერთმიმართების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა თანამედროვე პერსონოლოგიაში.

სისტემური მიდგომის საფუძველზე პიროვნების და, კერძოდ კი, დამნაშავეს შესწავლის წინაპირობის სახით საჭიროა მოვიტანოთ ზოგიერთი დებულებები და მოსაზრებები, რომელთაც ფუნდამენტალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ საკითხის კვლევის სწორი მეთოდოლოგიური საფუძვლების დადგენისა და სისტემის წარმომქმნელი ცნებების შემუშავების თვალსაზრისით.

პირველი დებულება შემდეგი ხასიათისაა: გარკვეული თვალსაზრისით პიროვნება წარმოადგენს სინამდვილის სხვადასხვა მხარეთა და მოვლენათა მიმართებების შედეგს და, ამავე დროს, ამ სინამდვილესთან და თავის თავთან მიმართებაში მყოფ არსებას; ცხადია, რომ როცა ვამბობთ „სინამდვილეს“, ჩვენ უმეტესად აქ ვგულისხმობთ სოციალურ სინამდვილეს. დავაზუსტოთ და დავაკონკრეტოთ თუ რას ნიშნავს ზემოთქმული.

სამყაროში ყოველი მოვლენა, მატერიალური იქნება ის თუ იდეალური, თავის გარკვეულობას პოულობს იმით, რომ იგი გარკვეულ მიმართებაშია სხვა მოვლენებთან. ეს მიმართებები შეიძლება აისახოს მიზეზ-შედეგობრივ ან დროულ-სივრცობრივ დამოკიდებულებებში, იდეალური ობიექტების შემთხვევაში ფორმალურ-ლოგიკურ მიმართებებში და სხვა. „ერთი სიტყვით, ნებისმიერი მოვლენის არსი განსაზღვრულია სხვა მოვლენებთან მისი მიმართებით. მაგალითად, ნებისმიერი ფიზიკური ობიექტის არსი განისაზღვრება იმით, თუ რა სახის დროულ-სივრცობრივ და მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებშია იგი სხვა ფიზიკურ ობიექტებთან. ბიოლოგიური ორგანიზმი, როგორც სისტემური მთლიანი, ასევე გარკვეული სახის მიმართებებშია სხვა ორგანიზმებთან და სხვა მოვლენებთან. კერძოდ, მისთვის სპეციფიკურია სასიცოცხლო მიმართებაში ყოფნა სინამდვილესთან. რაც შეეხება ფსიქიკურ სინამდვილეს, აქაც იგივე ფაქტი რჩება ძალაში – ფსიქიკურისათვის სპეციფიკურია აქტიურ-ასახვითი მიმართება სინამდვილესთან. რაც თავს იჩენს თუნდაც ცნობიერების ინტენაციონალურ ბუნებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ფსიქიკურს, ცნობიერებას თავისი საკუთარი შინაარსი არ გააჩნია, ამ შინაარსს იგი საგანზე მიმართვის ინტენციონალურ აქტში შეიძენს. ცალკე აღებული რომელიმე სოციალური მოვლენის არსიც სხვა სოციალურ მოვლენებთან მისი მიმართების წყალობით არის გასაგები. რაც შეეხება ადამიანს, პიროვნებას, მისი არსი „გაიხსნება“ იმით, თუ სოციალურ მიმართებათა რა სახის მიმართებაშია იგი სოციალურ სინამდვილესთან და თავის თავთან. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალური და შესაბამისად პერსონალური სინამდვილის სპეციფიკურობის გარკვევისას კარგი იქნებოდა თუ ტერმინ „მიმართებას“ შესაბამის კონტექსტში შევცვლიდით ტერმინით „ურთიერთობა“. ამჯერად არ შევუდგებით ამ ტერმინებს შორის განსხვავების დადგენას (ეს ცალკე განხილვის საგნად უნდა იქცეს) და მივუთითებთ მხოლოდ, რომ საბოლოო ფორმულირება აღნიშნული პირველი დებულებისა შემდეგ

სახეს მიიღებს: პიროვნების არსი განისაზღვრება ერთი მხრივ, მისი ადგილით სოციალურ ურთიერთობათა ქსელში და, მეორე მხრივ, თვით მისი მიმართებით სოციალურ სინამდვილესთან (საზოგადოებასთან როგორც მთლიანთან, ცალკეულ სოციალურ ინსტიტუტებთან, კოლექტივებთან და მცირე ჯგუფებთან, ცალკეულ სხვა ადამიანებთან, სოციალურ ნორმებთან და ღირებულებებთან და ა.შ.) და აგრეთვე საკუთარ შესაძლებლობებთან, სულიერ სამყაროსთან, ინდივიდუალურ თავისებურებებთან, საკუთარ პერსონალურ სამყაროსთან.

მეორე დებულება, რომელიც პირველიდან გამომდინარეობს, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ერთი მხრივ, პიროვნების სოციალურ ურთიერთობათა ხასიათით განსაზღვრულობასა და, მეორე მხრივ, თვითონ სოციალურ სინამდვილესთან და საკუთარი პერსონალური სამყაროს მიმართ ურთიერთობას შორის არ არის იზოლაცია და გადაულახავი უფსკრული; პირიქით, ისინი ქმნიან ერთ სისტემურ მთლიანობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ 1) სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობაში პიროვნების ადგილი, თვითონ პიროვნების დამოკიდებულება სოციალურისადმი და თავისი თავის მიმართ ურთიერთ განსაზღვრავენ შინაარსეულად ამა თუ იმ მოცემულ მომენტში და 2) ეს ურთიერთგანსაზღვრულობა პიროვნების გენეზისის თვალსაზრისითაც ფუნდამენტალური ფაქტია. დავაკონკრეტოთ ეს დებულება.

სოციალური ურთიერთობები, რომლებიც პიროვნების „გარეთ“ და მისგან დამოუკიდებლად არსებობენ და რომელთა შიგნითაც პიროვნებას გარკვეული ადგილი უკავია, შინაარსეულად განსაზღვრავენ პიროვნების დამოკიდებულების ხასიათს სოციალური სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი. თავის მხრივ, იმის მიხედვით თუ რა სახის დამოკიდებულება ექნება პიროვნებას სოციალურისა და საკუთარი თავის მიმართ, ეს გარკვეულად განსაზღვრავს მის ადგილს სოციალურ ურთიერთობათა ქსელში. ეს მსჯელობა ეხება იმას, თუ რით ხასიათდება პიროვნება განვითარების მოცემულ ეტაპზე. ამიტომ ეს იქნება საკითხის აქტუალურ-მომენტალური ასპექტი. მაგრამ პიროვნების ანალიზი არ ამოიწურება იმით, თუ რას წარმოადგენს იგი მოცემულ მომენტში, საჭიროა გავითვალისწინოთ პიროვნების გენეზისის პროცესი და, უფრო მეტიც, პიროვნების არსი მის გენეზისში და ქმნადობაში უნდა ვეძებოთ. გენეზისის თვალსაზრისით აღნიშნული ურთიერთგანსაზღვრულობა იმაში გამოიხატება, რომ პიროვნებას, ერთი მხრივ, სოციალური გარემო აყალიბებს, ხოლო მეორე მხრივ, პიროვნების დამოკიდებულება სოციალური სინამდვილისადმი და საკუთარი თავისადმი მნიშვნელოვად განაპირობებს მის ადგილს სოციალურ ურთიერთობათა ქსელში; პიროვნებას, ერთი მხრივ, გარემო ქმნის, მეორე მხრივ კი იგი თვითქმნადია, დამნაშავე პიროვნება ყოფიერებით განსაზღვრული და ყოფიერების პროდუქტია, მაგრამ ამავე დროს იგი თვითონ ქმნის თავისი ყოფიერების მოდუსს და ამ აზრით თვითყოფიერობს.

სწორედ ამ სამ მომენტს: 1) სოციალურ ურთიერთობათა სტრუქტურაში მისი ადგილის; 2) სოციალური სინამდვილის სხვადასხვა მხარეებისადმი მისი დამოკიდებულების და 3) საკუთარი თავისადმი მისი დამოკიდებულების ანუ თვითმიმართების – ურთიერთგანსაზღვრულობა და ერთიანობა განაპირობებს დამნაშავეს პიროვნების სისტემურ-მთლიანობით ბუნებას.

რეზიუმე

ნაშრომში დამნაშავეს პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდოლოგიურ საკითხად მიჩნეულია სისტემური მიდგომა. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე პიროვნება განხილულია როგორც მთლიანობითი წარმონაქმნი, რომელსაც თავისი შინაგანი სტრუქტურა და ორგანიზაცია ახასიათებს. დახასიათებული და გაანალიზებულია პიროვნების ადგილი და როლი სოციალურ ურთიერთობათა სტრუქტურაში, სოციალური სინამდვილის სხვადასხვა მხარეებისადმი და საკუთარი თავისადმი მისი დამოკიდებულება.

RESUME

System approach is recognized in the work as one of the key methodological issues of criminological study of personality of criminal. On the basis of mentioned approach the personality is considered as holistic formation distinguished by his inner structure and organization. The place and role of personality of criminal in the structure of social relations, as well as his attitude towards different sides of social reality and towards himself are characterized and analyzed.

РЕЗЮМЕ

В работе одним из основных методологических вопросов криминологического изучения личности преступника признан системный подход. На основании указанного подхода личность рассмотрена как целостное образование, характеризующееся своей внутренней структурой и организацией. Охарактеризовано и проанализировано место и роль личности преступника в структуре социальных отношений, а также его отношение к различным сторонам социальной действительности и к самому себе.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. ნადირაშვილი. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975წ.
2. Система. Философская энциклопедия, т. 5, М., 1970г.

2. ანტი-სოციალური განწყობა, როგორც დამნაშავეს პიროვნების კვლევის კრიმინოლოგიური მახასიათებელი.

ვასილ (ბესო) კვირიკაშვილი
პროფესორი.

დამნაშავეს პიროვნების სისტემური მიდგომის პოზიციების შესწავლა გულისხმობს კვლევის სოციოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი რაკურსის "ფოკუსირებას", გაერთიანებას დამნაშავეს პიროვნებაზე, როგორც სისტემურ-მთლიანობით ობიექტზე. ეს დებულება, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს შემდეგს: კვლევის მითითებული რაკურსის „ფოკუსირება“ და მათი ერთიანი მეთოდური სისტემის სახით წარმოდგენის მოთხოვნა განპირობებულია თვითონ საკვლევი ობიექტის სპეციფიკით. ცნობილია, რომ კვლევის მეთოდს კვლევის საგანი განსაზღვრავს. კვლევის საგანი განაპირობებს კვლევის მეთოდის სპეციფიკურობას.

ჩვენს შემთხვევაში კვლევის საგანია დამნაშავეს პიროვნება, რომელიც სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ნიშნების ერთიანი სისტემის, გარკვეულად ორგანიზებულ მთლიანობას წარმოადგენს. აქედან, დამნაშავეს პიროვნების, როგორც სისტემური მთლიანის სპეციფიკა განაპირობებს საკვლევი მეთოდის სპეციფიკას. ამიტომ პირველ რიგში უნდა გაირკვეს დამნაშავეს პიროვნების, როგორც სისტემური მთლიანის სპეციფიკა.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მოვძებნოთ ის ცნება, რომელიც ცენტრალური იქ-

ნება დამნაშავეს პიროვნების შესწავლაში. ცენტრალური ცნება ამ შემთხვევაში აღნიშნავს ისეთ ცნებას, რომელიც სისტემის მთლიანობას განაპირობებს, კონკრეტულ სახეს აძლევს მას, არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ პიროვნება სისტემურად მთლიანია, საჭიროა დადგინდეს, რა არის ის კონკრეტული შინაარსი და კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც ქმნიან ამ მთლიანობითობას, ერთი სიტყვით, მთლიანობა თავისთავად ცარიელი სიტყვაა, თუ არ ვიცით მისი მოდუსი, საძებნელი სწორედ ეს მოდუსია და ამისათვის გვჭირდება ცნება, რომელიც ცენტრალური იქნება დამნაშავეს პიროვნების დახასიათებისათვის. ასეთი ცენტრალური ცნება სისტემის წარმომქმნელი ხასიათის იქნება.

დამნაშავეს პიროვნების სპეციფიკის გასარკვევად შემუშავებული სისტემის წარმომქმნელი ცენტრალური ცნება გაგვაგებინებს დამნაშავეს პიროვნების მთლიანობითობისა და სისტემურობის კონკრეტულ შინაარსს, მისი ფუნქციონირების მექანიზმებს და ა. შ. ამიტომ ასეთი ცნების შემუშავება უპირველესი ამოცანაა.

კრიმინოლოგიაში გავრცელებულია დებულება, რომლის თანახმადაც დამნაშავეს პიროვნების ძირითადი სპეციფიკური თავისებურებები უნდა ვეძებოთ მის ანტისოციალურ განწყობებში, ამ განწყობათა სიღრმესა, ინტენსივობასა და სიმყარეში. ამდენად, იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად სწორედ ანტისოციალური განწყობა ითვლება იმ ცენტრალურ ცნებად, რომელსაც შეუძლია „გაგვიხსნას“ დამნაშავეს პიროვნების როგორც მთლიანობითი სისტემის არსი. ამიტომაც ამ საკითხს ცალკე განხილვა ესაჭიროება.

როცა ვამბობთ – პიროვნების ანტისოციალური განწყობა, ამით ვგულისხმობთ, რომ არსებობს პიროვნების საზოგადოებრივად ღირებული (ან მისაღები) სოციალური განწყობა. მაგრამ როგორც კი გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ პიროვნების საზოგადოებრივად ღირებულ სოციალურ განწყობას პიროვნების ანტისოციალური განწყობისაგან (საზოგადოებრივად ღირებული და ანტისოციალური განწყობები სოციალური განწყობის სახეებია), იმთავითვე გასარკვევი იქნება სოციალურ განწყობათა ამ სახეებს შორის მხოლოდ შინაარსეული თვალსაზრისით არის განსხვავება. თუ ფუნქციონირების მექანიზმების მხრივაც დასტურდება ეს განსხვავება. თუ ერთ შემთხვევაში ჩავთვლიდით, რომ საზოგადოებრივად ღირებულ და ანტისაზოგადოებრივი ხასიათის სოციალურ განწყობებს შორის მხოლოდ მათი შინაარსის მიხედვით არის განსხვავება, ის იმას ნიშნავს, რომ განწყობათა ამ სახეების მოქმედება-ჩამოყალიბების მექანიზმები იდენტურია და ამ თვალსაზრისით სოციალური განწყობის ფუნქციონირების ფორმა კონსტანტაა, რომელსაც ყველანაირი შინაარსი „მოერგება“, ხოლო თუ მეორე შემთხვევაში ვიტყვით, რომ სოციალურ განწყობათა ეს სახეები არა მარტო შინაარსეულად, არამედ ფუნქციონირების მექანიზმებისა და ფორმის მიხედვითაც განსხვავდებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალური განწყობის ფუნქციონირების ფორმა არ არის კონსტანტა და მისი ფუნქციონირების გარკვეულ ფორმებს ყველანაირი შინაარსი ვერ „მოერგება“. როგორც ვხედავთ, აქ ალტერნატიულ მსჯელობასთან გვაქვს საქმე და საკითხში სინათლე უნდა შეიტანოს შემდგომმა თეორიულ-ემპირიულმა კვლევამ. მაგრამ სანამ ამ საკითხის გადამწყვეტას შევუდგებოდეთ, კვლევის წინაპირობის სახით უნდა გავარკვიოთ თუ რა აზრით ვხმარობთ საზოგადოებრივად ღირებულ სოციალური განწყობისა და ანტისაზოგადოებრივი სოციალური განწყობის (მოკლედ, ანტისოციალური განწყობა) ცნებებს.

უნდა ითქვას, რომ კრიმინოლოგიაში და ფსიქოლოგიაში სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული თუ რას ნიშნავს ანტისოციალური განწყობა და რით განსხვავდება იგი საზოგადოებრივად ღირებულ სოციალური განწყობისაგან. იმისათვის, რომ ასეთი განსაზღვრება ჩამოვაყალიბოთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივად ღირებულ და ანტისოციალური განწყობის ცნებების გვაროვნული

ცნებაა სოციალური განწყობის ცნება. ამდენად, ის თვისებები და ნიშნები, რომლებიც საზოგადოდ სოციალური განწყობის ცნებას ახასიათებენ, საერთოა როგორც საზოგადოებრივად ღირებული სოციალური განწყობების, ისე ანტისოციალური განწყობისათვის. ამ თვალსაზრისით განსაზღვრება, რომელსაც შევიმუშავებთ საზოგადოდ სოციალური განწყობის ცნების მიმართ, ქმედითი იქნება როგორც საზოგადოებრივად ღირებული, ასევე ანტისაზოგადოებრივი სოციალური განწყობების მიმართაც.

სოციალური განწყობის ცნება სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული სხვადასხვა ფსიქოლოგთა მიერ. უმეტესად ასეთი განსაზღვრების თავისებურებას აპირობებს ის, თუ რა ზოგად-ფსიქოლოგიური თეორიიდან ამოდის ესა თუ ის ავტორი. მაგალითად, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები სხვა შინაარსს დებენ ამ ცნებაში, ვიდრე გეშტალტფსიქოლოგები ან კიდევ ფსიქონალიტიკურად მოაზროვნე ფსიქოლოგები და ა. შ. ჩვენ ამჯერად სოციალური განწყობის ცნების განსაზღვრის მიზნით ამ ფსიქოლოგიური მიმართულებების ანალიზს არ შევუდგებით, ვინაიდან ეს ცალკე საკვლევი საკითხია. ჩვენი ამოცანა უფლებას გვაძლევს ერთგვარად შემოვიფარგლოთ და აღვნიშნოთ, რომ სოციალური განწყობის ცნების არსებულ განსაზღვრებებში ერთი რამ არის საერთო: სოციალური განწყობა აღნიშნავს ადამიანის დამოკიდებულებას გარკვეული სოციალური ობიექტების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ან ცალკეული ადამიანების და სოციალური ღირებულების მიმართ, მის მზაობას გარკვეული სახით მოქმედებისა, რაც აღძრავს ამა თუ იმ ქცევას და მიმართულებას მისცემს მას. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა ეხება სწორედ ამ დამოკიდებულების ბუნებას და იმას, თუ როგორ აღძრავს და როგორ აძლევს მიმართულებას იგი პიროვნების ქცევას ამა თუ იმ სოციალურ სიტუაციაში.

მიუთითებენ სოციალური განწყობის კომპონენტებს და ფუნქციებს. გავრცელებულად ითვლება სოციალური განწყობის სამკომპონენტიანი თეორია. ამ თეორიის მიხედვით სოციალური განწყობა სამი კომპონენტის ერთიანობას წარმოადგენს. ეს კომპონენტებია: 1. კოგნიტური ანუ შემეცნებითი, 2. ემოციურ-შეფასებითი და 3. კონატური ანუ ქცევითი. ითვლება, რომ სოციალურ განწყობაში, ერთი მხრივ, მოცემულია ინფორმაცია განწყობის ობიექტის შესახებ (ე.ი. სუბიექტმა გარკვეულად იცის ამა თუ იმ სოციალური ობიექტის შინაარსი), მეორე მხრივ, გარკვეულ ემოციურ დამოკიდებულებაშია და შესატყვისად შეაფასებს (ღირებულებას ანიჭებს) ამ ობიექტს, და მესამეც, სუბიექტმა არა თუ იცის და შეფასებითი დამოკიდებულება აქვს ამ ობიექტის მიმართ, არამედ მას აქვს აგრეთვე ტენდენცია – ამ დამოკიდებულების შესაბამისად მოქმედებისა. უნდა ითქვას, რომ ემპირიული კვლევის დროს ეს გავრცელებული მოდელი სოციალური განწყობის სამკომპონენტიანობისა ზოგჯერ ვერ ნახულობს მისი სისწორის დადასტურებას, რაც მთელ რიგ ახალ პრობლემებს წარმოაჩენს. მაგალითად, ჯერჯერობით გადაუწყვეტელ საკითხად ითვლება სოციალურ განწყობასა და რეალურ ქცევას შორის ცალსახოვანი შესატყვისობის არსებობა-არარსებობა. კერძოდ, მთელ რიგ გამოკვლევებში ექსპერიმენტულად იყო ნაჩვენები, რომ სოციალური განწყობის მესამე კომპონენტი ყოველთვის ვერ ნახულობს თავის რეალიზაციას: ადამიანი ერთი სახით შეაფასებს ამა თუ იმ სოციალურ ობიექტს, ხოლო მისი რეალური ქცევა მეორე სახით მიმდინარეობს და არ ემთხვევა შეფასებითი დამოკიდებულების შინაარსს.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია სოციალური განწყობის ფუნქციები. გამოჰყოფენ სოციალური განწყობის შემდეგ ფუნქციებს: ა) ადაპტიური; ბ) დაცვითი; გ) ექსპრესიული და დ) ფსიქიკური აქტივობის მიმდინარეობის ეკონომიკურობის ფუნქციებს. ასევე მრავალრიცხოვანი გამოკვლევები არის მიძღვნილი სოციალური განწყობის შეცვლისა და ფორმირების კანონზომიერების დასადგენად. ამ მხრივ დადგენილია კანონთა მთელი სერია, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

ჩვენი მიზანი ამჯერად არ არის სოციალური განწყობის ყველა ნიშან-თვისებების, მისი კომპონენტების, ფუნქციების და მოქმედება-ჩამოყალიბების კანონზომიერებათა დანვრისგან ანალიზი. ამას ჩვენ ცალკე და სპეციალურად შემდგომში შევეხებით, ახლა კი სოციალური განწყობის ეს ნიშან-თვისებები, მისი კომპონენტები, ფუნქციები და მისი მოქმედება-ჩამოყალიბების კანონზომიერებები მხოლოდ და მხოლოდ იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ვცდილობთ გავარკვიოთ: რა არის საერთო პიროვნების საზოგადოებრივად ღირებულ განწყობასა და ანტისოციალურ განწყობას შორის და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან.

საკითხის განხილვის ეს კონტექსტი გულისხმობს ორ გარემოებას: 1) უნდა გავარკვიოთ საზოგადოდ სოციალური განწყობის ცნების მიმართება საზოგადოებრივად ღირებულ სოციალური განწყობისა და ანტისოციალური განწყობის ცნებებთან, და 2) უნდა გავარკვიოთ მიმართება (მსგავსება-განსხვავების თვალსაზრისით) თვით საზოგადოებრივად ღირებულ განწყობისა და ანტისოციალური განწყობის ცნებებს შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური განწყობის ცნება გვაროვნული ცნებაა, ხოლო საზოგადოებრივად ღირებულ განწყობისა და ანტისოციალური განწყობის ცნებები სახეობითი ხასიათისაა. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ის ნიშნები და თავისებურებები, რომლებიც ახასიათებენ სოციალურ განწყობას. დამახასიათებელი უნდა იყოს აგრეთვე როგორც საზოგადოებრივად ღირებულ განწყობის, ისე ანტისოციალური განწყობისათვის.

ერთი სიტყვით, საერთო ნიშნები და თავისებურებები საზოგადოებრივად ღირებულ სოციალური განწყობისა და ანტისოციალური განწყობისა გამოიყვანება იმ ზოგადი ბუნებიდან, რაც საზოგადოდ სოციალურ განწყობას ახასიათებს.

აღნიშნული თვალსაზრისით საზოგადოებრივად ღირებულ განწყობისათვის და ანტისოციალური განწყობისათვის საერთო იქნება ისეთი ნიშან-თვისებები, როგორიცაა გარკვეული სოციალური ობიექტისადმი დამოკიდებულება ან სოციალური ქცევის აღძვრა და მისთვის მიმართულების მიცემა, ასევე საერთო ხასიათი ექნება საზოგადოებრივად ღირებულ განწყობისა და ანტისოციალური განწყობის აგებულებას მათი შემადგენელი კომპონენტების თვალსაზრისით. როგორც ერთი, ისე მეორე, წარმოგვიდგება როგორც ერთიანობა კოგნიტური, ემოციურ-შეფასებითი და ქცევითი კომპონენტებისა. საერთო იქნება როგორც ერთის, ისე მეორის ის ფუნქციები, რასაც ისინი ასრულებენ პიროვნებაში, კერძოდ, ორთავესთვის საერთოა ადაპტიური, დაცვითი, ექსპრესიული და ფსიქიკური აქტივობის ეკონომიურობის ფუნქციები.

თუკი ძირითადი ნიშან-თვისებების შემადგენელი კომპონენტებისა და ფუნქციების თვალსაზრისით საზოგადოებრივად ღირებულ სოციალურ განწყობებსა და ანტისოციალურ განწყობებს შორის დიდი მსგავსებაა, ჩვენი აზრით, მათი ფუნქციონირების მექანიზმები და მოქმედება-ჩამოყალიბების კანონზომიერებები ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდნენ. პირველ რიგში კი განსხვავება სოციალური განწყობის ამ ორ სახეს შორის ეხება მაინც მათ შინაარსობრივ მხარეს.

რეზიუმე

ნაშრომში დასაბუთებულია დამნაშავეს პიროვნების სისტემური მიდგომების პოზიციებიდან შესწავლის აუცილებლობა. ანტისოციალური განწყობის სახით მოძებნილია ცნება, რომელიც ცენტრალური უნდა იყოს დამნაშავეს პიროვნების კრიმინოლოგიურ შესწავლაში. განმარტებული და განსაზღვრულია ანტისოციალური განწყობის ცნება. დადგენილი და გაანალიზებულია პიროვნებაში ანტისოციალური განწყობის გამოვლენის ფორმები, თავისებურებები და კრიმინოლოგიური მახასიათებლები.

RESUME

The necessity of study of personality of criminal from the standpoint of system approach is substantiated in the work. In the form of antisocial attitude is found the notion, which has to be the key link in criminological study of personality of criminal. The notion of antisocial attitude is identified. Forms, peculiarities and criminological characteristics of revelation of antisocial attitude of personality are established and analyzed.

РЕЗЮМЕ

В работе обоснована необходимость изучения личности преступника с позиций системного подхода. В виде антисоциального настроения найдено понятие, которое должно быть основным звеном в криминологическом изучении личности преступника. Определено понятие антисоциального настроения. Установлены и проанализированы формы, особенности и криминологические характеристики выявления антисоциального настроения в личности.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. ჩხარტიშვილი. განწყობა და ცნობიერება, თბ., 1985წ.
2. შ. ნადირაშვილი. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975წ.

სტუდენტთა დასახმარებლად

პროფესორ შოთა ფაფიაშვილის ლექცია თემაზე:

„იურიდიული სამსახურის გაუმჯობესებისა და დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების ზოგიერთი პრობლემა“.

მოგესალმებით, ჩვენო საამაყო სტუდენტებო! ჩვენ უკვე იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის მრავალ საინტერესო თემაზე ვისაუბრეთ. დღეს, ყურადღებას გავამახვილებ იურიდიული სამსახურის გაუმჯობესების და დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების ზოგიერთ პრობლემურ საკითხზე.

ახალგაზრდა იურიდიული კადრებისა და ჩვენი საზოგადოებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების გარდა ქართველი მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოსთა წინაშე დღეს კიდევ სხვა ახალი, დიდი ამოცანები დგას, რომელთა სწორი, დროული გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება და ქვეყნად სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

ცნობილია, რომ სამართლის, სამართლიანობისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცება იურისტების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. მათი როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება დღეს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში, როცა მიმდინარეობს საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესი; ბრძოლა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის; ბნელით მოცული დანაშაულებრივი ფაქ-

ტების გამოვლინება-აღკვეთისა და დამნაშავეთა სამართლიანი დასჯისათვის; როცა მიმდინარეობს გლობალური საქმიანობა ქართული კანონმდებლობის თანამედროვე რელსებზე გადაყვანისა და სასამართლოს სრული -ჭეშმარიტი რეფორმა და ახალი ნამდვილი ცივილიზებული სახელმწიფოსათვის შესაფერისი კანონმდებლობის შექმნა-ჩამოყალიბება; როცა საქართველოს პარლამენტის მიერ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მიღებულ იქნა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ახალი სისიხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ორჯერ შეცვლა – მიღება და სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონები და მიმდინარეობს მათი შემდგომი სისტემატური დახვეწა გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ჩვენი სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ მუშაკები გამოცდილ პრაქტიკოსებთან ერთად ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამართალშემოქმედებით საქმიანობასა და სპეციალურ სამთავრობო კომისიებში. სწორედ, იურისტების განუხრელი, დაბეჯითებითი მოთხოვნების შედეგად იქნა მიღებული და აღდგენილი უდანაშაულობის პრეზუმფცია და მიმდინარეობს თანმიმდევრული ბრძოლა სწორი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების – ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის პრაქტიკაში სწორად გატარებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოება სრულიად ახალი ამოცანების წინაშე აყენებს იურისტებს და კიდევ უფრო აქტიუალურს ხდის მათ მუშაობას კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფასთან მიმართებაში. იგი ასევე ახალი ამოცანების წინაშე აყენებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს და მოუწოდებს მათ მტკიცედ იდგნენ კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის სადარაჯოზე, სათანადო რეაგირების გარეშე არ დატოვონ საზოგადოებრივად საშიში სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი, მოახდინონ ყველა შენიღბული დანაშაულის სრული, ყოველმხრივი გახსნა და მისი ჩამდენი პირების მიმართ გამოიყენონ კანონით დადგენილი სწორად შერჩეული შესაბამისი სასჯელები.

კანონმდებლობისა და იურიდიული სამსახურის პრაქტიკის შემდგომი სრულყოფა პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფო მართვის აპარატის, კადრების მომზადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განათლებისა და მუშაობის კულტურის ამაღლებასთან. აქედან გამომდინარე, იურისტის პროფესიული საქმიანობაც, თავისი ფართო გაგებით, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა წარიმართოს.

თანამედროვე პირობებში, სახელმწიფო აპარატის მართვის სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იურიდიული სამსახურის გაუმჯობესებასა და მისი როლის ამაღლებას, სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურის, მათი ორგანიზაციული ფორმებისა და საქმიანობის სრულყოფას.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია თუნდაც ის, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასთან ერთად გაუქმდა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ორგვარი დაქვემდებარების პრინციპი და ისინი საქართველოს დამოუკიდებელ უმაღლეს ორგანოებად იქცნენ და ამის შესაბამისად მიღებული და გამოცემულია მთელი რიგი სპეციალური კანონები,

ამჟამად მოქმედი კანონების თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი ორგანო არის საქართველოს უზენაესი სასამართლო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები, განჩინებები და დადგენილებები შეიძლება გასაჩივრდეს ჯერ სააპელაციო სასამართლოში, შემდეგ კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში, რომლის მიერ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ან განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარე-

ბა. უკიდურესად აუცილებელ შემთხვევაში იგი შეიძლება გასაჩივრდეს სტრასბურგის სასამართლოში სათანადო წესების დაცვით, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას საერთოდ აღარ ექვემდებარება.

ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სხვა სამინისტროები ანგარიშვალდებულნი აღარ არიან საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სხვა ორგანოების წინაშე, ისინი დამოუკიდებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ საქართველოს პარლამენტისა და სხვა უმაღლესი ორგანოების წინაშე და პასუხს აგებენ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყოველივე ეს უდავოდ კარგია, მაგრამ, ცხადია, საკმარისი არაა, რადგან დღეს მიმდინარეობს სრული სასამართლო რეფორმა. უფრო მეტიც, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი კანონების მიღება, არსებული კანონების დახვეწა და სრულყოფა, მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენება, რაც, თავის მხრივ, ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვს ქართველი იურისტებისაგან. ამასთან, ცხადია, ამ მიმართებით წარმოებული დიდი სამუშაოების ჩატარებით არ მთავრდება იურისტების საქმიანობა, მათი ყოველდღიური ზრუნვის საგანია კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა, მიღებული კანონების სისტემატიზაცია, საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესება, სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა და საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში მათი აქტიური მონაწილეობა.

საქართველოში მომხდარი დიდი ცვლილებების შესაბამისად, საზოგადოებრიობის განვითარების ამ ეტაპზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში იურისტების ფართოდ ჩაბმის აუცილებლობამ საჭირო გახადა იურიდიული კადრების მომზადების ფორმების გადასინჯვა, ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესება და იურიდიული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ახალი გზების მოძებნა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ყველა თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება კონკურსები და სხვადასხვა ფორმით ტარდება გამოცდები.

დასამალი არაა, რომ თანამედროვე უმაღლესი, იურიდიული განათლების ტრადიციული სისტემა, შეიძლება ითქვას, ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, რადგან იგი ზოგადი, იურიდიული განათლების მიღებით შემოიფარგლება. საჭიროა ამ ზოგადი, იურიდიული საგანმანათლებლო სისტემიდან ვიწრო იურიდიული სპეციალიზაციისაკენ გადავინაცვლოთ და იურისტების მომზადება მოხდეს სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო სამართლის თეორიისა და ისტორიის; სამეცნიერო და სამოქალაქო სამართლის; სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის; ოპერატიულ-საგამოძიებო და საექსპერტო საქმიანობის; საგამოძიებო-საპროკურორო და სამოსამართლო დარგის სპეციალობების მიხედვით დავინყოთ მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი იურიდიული კადრების მომზადება.

პრაქტიკულად ეს შეიძლება განხორციელდეს ამჟამად შემოღებული ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების ფორმით. კერძოდ, იურიდიულ ფაკულტეტზე შემოსულმა აბიტურიენტმა შეიძლება რვა სემესტრი ისწავლოს ბაკალავრიატში და ამით მას მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს ზოგადი იურიდიული განათლება, ამის მიხედვით მიეცეს შესაბამისი დიპლომი. ხოლო ის, ვინც მოისურვებს მეორე საფეხურზე _ მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას, იქ უნდა მოხდეს სწავლება წმინდა სპეციალიზაციის მიხედვით ხუთი-ექვსი სემესტრის განმავლობაში და სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და არჩეული სპეციალობის მიხედვით გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მიენიჭოს იურისტის კვალიფიკაცია და მიეცეს დიპლომი არჩეული სპე-

ცილობით უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ.

სწავლების ასეთი ფორმა, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადებასა და მათ პირდაპირ ჩაბმას პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული სპეციალობების მიხედვით.

ამ პრობლემატური საკითხების წარმატებით გადაწყვეტის გარეშე შეიძლება ითქვას, შეუძლებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფა-განვითარება და თვით სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამ კეთილშობილურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს აგრეთვე, საქართველოში დამოუკიდებელი იურიდიული ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების ფართო ქსელის შექმნა და იურიდიული კადრების მომზადება ზოგადი იურიდიულ საგანმანათლებლო სახითა და მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადება ცალკეული სპეციალობების მიხედვით.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის, სამართალდამცავი ორგანოებისა და მთელი ქართველი იურიდიული საზოგადოებრიობის წინაშე მწვავედ დადგა აგრეთვე საკითხი იურიდიული კადრების (როგორც პრაქტიკოსი, ისე ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებისა და პედაგოგების) გადამზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი ცენტრებისა და ინსტიტუტების შექმნის შესახებ, რასაც, ჩემი აზრით, ჯერჯერობით კვლავ არაჯეროვანი ყურადღება ეთმობა.

იურიდიული კადრების მომზადება და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა წარმოუდგენელია სათანადო თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. მისი ნაკლებობა სათანადო დაღს ასვამს არა მარტო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, არამედ თვით სამართალდამცავი ორგანოების _ სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, ადვოკატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის სრულყოფილად წარმართვას.

მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ორგანოების მუშაობა დანაშაულის გახსნასთან დაკავშირებით წარმოუდგენელია თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის კრიმინალისტიკური მეცნიერების მიღწევებისა და შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე და სხვ.

საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და შესაბამისი სპეცსამსახურების, მთელი იურიდიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა და მათი ყოველდღიური ზრუნვის საგანია იურიდიული სამსახურის ყველა სფეროს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური ბაზითა და მათი პროფილის შესაბამისი სპეციალური ლიტერატურით სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა. და, ამ მიმართებით სერიოზული ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ ეს საკმარისი არაა.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებებთან ერთად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესება, საქართველოში მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცება, მართლმსაჯულების სწორი, მართებული განხორციელება და მთელი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ახალ, დემოკრატიულ რელსებზე გადაყვანა, ყოველმხრივი დადებითი შედეგებით, წარმოუდგენელია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გარეშე.

უფრო მეტიც, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის, მთელი სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი საქმიანობის წინსვლის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. მაგრამ, ცხადია, ეს გარემოებაც შეთანხმებული და მონესრიგებული უნდა იყოს კანონით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით ამ მიმართებით პრაქტიკაში დანერგილი ყოველგვარი პროგრესული წინადადება და მეთოდი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კანონს.

იურიდიული სამსახურის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება და ხალხის მასებში მისი ავტორიტეტის ამაღლება წარმოუდგენელია იურიდიული დარგის სპეციალისტთა და საქართველოს მთელი მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ყოველდღიური ამაღლების გარეშე. ამ მიმართებით ფართო მუშაობა უნდა გაიშალოს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის თვალსაზრისით, **რადგან წარმოუდგენელია კანონების დაცვა-განმტკიცება და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება იურიდიული სამსახურის მუშაკებისა და საზოგადოების ფართო მასების სამართლებრივი კულტურისა და სამართალშეგნების ამაღლების გარეშე, კანონისადმი მოსახლეობის პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის გარეშე.**

საჭიროა საზოგადოებაში დამკვიდრდეს მტკიცე რწმენა იმისა, რომ მიუღებელი და მოუთმენელია ყოველგვარი თვითნებობა, კანონის დარღვევა, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენა. და, რომ რაოდენ შენიღბული სახითა და რთულ კონფლიქტურ სიტუაციაშიც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი, აუცილებლად მოხდება მისი სწრაფი, სრული გახსნა, დადგინდება ობიექტური ჭეშმარიტება და იზეიმებს სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულება.

ამ პოზიტიური მიზნის მიღწევა, ცხადია, შეუძლებელია მაღალკვალიფიციური იურისტების უმნიშვნელო, თავდადებული, აქტიური მუშაობის გარეშე. ამიტომ საჭიროა სისტემატიური მუშაობა გამომძიებლების, ოპერატიული მუშაკების, დეტექტივების ადვოკატებისა და სასამართლოს მუშაკებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების წარმოება და არ დაგვიწყვილოთ მათთვის ორ-სამდღიანი ტრენინგების ჩატარებით.

იურიდიული სამსახურის, კერძოდ კი, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თანმიმდევრული ბრძოლა სამართალდარღვევების წინააღმდეგ. უკანასკნელ პერიოდში ჩვენს სახელმწიფოში სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის ფაქტების ზრდა გარკვეულ შემოფოტებას იწვევს მოსახლეობის ფართო მასებში, მთელ მოწინავე საზოგადოებაში, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოებისაგან მოითხოვენ დამნაშავეობის წინააღმდეგ მტკიცე, თანმიმდევრულ ბრძოლას, დანაშაულებრივი ფაქტების დროულ გამოვლინება – აღკვეთასა და თავიდან აცილებას.

ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, ცხადია, პირველ რიგში, იურისტებს აკისრია დიდი მისია და, მათ შორის, თქვენც, როგორც მომავალ იურისტებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს.

სამართალდარღვევა ისეთი ანტისაზოგადოებრივი მავნე ქმედებაა, რომელიც არღვევს მართლწესრიგსა და იურიდიულ ნორმებს. მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედება არის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ისეთი ნორმების დარღვევა, რომელიც იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. დანარჩენი სახით სამართალდარღვევები კი, რომლებიც თავიანთი სოციალური ბუნებით ნაკლებად საშიშია საზოგადოებისათვის, შეიძლება იყოს ქონებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინარული გადაცდომის ხასიათის.

იურიდიული სამსახურისა და სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დამნაშავეობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა, მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების დროული გამოვლინება, დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა და დამნაშავეის სამართლიანი დასჯა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების დადგენა, დანაშაულის თავიდან აცილება და აღკვეთა, დამნაშავეთა გამოსწორება და მათი ხელახალი აღზრდა კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით და ამ მიმართებით მთელმა იურიდიულმა სამსახურმა უნდა აწარმოოს თანმიმდევრულად სწორი, მიზანდასახული საქმიანობა.

სამართალდარღვევების თავიდან აცილების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები შეიძლება იყოს როგორც ზოგადი, ანუ საერთო პრევენციული ხასიათის, ისე ცალკეული, კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ.

მაგალითად, ქურდობის საქმის გამოძიების დროს, თუ დადგინდება, რომ სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ხელი შეუწყო ქონების არასათანადო დაცვამ, ამის შესახებ საჭიროა გამოძიებელმა შეადგინოს დასაბუთებული წარდგინება გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ და შეიტანოს იგი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით. გამოიყენოს აგრეთვე სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადების წესი და მის საფუძველზე დაადგინოს კონკრეტული სახის დანაშაულთა გამომწვევი მიზეზები და ამის მიხედვით დაისახოს მისი თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები.

საზოგადოებაში გავრცელებულია არასწორი შეხედულება იმის შესახებ, თითქოს დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყოს მკაცრი სასჯელების დანესება. პრაქტიკაზე იურისტების მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებით დადგენილია, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სრულიადაც არ გამოიხატება მის სიმკაცრეში. მისი ძალა ამ მიმართებით მის გარდუვალობაშია. მთავარი და მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენად მკაცრად ისჯება დამნაშავე, არამედ ის, რომ არც ერთი დანაშაულებრივი ფაქტი არ დარჩეს გაუხსნელი და თითოეული მისი ჩამდენი პირი სამართლიანად იქნეს დასჯილი.

მაშასადამე, სასჯელის ზოგადი და კერძო პრევენცია, ანუ მისი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა მდგომარეობს არა მის სიმკაცრეში, არამედ მის გარდუვალობაში.

დანაშაულთა გამომწვევი მიზეზების ხელშემწყობი გარემოებებისა და თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა შესახებ არსებული თანამედროვე იურიდიული მეცნიერება ემყარება და იზიარებს რა კრიმინოლოგიური მეცნიერების გამოკვლევის მეთოდებს, დანაშაულს მიიჩნევს სოციალურ მოვლენად და მის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ გარემოებებს ყოფს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად.

ჩვენ არ ვიზიარებთ ზოგიერთი მეცნიერის მიერ გავრცელებულ იმ შეხედულებას, რომლითაც დანაშაული მიჩნეულია საზოგადოებისათვის მუდმივად თანმდევ ისეთ ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მოვლენად, როგორიცაა დაბადება და სიკვდილი, რომ დანაშაულის ჩადენა დამახასიათებელია პიროვნების ბიოლოგიურ თვისებებთან, მის გენეტიკურ მოვლენებთან და ამიტომ, მათი აზრით, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა აღკვეთილ იქნეს ასეთი ბიოლოგიური ნიშნების მატარებელი – დანაშაულის ჩადენის მიდრეკილების მქონე პირთა გამრავლება და ამ მიზნით მოხდეს მათი კასტრაცია ან საზოგადოებისაგან მათი წინასწარი იზოლაცია, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, არასწორი და მიუღებელია.

ადამიანის ისეთი ბიოლოგიური თვისებები, როგორიცაა: სქესი, ასაკი, პიროვნების ფსიქიკა და სხვა გენეტიკური გარემოება, ცხადია, გარკვეულ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მის ტემპერამენტსა და ხასიათზე, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების ამ ბიოლოგიურ თვისებებში ჩადებული და დაპროგრამებული იყოს მის მიერ ჩასადენ ანტისაზოგადოებრივ ქმედებათა კომპლექტი. ამიტომ არ შეიძლება ამ ბიოლოგიური თვისებების გამოკვლევით მოხდეს საზოგადოებისაგან დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილების მქონე პირთა წინასწარი იზოლაცია.

თანამედროვე, პროგრესული იურიდიული მეცნიერების მიერ ასევე უარყოფილია შეხედულება, რომლითაც დანაშაული, ადამიანის ბიოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე, მემკვიდრეობით მოვლენადაა მიჩნეული. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ბიოლოგიურ – გენეტიკური მოვლენები თავს იჩენს პიროვნების ბიოლოგიურ

(სისხლის შემადგენლობის და სხვ.) და ფიზიკურ- ანატომიურ ნიშნებში. მაგრამ, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შვილი მამისაგან იღებდეს დანაშაულის ჩადენის იდეასა და მისი განხორციელების ხერხებისა და საშუალებების ერთიან მოდელს. პრაქტიკაში ცნობილია მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავე რეციდივისტად აღიარებული პიროვნების შვილი უაღრესად პატიოსან და წესიერ პიროვნებად ყალიბდება და პირიქით, წესიერი და პატიოსანი პიროვნების შვილი, დამნაშავე რეციდივისტად გვევლინება.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს მაძლევს დავასკვნა, რომ **დანაშაული ესაა სოციალური მოვლენა და არა საზოგადოების მუდმივი თანამგზავრი და პიროვნების ბიოლოგიური – გენეტიკური მოვლენა. ამიტომ დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის გზები უნდა ვეძიოთ არა პიროვნების ბიოლოგიურ – გენეტიკურ თვისებებში, არამედ იმ სოციალურ გარემოპირობებსა და ვითარებაში, რომელშიც უშუალოდ ყალიბდება პიროვნების მსოფლმხედველობა, მისი ფსიქოლოგია, მისი დამოკიდებულება ცალკეულ პირებთან, ჯგუფებთან, მთელ საზოგადოებასთან.**

ბავშვი რომ იბადება მასში არ არის არც ბოროტება და არც სიკეთე. მისი აღზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბების რთული ფორმირების პროცესში დაშვებული შეცდომების შედეგად ხდება მასში იმ ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების ჩასახვა, რომელიც მისთვის ხელსაყრელ პირობებში მძლავრად იჩენს თავს, იდენს დანაშაულს და ზოგჯერ მთლიანად ეშვება დანაშაულთა მორევში.

ჩვენს საზოგადოებაში ეკონომიკური ფორმაციის შეცვლამ, კერძო საკუთრების დამკვიდრებამ, ბიზნესის გაფართოებამ და პირველ ხანებში ველური კაპიტალიზმის მძლავრი ყლორტების წარმოჩინებამ და უმუშევრობის ძლიერმა ტალღამ გარკვეულად შეუწყო ხელი დანაშაულის ზრდას, დანაშაულის გაუხსნელობასა და დანაშაულის ჩამდენ პირთა დაუსჯელობას. მაგრამ, მჯერა, რომ ეს დროებითი მოვლენა თანდათანობით გამოსწორდება და სამართალდამცავი ორგანოების აქტიური მოქმედებით მიღწეული იქნება დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა, დამნაშავეთა სამართლიანი დასჯა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების აღმოფხვრა და დანაშაულთა თავიდან აცილება.

მაშასადამე, დანაშაულს, როგორც სოციალურ მოვლენას, ჩვენი ცხოვრების რეალურ სინამდვილეში უდაოდ აქვს თავისი აღმოჩენებისა და განვითარების გარკვეული ნიადაგი და პირობები, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპზე შექმნილი ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ხასიათის სიძნელეების აღმოჩენებისას, რომლის განვითარებასა და ჩადენას ხელს უწყობს პიროვნების მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, მასში არასწორი წარმოდგენების, სურვილებისა და მისწრაფებების აღმოცენება და თავისი ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის არასწორი გზების არჩევა.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგია.

დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების გამოკვლევა-დადგენის აუცილებლობა და მომავალში მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილება, ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც იყო რეგლამენტირებული.

მაგალითად, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლი ეხებოდა რა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენას პირდა-

პირ მიუთითებდა, რომ „დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენისას გამომძიებელი ან პროკურორი შესაბამისი ორგანიზაციის თანამდებობის პირს უგზავნის წარდგინებას ამ გარემოებათა გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად“. და რომ „წარდგინების განხილვა სავალდებულოა. განხილვის შედეგი ერთი თვის ვადაში უნდა ეცნობოს წარდგინების ავტორს“.

იქვე მითითებული იყო იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა წარდგინების განუხილველობასა და მოცემული დავალების შეუსრულებლობას. კერძოდ, ამავე მუხლის მესამე ნაწილში ნათქვამი იყო, რომ „აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 20 მინიმალურ ოდენობამდე“.

კარგი იქნებოდა თუ ამ გარემოებას ამჟამად მოქმედი საპროცესო კანონმდებლობაც გარკვეულ ყურადღებას მიაქცევდა.

მაშასადამე, ნორმალური საპროცესო კანონმდებლობით გამომძიებელს უნდა ევალებოდეს ყოველ კონკრეტულ გამოსაძიებელ საქმეზე, გამოძიებით დასადგენ სხვა აუცილებელ გარემოებებთან ერთად, დაადგინოს ის, თუ რამ შეუწყო ხელი ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, რა იყო მისი ჩადენის ხელშემწყობი გარემოება და მიიღოს შესაბამისი ღონისძიება მისი აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის. მაგრამ ვინაიდან ამჟამად წინასწარი გამოძიება აღარ არსებობს და საქმე სასამართლოში წარიმართება საბრალდებო დასკვნის გარეშე და გამომძიებლის უფლებამოსილება მეტად შეზღუდვილია ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება, ცხადია, გამომძიებელს აღარ შეუძლია. ეს შეიძლება შეასრულოს სასამართლოს გამომძიებელმა ან თვითონ სასამართლომ გამოიტანოს ცალკე შესაბამისი კერძო განჩინება, რასაც, სამწუხაროდ, პრაქტიკაში საერთოდ არ იყენებენ.

მოცემული საკითხის განხილვის დროს შეიძლება ბუნებრივად დაიბადოს კითხვა: რა არის ან რა შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის მიზეზი და მისი ხელშემწყობი გარემოება?

დანაშაულის გამომწვევი მიზეზი ყოველ კონკრეტულ გარემოებაში, შეიძლება იყოს მხოლოდ ის სოციალური მოვლენა და პროცესი, რომელიც იწვევს, ქმნის ან განაპირობებს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობა (გარემოება) კი შეიძლება იყოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეკონომიკურ და იდეოლოგიურ სფეროში არსებული ის ნაკლოვანება, რომელიც, მართალია, თვითონ არ წარმოქმნის დანაშაულს, მაგრამ ხელს უწყობს მის ჩადენას.

ყველა გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, მასში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების აღმოჩენაზე და ხელს უწყობენ მისი დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებას, შეიძლება პირობითად დავყოთ ორ დიდ ჯგუფად: ობიექტური და სუბიექტური ხასიათის გარემოებებად (ფაქტორებად).

დანაშაულთა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების ერთ-ერთ უმთავრეს ბაზად და, შეიძლება ითქვას, მთავარ ქვაკუთხედად მიჩნეულ უნდა იქნას იმ გარემოვითარების და პირობების გაუმჯობესება, რომელშიც ხდება ადამიანის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად დაყოფასაც სწორედ ეს ზემოაღნიშნული გარემოებები და პირობები უნდა დაედოს საფუძვლად.

მოცემული საკითხის განხილვის დროსაც შეიძლება დაისვას კითხვა: კონკრეტულად რა უნდა იქნეს გაგებული ასეთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ცნებაში?

დანაშაულის გამომწვევ მიზეზად და მისი ჩადენის ხელშემწყობ ობიექტურ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი გარემოება, რომელიც სუბიექტისგან დამოუკი-

დებლად არსებობს და იძლევა ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენის, მისი აღმოცენების რეალურ შესაძლებლობას. სუბიექტურ ფაქტორად კი უნდა მივიჩნიოთ ის ხელშემწყობი გარემოება, რაც უშუალოდ პიროვნებისაგან გამომდინარეობს, რაც მოცემული კონკრეტული პირის ფსიქოლოგიურ მახასიათებელ ნიშნად გვევლინება. კერძოდ, ის, რაც მისი პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მის მისწრაფებასა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტური ფაქტორი, ერთ შემთხვევაში, შეიძლება იყოს მის შეგნებასა და წარმოდგენაში ამა თუ იმ მოვლენის არასწორი აღქმა, მისი როგორც პიროვნების არანაირი იდეურ-ნებელობითი პოზიცია, მის შეგნებაში ანტისამართლებრივი, ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების არსებობა, მეორე შემთხვევაში, მის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად არასწორი გზისა და საშუალების შერჩევა.

ამრიგად, დანაშაული არის სოციალური მოვლენა და მისი აღკვეთის, თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის საჭიროა შემუშავებულ იქნეს სოციალური დაცვის კომპლექსური ღონისძიებები და იურისტების მუშაობა, თანამედროვე პირობებში, ამ მიმართებითაც მთელი ძალისხმევით უნდა წარიმართოს.

საკონტროლო კითხვები

1. რა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება იურისტთა ძირითადი საქმიანობა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე?
2. რა ძირითადი პრობლემებია იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში?
3. რა ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება მუშაობა დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების მიმართებაში?
4. როგორია თანამედროვე იურიდიული აზროვნება დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების შესახებ?
5. როგორია დანაშაულის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი გარემოებების კლასიფიკაცია?
6. რა როლს ასრულებს მკაცრი სასჯელები დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში?
7. რა ძირითადი ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული დანაშაულთა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ, 2017;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ, 2017;
3. საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსი, თბ, 2017;
4. შოთა ფაფიაშვილი, შესავალი იურიდიულ სპეციალობაში, თბ, 2007;
5. შოთა ფაფიაშვილი, იურიდიულ მეცნიერების და პრაქტიკის ზოგიერთი პრობლემა, თბ, 2008;
6. ზაურ ნულაია, კრიმინოლოგია, თბ, 2005;
7. შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2009.

Review on the book
A Federal Perspective on the Abkhaz-Georgian Conflict
by Romina Gurashi, Neno Gabelia

Professor Jemal Gakhokidze
Georgian Technical University,
Director of Institute of Policy and Law,

The current geopolitical processes associated with international ethnic conflicts significantly complicate the development of modern civilization, increasing the vulnerability of all members of the international community and creating dependence on new challenges and security threats. From this point of view, this book is very important, because it will facilitate the development of optimal methods of conflict resolution. The Georgian-Abkhazian conflict, which entered in a very acute phase in 1992, was one of the first and last former Soviet Union's international confrontation (from 1992 to 2008).

This is a great book going into the geopolitical aspect of the Georgia-Russia war, written just as the 1992 war in Abkhazia began, the book authors offer a background to the conflict. There is some historic details included, but the main scope is in the issues that occurred in the late 1980's when perestroika allowed for dissent to be made within the USSR, even so, this book is something anyone looking to understand the post-Soviet conflicts in Georgia, and the situation in Abkhazia, should read. Written by researchers who truly understand the subject.

This is a very important and timely book historically, politically and economically. It is about a place where polarized ideologies and the economic interests collide and this book reveals the back story of the conflicts which will give more meaning to the area. This history reveals the area's importance to larger global interests, something to date, politicians and media alike have failed to grasp..

Nowadays careful study of the ethnic problems of the modern world is very important. The main goal of the book is the causal relationship of the phenomenon of the Georgian-Abkhaz conflict; to determine the range of reconciliation challenges of the parties and concrete solution of the conflict since August 2008.

Over the last years lots of research were done over Georgian-Abkhazian conflict, but most of them were just chronological description of the event, for the possible future scenario, but in this book, you will find deep analyze of the problems of origin and development of the conflict. The author's goal is to analyze the dynamics of the Georgian-Abkhazian conflict, the events of August 2008 and its aftermath and the ineffectiveness of the official negotiations process.

The book offers federalism as a solution of the conflict, which will restore confidence among the nations. The main goal of the book is to solve the conflict in Abkhazia by peaceful means, which is expressed in federal arrangement. With the federal model Georgian-Abkhaz relations will move into the dialogue platform and will be conducted within the framework of a united political system.

I'm quite sure that this book will help to develop new paradigms of the negotiating process and I would recommend to anyone who is interested in conflict resolution and foreign policy.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

დავით სოლომნიშვილი

ისტორიის დოქტორი



ისმის კითხვა რატომ არ უყვარდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილს სხვა სასამართლო პროცესებზე დასწრება. ალბათ, ეს განპირობებული იყო იმით, რაც მისი საქმე არ იყო, არ ერეოდა, თავისი გასაკეთებელიც საკმაოდ ბევრი ჰქონდა, არ უნდოდა გონება და გული გადაეტვირთა სხვა პროცესების სიმძიმით, თავს არიდებდა იმიტომ, რომ თვითონაც საფიქრალი ბევრი ჰქონდა და კოლეგების ჭკუის სწავლება არ უნდოდა თუ არ სთხოვდნენ პროცესებზე დასწრებას, თვითონ არ მიდიოდა, არ სურდა სხვათა მოსმენა, იქნებ იმასაც ფიქრობდა ყველა ვეჭილს თავისი შინაგანი ხელწერა აქვს, არ არის საჭირო კორექტივების შეტანა, რადგან ყველამ თავის საქმე თვითონ იცისო-ვეჭილობა ისეთი საქმეა უხერხულიც კია შენიშვნის მიცე-მაო, ვეჭილთა წრე სოლიდური ხალხია და აბა მე რა უნდა

ვასწავლოო, დღეს ისეთი დროა ყველამ ყველაფერი იცისო და ჩემი კონსულტაციები რაღა საჭიროა. ვაი თუ, ვანყენინო ჩემს კოლეგას ათასგვარი მითითებებით, საზოგადოებამ არ იფიქროს ეს კაცი ყველა პროცესს რომ ესწრება ხომ არ გვაკონტროლებსო, ან იქნებ შეიძლება თავშეუკავებლობამ მძლიოს და მოსამართლეს და პროცესის წევრებს მკაცრად მივანიშნო დამნაშავეის დაცვის მიზნით, იქნებ სხვის აზრს არ ითვალისწინებდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ან იქნებ არ მიაჩნდა სხვა სასამართლო პროცესები მაღალი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მსჯელობის საგნად. შეიძლება იმასაც თვლიდა, რომ დრო ძვირფასია და უნდა გამოეყენებინა სასწავლო-სამეცნიერო კულტურის ამალღებისათვის სტუდენტებთან, ასპირანტებთან მუშაობისათვის ან იგი საჯარო გამოსვლისათვის უნდა დაეთმო, ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე ან თუნდაც სახელმძღვანელო, მონოგრაფია უნდა შეექმნა იურისპრუდენციის მრავალსახოვან პრობლემებზე, სულაც ერჩივნა ოჯახურ იდილიაში ჩართვა, შვილებთან ირაკლისთან და ელეფთერთან ერთად გაეტარებინა დრო, მის მეუღლესთან ეკატერინე გურევიჩი- ანდრონიკაშვილისა ესაუბრა შვილების მომავალზე. იქნებ ისიც უნდოდა სანდრო ახმეტელისა და კოტე მარჯანიშვილის თავბრუდამხვევი თეატრალობის არამარტო მოწმე, თანამონაწილაც ყოფილიყო. აკაკი ხორავას გასაუბრებოდა ახალი სცენური გმირის შექმნას რომ აპირებს. ან იქნებ თბილისის ქალაქში უნდოდა გასეირნება, რათა ძალუმად ეგრძნო თბილისის ანდამატი, გრიშაშვილი რომ იტყოდა: „სიძველისადმი გრძნობა, პატივი, თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს, მიხვდები ასე ანდამატივით, რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს“. ან იქნებ თავის თავთან უნდოდა მარტო დარჩენა ათასგვარ ფიქრებთან და აზრებთან ჭიდილი, რათა სრულიად მარტო გამკლავებოდა ცხოვრებისეულ, პროფესიულ, ნააზრევთა ნაფიქრალთა შედეგებს და აღმოეჩინა, თუ არ აღმოეჩინა ყოფიერებისა და ცნობიერების ჭეშმარიტება, თუ უმეცრება. შექსპირი რომ იტყოდა: „ყოფნა არ ყოფნა საკითხავი აი ეს არის“. ან იქნებ უბრალოდ გოეთესეული: „შეჩერდი წამო რა მშვენიერი ხარ“ ჰარმონიულობისა და სიმშვიდის, ანტიკური სამყაროს ძლევა მოსილების სიმტკიცის გა-

რემოში ყოფნა სურდა, სადაც ევრიპიდე, სოფოკლე არისტოფანე ერთმანეთს უმტკიცებდნენ ძე კაცის უიღბლობას, ოლიმპოს ღმერთებთან ჭიდილში.

ცოდნა ისეთი რამ არის, რომელსაც ვერავინ ვერასოდეს ვერ წაგართმევს ვერას-გზით. ცოდნა ისეთი ოქროა, რომელიც მართლა ბრწყინავს და ყველგან გზას გაგიკვლევს გაგინათებს, ასე იყო მაშინაც, როცა 1928 წელს ლუარსაბ ანდრონიკაშვილი საბჭოთა მთავრობის დავალებით მიავლინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში, ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენების ჩინებულმა მცოდნემ უცხოელები განაცვიფრა თავისი მჭრელი გამოსვლებით საერთაშორისო სასამართლო პროცესზე. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ამერიკელმა მრეწველმა ჰარიმანმა საჩივარი შეიტანა ჭიათურისა და ფოთის მუშათა პროფკავშირების მიმართ. ჰარიმანი 1923 წელს დაიბადა. იგი საკონცესო ხელშეკრულების საფუძველზე უძღვებოდა ჭიათურის შავი ქვის მადარობის ექსპლუატაციას და მოპოვებული მადანი სრულად საზღვარგარეთ გაჰქონდა. ჰარიმანი ფინანსურ სირთულეებს ნააწყდა და ხშირად საკონცესო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მუშების შრომით ანაზღაურების წესს არღვევდა. 1928 წელს შავი ქვის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ჭიათურის სახალხო სასამართლოში სარჩელი აღძრა ჰარიმანის მიმართ დავალიანების იძულებითი წესით ანაზღაურების შესახებ. დავალიანება 900 ათას მანეთს აღწევდა ამავე დროს ფოთის ნავსადგურის მტვირთავმა პროფკავშირმა ჰარიმანის წინააღმდეგ მეორე საქმე აღძრა, საქმე ეხებოდა მუშების ხელფასის გაუცემლობას.

აღძრულმა საქმემ ყველა სასამართლო ინსტანცია გაიარა, რის შედეგად გაამართლა მუშათა მოთხოვნა და დავალიანების დაფარვა ჰარიმანს დააკისრა. საბჭოთა სასამართლოები საკონსტიტუციო და შრომის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ჰარიმანი შეეწინააღმდეგა და საქმე საერთაშორისო სასამართლოში გაგზავნა, სადაც ჰარიმანს იცავდა იურისტთა ის შემადგენლობა, რომელთა ავტორიტეტი ცნობილი იყო მთელს ევროპაში. ქართველმა ვექილმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა გაანადგურა ჰარიმანის არასამართლებრივი მოქმედება და ის იურიდიული გადაცდომები, რომლებიც მისი ინტერესების დამცველმა იურისტებმა საკონცესო ხელშეკრულების შექმნისას იქნა გამოყენებული ჰარიმანის საქმე მარცხით დამთავრდა. დავალიანებაც გადაიხადა და ამავე დროს სასამართლო ხარჯები, საჯარიმო თანხა საკონცესო პირობების დარღვევისათვის. ამ პროცესმა შეწყვიტა საკონცესო ხელშეკრულება ქართველი ხალხი საკუთარი განძეულობის გამოყენებას შეუდგა მომხდარი ფაქტი ამერიკისა და ევროპის პრესის ფურცლებზე აღიბეჭდა, ხაზგასმით აღინიშნა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ტრიუმფალური წარმატება. ყოველივე ზემოთქმული იძულებითი წესით მოხდა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მივლინება შორეულ ამერიკაში არ იყო შემთხვევითი მას გარკვეული საფუძველი გააჩნდა. 1918-1920 წლებში ინგლისელმა კაპიტალისტებმა გადაწყვიტეს ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება, რასაც დავების მთელი რიგი მოჰყვა. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა თავისი დინჯი, მიზანსწრაფული ლოგიკით არნახული წარმატება მოიპოვა. მუდამ განახლებისათვის მზადმყოფი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მეფის მთავრობის წინააღმდეგი იყო ამიტომაც დევნასაც და განდევნასაც განიცდიდა. 1903-1905 წლებში ნავთობის მწარმოებელთა ყრილობაზე გამოსვლისას თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობის მოწოდებისათვის და მეორედ ადვოკატთა იმ კავშირის წევრობისათვის დასაჯეს, რომელიც არსებული წყობილების გაუქმებას ლამობდა. ცხადია ამისთვის სასამართლო გაკიცხვა არ აცდებოდა. გალაკტიონის სიტყვები მუდამ თან სდევდა მის ბობოქარ სულს: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა ვით დაჭრილი ირმების გუნდს წყარო ანკარა“.

გურამ ნაჭყეზიას გახსენება

„უხენოზის ორმოცი დღე..“



დრო ჩქარი ტემპით მიდის, დროში განფენილი ტკივილი კი არ გვაგინყდება, არადა ამბობენ დრო ყველაფრის მკურნალიაო, რაღაც არ გვჯერა, ან კი როგორ უნდა დაგვაგინყდეს სახელოვანი ქართველი მეცნიერის, იურისტის, ბატონ გურამ ნაჭყეზიას გარდაცვალება. ულმობელმა დრომ თქვენი მეორმოცე დღეც გაგვითენა. პატიოსნების ეტალონად მიიჩნევდნენ, მაგრამ მაინც სხვაგვარი დავინახეთ როცა მის პატარა, მყუდრო ბინაში გამო-

სათხოვრად მივედით. მართლაც როგორ პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ ცხოვრობდა ლამაზად, შინაარსიანად! შთამბეჭდავად! დააფასეს და მოუწყვეს საოცარი გაცილება, იყო ნელი სვლა საბურთალოს სასაფლაოსკენ. სინდისს, პატიოსნებას, ქართული მეცნიერების ღირსებას და ნამუსს სევდით მიყვებოდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულნი... იშვიათად მინახავს ისეთი მწარე გამოთხოვების ცერემონიალი, საყოველთაო აღიარება და ამდენი გულწრფელი ცრემლი, როგორიც ახლდა ბატონი გურამ ნაჭყეზიას უკანასკნელ გზაზე გაცილებას. მას ღირსეულად მიაგეს პატივი კოლეგებმა, მთავრობამ და ხალხმა. მორიდებული, მონამეობრივი სიცოცხლით იცხოვრა ამ განათლებულმა კაცმა. მთლიანად დაიხარჯა მშობლიური ქვეყნისათვის, თავისი საქმისათვის. თავის ოჯახს და ახლობლებს დაუტოვა დიდი ავტორიტეტი და ტკივილი. მატერიალური კი არაფერი, მის პიროვნებაში მუდამ სულიერება სჭარბობდა მატერიალურს.

არიან ადამიანები რომლებიც ჯერ სამყაროს უკვდებიან და მერე საკუთარ თავს, გურამ ნაჭყეზია ერთ-ერთი იყო მათ შორის, კაცი აუნონავი ღიმილით, სავსე, იმედიანი კაცი, მის გვერდით ყოველთვის სხვა იყო დედამინა, უღალატო, ძლიერი, კეთილი, მუდამ მომღიმარი და მაინც ღრმად სევდიანი, ფარულად რომ ილანდებოდა მის თბილ თვალებში.. რა იყო ეს სევდა, ადამიანად ყოფნისა თუ არყოფნის სევდა. უფრო ალბათ სევდა და ტვირთი იყო ადამიანად ყოფნისა... ადამიანობისა რაზეც უარი არასდროს უთქვამს და ბოლომდე კაცად, ადამიანად დარჩა... ის უკვე აღარ არის... ბატონი გურამის თბილი ღიმილით აღარ აივსება არც თბილისის ხმაურიანი ქუჩები, არც მეგობრების ერთგული გარემო და არც ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კედლები, ასე რუდუნებითა და სიყვარულით რომ ეფერებოდა, სადაც სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე იყო მოსული, **სტატია მოიტანა საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „იურისტ“-ში გამოსაქვეყნებლად, რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა..**

ყოველთვის აღელვებდა საზოგადოება და საქვეყნო სატკივარი, მუდამ იქ იყო სადაც ქვეყნის ბედი წყდებოდა. იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ნაღდი კაცი, ასე მოგმართავდნენ მეგობრები და ეს გიხაროდა.... ჩვენც შემოგხაროდით, ახლა კი... შენი საფლავი გახდა ჩვენი შეხვედრის ადგილი.. ჩვენო მეგობარო არასოდეს მიეცემი დავინყებას სანამ თქვენი მეგობრები, თქვენი აღზრდილი ახალგაზრდები ამქვეყნად დადიან... შენ იყავი სულგრძელი, ყველას შემწყნარებელი და მიმტევებელი.

მტრობა, ჯავრი, შურისძიება შორს იყო შენგან.

სიხარულს ვერ მალავდი, როდესაც ამა წლის 31 მარტს, ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე მე-6 სართულზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას აუდიტორია გაიხსნა, სიტყვითაც გამოხვედი, ლექსიც კი მიუძღვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს. ამავე აუდიტორიაში ლითონის ფირფიტაზე ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული ღვანლმოსილ მეცნიერთა სახელები. მათ შორის პირველ ადგილს იკავებს გურამ ნაჭყებია. დღეს ამ ნარწერას ტკივილი მოაქვს, თითქოს მასში თავმოყრილია სიკვდილის ფასიც, ტკივილიც, გარდაუვალობაც, ეს ნარწერა მუდამ შეგვახსენებს რომ ჩვენმა ფაკულტეტმა დაკარგა ძალა, იმედი, სიკეთე და რაც მთავარია გულიანი და კარგი კაცი, რომლისთვის ადამიანად ყოფნა ბოლომდე უფრო დიდ სევდად დარჩა, ვიდრე არ ყოფნა.

რა დასანანია, რომ ყოველივე ამას წარსული დროის ელფერი დაჰკრავს, მომავალში კი საიმედოდ რჩება თქვენი ბრძნული რჩევა-დარიგება, არაერთი სახელმძღვანელო, იურიდიულ ლიტერატურაში გამოქვეყნებული უამრავი სტატია თუ ესსე.

„ცხოვრების აზრი იმაში მდგომარეობს ოდესმე ის შეწყდებოდ“ ფრანც კაფკა წერდა, თუმცა მთავარია არა ის, რომ ცხოვრება ზოგადად წყდება, არამედ ის თუ ვისი სიცოცხლე სრულდება, ბატონი გურამის სიკვდილი ვერასოდეს ასოცირდება ცხოვრების აზრთან, რადგან ის ჩვენ აქ დარჩენილებს მოგვიკვდა, ჩვენ დაგვაკლდა, ჩვენ წაგვეერთვა, ერთ-ერთი უშვიათესად კეთილშობილი კაცი ამ ცივსა და მიუსაფარ სამყაროში. სწორედაც შენზე შეიძლება ითქვას, რომ მიაღწიე მეცნიერების მნიშვნელოვან მწვერვალებს, ბოლომდე დაიხარჯე ყველასათვის და ყველაფრისათვის.

შენ განვლე შენი ცხოვრების გზა, აღბეჭდე ნავალი და არაფერი შეედრება იმ ხელთუქმნელ ძეგლს, რომელიც შენ დაგვიტოვე ყველას შენს მიერ გავლილ გზაზე. წარუშლელი იქნება შენთან ერთად გატარებული წლები, უშენობის ორმოცი დღე ცრემლიანი და ტკივილიანი იყო შენი დიდი სამეგობროსთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ამაყი სული, ჩვენო მეგობარო...

ისაქათი ვაზისხანის, ქეძეთ ვახაიძე, შოთა ფათისშვილი, რიპან შერვაშიანი, ლიპარიანი, ნურბერი შერვაშიანი, ივანე ჩავჭავჭავაძე, ქეძეთ ვახაიძის, ივანე ჯავახიანი, მადონას წამსთაძე, ქეთი ქაიჭარაძე, ქეთი ჩინჭარაძე, ნათა თათაძე, ირინე აქიყაძის, ზაზა რუსაძე, ალენა დიდილაძე, დიმიტრი შერვაშიანი, მიხეილ მამნიანი, ალთა ხაბაძის, ეფთხის ვასაშვილი, ვიქტორ ალასანი, ვაჟა ანაბერიძე, ციციკა ვატიანი, ქანდაკ მნიშვილი, ალექსანდრე წყლისშვილი, ვიქტორ ვიქტორი, დავით სოლომონიანი.

ავტორთა საყურადღებოდ!

„იურისტი“ არის საერთაშორისო, რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, მწერალთა კავშირის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

–სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

–**ნაშრომს სათაურის წინ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი და აკადემიური თანამდებობა ;**

–ნაშრომს თან უნდა დაერთოს **რეზიუმე (10–12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;**

– ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Time New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის–12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. : მარცხნივ და ზევიდან 2 სმ, მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ;

ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 7-9 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის (არაუმეტეს 8–10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი A4 ზომის ქაღალდზე **ორ ეგზემპლარად**, მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი);

სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის **შეტყობინება** ხდება წარდგენიდან **3 თვის ვადაში**;

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: **ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №75**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელეფონი 599 94 01 14

ელ-ფოსტა law.academy@mail.ru

